ᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ

ᲕᲘᲖᲘ

N5 (243) 3/II.-9/II.2005. ᲤᲐᲡᲘ 60 თ.

1168
2005

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲐᲤᲔᲗᲘᲥᲔᲑᲐ ᲩᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲤᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲫᲣᲠᲐᲖᲔ — ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲠᲔ�პᲝᲠᲢᲐᲟᲘ: ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲖᲔ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲐᲡ ᲛᲝᲕᲔᲠᲘᲓᲔᲗ ᲒᲕ. 4-7

ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ — „ᲥᲔᲨᲔᲑᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲕᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ

15 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ...

„...ᲞᲐᲚᲘ ᲡᲐᲭᲔᲡᲗᲐᲜ — ᲚᲘᲖᲐ ᲒᲐᲒᲠᲐᲪᲘᲝᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲬᲔᲠᲕᲔᲑᲡ ᲣᲨᲚᲘᲡ

ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲘᲕᲘ: „...ᲕᲘᲪᲘ, ᲡᲐᲓ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ“

უკვე იყიდება

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

№5 (243)
3 - 9 თებერვალი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
არ ვვარგივართ უმეთაუროდ ანუ სანამ „იმას“ „ოსკარზე“, უპაცრავად, ნობელზე წარადგენდნენ 3
რეპორტაჟი
ტერაქტი დავით აღმაშენებლის ქუჩაზე – ის, რაც არ უნდა გვენახა 4
ერთი კითხვა 8
ჭრელი მსოფლიო 8, 9, 10
აღიარება
პირველი „როლექსი“ ქართველთა „კოლექციაში“ 11
ქალი საჭესთან
ლიზა ბაგრატიონმა პირველი მანქანა შეიძინა 12
პროფესია
„ასეთ ქალბატონებს მოფერება და დაყვავება სჭირდებათ“ 14
კრიმინალი
„...შენ კი არა, როცა მინდა, მკვდარსაც ვაუპატიურებო...“ 16
თამადა
600 კილო „საფესტივალო“ ყურძენი, 1 ლიტრი ღვინით წარმართული ქეიფი მთაში და დღევანდელი სუფრის ყველაზე დიდი კურიოზი 18
თემა
სიღარიბე და მისი ავ-კარგი 20
ალდო
ნახევარი ქილა მაწვნით დაწყებული ბიზნესი 23
დეტექტორი
„...ვიცი, სად ინახება დიდი სიმდიდრე“ 24
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი ზოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 26
ობიექტივი
კოტორა – მარადიულ წამებზე მონადირე კაცი 26
გზავნილები
„...მიიხედა, დაინახა და... მანქანაში მარXვენა კარის ფანXრიდან ჩახტა...“ 29
ჯანმრთელობა
- მოვუფრთხილდეთ „ორგანოთა დედოფალს“ 32
- ფსორიაზის საიდუმლო გაიხსნა 33
- საშენი მასალა – კალციუმი 34

ტაქარი
რა შემთხვევაში ვცოდავთ ვერცხლისმოყვარეობის ცოდვით? 35

პირველი „როლექსი“ ქართველთა „კოლექციაში“



„წარდგენილი იყო 1700 პროექტი, მაგრამ გამარჯვება მხოლოდ ჩემს პროექტს ხვდა წილად. ეს არის პროექტი, რომელიც ასახავს, თუ როგორი უნდა იყოს მომავლის მუზეუმი. პროექტი წარმოდგენილია დმანისის მაგალითზე...“

11

ბიბა კვენტაძე მოსკოვშიც ტირილს აპირებს – ვინ დასწამა ჰედოფილობა

„მაშინ, გამწარებულები მეც და ოთიკოს მამაც 2 კვირის განმავლობაში ვეძებდით ლიზას, ის კი გვემალებოდა. არ გამოვრიცხავ – რომ გვეპოვა, რომელიმე მოვკლავდით. 2 თვის მერე შევხვდი ლიზას და მაშინ უკვე მშვიდად ველაპარაკე...“

57

ლიზა ბაგრატიონმა პირველი მანქანა შეიძინა

„პოლიციის მანქანა, რომელიც ჩემ უკან მოდიოდა, ჩქარობდა და მთელი გზა გაიძახოდა – სწრაფად გაიარე, სწრაფად გაიარეო!.. მივაღწიე თუ არა დანიშნულების ადგილამდე, მაშინვე გავემართე იმ პოლიციელისკენ, მის მოსაკლავად...“

12

600 კილო „საფესტივალო“ ყურძენი, 1 ლიტრი ღვინით წარმართული ქეიფი მთაში და დღევანდელი სუფრის ყველაზე დიდი კურიოზი

თუ გაბრაზებული ხარ და სვამ იმისათვის, რომ დაივიწყო პრობლემები და განიტვირთო, ამ შემთხვევაში, პირიქით – უფრო გიჟდები. აქედან გამომდინარე, როცა გაბრაზებული ხარ, ჯობს, საერთოდ არც ერთი ჭიქა არ დალიო...

18

შემოქმედი
სადიპლომი შედევრი, იპოლიტეს აღმოჩენა და თვალცრემლიანი ემიგრანტები 36
ფავორიტები
ლუიმ ფიგუ: „საფეხბურთო სამყაროში დიდი უსამართლობაა გაბატონებული“ 39
ქართული დეტექტივი
ლუბა ელიაშვილი. ძვირფასი მკვლელი და ჩიპოლინო (გაგრძელება) 42
ვარსკვლავი
რენე ზელვეგერი – მსახიობი, რომელიც მზადაა, როლისთვის მსხვერპლი გაიღოს 46
ბომონდი 48
მოგზაურის დღიურები
უკანასკნელი ამერიკული შთაბეჭდილებები: ატლანტიკ-სიტის კაზინო, „შავი“ რინგი და დამშვიდობება ნიუ-იორკთან 50
ავტო 53
პირადი ცხოვრება
აგატა კრისტი – მწერალი, რომელიც სიცოცხლის ბოლოს ოჯახური ბედნიერების საიდუმლოზე ფიქრობდა 54
პირველი პაემანი
„შევხტი სკამზე და მთელი ხმით ვიყვირე – მიყვარხარ-მეთქი!..“ 56
შოუბიზნესი
გიგა კვენტაძე მოსკოვშიც ტირილს აპირებს – ვინ დასწამა პედოფილობა 57
ჰოროსკოპი
კვირის (7-13 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი
რამდენად გაწონასწორებული ადამიანი ბრძანდებით? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

„ასეთ ქალბატონებს მოფერება და დაყვავება სჭირდებათ“



„არიან ისეთი ჯიუტი მეუღლეებიც, რომ ვერ მოიცილებ იმ ოთახიდან, სადაც პაციენტის გასინჯვა ხდება. ვეუბნები ხოლმე – თქვენ გარეთ დაგველოდეთ-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად, ფეხსაც არ მოიცვლის – გინდა თუ არა, აქ უნდა ვიყო და გიყუროთო.“

14

სადიპლომო შედევრი, იპოლიტეს აღმოჩენა და თვალცრემლიანი ემიგრანტები

„ეროსი იყო ზღაპრული პიროვნება. ყველას სჯობდა და ყველას გვჯობდა. ფილმის – „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ – მთავარ როლზე ორი მსახიობის სინჯი უნდა გადამეღო – დოდო აბაშიძის და ეროსის. დოდოს შემდეგ, მას ვთხოვე...“

36

რენე ზელვეგერი – მსახიობი, რომელიც მზადაა, როლისთვის მსხვერპლი გაიღოს



ამ როლის მისაღებად მსახიობმა წონაში 10 კგ მოიმატა. ყოველგვარი ირონიის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაბიჯი ხელოვნებისათვის გაღებული მსხვერპლია, რადგან რენე ზელვეგერი იმ ბედნიერ მსახიობთა რიგს მიეკუთვნება, რომელთაც ზედმეტი წონის პრობლემა არ აწუხებთ.

46

ძვირფასი მკვლელი და ჩიპოლინო

ლუბა ელიაშვილი

ფეხაკრეფით გავწიე სამზარეულოსკენ. სანდროს ლანგარი მოუმზადებია: ერთი ჭიქა წყლით, ორი – ყავით და თეფშზე დასკუპებული მწვანე ვაშლით. ხელში რაღაც ფლაკონი უჭირავს და ბამბის ნაკუწს სითხით ეღენთს.

– რა მოუვა, დაეძინება? – ჩურჩულით ეკითხება ვიკა...

42

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“



არ ვვარგივართ უმეთაურობ

ანუ სანამ „იმას" „ოსკარზე", უყურებავდ, ნობელზე წარადგენდნენ

არ მინდოდა მეთქვა, მით უმეტეს, დამეწერა, მაგრამ მეტის მოთმენა აღარ შემიძლია და ჩემს „პროვოკატორულ-მოქალაქეობრივ" მოვალეობად მიმაჩნია, გავაფრთხილო ჩვენი ქვეყნის პირველი პირი და პირველი ჭკუა-გონება, რომ მის წინააღმდეგ სერიოზული კამპანიაა გაჩაღებული: კაცი, უფრო სწორად, ბიჭი, რომ იტყვიან, „წელებზე ფეხს იდგამს", რომ პურის ფული მოგვიტანოს „წვრილ-შვილს". გაჭირვებული ოჯახის უფროსი რომ რამდენიმე სამსახურში მუშაობს ერთდროულად, ისიც ისეა: დღე ერთია და, სამ ქვეყანას მაინც მოივლის ხოლმე; ბრიუსელში რომ ამთავრებს მოხსენების წაკითხვას, დავოსში იწყებს. ენები კი იცის და ისე ემოციურად ამბობს „დეიდებო, ბიძიებოს", რომ 650 მილიონს ერთ წასვლაზე მოუყარა თავი...

ჩვენ კი ისღა გვევალება, ვისხდეთ წყნარად, შოშიებივით პირდაღებულები ველოდოთ მამა-მარჩენალის მიერ მოტანილ „სადილ-ვახშამს" და მის მოსვლამდე კარი არავის გავუღოთ. მაგრამ რა ხდება ამ დროს ქვეყანაში?! რა ხდება და, შემოვყარეთ, თუ სადმე ბიზნესმენი და ხელზე მოვაჭრე იყო – ა, რასაც ხედავთ ყველაფერი იყიდება და აბა, თქვენ იცით, ვინ მეტს გადაიხდით-თქო... დატრიალდნენ ისინიც: ვინ ჭურჭელს დასტაცა ხელი, ვინ ჭაღები ჩამოხსნა, ვინ კი ავეჯი მოიგდო ზურგზე და ისეთი დომხალი ატყდა, რომ ჩაწერაც ვერ მოვასწარით, ვინ რა იყიდა და რამდენად?!. განსაკუთრებით, სანაოსნომ დაგვაბნია და ახლა მთელი მინისტრთა კაბინეტი მუშაობს სამი საკითხის გარკვევაზე:

1. რამდენად გაიყიდა სანაოსნო;
2. ვინ იყიდა სანაოსნო;
3. „ვაბშე" რა სანაოსნო?!

გეკითხებით, არ არის ეს მიზანმიმართული კამპანია?! ყველაფერს აკეთებს მისი „ერთგული" გუნდი, რომ ბიჭი ქვეყნიდან არ გავიდეს. ის რომ იქით ნობელის პრემიაზე „ჩალიჩობდა", აქეთ კომუნალური ბინათმშენებლობის საკითხზე ატყდა „დაგნარი". რომ ვკითხე იმ მოქალაქეებს, რატომ აგინეთ იმ პატიოსან კაცს-მეთქი, მიპასუხეს: ჩვენ უბრალო მოქალაქეები ვართ და გვაქვს უფლება მერს ვაგინოთო, ის კი მერია და მეეზოვესავით იგინებოდაო...

ვერ გეტყვით, კონსტიტუციის რომელი მუხლი იძლევა დედის გინების, ან გინებაზე გინებით პასუხის გაცემის უფლებას, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: ჩვენმა მერმა ამ სფეროში ისეთი ცოდნა გამოამჟღავნა, რომ დაგვანახვა, – ეკონომიკის მინისტრობასაც „გავქაჩავო"...

ამის პარალელურად, შიმშილობა მიმდინარეობს კანცელარიასთან მეტალურგიული ქარხნის გაყიდვის გამო. „ისინი მეჯართეები არიან და მთელ ქარხანას ჯართში ჩააბარებენო"... სასაცილოა პირდაპირ: შე კაი კაცო, რომ წამოწოლილხარ ამ ქარ-ყინვაში ღია ცის ქვეშ და იკლავ თავს, თუ არ იცი, ჰკითხე მთავრობას და აგიხსნის, რომ სიტყვა „მეტალურგიის" ფუძე არის „მეტალი", რაც ქართულად ნიშნავს „ჯართს" და ჯართი ჯართში უნდა ჩაბარდეს, აბა, მეტი „რა ხეირია" მისგან?!.

არა, რა ქნას ამ დროს, ეკონომიკურ ფორუმზე წასულმა პრეზიდენტმა, პარტნიორი ქვეყნების მეთაურების „დაკერვაზე" იფიქროს თუ ჩვენზე ჯავრით იხეთქოს გული, „ნეტავ, ხომ ჭკვიანად არიანო"?! აგერ, მინისტრმა დახმარებები შეუჩერა ომის ინვალიდებსა და ვეტერანებს და ისეთი ფრონტი გაიხსნა, რომ შეიძლება მალე ვიხილოთ ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროსთან „ბერლინის დაცემა-2". არადა, მინისტრმაც რა ქნას? უნდა გავარკვიოო – თქვა და მართალიცაა: ხომ უნდა იცოდეს, ვის რამდენი ეკუთვნის? ზოგი პირველ მსოფლიო ომში იბრძოდა, ზოგი – მეორეში; დიდ სამამულო ომსაც გააჩნია: ერთი სტალინგრადთან იბრძოდა, მეორე ქერჩში დაიჭრა და დემობილიზებულ იქნა, მესამე ბერლინამდე ჩავიდა და ა.შ. ხომ უნდა გაირკვეს, ვის რამდენი „ბრძოლადღე" უწერია შრომის წიგნაკში?!.

მოკლედ, რაც მართალია – მართალია, არ ვვარგივართ უმეთაუროდ. ვაცადოთ იმ კაცს, დადის თავისთვის, ხომ გააჩალიჩა 650 მილიონი?

აგერ, ნობელის პრემიაზეც წარადგინეს. მეტი რა ქნას?! წელს რომ მშვიდობის განმტკიცების დარგში გახდება „ნობელისტი", გაისად, ტურიზმის განვითარების დარგში დაირტყამს პრემიას ამდენი მოგზაურობისთვის, მერე მოჰყვება „ემი", „გრემი", „ოსკარი", „ოქროს პალმის რტო", „ვერცხლის ლეღვის ფოთოლი" და მთელი მსოფლიოც გაგვიცნობს...

P.S. ქართველი ალპინისტები ევერესტზე:

– რა ხდება, ბიჭებო, დღეს რაღაც განსაკუთრებული სისუფთავე გვაქვს კარავში და ვახშამიც მდიდრულია?

– რა ვიცი, საკაშვილმა, ამას წინათ, საუბარში „ალპინიზმი" ახსენა და შეიძლება კი მოგვადგეს გაუფრთხილებლად...

პროვოკატორი

ტერორი

პირველ თებერვალს 13.30 წუთზე გორში, ჭავჭავაძისა და დავით აღმაშენებლის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე, პოლიციისა და უშიშროების სამხარეო სამმართველოს შენობასთან ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა. წინასწარი მონაცემებით, 80-100 კგ ტროტილისა და პლასტიკური ბომბის ნაერთი დისტანციური მართვით აამოქმედეს. რამდენიმე წუთში გაჩნდა პირველი შეფასებაც: გორში ტერორისტული აქტი განხორციელდა. ჩვენც ამ ამბის შეტყობიდან რამდენიმე წუთში ავიღეთ გეზი გორისკენ. ჩვენი მანქანა საოცარი სისწრაფით მიექანება. ვგრძნობთ, რომ წინ მძიმე სამუშაო და საზარელი სურათის ნახვა გველის. გორის ცენტრში უამრავი ადამიანია შეკრებილი. ჟურნალისტები შს მინისტრს ელიან: მან მომხდარის შესახებ კომენტარი უნდა გააკეთოს...

დავით აღმაშენებლის ქუჩაზე

ის, რაც არ უნდა გვენახა...

ლელა ჭანკოტაძე

ვანო მერაბიშვილი:

— შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის ტერორისტული აქტი. გარდაიცვალა პოლიციის 3 თანამშრომელი: **მთვარელაძე გია, იაკობიძე თამაზ** და **მინდიაშვილი სოსო**. სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო 15-მა ადამიანმა. აფეთქების შემდეგ ჩატარდა სასწრაფო ექსპერტიზა. წინასწარი მონაცემებით, აფეთქებულია ტროტილისა და პლასტიკური ნარევის 80-100 კგ ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც ჩადებული იყო, „ვაზ 21011“ მარკის ავტომობილში. მისი მფლობელი დადგენილია. ახლა მიმდინარეობს სამუშაო იმის დასადგენად, თუ ვის შეიძლებოდა, გამოეყენებინა ეს მანქანა.

მოვლენებს წინ გავუსწრებთ და სადღეისოდ არსებულ სამ ძირითად ვერსიას გაგაცნობთ.

***ირაკლი ალადაშვილი,** „კვირის პალიტრის“ სამხედრო ექსპერტი:*

— ტერორისტული აქტის მეორე დღეს მთავრობის მაღალ ეშელონებში გაისმის ფრაზა, რომ კვალს ქვეყნის საზღვრებს მიღმა მივყავართ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მცირე დროა გასული ტერაქტიდან, უკვე შეიძლება სხვა ვერსიებზე საუბარი. არ უნდა გამოვრიცხოთ როგორც „სეპარატისტული“, ასევე „კონტრაბანდისტული“ ვერსია. **I ვერსია** ასეთია: ტერორისტული აქტი განხორციელებულია დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერებით, რომლის ნაწილი არ აფეთქდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გარკვეული პარალელის გავლება შეიძლება ერაყში, ჩეჩნეთსა თუ მოსკოვში განხორციელებულ ანალოგიურ ტერაქტებთან. „ჯოჯოხეთის მანქანა“ მონტაჟდება ჩვეულებრივ ავტომობილში, რის შემდეგაც ავტომანქანას აყენებენ სამიზნის სიახლოვეს. ტერორისტული აქტის გამოკვლევის პირველსავე დღეებში რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს არის გამოცდილი სპეციალისტების მიერ მოწყობილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ შეიძლება უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები იყვნენ ჩარეული. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არ აზუსტებენ, რომელია ეს უცხო ქვეყანა, ეჭვს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელზე — რუსეთის სპეცსამსახურებზე ვიღებთ. მათი ძირითადი მოტივი შეიძლებოდა ყოფილიყო სიტუაციის დაძაბვა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში. **II ვერსია** შეიძლება იყოს ერთგვარი შურისძიების აქტი, იმ ქართველი პოლიციელების მიმართ, რომლებმაც ბოლო დროს ოსი ეროვნების რამდენიმე ეჭვმიტანილი დააკავეს. თან სწორედ ამ შენობაში ჰყავდათ. შეიძლება მათზე ფიზიკურ ზემოქმედებასაც ახდენდნენ, იმის ფონზე, რომ ერედვის პოლიციის განყოფილების უფროსს ცხინვალში აწამებდნენ. **III ვერსია** წმინდა „კონტრაბანდისტულია“. ერგნეთზე გადის კონტრაბანდისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გზა. მისი გადაკეტვით უზარმაზარი შემოსავლები შეუწყდა შერეულ ქართულ-ოსურ კონტრაბანდისტულ დაჯგუფებებს.

— **არსებობს ტერაქტის განმეორების საშიშროება?**

— სამწუხაროდ, გაჩნდა ისეთი საზარელი ტერორისტული აქტის პრეცედენტი, რომლის მსგავსი ცხინვალისა და აფხაზეთის ომების დროსაც კი არ მომხდარა. საშიშროება იმისა, რომ გამეორდეს, ცხადია, არსებობს, თანაც — ძალიან დიდი.

ამიტომაც მოსახლეობა მარტო სამართალდამცავების იმედზე არ უნდა იყოს. ნებისმიერმა ჩვენგანმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება საეჭვო პირებისა და უპატრონოდ დადებული ნივთების მიმართ და ასეთ შემთხვევაში სასწრაფოდ დაუკავშირდეს პოლიციას.

ტერორისტული აქტის ადგილს დამცავი ზოლი აქვს შემოვლებული. გარეშე პირთათვის ახლოს მისვლაც კი შეუძლებელია. იღვიძებს ჟურნალისტური ცნობისმოყვარეობა. რა არის ისეთი, რაც ჩვენ არ უნდა ვნახოთ?.. და იწყება ჩვენი ფოტორეპორტაჟიც – აკრძალული თუ ნებადართული კადრების გადაღება.

აფეთქების ადგილიდან 500 მეტრის რადიუსში მდებარე სახლები დაზიანებულია. არც ერთ ბინას კარ-ფანჯარა არ შერჩენია. შეშინებული მოსახლეობა ათვნებიდან ათვალიერებს შემთხვევის ადგილს. ჩვენს ობიექტივშიც ეს ადამიანები ექცევიან. ხუთსართულიანი სახლი, გორის ერთ-ერთი ძველი შენობაა. აქ მოსახლეობა ათწლეულების წინ დასახლდა. ამ სახლში გორის ყოფილი ელიტა ცხოვრობს. ყველანი დამსახურებული პენსიონერები არიან.

დიმიტრი შათირიშვილი:

– „ბალკონში“ ვისხედით მე და ჩემი მეუღლე. დაახლოებით 13.30 სთ იქნებოდა. უცბად, ისეთი გრიალი გაისმა, თითქოს ბომბი აფეთქდა. სახლი შეზანზარდა. მე სამამულო ომის მონაწილე გახლავართ. მსგავსი ხმა მხოლოდ ფრონტზე გამიგონია. მაგრამ მაშინ ვიცოდით, რომ ომში ვიყავით, სროლებს, აფეთქებებს ველოდით და მაგრადაც ვიდექით. აფეთქების დროს შიშის განცდა არ გვქონდა, ეს აფეთქება კი იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ გული კინაღამ გამისკდა.

ქ-ნი რუსუდანი, *ბ-ნ დიმიტრის მეუღლე:*

– მეგონა, რომ დედამიწა ამოტრიალდა. სახლი საშინლად შეირყა და გამაყრუებელმა ხმამ კინაღამ ყურის ბარაბნები დაგვიხეთქა. უზარმაზარმინებიანი კარი ჩარჩოიანად გადმოვარდა და პირდაპირ თავზე დამეცა. იატაკზე დავვარდი. 81 წლის ქალისთვის ეს დიდი სტრესი აღმოჩნდა. ვკიოდი – მიშველეთ-მეთქი!.. მაგრამ ყველაზე საშინელი ის იყო, რომ მოშველების მაგივრად მესმოდა სხვა ადამიანების ყვირილი: მიშველეთ! მიშველეთ! დავიბენი. ვერ გავაცნობიერე, თუ რა მოხდა.

პატონი დიმიტრი:

– აფეთქების ხმა მიწყდა თუ არა, ინსტინქტურად ლოჯიიდან იმ ოთახისკენ გავიქეცი, რომლის ფანჯრებიც პოლიციის შენობას უყურებს. დავინახე, რომ ფანჯარა ჩარჩოიანად იყო მოგლეჯილი და შავი ბოლი შემოდიოდა, პოლიციის წინ მანქანები იწვოდა. ვიფიქრე, რომელიმე მანქანა გაზზე მუშაობდა და მოულოდნელად გაზის ბალონი აფეთქდა-მეთქი. ხალხი საავადმყოფოსკენ გარბოდა. შორიდანაც ჩანდა, რომ დასისხლიანებულები იყვნენ. უკან ლოჯიაში გავიქეცი, ცოლი რომ გამემხნევებინა. ის იატაკზე ეგდო. თვალის დახამხამებაში, „სასწრაფო დახმარება“ მოვიდა. ყველაფერი წამებში მოხდა. ჩემი მეუღლე საავადმყოფოში ექიმს არ წაჰყვა. მას შუშის ნამსხვრევები მოხვდა, სისხლი წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა. პირველადი დახმარება აღმოუჩინეს. აქამდე, 3 კვირა ავადმყოფობდა, საწოლიდან 2 დღის წინ წამოდგა. ტვინის შერყევა ჰქონდა. ახლა კარი დაეცა თავზე. მეშინია, ისევ საწოლს არ მიეჯაჭვოს...

ხუთსართულიანი შენობა ისეთ მდგომარეობაშია, ომის ამსახველ კადრებში რომ მინახავს. ფოტოკორესპონდენტთან ერთად გაჭირვებით მივიწევ წინ. ელექტროენერგია გამორთულია. აფეთქებამ დენის ბაზები დაწყვიტა. კიბე ნამსხვრევებითაა მოფენილი... შათირიშვილების ზემოთ, ერთ-ერთი ბინის კარიდან დაბნეული ყმაწვილი იყურება. ჩვენი მოხუცი ძლიერ დაზარალდა, შინ რომ მოვედი, დასისხლიანებული იატაკზე ეგდო, – მითხრა. მოხუცი აფეთქების დროს ფანჯარასთან მჯდარა. ძლიერმა ტალღამ ის ოთახის ერთი ბოლოდან მეორეში გადააგდო და მთელი ძალით მიანარცხა კედელს... ამ შენობაში თითქმის ყველა ადამიანმა მიიღო სხეულის მსუბუქი დაზიანება, მათ შორის 80 წლის რუსიკო ქილიტაურმაც. აფეთქების დროს, მინის ნამსხვრევები მას თავში მოხვდა და მარჯვენა ყური სერიოზულად დაუზიანა.

ამ ფოტოს გარეკანზე გამოგანას მოვერიდეთ...

ქ-ნი რუსიკო:

– მე და ჩემი რძალი სწორედ იმ ოთახში ვისხედით, რომლის ფანჯრებიც პოლიციის შენობას გადაჰყურებს. ვსადილობდით და საშიშროებაზე, ცხადია, არც გვიფიქრია. უცბად, სახლს რაღაცამ ქარიშხალივით გადაუარა... 40 წელი პოლიციაში მბეჭდავ-მემანქანედ ვმუშაობდი. ახლა პენსიაზე ვარ. ჩვევად მაქვს ფანჯარასთან ჯდომა და იმ შენობის თვალიერება, სადაც მთელი ცხოვრება გავატარე. ღმერთმა დამიფარა, რომ აფეთქების დროსაც ფანჯარასთან არ ვიჯექი. მარტოხელა ქალი ვარ. დავრჩი ბინაში, რომელსაც უკვე აღარც ფანჯარა აქვს, არც კარი და როგორც ხედავთ, ყველაფერი დამსხვრეულია.

ქეთინო სანაია:

– აფეთქების ხმაზე კარი გავაღე და კიბისკენ გავიქეცი. ბინებიდან დაფეთებული ხალხი მორბოდა. ერთმანეთს ვუყვიროდით: ცოცხალი ხარ? ყველანი ცოცხლები ხართ? მერე ისევ ბინაში შეებრუნდით. აფეთქებას „ზალის“ და სამზარეულოს ფანჯრები ჩარჩოებიანად მოეგლიჯა. ტელევიზორი ფანჯარასთან იდგა; დარტყმის ძალამ ის მეორე ოთახში გადაადგო. გორელებს ეს გვინდოდა?.. ისედაც უმძიმეს პირობებში ვცხოვრობთ. აქ ბევრი სოციალურად დაუცველი ოჯახია... ხედავთ, როგორ დაზარალდა 80 წლის ქალი?.. ჩემი ნათესავია. მასთან სტუმრად ვიყავი მოსული. იმის საშუალება არ გვაქვს მე და ჩემს ქმარს, რომ მინები მაინც ჩავუსვათ...

რუსუდან და დიმიტრი შათირიშვილები

ქეთინო სანაია



ქალბატონი რუსიკო:

— ყველაფერი გამინადგურდა, რაც ამ 80 წლის მანძილზე წვალებით შევქმენი. პენსიონერი ვარ. 28-ლარიანი პენსიით რა უნდა გავაკეთო?! თუმცა მომატებული პენსია ჯერ არც ამიღია. ეს აფეთქება რომ არ მომხდარიყო, გორში ამდენი ჟურნალისტი არ ჩამოხვიდოდით. რადგან მოხდა ისე, რომ გვესტუმრეთ, მხოლოდ ტერაქტის ადგილით ნუ დაინტერესდებით, ჩვენს ბინებშიც შემოიხედეთ. მით უფრო, რომ არც ერთ ბინას კარი აღარ აქვს და შემოსვლა ყველას შეუძლია. თქვით, დაწერეთ, როგორ გვიჭირს. ნუ გაგვყინავენ სიცივით, კარ-ფანჯარა მაინც ჩაგვისვან, შეგვიბრალონ.

რუსიკო ქილიტაურის მსგავსად, ბევრ აქაურს ეშინია, არ გაიყინოს. თუ მათ დახმარება სწრაფად არ აღმოუჩინეს, დაზარალებულთა რიცხვი მართლაც, ძალიან გაიზრდება. ღამით ხომ ტემპერატურა გორში -2 გრადუსამდე ეცემა. ზოგჯერ ყინვა უფრო ძლიერდება კიდეც.

გამგებლის მოადგილე გელა ზოზიაშვილი თანამშრომლებთან ერთად ბინების შემოვლასა და ზარალის აღრიცხვას აწარმოებს.

გელა ზოზიაშვილი:

— ჯერ ჩვენც საშინელ გაურკვევლობაში ვიმყოფებით. ტერაქტი თუ მოხდებოდა, ამას ვინ წარმოიდგენდა?!. პირველმა პანიკამ ჩაიარა, ყველანი ცოტათი დავშშვიდდით. სასწრაფოდ უნდა მოვახდინოთ შენობების შეკეთება. დავთვლით, რა ზიანი მიადგა მოსახლეობას და შესაბამისად დავეხმარებით. კონკრეტულად არაფრის თქმა არ შეიძლია. ერთი რამ კი ნამდვილად ვიცი — დახმარება იქნება! აბა, ამ ყინვაში ხალხს ასე ბედის ანაბარა ხომ არ მივატოვებთ!..

მორიგ რესპონდენტს ვტოვებთ და კიბით ზედა სართულისკენ მივწევთ. კარში მოხუცი ქალი დგას. სახე საშინლად აქვს ჩალურჯებული. თვალცრემლიანი გვეგებება. გარდაცვლილ პოლიციელს სოსო მინდიაშვილს დასტირის: მოხუცი, მისი პედაგოგი იყო. 84 წლის ევტიბიდა გაჩეჩილაძე გმირი მასწავლებელია: ფრონტიდან მან პირდაპირ სკოლაში გადაინაცვლა და მხოლოდ 2 თვის წინ დატოვა მოსწავლეები, როცა ქმარი, არქიტექტორი პავლე მეკერიშვილი გარდაეცვალა. ის მარტოხელაა. მისი ბინა განსაკუთრებით დაზიანდა. ყველაფერი დაიმსხვრა, დაილეწა და განადგურდა.

ევტიბიდა გაჩეჩილაძე:

— გიკვირს, ბებო, რატომ მქვია ასეთი უცნაური სახელი?.. დედა მყავდა ბერძენი და იმან დამარქვა. მერიდება, ასე არეულ სახლში სტუმარი როგორ მივიღო... ფანჯარასთან ვიჯექი. ვხაზავდი. მოულოდნელად მაგიდა ისე გაინძრა, რომ მეგონა, რაღაც ძალა მეხუთე სართულიდან პირდაპირ პოლიციის შენობასთან გადამაგდებდა. სკამიდან გადავვარდი და იატაკზე დასისხლიანებული დავვარდი. ყველაფერი მტკიოდა, მინის ნამსხვრევებისგან თავი და სახე უამრავ ადგილას მქონდა დასერილი, დაჭრილი. სასოწარკვეთილი ვყვიროდი — მიშველეთ-მეთქი! თაროებიდან ყვავილის ქოთნები და ჭურჭელი მეცემოდა. მშველელი კი არ ჩანდა...

— ნუ ტირით, მთავარია, რომ ცოცხალი გადარჩით...

— მეგონა, ჩემი ტელევიზორი აფეთქდა, მაგრამ ძირს დავარდნილმა შევნიშნე, შავი ბოლი, რომელიც მოგლეჯილი ფანჯრის თავზე ადიოდა. მესმოდა ხალხის განწირული კივილი. მივხვდი, რომ სხვებს ჩემზე მეტად უჭირდათ. ძალა მოვიკრიბე და ავდექი. ამ დროს გავიგონე, ვიღაცამ როგორ იყვირა: გაიქეცით, ტერაქტიაო!.. მერე ჩემი მომვლელიც მოვიდა და ცოტათი დავშშვიდდი. ეს ბიჭია ჩემი შვილიც და ძირიც.

ბ-ნი მალხაზი:

— მე ქალაქის ბოლოში ვიყავი. აფეთქების ხმამ იქამდეც მიაღწია. სახლები შეირყა. გვეგონა, მიწისძვრა იყო. ყველანი ქუჩაში გამოვცვივდით. არ მახსოვს, პირველმა ვინ თქვა — პოლიციის შენობა ააფეთქესო, რადგან მაშინვე გამოვიქეცი. მოხუცი უნდა მენახა: ვიცოდი, თუ პოლიციის შენობა აფეთქდებოდა, მის წინ მდგარ სახლსაც არ დაადგებოდა კარგი დღე.

ქ-ნი ევტიბიდა:

— 4 წელი ვიბრძოდი დიდ სამამულო ომში. სიკვდილისთვის თვალებში ბევრჯერ ჩამიხედავს. მაშინ ვიცოდით, რისთვის და ვისთვის ვწირავდით თავს. ახლა რა ხდება? რატომ იღვრება ამდენი სისხლი? რატომ მოაწყვეს ეს ტერაქტი? რას გვერჩიან? დაღუპული პოლიციელებიდან ერთ-ერთი, ჩემი მოსწავლე იყო. ომიდან რომ ჩამოვედი, სკოლაში დავიწყე მუშაობა. 60 წელი ვიმუშავე ხაზვის მასწავლებლად ჯერ გორის მეექვსე, შემდეგ — პირველ საშუალო სკოლაში. სწორედ პირველ სკოლაში სწავლობდა სოსო მინდიაშვილი. არაჩვეულებრივი ბიჭი იყო. დიდი გული ჰქონდა. არასდროს მიუტოვებია თავისი მოხუცი, უკვე უმწეო მასწავლებელი. დილით ფანჯრიდან გადავხედავდი ხოლმე. ვიცოდი, სამსახურში როდის მივიდოდა. ისიც, მანამ იყურებოდა ზემოთ, სანამ არ დამინახავდა, რომ მომსალმებოდა. სულ მკითხულობდა: როგორ ხარ? რით დაგეხმაროო?.. მეხმარებოდა კიდეც. ცოტა ხნის წინ ბიჭი შეეძინა. სანამ კიბეზე ამოვიდოდა, ქვემოდან მომახარა: ბიჭი მყავს, ბიჭიო!..

...შედარებით იმედიანად გამოიყურებიან ახალგაზრდები, რომლებიც დაზიანებუ-

მაია
მაჭარაშვილი

ლი შენობის ეზოში დგანან და ერთმანეთს ნანახსა და განცდილს უზიარებენ. როგორც ისინი ამბობენ, ჭავჭავაძისა და დავით აღმაშენებლის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე, პოლიციისა და უშიშროების სამხარეო სამმართველოს შენობასთან „ვაზ 21011“ მარკის ავტომანქანა დილიდან იდგა.

გია:

— სამხარეო პოლიციის შენობაში ჰყავდათ ალიკ ფუხაევი *(კრიმინალი, რომელიც რამდენიმე კვირის წინ დაკავეს. — ავტ.)*. დარწმუნებული ვარ, ტერორისტული აქტი ფუხაევის დაჯგუფების მიერ იყო ორგანიზებული. ვფიქრობ, აფეთქება ოსმა სეპარატისტებმა და კრიმინალებმა განახორციელეს... როგორც კი აფეთქების ხმა გაისმა, მაშინვე ვიფიქრე — პოლიციის შენობას ესროლეს ბომბი-მეთქი. ბოლო დროს, გორის პოლიცია ძალიან გააქტიურდა. კონტრაბანდის აღმოფხვრა იოლი არ არის... ისე, გორელები მაგრად შევშინდით. ქალები პანიკაში არიან. მათ უნდათ, ბავშვები გახიზნონ, რადგან ჰგონიათ, რომ ტერაქტი გამეორდება.

მანუჩარი:

— ამბობენ, ტერაქტი ძალიან კარგად იყო ორგანიზებულიო. მე ასე არ ვფიქრობ. მგონია, რომ ტერორისტებს მიზნად არ ჰქონდათ, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაეხოცათ. ეს რომ ნდომოდათ, ისეთ დროს შეარჩევდნენ, როცა აქ ბევრი ხალხია. იმ მხარეს, სადაც აფეთქება მოხდა, საპასპორტო განყოფილებაა. ეს ადგილი ხალხმრავლობით გამოირჩევა. პირველიდან ორ საათამდე კი, შესვენებაა. ეს ყველამ იცის და ამიტომ, დროის ამ მონაკვეთში აქ შედარებით სიმშვიდეა. ტერაქტი სწორედ ამ დროს განხორციელდა. მე მგონია, რომ ვიღაცას უბრალოდ, ჩვენი შეშინება უნდოდა. იტალიელ ტერორისტებს ჰქონდათ ასეთი გამოთქმა — „გამიკაციონე“, რაც გაფრთხილებას ნიშნავს. ტერაქტებს ისე აწყობდნენ, რომ ხალხი კი არ დაეხოცათ — დაესახიჩრებინათ და შეეშინებინათ; ამით ისინი ხელისუფლებას აფრთხილებდნენ. ვშიშობ, ეს ტერაქტიც გაფრთხილება არ იყოს და მას უფრო ფართო მასშტაბის ტერაქტი არ მოჰყვეს. ჩვენთვის 3 გარდაცვლილი ძალიან ბევრია, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, დაღუპულთა რიცხვი ისეთი დიდი ყოფილიყო, როგორიც სხვა ქვეყნებში არის ხოლმე.

გორში ბინდი წვება. ტერაქტის ადგილი, რომელიც საზარელი დასანახია და გულგრილს არც ერთ ადამიანს არ ტოვებს, კიდევ უფრო შემზარავი ხდება. ავბედითი ღამე მთავრდება. ყველა, გატანჯული და დაღლილი ჩანს. ქალებს ტირილისგან თვალები აქვთ დასივებული. საშინლად ცივა...

ჩვენ საავადმყოფოში ვინაცვლებთ, სადაც დაჭრილები არიან მოთავსებულები.

მათი პალატებისაკენ სისხლის წვეთებს მივყავართ, რომლებიც ჯერ კიდევ მკვეთრად ეჩნევა საავადმყოფოს დერეფნებსა და კიბეებს. პალატა №3. კართან ახალგაზრდა ქალი ცრემლად იღვრება:

— აქ ჩემი მეუღლე, ექსპერტი რამაზ ჩუტკერაშვილი წევს. ჭრილობები თავზე აქვს მიყენებული. ზურგზეც უამრავი შემავალი ჭრილობა აქვს. აფეთქების ხმა რომ გავიგონე, მაშინვე პოლიციაში დავრეკე. ჩემი ქმარი მორიგე იყო. ტელეფონის ზარს რომ არავინ უპასუხა, აქეთ გამოვიქეცი. მივხვდი, რაღაც ცუდი მოხდა. რამაზი უკვე საავადმყოფოში დამხვდა გადმოყვანილი.

რამაზთან გასაუბრება, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვერ მოვახერხეთ, მას ძლიერი ტვინის შერყევა აქვს.

მეორე პალატაში 5 შვილის დედა, აფხაზეთიდან დევნილი მაია მაჭარაშვილი წევს. ის ტერაქტის თვითმხილველია და რამდენიმე ჭრილობა აქვს მიყენებული ზურგისა და ფეხის არეში.

მაია მაჭარაშვილი:

— ეს დღე ჩემთვის ჩვეულებრივად დაიწყო. დილით ექიმთან წავედი, შემდეგ გადავწყვიტე, შემწეობის თანხა ამეღო. ფეხით გავუყევი გზას. არაფერი მახსოვს — გონება დავკარგე. გონს რომ მოვედი, უკვე მანქანის ქვეშ ვეგდე. ალბათ, აფეთქების ტალღამ გადამაგდო. მაშინვე იქაურობა მოვათვალიერე. ცეცხლი ავარდა. ვიყვირე — მიშველეთ-მეთქი! მაგრამ ვინ მომეშველებოდა?.. ხალხი კიოდა და გარბოდა. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე. მიუხედავად იმისა, რომ დაჭრილი ვიყავი, მეც გავიქეცი. წუთით ყველანი გავჩერდით და ისევ უკან მივბრუნდით, რომ გაგვეგო, თუ რა მოხდა. მერე ერთმა პოლიციელმა იყვირა: გაიქეცით, აფეთქება არ გამეორდესო!.. — რასაც ქალების განწირული კივილი მოჰყვა. ვხედავდი ჩემ ირგვლივ დასისხლიანებულ ადამიანებს. ყველანი საავადმყოფოსკენ გავიქეცით. ჩემი ფეხით შემოვვარდი, ისე, როგორც სხვები და ვთქვი: დამეხმარეთ, დაჭრილი ვარ-მეთქი. მერე ტკივილებმა კინაღამ გონება დამაკარგვინა. ახლა ადგომა არ შემიძლია. მაშინ რამ მომცა ძალა, არ ვიცი...

სანამ გორს დავტოვებთ, კიდევ ერთხელ ყურადღებით ვათვალიერებთ ტერორისტული აქტის ადგილს, იმ სახლსაც, სადაც ჩემი რესპონდენტები ცხოვრობენ. „დავით აღმაშენებლის 44“ — აწერია აბრას. ეს სახლი და მისი ბინადრები თავიანთი პრობლემებით, სამუდამოდ შემორჩება ჩვენს მეხსიერებას.

გორი,
2005 წლის 1 თებერვალი

ფოტო: ფრიდონ გეგეშიძე

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ ᲘᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲓᲐᲐᲡᲚᲝᲕᲔᲑᲘᲗ 4 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲯᲐᲕᲘᲡ

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ – ᲛᲐᲘᲙᲚ ᲰᲝᲕᲐᲠᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛ ᲘᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ 3,356 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲣᲯᲓᲔᲑᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ, ᲛᲐᲜ ᲐᲦᲜᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ 1997 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ – ᲔᲘ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲚᲔᲑᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲔᲑᲡ 5,4 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲘᲐᲠᲓ ᲓᲝᲚᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐᲐᲮᲐᲠᲯᲐ. ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲡᲐᲘᲛᲘᲡᲝᲓ, ᲠᲝᲛ ᲓᲘᲓ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲑᲘᲜᲐᲓᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ �გᲐᲮᲓᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲔᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲙᲕᲝᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲝ-

ᲢᲐᲜᲐ ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ 1 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ, ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ. ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲠᲔ, ᲰᲝᲕᲐᲠᲓᲛᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲡᲐᲘᲛᲘ�გᲠᲐᲪᲘᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲔᲜ. ■

ᲡᲕᲘᲠᲘᲜᲒᲘ ᲡᲐᲛᲐᲡᲡᲝᲕᲠᲝᲓ

ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲨᲘ, ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲢᲐᲢᲣᲘᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 26 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲚ ᲪᲣᲜᲐᲛᲘᲡ ᲔᲗᲔᲚᲕᲜᲔᲑᲐ. ᲢᲐᲢᲣ-ᲡᲐᲚᲝᲜᲔᲑᲘ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲔᲜ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲒᲐᲘᲙᲔᲗᲝᲜ ᲡᲕᲘᲠᲘᲜᲒᲘ, 2004 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲘᲛ ᲢᲠᲐ�გᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝᲓ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲐᲖᲘᲘᲡ 9 ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲡ, ᲡᲐᲡᲘᲙᲓᲘᲚᲝ ᲪᲣᲜᲐᲛᲘ ᲓᲐᲐᲢᲧᲓᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ 170 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲨᲔᲘᲬᲘᲠᲐ. ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚ ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲣᲠ ᲙᲣᲠᲝᲠᲢ ᲞᲮᲣᲙᲔᲢᲖᲔ 40 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲪᲣᲜᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ 5200 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲐ, 3600 ᲙᲘ – ᲣᲒᲖᲝ-ᲣᲙᲕᲚᲝᲓ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ.

„ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲬᲘᲚᲐᲓ, ᲢᲐᲢᲣᲡ ᲘᲙᲔᲗᲔᲑᲔᲜ

„ᲯᲐᲠᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲪᲕᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲐ...“

— 10 თებერვლიდან შეიარაღებულ ძალებში საგაზაფხულო გაწვევა იწყება. ჯარში სამსახურიდან თავის დასაღწევად დაწესებული მოსაკრებელი კი კვლავ ძალაშია. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჯარში ისევ მხოლოდ სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები იმსახურებენ?

ᲙᲝᲑᲐ ᲚᲘᲙᲚᲘᲙᲐᲫᲔ, *სამხედრო ექსპერტი:*

– „სამხედრო გაწვევის შესახებ“ კანონში ცვლილებები შევიდა, მაგრამ ისევ ძალაში რჩება 200 და 2.000-ლარიანი მოსაკრებელი. 200 ლარის გადახდის შემთხვევაში, წვევამდელს გაწვევა 1 წლით გადაუვადდება, ხოლო იმას, ვინც 2.000 ლარს გადაიხდის, სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან საერთოდ გაათავისუფლებენ. ჩემი აზრით, ამ სფეროში მსგავსი გადასახადი არ უნდა არსებობდეს. კანონი ბევრ ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, თანხა გადაიხადოს და სამხედრო ვალდებულება თავიდან აიცილოს. ბუნებრივია, მოსაკრებლის გადახდა ღარიბი ოჯახის შვილს არ შეუძლია, ამიტომ ყოველი ახალი კონტინგენტი, დაუცველი ფენებიდან წამოსული ახალგაზრდებით ივსება. შეძლებული ოჯახის შვილს კი, ჯარში იშვიათად ნახავთ. თავიდან, როცა მოსაკრებლის შესახებ კანონი შევიდა ძალაში, იმედი ჰქონდათ, რომ ბიუჯეტი 13-14 მილიონით შეივსებოდა. მაგრამ ჯარში გასაწვევ სტრუქტურებში კორუფცია ყვავის. მათ შეუძლიათ, დაწესებული თანხის ნახევარი – 100 ლარი წვევამდელისგან ხელზე აიღონ და დოკუმენტი ისე გააფორმონ, თითქოს ეს ადამიანი ჯარში მსახურობს. მაშინ, როცა ქვეყანაში კვალიფიციური ჯარის ჩამოყალიბება პრიორიტეტად გამოცხადდა, კანონში მსგავსი ლაფსუსები აღარ უნდა არსებობდეს. ■

„ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲡ ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲕᲔᲫᲔᲑᲗ“

— გამოვლინდა თუ არა, თუ ვინ დაესხა თავს სოფელ შამგონასთან ქართველ პოლიციელებს და გადმოსცემენ თუ არა დამნაშავეებს ქართულ მხარეს?

ᲒᲝᲒᲐ ᲮᲐᲘᲜᲓᲠᲐᲕᲐ, *სახელმწიფო მინისტრი:*

– ამ საკითხზე აქტიურად ვმუშაობთ. პირველ დღეს ვვარაუდობდით, რომ თავდასხმა, რომლის შედეგადაც, ერთი პოლიციელი გარდაიცვალა, ორი კი მძიმედ დაიჭრა, აფხაზური სამხედრო დაჯგუფების მიერ იყო ჩადენილი. მაგრამ როგორც ირკვევა, წმინდა წყლის კრიმინალურ მოვლენასთან გვქონია საქმე. ამდენად, გამორიცხული არ არის, რომ დამნაშავე, ქართველების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეც აღმოვაჩინოთ. ამ რეგიონის კრიმინალები, ეროვნების მიუხედავად, მშვენივრად ეწყობიან და მფარველობენ ერთმანეთს. თუ დამნაშავეს ენგურის აქეთა მხარეს მივაკვლიეთ, მაშინ ბოროტმოქმედი სათანადო პასუხს აგებს, თუ აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აღმოჩნდა, გადმოცემის პროცესი გაიწელება. თუმცა, ერთი რამ ცხადია: ამ ინციდენტის შემდეგ, რუსი სამშვიდობოების მოქმედება ფართო განსჯის საგანი უნდა გახდეს. რა აზრი აქვს, კონფლიქტის ზონაში მათ ყოფნას, თუკი სამშვიდობოების საგუშაგოდან 5 მეტრის დაშორებით პოლიციელებს მანქანაში ცხრილავენ?! აფხაზური დე ფაქტო ხელისუფლების არჩევნების დროსაც ჰქონდა ადგილი თავდასხმის შემთხვევას, როცა გალის რაიონის სოფელში, რუსული საგუშაგოების გავლით, სადამსჯელო რაზმები შევიდნენ და მშვიდობიანი მოსახლეობა დააწიოკეს... ■

„საქართველოს ხელისუფლებაში ახალ თანამდებობას დავიკავებ“

— მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრმა გააკეთა განცხადება, რომ თქვენ საქართველოსთან, გვარის გარდა, არაფერი გაკავშირებთ, მაინც დაბეჯითებით აცხადებთ, რომ ცხინვალის ხელისუფლებას ტოვებთ და სახელმწიფო კანცელარიაში გადმოინაცვლებთ...

ვაჟა ხაჭაპურიძე, *კოკოითის პირადი წარმომადგენელი ქართულ მხარესთან ურთიერთობების საკითხებში:*

— რამდენიმე დღის წინ ჩამოვედი თბილისში და მინდა, სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხი გავარკვიო, პირველ რიგში — ვჭირდები თუ არა საქართველოს ხელისუფლებას ცხინვალში ქართულ-ოსურ ურთიერთობათა დასარეგულირებლად. წინაღმდეგ შემთხვევაში, გადაწყვეტილი მაქვს, დავტოვო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება. უახლოეს დღეებში, ალბათ დავწერ კიდეც განცხადებას და დაკავებული თანამდებობიდან გადავდგები. მე მიღებული მაქვს შემოთავაზება საქართველოს ხელისუფლების მაღალი ეშელონიდან, დავიკავო კონფლიქტის დარეგულირების სფეროში ერთ-ერთი წამყვანი პოსტი. როგორც ჩანს, კანცელარიაში მაღალ თანამდებობებზე მყოფ პირებს ეს არ აძლევთ ხელს, ამიტომ ჩემს წინააღმდეგ ათასგვარი შეურაცხმყოფელი ინფორმაცია ვრცელდება. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის განცხადებას, ჩემი არაქართული წარმომავლობის შესახებ, მინდა ვთქვა, რომ ჯობს, ჯერ ყველამ თავისი ეთნიკური წარმოშობა გაარკვიოს და ხაჭაპურიძეებზე ისე ილაპარაკოს. მე ქართველი ვარ და ქართველებისთვის ბევრი სიკეთე გამიკეთებია, იმავეს გავაკეთებ მაშინაც, როცა საქართველოს ხელისუფლებაში ახალ თანამდებობას დავიკავებ.

■

„ბასილ მკალავიშვილი პოლიტპატიმარია“

— აპირებთ თუ არა, ბასილ მკალავიშვილის მიმართ გამოტანილი განაჩენის ევროსასამართლოში გასაჩივრებას?

გურამ შარაძე, *საზოგადოების — „ენა, მამული, სარწმუნოება“ — ლიდერი:*

— ბასილ მკალავიშვილსა და მის მრევლს განაჩენი გამოუტანა არა მოსამართლემ, არამედ ჟვანია-ბოკერიას ალიანსმა. ბასილ მკალავიშვილი არის პოლიტიკური პატიმარი, მას სდევნიან, როგორც პიროვნებას და როგორც მართლმადიდებლობის დამცველს. ვაკე-საბურთალოს სასამართლოს გადაწყვეტილება პირველ ეტაპზე, საოლქო სასამართლოში გასაჩივრდება. თუმცა, საქართველოში ობიექტური განაჩენის გამოტანა მაინც წარმოუდგენელია, ამიტომ გვრჩება ერთადერთი გზა — სტრასბურგის სასამართლო. ჯერჯერობით, კანცელარიის წინ მოვაწყობთ აქციებს, რათა გახმაურდეს სასამართლო გადაწყვეტილების უსაფუძვლობა. აუცილებლად მივმართავთ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მოწოდებით, რომ გაარკვიოს, ვინ აღადგინა სასამართლო სისტემაში, იქიდან ერთხელ უკვე გაგდებული, თაღლითი მოსამართლე თეიმურაზ ტაბატაძე და ვინ მფარველობს მას. თუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე რეაგირებას არ მოახდენს აღნიშნულ ფაქტზე და ბასილ მკალავიშვილის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი არ გაუქმდება, მაშინ ჩვენ მივმართავთ ევროსასამართლოს და საერთაშორისო თანამეგობრობა კიდევ ერთხელ გაიგებს, რომ საქართველოში სასამართლო ხელისუფლება არ არსებობს და დღითი დღე იზრდება პოლიტიკური და სინდისის პატიმართა რიცხვი.

■



ისინი, ვინც ეს საშინელება საკუთარ თავზე გამოცადა“, — ამბობენ სალონის თანამშრომლები.

■

გარდაცვლილი მარტინ ლუთერ კინგი ცისფრების უფლებების მრბოლას აგრძელებს

მარტინ ლუთერ კინგის ნათესავები მის სახელს სექსუალური უმცირესობის უფლებების დასაცავად იყენებენ. თუმცა, მისი შთამომავლები მონოგამიური ქორწინების წინააღმდეგაც გამოდიან. მაგალითად, დეკემბერში მარტინის უმცროსი ქალიშვილი ბერნის კინგი სათავეში ჩაუდგა მონოგამიური ქორწინების მოწინააღმდეგეთა დემონსტრაციას და მამის საფლავზე „მგზნებარე სიტყვა“ წარმოთქვა. ამ ამბამდე ორი თვით ადრე კი, მარტინ კინგის მეუღლემ, ფართო აუდიტორიის წინაშე ხმა აიმაღლა ლესბოსელებისა და ცისფრების უფლებების დასაცავად. ორივე შემთხვევაში, კინგის ახლობლებმა თავისებური ინტერპრეტაცია მისცეს კინგის შეხედულებებს, იმსჯელეს იმაზე, თუ რა აზრის იქნებოდა არსებულ პრობლემაზე თავად მარტინი. თუმცა, როგორც გაზეთი „The Washington Times“ წერს, „თავად მარტინ ლუთერ კინგს სახალხოდ არასოდეს ულაპარაკია სექსუალური უმცირესობის უფლებებზე, ის მხოლოდ რასისტული თანასწორობისთვის იბრძოდა“.

■



ტრაგიკულმა თამაშმა 23 წლის მრიცანელის სიცოცხლე შეიწირა

ტრაგიკულად დასრულდა ბრიტანელი ახალგაზრდის გატაცება ტოლკიენის ტრილოგიით „ბეჭდების მბრძანებელი“. 23 წლის ბრუკერს აკვიატებული ჰყავდა ამ ტრილოგიის ერთ-ერთი გმირი – გორლუმი და ცხოვრებაში მის „როლს თამაშობდა“. ის, ამ უარყოფითი გმირის მსგავსად, ოთხზე დგებოდა ხოლმე და ცდილობდა, ყველაფერში მიებაძა მისთვის. სწორედ ეს თამაში იქცა ბრუკერისთვის საბედისწეროდ: 23 იანვარს,

როცა ის მეგობრებთან ერთად წვეულებიდან ბრუნდებოდა, ჩვეულებისამებრ, ოთხზე დადგა და ორივე ხელი „მესამე რელსს“ ჩაავლო, სადაც თურმე 750 ვოლტი ძაბვის დენი გადიოდა. დენის დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ბრუკერი 4,5 მ სიმაღლეზე აისროლა. მისი სხეული ჰაერშივე დაიწვა. როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, ბრუკერი ელვის უსწრაფესად, ცეცხლოვან მასად გადაიქცა.

ახალგაზრდებმა პოლიციას აუხსნეს, რომ მათი მეგობარი მხოლოდ „თამაშობდა“, ცდილობდა, თავისი კერპისთვის – გორლუმისთვის მიებაძა; რომ ის ასე ხშირად იქცეოდა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ნასვამი იყო.

პოლიციამ ისიც დაადგინა, რომ დაღუპულს აკვიატებული დამოკიდებულება ჰქონია 23 რიცხვისადმი და ალკოჰოლურ სასმელს თვის მხოლოდ ამ რიცხვში სვამდა ხოლმე.

■

„ეშვიდობაზე მაღალი ფასეულობაც არსებობს“

— როცა მიხეილ სააკაშვილი სტრასბურგში, ავტონომიის სტატუსზე საუბრობდა, იქვე განაცხადა — თუ ფართო ავტონომია მისაღები არ იქნება, სხვა გზაც არსებობსო. პრეზიდენტი „რევოლუციის ექსპორტს“ გულისხმობდა თუ ძალისმიერი მეთოდით პრობლემის გადაჭრას?

სოსო ცინცაძე, *პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს წევრი:*

– საქართველოს ხელისუფლებამ ჯარის აღმშენებლობა პრიორიტეტად გამოაცხადა. თუ თავდაცვის სფეროს გაძლიერებას შევძლებთ, ბუნებრივია, მისი მთავარი ფუნქცია, ქვეყნის ერთიანობის დაცვა იქნება. რაში გვჭირდება ჯარი, რომელიც ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად არ იბრძოლებს?! მშვიდობის შენარჩუნება მნიშვნელოვანია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, მაგრამ არსებობს უფრო მაღალი ფასეულობა, რასაც ქვეყნის ღირსების დაცვა ჰქვია. წარმოვიდგინოთ, რომ აფხაზები და ოსები „ფართო ავტონომიაზე“ არ დათანხმდნენ და ამოიწურა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ყველა რესურსი. მშვიდობის ფასად შევეგუოთ დაქუცმაცებულ ქვეყანას თუ იარაღით ხელში დავიცვათ ჩვენი ტერიტორია?.. დარწმუნებული ვარ, კრიტიკულ სიტუაციაში პრეზიდენტი სწორედ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გააკეთებს არჩევანს. სტრასბურგში სწორედ ამაზე მიანიშნებდა ბატონი მიხეილი, რაც ჩემი აზრით, სეპარატისტული რეჟიმის დე ფაქტო ხელისუფლებამ სწორად უნდა გააანალიზოს.

■

„ჭიაბერაშვილი თავნებობისთვის დაისჯება“

— ლეიბორისტები ქალაქის მერს საახალწლო ლაზერშოუს მოწყობის გამო, სასამართლოში უჩივით. დღეს, როცა მოქალაქეებს ამ შოუს გახსენებაც კი უჭირთ, ცოტა დაგვიანებული ხომ არ არის თქვენი სარჩელი?

გიორგი გუგავა, *ლეიბორისტული პარტია:*

– მის დანაშაულს ხანდაზმულობის ვადა არ გასვლია, ამიტომ დაგვიანებაზე საუბარი ნაადრევია. თბილისის მერიამ ახალი წლის ღამეს, მოსახლეობას ვითომ სანახაობრივი შოუ მოუწყო, სინამდვილეში, ასობით ადამიანს ტიტლიკანა ქალების ტინგიცს აყურებინეს, რისთვისაც ბიუჯეტიდან 326.000 ლარი დაიხარჯა. მერს არც მორალური და არც სამართლებრივი უფლება არ ჰქონდა, ეს თანხა თვითნებურად გამოეყო. ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში გათვალისწინებულია იმის შესაბამისი პროცედურა, თუ როგორ უნდა მოხდეს თანხების განაწილება. ჭიაბერაშვილმა მთავრობისა და საკრებულოს გვერდის ავლით გასცა განკარგულება. ნებისმიერ ქვეყანაში მსგავსი თავნებობა სისხლის სამართლებრივ დევნას ითვალისწინებს. ჭიაბერაშვილმა გადაამეტა უფლებამოსილებას და ამისთვის პასუხს აგებს. თბილისში არსებული სოციალური მდგომარეობა საგანგაშოა. სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც ვერ არეგულირებს, მრავალშვილიანი დედების, ომის მონაწილეების, ინვალიდების, პენსიონერების, მასწავლებლების, ექიმების, ავადმყოფების, მიწისძვრით დაზარალებულებისა და მეანაბრეების წინაშე აღებულ ვალდებულებას, არა აქვს უფლება, ლაზერშოუებში ფულის ფლანგვისა. ჩვენ ვითხოვთ, ჭიაბერაშვილმა დახარჯული თანხა საკუთარი ჯიბიდან უნდა ამოიღოს და ბიუჯეტში ჩადოს. თავნებობისთვის კი, მერის კაბინეტიდან ორთაჭალაში უნდა გადაინაცვლოს.

■

პირველი „როლექსი“ ქართველთა „კოლექციაში“

პალეონთოლოგი დავით ლორთქიფანიძე პირველი ქართველია, ვინც საუკეთესო ინიციატივისთვის „როლექსის“ პრემია დაიმსახურა და ცნობილი კომპანიის სარეკლამო სახე გახდა. ჯილდოს გადაცემის ცერემონია საფრანგეთის დედაქალაქში რამდენიმე თვის წინ გაიმართა და როგორც ბატონმა დავითმა გვიამბო, გამარჯვებულები ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა შარლოტა რამპლინმა დააჯილდოვა. აქვე გეტყვით, რომ „როლექსის“ პრემიაზე საკუთარი ინიციატივის წარდგენა ნებისმიერ მსურველს ინტერნეტის საშუალებით შეუძლია. მართალია, საბოლოო წარმატების მისაღწევად ხანგრძლივი სელექციაა გასავლელი, მაგრამ ეს ჯილდო წვალებად ნამდვილად ღირს...

ემა ტუხიაშვილი

დავით ლორთქიფანიძე, *ეროვნული მუზეუმის დირექტორი:*

– 1976 წლიდან, ფირმა „როლექსს“ დაწესებული აქვს პრემია ინიციატივებისთვის და 2 წელიწადში ერთხელ, ეს პრემია 5 ადამიანს ენიჭება. ნომინაციები გახლავთ: მეცნიერება, ტექნოლოგია, აღმოჩენები, მოგზაურობა, ბუნების დაცვა და კულტურული მემკვიდრეობა. პროექტში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა, წარადგინო შენი ინიციატივა, შემდეგ 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობს მისი განხილვა და საუკეთესოს ირჩევს ჟიური. ამა თუ იმ ნომინაციაში გამარჯვება კი ნიშნავს, რომ პროექტის განსახორციელებლად „როლექსი“ გაძლევთ 100.000 დოლარს, გარდა ამისა, ხდებით პერსონალური „როლექსის“ საათის მფლობელი, ფაქტობრივად, ხდებით „როლექსის“ სარეკლამო სახე და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თქვენი ინიციატივის განხორციელების პროცესში გრძნობთ „როლექსის“ მხარდაჭერას. მოხდა ისე, რომ შესაბამის ნომინაციაზე 2003-04 წლებში წარდგენილი იყო 1700 პროექტი, მაგრამ გამარჯვება მხოლოდ ჩემს პროექტს ხვდა წილად. ეს არის პროექტი, რომელიც ასახავს, თუ როგორი უნდა იყოს მომავლის მუზეუმი. პროექტი წარმოდგენილია დმანისის მაგალითზე. დმანისის არქეოლოგიური ძეგლი იქნება დაცული, გაგრძელდება კვლევა, მაგრამ ამავე დროს, მოხდება მისი წარმოდგენა საზოგადოებისთვის. იქვე მომზადდება ექსპოზიციები, რომ დამთვალიერებელი თავად მონაწილეობდეს კვლევის პროცესში. ჩემი ინტერპრეტაციით, მუზეუმი უნდა იყოს ცოცხალი.

— საინტერესოა, რა ინიციატივებისთვის დაავჯილდოეს დანარჩენ ოთხი გამარჯვებული ნომინანტი?

– ლონი დუპრე გახლავთ ამერიკელი მოგზაური, რომელმაც ზაფხულში კაიაკებითა *(თოვლსა და ყინულზე გადასაადგილებელი ნავები. – ავტ.)* და თხილამურებით უნდა გაიაროს არქტიკა და სწორედ ამ პროექტს დააფინანსებს „როლექსი“. კიდევ ერთი გამარჯვებული გახლავთ იაპონელი კიკუო მორიმოტო, რომელმაც შეძლო კამბოჯაში აღედგინა აბრეშუმის ტრადიციული წარმოება. გამარჯვება ასევე მოიპოვა შვეიცარიელმა მკვლევარმა ქალმა კლაუდია ფეშმა, რომელმაც შეძლო პრჟევალსკის ცხენების რეპროდუქცია და ბოლო ნომინანტი გახლდათ არგენტინელი ქალი ტერეზა მანერა დე ბიანკო, რომელსაც „როლექსის“ ჯილდო ბუნების დაცვისთვის მიანიჭეს.

— როდის შეუდგებით თქვენ ინიციატივის განხორციელებას?

– პროექტის პირველი ეტაპი უკვე სრულდება, ეს გახლავთ მომავლის მუზეუმის არქიტექტურული პროექტი, ხოლო სამუშაოების მეორე ეტაპის განხორციელებას უკვე გაზაფხულიდან შევუდგებით. დმანისის ნაქალაქარი მთლიანად 13000 კვადრატულ მეტრს მოიცავს, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ამით არ შემოვიფარგლებით და არქეოლოგიურად საინტერესო სხვა ტერიტორიებსაც მოვიცავთ, ამიტომ პროექტში მონაწილეობას სოფელიც მიიღებს. ეს იქნება მუზეუმი ღია ცის ქვეშ, სადაც წარმოდგენილი იქნება იქ აღმოჩენილი ექსპოზიციები და დამთვალიერებელი მაქსიმალურ ინფორმაციას მიიღებს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროცესის წარმატებით განვითარებას და რა თქმა უნდა, ტურისტული ინდუსტრიის წარმატებას.

— თუ არსებობს ანალოგიური



ეს არის პროექტი, რომელიც ასახავს, თუ როგორი უნდა იყოს მომავლის მუზეუმი...

გინდათ შედეგი? გააკეთეთ რეკლამა „გზაში“!

გამარჯვებულები ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა შარლოტა რემპლინგმა დააჯილდოვა

ცოცხალი მუზეუმი მსოფლიოს სხვა ქვეყნებში?

— რა თქმა უნდა, დმანისის მუზეუმის ზუსტი ანალოგი მსოფლიოში ჯერ არ არსებობს, თუმცა მუზეუმების „გაცოცხლების“ პროცესი განვითარებულ ქვეყნებში უკვე გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა პომპიდუს ცენტრი პარიზში. ამჟამად ჩინეთში ხორციელდება ძალიან დიდი პროგრამა, რომელიც 2015 წლამდეა გაწერილი და ევროპელებმა მას „მუზეომანია“ შეარქვეს. ჩვენნაირი ქვეყნები, როგორც წესი, ასეთ პროექტებში ნაკლებად არიან ჩართული და ჩვენ ვართ პირველი ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპიდან, ვინც კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის „როლექსის“ პრემია დაიმსახურა.

— ზეზვას და მზიას ცნობილი თავის ქალები რა ადგილს დაიკავებენ ამ მუზეუმში?

— ისინი მონაწილეობენ ამ პროექტში. რა თქმა უნდა, ორიგინალები სეიფში ინახება, ხოლო ასლები მუზეუმში იქნება წარმოდგენილი. ამ თავის ქალების ასლები მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მუზეუმშია წარმოდგენილი. მაგალითად, ნოემბერში ტოკიოში გაიხსნა ახალი მუზეუმი და ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ამ მუზეუმში საქართველოში აღმოჩენილი ნიმუშების ასლებსა და ფოტოებს უკავიათ.

— „როლექსის“ საათმა რა ადგილი დაიკავა თქვენს პირად ნივთებს შორის?

— ეს არის საკმაოდ ძვირად ღირებული ოქროს საათი, რომელსაც მხოლოდ ოფიციალურ და მნიშვნელოვან შეხვედრებზე ვიკეთებ, რადგან მისი ტარება ყოველდღიურად სახიფათოა...

■

თავადის ქალი ᲚᲘᲖᲐ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘ წელს, 15-წლიანი პაუზის შემდეგ, კვლავ დაუბრუნდა მანქანის მართვას. მას თეთრი Volkswagen Golf 3 4.000 დოლარად შეუძენია. ამ თანხის უდიდესი ნაწილი მეგობარმა დაბადების დღეზე გადასცა საჩუქრად, დანარჩენი კი, მისმა მეუღლემ და დამ დაუმატეს.

ლიზა ბაგრატიონმა პირველი მანქანა შეიძინა

ᲝᲠᲯᲔᲠ ᲨᲔᲛᲔᲥᲛᲜᲐ ᲞᲐᲢᲠᲣᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ, ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐ ᲬᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲣᲙᲕᲔ... (ᲕᲐᲟᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ)

ᲔᲙᲐ ᲛᲘᲜᲓᲐᲫᲔ

— მანქანის მართვა ჯერ კიდევ 15 წლის წინ ვისწავლე. მაგრამ საჭესთან რატომღაც ცოტა ხანი ვიჯექი. მას შემდეგ, მანქანის ტარების სურვილი გამიჩნდა წელს — 15-წლიანი პაუზის შემდეგ. გამომდინარე იქიდან, რომ დიდი ხანია, საჭესთან არ ვმჯდარვარ, ტარება დავიწყებული მქონდა და ხელმეორედ შემასწავლა სპირიკომ, რომელიც ჩემთან მუშაობს და მე მას ჩემს მეორე მამად მივიჩნევ. ის მამაჩემს სულ ეუბნებოდა — არ ინერვიულო, მანქანის მართვას მე ვასწავლიო. ამრიგად, სპირიკომ პირდაპირ ჩემს მანქანაზე მასწავლა ყველა წესი, რომელიც მართვისას აუცილებელია. თავიდან, მარტო ვერ ვჯდებოდი საჭესთან, მანქანაში ხან ჩემი მეუღლე იჯდა, ხან — ჩემი მეგობრები. დღეს კი შიში სრულიად გამიქრა და მანქანის მართვა მარტოსაც შემიძლია.

— რა ხნისაა შენი მანქანა?

— ჩემი ორკარიანი „ფოლკსვაგენ გოლფ 3“, 1992 წელსაა გამოშვებული. მასში 4.000 დოლარი გადავიხადე.

— მომავალში რა მანქანის ყიდვას აპირებ?

— ჯერ მანქანის გამოცვლას ვერ მოვახერხებ. ეს მანქანაც დამოუკიდებლად არ მიყიდია — მის შეძენაში ლომის წილი ერთ ჩემს მეგობარს მიუძღვის: თანხის დიდი ნაწილი მან მაჩუქა, ცოტათი ჩემი მეუღლე და და დამეხმარნენ. აი, ასე, ერთობლივი ძალებით შევიძინეთ ჩემთვის მანქანა.

— რაიმე ხიფათი ხომ არ შეგმთხვევია ტარებისას?

— არა. სხვათა შორის — ფუ, ფუ, ფუ *(ხეზე აკაკუკნებს. — ავტ.)*, ჯერ-ჯერობით არაფერს დავჯახებივარ. ხიფათი შეიძლება, ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერ დროს შეემთხვეს, მით უმეტეს, თბილისში. მაგრამ სერიოზული ავარია არასოდეს მომსვლია.

— საცობებს თავს როგორ აღწევ ხოლმე?

— ჩემთვის, ავტომატური მართვის მანქანის პატრონისთვის, ბევრად უფრო იოლია საცობებში მოძრაობა, ვიდრე მექანიკურკოლოფიანი მანქანის მძღოლებისთვის. ისე, როცა მეჩქარება, ძალიან მიძნელდება საცობში დგომა, ხოლო როცა არსად არ მაგვიანდება, ერთ ადგილზე გაჩერებული თავს მუსიკით ვირთობ.

— მანქანაში რა მუსიკას უსმენ?

— მანქანაში ძირითადად, რადიოს ვუსმენ, რაც შეეხება თვით მუსიკას — ყველანაირ სტილს ვუსმენ ხოლმე.

— პატრულთან რაიმე პრობლემა ხომ არ შეგქმნია?

— კი, როგორ არა!.. სულ ორჯერ შემექმნა პატრულებთან პრობლემა. პირველად, მართვის მოწმობა წამართვეს, მეორედ უკვე, საჯარიმოზე მიშვებდნენ (იცინის).

— ვერ გიცნეს?

— ვერა. ყოველ შემთხვევაში, არც ერთ მათგანს არანაირი რეაქცია არ გამოუვლენია და არ უთქვამს — ქალბატონო ლიზა, გიცანით, მაგრამ წესის დარღვევის გამო, არა გვაქვს უფლება, ჩვეულებრივად, როგორც ყველა მოქალაქეს, ისე არ მოგექცეთო. ძალიან კულტურულად და თავაზიანად თავიანთი სამუშაო შეასრულეს *(იცინის)*... ისე, ყველაფერი ჩემი ბრალი იყო. საქართველოში, ჩვენი ნომრების მაგივრად, ჯერ კიდევ ტრანზიტული ნომრებით დავდიოდი, თანაც — ვადაგადაცილებულით. პატრულს დაკავებისთანავე შევპირდი, რომ იმ დღესვე ავიღებდი ნომერს, მათ კი მიპასუხეს — კარგი, დღეს გაგიშვებთ, მაგრამ ხვალ თუ ეს მანქანა კიდევ ამ ნომრებით ივლის ქალაქში, პირობას გაძლევთ, აუცილებლად საჯარიმოზე მოხვდებითო. მეც მაშინვე პირობის შესრულებას შევუდექი, ნომრები ავიღე და მას შემდეგ, პრობლემა აღარ შემქმნია.

— ოდესმე, ნასვამი თუ მისჯდომიხარ საჭეს?

— არა. მე საერთოდ, იშვიათად ვსვამ და თანაც, ძალიან ცოტას. მით უმეტეს, როცა საჭესთან ჯდომა მიწევს. გამორიცხულია, მანქანა ნასვამმა ვატარო.

— გიყვარს ჩქარი სიარული?

— გააჩნია, რა შემთხვევაში. თუ შედარებით თავისუფალია ტრასა, უფრო ჩქარა ვმოძრაობ. ისე, ვცდილობ, სულ ნელა ვიარო.

— გაიხსენე, ყველაზე დიდი სიჩქარე, რომლითაც გივლია?

— ამიწევია მაქსიმუმ 180 კმ/სთ-მდე.

— საბურავი თუ გამოგიცვლია საკუთარი ხელით?

— არა. მიუხედავად იმისა, რომ საბურავი ხშირად მისკდება — იმის გამო, რომ ორმოში ხშირად „ვურტყამ“... იმ დროს, ყოველთვის მიმართლებს იმაში, რომ მხვდება ვინმე ღვთისნიერი, რომელიც მეხმარება საბურავის გამოცვლაში.

— ვერც მარტივ შეკეთებას მოახერხებ, თუ გაგიჭირდა?

— მანქანის არაფერი ვიცი. ამ საქმეში ყოველთვის ერთი მეგობარი ბიჭი მეხმარება. სხვათა შორის, არაერთხელ ძალითაც წავუყვანივარ ავტოშემკეთებელთან სახელოსნოში. მაგალითად, საახალწლოდ საჩუქარი გამიკეთა — დაწყებული ფილტრიდან, მწყობრიდან გამოსული ყველა ნაწილი გამომიცვალა.

— შენი ხელით მანქანა არასოდეს გაგირეცხავს?

— არა, რას ამბობ!.. მე მყავს ორი მრეცხავი ბიჭი, რომლებიც თვითონ



მარტოს მომიწია სიარული ჩემი მანქანით, თანაც ღამით, თავსხმა წვიმაში!.. არ დამავიწყდება შიშის გრძნობა...

მაკითხავენ და მირეცხავენ ხოლმე მანქანას.

— შენი მანქანით თბილისის ფარგლებს მიღმა თუ გასულხარ?

— კი. მახსოვს, მცხეთაში მომიწია წასვლამ ოფიციალურ შეხვედრაზე, სადაც პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრიც უნდა ჩასულიყვნენ. იმ დროს, მანქანის მართვა სულ ახალი დაწყებული მქონდა და ამიტომაც, მარტო წასვლას ვერიდებოდი. მოკლედ, მოხდა ისე, რომ ვერავინ ვიპოვე ისეთი, ვინც იქ წამომყვებოდა. არადა, რომ არ წავსულიყავი, არ შეიძლებოდა. ამრიგად, მარტოს მომიწია სიარული ჩემი მანქანით, თანაც ღამით, თავსხმა წვიმაში!.. არ დამავიწყდება შიშის გრძნობა, რომელიც განვიცადე, სანამ იქამდე მივაღწევდი. რაც მთავარია, იმავე გზით უნდა ჩამოსულიყვნენ პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი და ამიტომაც, პოლიციის მანქანა, რომელიც ჩემ უკან მოდიოდა, ჩქარობდა და მთელი გზა გაიძახოდა — სწრაფად გაიარე, სწრაფად გაიარეო!.. მივაღწიე თუ არა დანიშნულების ადგილამდე, მაშინვე გავემართე იმ პოლიციელისკენ, მის მოსაკლავად... ჩემდა გასაოცრად, ის პოლიციელი, რომელიც მთელი გზა ნერვებს მიშლიდა, ჩემი მეგობრის მეუღლე აღმოჩნდა. დამინახა თუ არა, მაშინვე მითხრა — რა მიქენი, გოგო?! კინაღამ დამღუპე, ისე ნელა მიღოღავდიო. მე კი ვუპასუხე — ძლივს ვუმკლავდები საჭეს, ახალი ნასწავლი მაქვს ტარება და იმიტომ-მეთქი.

— მამაკაცები ხშირად ამბობენ, რომ ქალი საჭესთან საშიშია, რადგან მას სწრაფი რეაქცია არ აქვსო...

— მე ამას არ ვეთანხმები. შეიძლება, სწრაფი რეაქცია მამაკაცსაც არ ჰქონდეს. ჩემს შემთხვევაში, როცა დამჭირვებია, სწრაფი რეაქციის გამოვლენა, არასოდეს გამჭირვებია, პირიქით — თითქმის ყოველთვის, დროული რეაქცია გამომივლენია.

— მანქანა თუ გითხოვებია ვინმესთვის?

— კი, როგორ არა?! ჩემთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს მანქანის თხოვება, თუ ახლობელმა ადამიანმა მანქანის მართვა იცის.

— დაბოლოს — რა მანქანის ყოლას ინატრებდი?

— ძალიან მინდა, მყავდეს ჯიპი — RAV4 ან Peugeot. ■

ნებისმიერ კაცს აქვს მთავარესავით გაუნათებელი მხარე, რომელსაც არავის უჩვენებს.

მარკ ტვენი

ფრაზა

გენიალური

მარი ჯაფარიძე

„ასეთი ქალბატონების ვიზიტი და დაუფიქრებლად სჭირდებათ"

ქვეყნად უამრავი პროფესია არსებობს. მარკშაიდერით დაწყებული, კოსმოსური სივრცის მკვლევარით დამთავრებული. ყველა პროფესიას აქვს თავისებური ხიბლი, ნეგატიური მხარე თუ „პროფესიული" კურიოზები. ჩვენ შევეცდებით, თანმიმდევრობით გაგაცნოთ ამ თუ იმ პროფესიის დადებითი და უარყოფითი მხარე და ამაში დახმარებას მკითხველსაც ვთხოვთ. თუ როგორ, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა კი, ჩვენი რუბრიკის „მეკვლეს", ბატონ გია ნემსაძესა და მის ძალზე საინტერესო პროფესიას — მამოლოგიას გავეცნოთ. ბატონი გია მამოლოგიური კლინიკის ხელმძღვანელი გახლავთ.

— როდესაც პროფესიად ექიმობა აირჩიეთ, მაშინვე გადაწყვეტილი გქონდათ, რომ მამოლოგი იქნებოდით თუ ეს უფრო მოგვიანებით მოხდა?

— რას ლაპარაკობთ, 10 წლის წინაც კი არ მქონდა გადაწყვეტილი, რომ მამოლოგი გავმხდარიყავი. მე ვსწავლობდი ლენინგრადის (ახლანდელი პეტერბურგის) სამედიცინო ინსტიტუტში. მუშაობა დავიწყე ამავე ქალაქის ონკოლოგიის ინსტიტუტში, კუჭ-ნაწლავის და ძუძუს განყოფილებაში, ქირურგად. ძირითადად, კუჭ-ნაწლავის სფეროში ვმუშაობდი. 10 წლის წინ შემომთავაზეს თბილისში, მამოლოგიური კლინიკის ხელმძღვანელობა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც მამოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და კლინიკის ხელმძღვანელი, კოტე მადიჩი მოხუცდა. მეც ავდექი და დავთანხმდი.

— კმაყოფილი ხართ, პროფილი რომ შეიცვალეთ?

— სიმართლე რომ გითხრათ, უკმარისობის გრძნობა მაქვს. ახლა კუჭ-ნაწლავის ოპერაციას ძალზე იშვიათად ვაკეთებ. ძირითადად, ძუძუს ოპერაციებით ვარ დაკავებული. მამოლოგია ხელწამოსაკრავი დარგი სულაც არ არის, მაგრამ რასაც წინათ ვაკეთებდი, იმასთან შედარებით, სარძევე ჯირკვლის ოპერაცია, ნამდვილი თამაშია. ამ ერთი კვირის წინ, ასეთი რამ შემემთხვა: ოპერაციაზე გახლდით. იქიდან გამოსული, კაბინეტში პაციენტებს ვიღებდი, როცა ფოიეში დიდი ალიაქოთი ატყდა. გავიხედე და ჩოჩქოლის მიზეზი ვიკითხე. მითხრეს, ავადმყოფის პატრონები პრეტენზიას გამოთქვამენ იმის გამო, თითქოს თქვენ ოპერაციას არ დაესწარითო. დიდხანს ვუმტკიცებდი, ნამდვილად მე ჩავატარე ოპერაცია-მეთქი. — აბა, ასე მალე როგორ გამოხვედითო?.. ხანდახან ოპერაციის დროს ყველაფერი ისე კარგად მიდის, რომ ძალზე მალე ვამთავრებთ და გამოვდივარ ხოლმე საოპერაციოდან, აბა, იქ უსაქმურად ხომ არ გავჩერდები! ასე რომ, მამოლოგობა მართლაც, ძალზე მეიოლება. ასეთი გახლავთ ჩემი და მამოლოგიის ურთიერთდამოკიდებულება.

— ამდენი შეშფოთებული ქალბატონისთვის ნუგეშისცემა ალბათ, არც ისე იოლია...

— პაციენტთა უმეტესობა მართლაც, ძალზე სტრესულ მდგომარეობაში ვარდება ხოლმე, როგორც კი მკერდის მიდამოში რაიმე პათოლოგიას შენიშნავს. ყველანაირად ვცდილობ, ამ ქალბატონებს მდგომარეობა შევუმსუბუქო. ძუძუს მოკვეთა თავისთავად ძალზე დიდი ტრაგედია და სულიერი ტრავმაა ქალისთვის. ყოველთვის არსებობს შიში იმისა, რომ შესაძლოა, მეტასტაზების განვითარება მოხდეს და ძუძუს მოკვეთა საკმარისი არ აღმოჩნდეს იმისათვის, რომ კიბო არ განვითარდეს. ამიტომ ასეთ ქალბატონებს მოფერება და დაყვავება სჭირდებათ. ზოგიერთი ისეთ პანიკაში ვარდება, რომ შეუძლია თქვას — ფანჯრიდან გადავხტები, თავს არ ვიცოცხლებ, მკერდის მოკვეთა რომ დამჭირდესო. ზოგიერთი პირიქით — ოღონდ კარგად ვიყო და რაც გინდათ, ის ქნითო, ამბობს. ყოველთვის ვცდილობ და უმეტეს შემთხვევაში გამომდის კიდეც, რომ უკიდურეს პანიკაში ჩავარდნილი ადამიანი ოპტიმისტურად განვაწყო.

— ბოლო პერიოდში, ხომ არ გახშირდა სარძევე ჯირკვლის კიბოს შემთხვევები?

— კი, ასეთი ტენდენცია ნამდვილად შეიმჩნევა. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ შეიცვალა ცხოვრების წესი. გაიზარდა აბორტების რიცხვი. შესამჩნევია ის ფაქტიც, რომ ძალზე ხშირია კიბოთი დაავადება აფხაზეთიდან ლტოლვილ ქალბატონებში. სტრესი, მძიმე ფსიქოემოციური დატვირთვა, სიდუხჭირე და არასწორი ცხოვრების წესი განაპირობებს კიბოს განვითარებას. ბუნებრივია, ძალზე დიდ როლს თამაშობს გენიც. არსებობს ოჯახები, სადაც ბებიას, დედას, დეიდას, შვილს აღენიშნებათ სარძევე ჯირკვლის სიმსივნე. ის კი არა, არსებობს გენი, რომლის ორგანიზმში არსებობაც აუცილებლად იწვევს კიბოს.

— თქვენთან თუ ხდება მოკვეთილი ძუძუს აღდგენა პლასტიკური ქირურგიის გზით?

— რა თქმა უნდა, ხდება. აღდგენილ ძუძუს ნამდვილისგან ვერ გაარჩევთ, მაგრამ ასეთი ოპერაციისთვის ძალზე იშვიათად მოგვმართავენ, რადგან ის საკმაოდ ძვირი — 2.000 დოლარი ღირს. თუმცა, ეს ფასი, ევროპულ ფასებთან შედარებით, 5-10-ჯერ ნაკლებია.

— რა ხიბლი აქვს თქვენს პროფესიას?

— საერთოდ, ქირურგია ხელოვნებაა. იცით, როგორი სიამოვნებაა, როცა შენი ნახელავი მოგწონს? ძალზე დიდ სიამოვნებას მგვრის გაჭირვებული ხალხის დახმარებაც. ჩემთან დალხენილი ვინ მოვა? ჰოდა, რა სჯობს, როცა ასეთ ადამიანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეუნარჩუნებ?

— ალბათ, ამ პროფესიას უარყოფითი მხარეც აქვს, ხომ?

— უარყოფითი ის გახლავთ, რომ ხანდახან ხდება ასეც — ჩვენ გავაკეთებთ ოპერაციას, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ვითარდება მეტასტაზები. მე დათვლილი მაქვს — ასეთი რამ ჩემს პაციენტთა საერთო რაოდენობის 10%-ს აღენიშნა. შემდეგ ეს ხალხი უკმაყოფილებას გამოთქვამს. 100%-იანი გარანტიის მიცემა არც შეიძლება. ასე რომ იყოს, ექიმი კი არა, ღმერთი ვიქნებოდი. ასევე ძალზე მიძნელდება ფინანსურ მხარეზე ლაპარაკი. 30 წელია, დანა მიჭირავს ხელში და არ მახსოვს შემთხვევა, ვინმესთვის რაიმე მომეთხოვოს.

ჩვენთან ძუძუს ოპერაცია 200 ლარი ღირს. აქედან 10 ლარი არის ჩემი. ყველამ კარგად იცის, რომ ეს არ არის იმ შრომის შესაბამისი ანაზღაურება, რომელიც მე შევასრულე. ახლა ამასთან დაკავშირებით მოხდება ცვლილება. კერძოდ — თუ პაციენტი იტყვის, რომ კონკრეტულად ამა თუ იმ ექიმთან უნდა ოპერაციის გაკეთება, წინასწარ ეცოდინება, რომ გარკვეული თანხის დამატება მოუწევს. თანხის განსაზღვრა, ალბათ მეცნიერული ხარისხის მიხედვით მოხდება. ამ თანხიდან მცირე ნაწილი შევა ბიუჯეტში, დანარჩენი ექიმს გადაეცემა.

— გინდათ თუ არა, თქვენი პროფესია მოითხოვს, რომ ყოველდღიურად უამრავ შიშველ მკერდს შეხედოთ, შეეხოთ... თქვენი მეუღლე არ ეჭვიანობს?

— არა, არ ეჭვიანობს. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

— როდესაც პაციენტი შიშვლდება, პირველ რიგში, როგორც მამაკაცი, ხომ არ ახდენთ მისი მკერდის შეფასებას?

— ჩემი ფსიქიკა უკვე ისეა მოწყობილი, რომ ჩემთან მოსულ ადამიანს ქალად არ აღვიქვამ — ის არის პაციენტი და მორჩა! გინეკოლოგებმა რაღა უნდა თქვან?..

— როგორ, ნუთუ, არასოდეს აღფრთოვანებულხართ, პაციენტის მკერდის მონაცემებით?

— *(იცინის)* შიგადაშიგ ასეც ხდება ხოლმე, რაღა დავიმალოთ...

— პაციენტებს ერიდებათ ხოლმე გაშიშვლება?

— ზოგს ერიდება, ზოგს — სულაც არა, უკომპლექსოდ გაიხდის ხოლმე. მან იცის, რომ მე ექიმი ვარ. რატომ უნდა ერიდებოდეს?

— მეუღლეები თუ ესწრებიან ხოლმე გასინჯვის პროცესს?

— არიან ისეთი ჯიუტი მეუღლეებიც, რომ ვერ მოიცილებ იმ ოთახიდან, სადაც პაციენტის გასინჯვა ხდება. ვეუბნები ხოლმე — თქვენ გარეთ დაგველოდეთ-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად, ფეხსაც არ მოიცვლის — გინდა თუ არა, აქ უნდა ვიყო და გიყუროთო. ზოგს ერიდება და მორჩილად ელოდება ხოლმე მეუღლეს, ზოგი კი საერთოდ თავქუდმოგლეჯილი გარბის ოთახიდან.

— ოპერაციის შემდგომ, სად მიაქვთ მოკვეთილი სხეულის ნაწილები?

— თავდაპირველად, ციტოლოგიურ ლაბორატორიაში. მერე სად მიაქვთ, არ ვიცი.

არიან ისეთი ჯიუტი მეუღლეებიც, რომ ვერ მოიცილებ იმ ოთახიდან, სადაც პაციენტის გასინჯვა ხდება (ბატონი გია ნემსაძე (მარჯვნივ), კოლეგასთან — გია ციხისელთან ერთად)

— დღის ბოლოს, ალბათ ძალზე დაღლილი ხართ, არა?

— რა თქმა უნდა, ვიღლები. ძალზე რთულია, ყოველდღე ამდენ გაჭირვებულ ადამიანთან ურთიერთობა. საღამოს, გასავათებული ვარ ხოლმე და არაფრის თავი აღარ მაქვს.

— იმ გავრცელებული ანეკდოტის არ იყოს, ასე დაღლილ-დაქანცული, შინ რომ მიდიხართ, სადარბაზოში უცხო ქალი რომ დაგხვდეთ და გითხრათ, — 10 ლარს თუ გადამიხდი, წელს ზემოთ შიშველი დაგენახვებიო, რას იზამთ?

— *(იცინის)* არ გადავუხდი. რაში მჭირდება? ამასთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით: ძალზე მიყვარს თავისუფალ დროს ბაზარში წასვლა და პროდუქტის ყიდვა. ჩემი ხელით რომ ავარჩევ, რა სჯობს? ჰოდა, ერთხელ ხორცს ვყიდულობდი. ჩამოვიარე დახლთან. ერთ ადგილზე შევჩერდი, სადაც ღორის ხორცის ნაჭრები იყო. გამყიდველს ერთ ნაჭერზე მივუთითე (რომელზეც ძუძუები იყო) და ვკითხე — კარგი ხორცია-მეთქი? — ნახე, ნახე, რა ძუძუ აქვსო! — შემიქო გამყიდველმა. ლამის გავგიჟდი, — კაცო, შენც მაგაზე მელაპარაკებიმეთქი? მეგობრები მეკითხებიან ხოლმე — რამდენი ძუძუ მოჭერი? რამდენი მიაკერეო? თუმცა, ამის იქით უკვე აღარ მიდიან ხოლმე.

— პაციენტებთან დაკავშირებულ საინტერესო ამბავსაც ხომ ვერ გაიხსენებდით?

— აქ ვინც მოდის, ყველას მკერდთან დაკავშირებული პრობლემა აქვს. ამიტომ უკვე ავტომატურად ვეუბნები ხოლმე — შედი ოთახში, წელს ზემოთ გაიხადე და ახლავე მოვალმეთქი. ერთხელ, ერთ ქალბატონს ზუსტად ასე ვუთხარი. მე კი კაბინეტში მის მეუღლეს ველაპარაკებოდი. პაციენტს გავძახე — მზად ხარ-მეთქი? — კიო. — შევედი და რას ვხედავ, ქალი წელს ქვემოთ შიშველი წევს და ფეხები აუპლაკავს. — ქალო, რას შვრები? წელს ზემოთ უნდა გაგეხადა-მეთქი... თურმე მისთვის საშვილოსნოს ოპერაცია გამიკეთებია რამდენიმე თვის წინ და ახლა შემოწმებაზე იყო მოსული. აი, ასეთი კურიოზებიც ხდება ხოლმე.

სტატიის დასაწყისში აღვნიშნე, მკითხველის დახმარება დაგვჭირდებამეთქი, რადგან თქვენ მიერ მოწოდებული ამბები ამდიდრებს ჩვენს პუბლიკაციებს. შეგიძლიათ, შეგვეხმიანოთ მესიჯის მეშვეობით, ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. მომდევნო ნომერში მასწავლებლის პროფესიაზე გესაუბრებით. ამ პროფესიის ადამიანებთან ურთიერთობაზე, ბევრ თქვენგანს საინტერესო მოსაგონარი ექნება. ასე რომ, ველით თქვენს გამოხმაურებებს. ■

„...შენ კი არა, როცა მინდა, მკვდარსაც ვაუპატიურებო...“

74 წლის ქალბატონმა მეზობელს სადისტურ დანაშაულში დასდო ბრალი

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ კიდევ ერთი პათოლოგი კრიმინალის მიერ ჩადენილი შემზარავი, თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, არცთუ ისე იშვიათი დანაშაული განიხილა. სისხლის სამართლის საქმის მიხედვით, 74 წლის ქალბატონი გაუპატიურების მსხვერპლი გახდა. თავდაპირველი ინფორმაციით, დამნაშავე იმავე სოფელში მცხოვრები, ახალგაზრდა მამაკაცი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მოგვიანებით, დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე, პროკურატურამ სულ სხვა ადამიანზე მიიტანა ეჭვი. მომდევნო ეჭვმიტანილიც მოხუცი ქალბატონის თანასოფლელი, ოღონდ, საკმაოდ ასაკოვანი, ქვრივი მამაკაცი აღმოჩნდა...

დანაშაული, რომელიც კახეთის ერთ-ერთ სოფელში მოხდა, საქმის მასალების მიხედვით, 64 წლის გიორგი მანგაძემ (მისი და ყველა სხვა მოქმედი პირის გვარ-სახელი შეცვლილია) ღამის 3-დან დილის 6 საათამდე პერიოდში ჩაიდინა. ბრალდების თანახმად, მან გაუთხოვარი და მარტოხელა მოხუცი მეზობელი – ეკატერინე იაშვილი ფიზიკური ძალის გამოყენებით, მუქარითა და წამებით გააუპატიურა. საშინლად გატანჯულმა და დაუძლურებულმა, ატირებულმა მოხუცმა სადისტი დამნაშავის წასვლის შემდეგ, როგორღაც მიაღწია მეზობლის სახლამდე და შველა და დახმარება ითხოვა. მეზობელს ის მომხდარის შესახებ მოუყვა და სწორედ მისი რჩევით, იმავე დღეს, პოლიციას მიმართა. მისმა მონათხრობმა, თურმე, სამართალდამცავებიც კი გააოგნა. დაზარალებულის ჩვენებას მოგვიანებით გამართულ, დახურულ სასამართლო სხდომაზეც დიდი ხმაური გამოუწვევია.

ეკატერინე იაშვილის ჩვენებიდან:

„სახლში მარტო ვცხოვრობ. იმის გამო, რომ მაქვს ნევროზი და უძილობაც მაწუხებს, იმ საღამოს ქუჩაში გავედი და ჩემი სახლის წინ, სკამზე დავჯექი. მოპირდაპირე მხარეს, გზის იქით, მ. წ-ის სახლის წინ, ახალგაზრდები ისხდნენ გვიანობამდე და რაღაცას თამაშობდნენ. ექვსნი ან შვიდნი იქნებოდნენ. დაახლოებით ღამის პირველ საათზე შევედი სახლში დასაძინებლად. ახალგაზრდები ქუჩაში თამაშს აგრძელებდნენ. ღამის სამი საათი იქნებოდა, როცა რაღაც ხმაურმა გამაღვიძა. ვიფიქრე, რომ ოთახში მდგარი შეშის ღუმლის მილის მუხლი ჩამოვარდა. შუქი ჩამქრალი იყო და ამიტომაც ვერ დავინახე, ოთახში ვინმე თუ შემოვიდა. ხმაურის მიუხედავად, მაინც საწოლში გავჩერდი, მაგრამ რამდენიმე წუთში, ბუნებრივი მოთხოვნილების გამო, წამოვდექი. გადავედი თუ არა საწოლიდან, ფეხი რაღაც ცოცხალს დავადგი. ვიფიქრე, რომ ფანჯრიდან კატა გადმოძვრა და ხმამაღლა ვთქვი: შე ოხერო კატავ, რა გინდა-მეთქი? მაგრამ ეს კატა არ აღმოჩნდა. ვიღაც უცნობი მამაკაცი წამოხტა, ხელები შემომხვია და მითხრა – დამნებდიო. შემდეგ შემეკითხა – ქალიშვილი თუ ხარო? ვუპასუხე: ვარ, მაგრამ თავი დამანებე, 74 წლის ქალს-მეთქი. ამაზე მან მითხრა: შენ კი არა, როცა მინდა, მკვდარსაც ვაუპატიურებო. შემდეგ, ძალის გამოყენებით საწოლზე მიმაგდო და ხელები ყელში წამიჭირა. უკვე ვეღარ ვსუნთქავდი, ვხვდებოდი, რომ ვიხრჩობოდი, ხმის ამოღებასაც ვერ ვახერხებდი, მაგრამ მან მაინც დამაფარა სახეზე ბალიში – არ იყვიროო. რაც შემეძლო, წინააღმდეგობას ვუწევდი, მაგრამ ჩემზე გაცილებით ძლიერი იყო ფიზიკურად. ცალი ხელით ბალიშს მაჭერდა, ცალით პერანგის მაგიერ ჩაცმულ კაბას მხდიდა... რამდენიმე საათი მაწვალა და მაწამა, გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირის დამყარებასაც შეეცადა ჩემთან. იმუქრებოდა და ძალით მიმორჩილებდა... როცა სურვილი დაიკმაყოფილა, მითხრა: რა კარგი ყოფილხარ, ხვალ ღამე კიდევ მოვალო. ამის შემდეგ ისევ თავიდან დაიწყო ყველაფერი... ჩემთან კავშირი სულ სამჯერ დაამყარა. როცა ვყვიროდი, მოძალადე ახალგაზრდა პირზე ბალიშს მაფარებდა, ზევიდან მაწვებოდა და თან მემუქრებოდა. იგი დაახლოებით დილის 6 საათზე წავიდა ჩემგან. უკვე თენდებოდა. წასვლისას მითხრა: ეს ნატვრაც აგისრულე, ისეთი რამე გაგიკეთე, არც მოკვდები და არც დარჩებიო. დაბნეული, ჯერ გარეთ დედიშობილა გავედი. როცა წავიდა, სახლში შევბრუნდი, გადავიცვი და ცოცხალმკვდარმა როგორღაც მეზობლამდე მივაღწიე. შეშინებული, თავდაპირველად ხმას ვერ ვიღებდი, კარგა ხანი ვიწვალე, რომ მეზობელი ქალისთვის სათქმელი მეთქვა და ჩემი გასაჭირი გასაგებად და დალაგებულად მომეყოლა. წამალი დამალევინა, ცოტა დამამშვიდა. ამ დროს მისი სახლის წინ ვიჯექი. ჭიშკართან შემთხვევით მეორე მეზობელმა გამოიარა. დაუნახავს, რომ ვტიროდი და ეზოში შემოვიდა ამბის გასაგებად. როცა ნახა, სახე დაკაწრული და დასისხლიანებული მქონდა, ჩამეძია და მაშინ ორივეს ვუთხარი, რაც შემემთხვა...

ის უცნობი დაახლოებით 30-35 წლისა იქნებოდა, მაღალი, 175-180 სმ სიმაღლის, წონით საკმაოდ მძიმე, ძვალმსხვილი. ღიპი ჰქონდა თუ არა, არ ვიცი. ჰქონდა პატარა წვერი, დაახლოებით ხუთი დღის გასაპარსი, დიდი თავი, ბოხი ხმა და ლაპარაკობდა ქართულად, აღმოსავლური აქცენტით. უცნობი ბოროტმოქმედი მთვრალი იყო თუ არა, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, პირიდან სუნი არ ამოსდიოდა. ვფიქრობ, რომ იმ ახალგაზრდას ხმით ამოვიცნობ... სქელი ტილოს შარვალი და გრძელსახელოებიანი თეთრი პერანგი ეცვა. შარვალი, თუ არ ვცდები, ნაცრისფერი იყო. ის გარეთ რომ გავიდა, მაშინ დავინახე. სახლში ვერც მის ტანსაცმელს გავარჩევდი, რადგან ოთახში ბნელოდა და თან მხედველობაც დაქვეითებული მაქვს...“

აღნიშნული დაკითხვის ოქმი შემთხვევიდან 5 დღის შემდეგაა შედგენილი. მანამდე, ეკატერინე იაშვილს სამართალდამცავებმა ახსნა-განმარტება ჩამოართვეს. ახსნა-განმარტებაც იმავე შინაარსისაა, თუმცა მომხდარი ფაქტიდან ერთი თვის შემდეგ, დამატებითი დაკითხვისას, დაზარალებულმა უკვე კონკრეტულ პიროვ-

ნებას დაადო ხელი:

„დაახლოებით 3-4 დღის წინ, ქუჩაში ჩემი თანასოფლელი გიორგი მანგაძე დავინახე. აშკარად არ მესიამოვნა მისი დანახვა, საშინელი გრძნობა დამეუფლა და ტანში შემაჟრჟოლა. ამ კაცის გარეგნობამ ის საზიზღარი დღე გამახსენა. მაშინვე ყველაფერი წარმომიდგა თვალწინ, გონება დავძაბე, დეტალები აღვიდგინე და უცებ მივხვდი, რომ სწორედ მან გამაუპატიურა. ვიცანი აღნაგობით, სახის მოყვანილობით, სიარულით. როგორც შემთხვევის დღეს, მაშინაც წელზე პირსახოცი თუ შალი ჰქონდა შემოხვეული... ერთ სოფელში ვცხოვრობთ, მაგრამ მანგაძეს არ ვიცნობდი. შემთხვევამდე მასთან არანაირი კონტაქტი არ მქონია. უბრალოდ, შორიდან ვიცოდი მის შესახებ, ვიცოდი მისი სახელი, გვარი, სად ცხოვრობდა. ისიც ვიცი, რომ ცოლი ჰყავს მკვდარი და თავად 60 წლის მაინც იქნება... მართალია, წინა ჩვენებაში გითხარით, დამნაშავე 30-35 წლისა იქნება-მეთქი, მაგრამ მე იმის მიხედვით ვმსჯელობდი, რომ იგი საკმაოდ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა“.

სწორედ ამ ჩვენების საფუძველზე, გიორგი მანგაძეს შინ პოლიციამ მიაკითხა. მაშინვე დააკავეს და პოლიციის განყოფილებაში მიყვანილს გამოუცხადეს, რომ ხანდაზმული ქალბატონის გაუპატიურებისთვის მას მაქსიმუმ 15-წლიანი სასჯელი ელოდა. მანგაძემ მაშინვე კატეგორიულად უარყო დანაშაული. მიუხედავად ამისა, მას ოფიციალურად წარუდგინეს ბრალდება და წინასწარი პატიმრობაც შეუფარდეს. მანგაძეს ისიც უთხრეს, რომ დაზარალებული მას ადებდა ხელს, მაგრამ ბრალი მაინც არ აღიარა. მაშინ ბრალდებული ეკატერინე იაშვილს დაუპირისპირეს.

იმ დღეს დაზარალებულმა იგივე გაიმეორა, თუმცა მცირედი დამატებით:

„...როცა მაუპატიურებდა, მითხრა: დიდი ხანია, ვაპირებდი ამას, მაგრამ ვერ მოვახერხე, ადრე ორჯერ მოვედი, კარი გქონდა ჩაკეტილი და ვერ შემოვედი, ახლა ღია იყო და შემოვედიო. ისიც მითხრა, ცოლი მყავს მკვდარი, ამ საქმეს დიდი დრო არ უნდა, სხვა დროს რომ მოვალ, 5 წუთში მოვრჩები ყველაფერს და წავალ, კარი ღია დატოვეო...“

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს დაზარალებულმა კიდევ უფრო დეტალურად აღწერა გაუპატიურების სცენა და ამასთანავე, საკუთარ ჩვენებაში ცვლილებებიც შეიტანა:

„...როცა გამეღვიძა, ფეხი რაღაცას წამოვკარი. ვიფიქრე, ფანჯრიდან ბეღურა შემოფრინდა-მეთქი. ამ დროს, ის წამოფრინდა, მეძგერა, დამიჭირა და მითხრა: სამჯერ მოვედი და ვერც ერთხელ ვერ გნახეო. მომეხვია, მაგრამ რომ არ ვნებდებოდი, მუქარა და გინება დამიწყო. დედას მაგინებდა. ძლივს ჩაგიგდე ხელშიო, – მითხრა და საწოლზე მიმაწვინა. პირზე ხელი დამაფარა და უნდა მოგახრჩოო, – მეუბნებოდა. როცა ბალიშით მახრჩობდა, თან ამბობდა – მოგგუდავ, იცოდე, მოგგუდავ, ხმა არ ამოიღო, მეზობლებმა არ გაიგონონო. ორი საათი მეძალავა და იძულებული გავხდი, დავნებებოდი... წყალი ვთხოვე და არ დამალევინა. მე უგონოდ ვიყავი... ასე ხუთი საათი მაწვალა... ამასობაში გათენდა. მან რაღაცა შემოიხვია წელზე, რაღაც ჰქონდა შემოჭერილი, თმა გადაიწია და ზუსტად ამ დროს, სახეზე ვიცანი, მაგრამ მაინც ვერ მივხვდი, ვინ იყო და სად მყავდა ნანახი... მეზობლებმა მითხრეს, სინამდვილეში, მანგაძე იქნებოდაო. მას შემდეგ, ის მართლაც, ადიჩამოდიოდა ჩემს ქუჩაზე და ვფიქრობ, ამას განგებ აკეთებდა, ასეთი საქციელით მაღიზიანებდა. მეზობელი მეუბნებოდა, მაგას კანონი კი არა, აიღე ქვა და ჩაარტყიო...“

წინასწარი გამოძიებისას და სასამართლო პროცესზე მიცემულ ჩვენებებში არსებული უზუსტობები ნაწილობრივ, დაზარალებულის ხანდაზმულობითაც აიხსნა. მაგრამ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ეჭვი განსაკუთრებით ერთმა დეტალმა გამოიწვია: სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზით დადგინდა, რომ ეკატერინე იაშვილი მარჯვენა თვალით საერთოდ ვერ ხედავდა, ხოლო მარცხენა თვალზე, კატარაქტის გამო გაკეთებული ოპერაციის მიუხედავად, მხედველობა მკვეთრად ჰქონდა დაქვეითებული. ბუნებრივ განათებაზე სათვალის გარეშე, იგი არათუ ფერებს, არამედ საგნებსაც კი ბუნდოვნად აღიქვამდა. სამედიცინო თვალსაზრისით, მას უსათვალოდ გადაადგილება, ასევე ნაბეჭდი ან ხელნაწერი ტექსტის წაკითხვა არ შეეძლო. სასამართლო სხდომაზე კი დაზარალებულმა რამდენჯერმე გარკვევით თქვა, რომ იმ პერიოდში მას სათვალე საერთოდ არ ჰქონდა, ვერ მოირგო და ამიტომ არ შეუძენია. აღნიშნული გარემოების გამო, მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ დაზარალებულის იმ ჩვენებების ობიექტურობა, სადაც ის მიუთითებდა – ღამით, სრულ სიბნელეში მოძალადის სახე შევიცანი და შემდეგ ის, ქუჩაში გარკვეული მანძილიდან ამოვიცანიო – დასადგენი იყო.

კითხვის ნიშანს ბადებდა დაზარალებულის ჩვენება იმ ნაწილშიც, სადაც ის აღნიშნავს, რომ მანგაძის შესახებ მეზობლებმა უთხრეს, მანამდე, ვიდრე ის ქუჩაში ამოიცნობდა. გასარკვევი იყო, ეკატერინე იაშვილმა მართლაც, თავად შეიცნო დამნაშავე თუ მასზე მეზობლების ნათქვამმა მოახდინა ზეგავლენა. ეჭვს იწვევდა კიდევ ერთი ფაქტი: უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა მიიღეს ცნობა, რომ აღნიშნულ დანაშაულში პირველი ეჭვმიტანილი, იმავე სოფელში მცხოვრები დ.ჯ. იმ რაიონის პროკურორის ნათესავი იყო. ამის გამო, გაჩნდა ეჭვი, რომ მას სამართალდამცველებმა ხელი დააფარეს, ხოლო მოხუც დაზარალებულზე გავლენის მოხდენა მოახერხეს. ამ ეჭვს განსაკუთრებულად დაჟინებით გამოთქვამდა განსასჯელის ადვოკატი, მაგრამ პროკურატურა აღნიშნავდა, რომ იმ პირის ბრალეულობა გამოძიების პირველსავე სტადიაში არ დადასტურდა, დაზარალებულის მიერ მოცემული აღწერილობა კი სავსებით დაემთხვა მანგაძის ფიზიკურ მონაცემებს და ამასთანავე, სოფელში მის შესახებ გავრცელებულ ხმებსაც. სახელმწიფო ბრალმდებლის თქმით, მანგაძეს სოფლის მოსახლეობაში რეპუტაცია შელახული ჰქონდა, რადგან გარყვნილ ქმედებებში ის ადრეც ჰყავდათ შემჩნეული.

მაგრამ საკასაციო პალატის მოსამართლეებმა ხაზგასმით მიუთითეს გამოძიების სხვა ხარვეზებზეც, პროცესუალური ნორმების სხვა დარღვევებზეც – კერძოდ, იმაზე, რომ გამომძიებელს მოწმის სახით არ დაუკითხავს არც ერთი იმ ახალგაზრდათაგანი, რომლებიც დაზარალებულის ჩვენების მიხედვით, შემთხვევის საღამოს იაშვილის ჭიშკრის სიახლოვეს თამაშობდნენ...

საქმის მასალებში დაფიქსირებული ამ არცთუ ისე უმნიშვნელო ხარვეზების გამო, უზენაესმა სასამართლომ დანაშაულზე დამატებით გამოძიების ჩატარება მიიჩნია საჭიროდ. თუმცა, არც ერთი ზემოთ აღნიშნული ეჭვი არ გასჩენია არც რაიონულ სასამართლოს და არც საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატას. პირველი ინსტანციის მოსამართლემ პროკურატურის მიერ წარდგენილ ყველა მუხლში დამნაშავედ ცნო გიორგი მანგაძე და სასჯელის ზომად 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. სააპელაციო პალატამ აღნიშნული განაჩენი მხოლოდ სასჯელის ნაწილში შეცვალა. მხედველობაში მიიღო მსჯავრდებულისთვის შემამსუბუქებელი გარემოებები და თავისუფლების აღკვეთა მას 3 წლით შეუმცირა.

■

600 ჯილო „საფესტივალო“ ყურძენი, 1 ლიტრი ღვინით წარმართული ქეიფი მთაში და დღევანდელი სუფრის ყველაზე დიდი ჯერიოზი

ქართული სუფრის ტრადიციების მოყვარული მუსიკოსი ზაზა კორინთელი (ზუმბა) მიიჩნევს, რომ სუფრაზე მთავარია, კარგი სიმღერა, ცეკვა და იუმორი. თუ სუფრას ეს არ ახლავს და მარტო ღვინის „ჩასხმით“ და მუცლის ამოვსებით შემოიფარგლება, იქ კარგ დროს ტარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სუფრა ზუმ-ბასთვის, სულიერ რიტუალს უფრო წარმოადგენს, ვიდრე ხორციელს.

ეკა მინდაძე

— ბედნიერი ვარ, რომ ისეთი კულტურის მქონე ერის შვილი ვარ, რომელსაც ღვინის კულტურა ჰქვია. ეს კულტურა ჩემთვის ცხოვრების წესია, ამ წესმა საუკუნეებს გაუძლო და დღემდე მოვიდა. ქართველებს თუ რაიმე ფასეულობა გაგვაჩნია, ვფიქრობ, ძალიან დიდი როლი ითამაშა ვაზის კულტურამ.

— პირველად ჭიქა ხელში როდის აიღე?

— სოფელში რომ ჩავდიოდი, ბაბუა ყოველთვის მაჭმევდა ღვინოში დასველებულ პურს. ასე რომ, ღვინის გემო პატარობიდანვე ვიცი. დალევით კი, სხვათა შორის, სკოლის გამოსაშვებ ბანკეტამდე წვეთიც არ გამისინჯავს.

— თამადობა ხშირად გიწევს?

— ეს ჩემთვის იდე ფიქსი არ არის. როგორ გითხრა — ეს ჩვეულებრივი ცხოვრებაა. უბრალოდ, მე ვარ ადამიანი, რომელსაც უყვარს თავისი ეროვნული კულტურა, ფოლკლორი და ტრადიციები. თან, ამავე დროს, არ მავიწყდება, რომ ვცხოვრობ XXI საუკუნეში და უბრალოდ, პატივს ვცემ ჩემი წინაპრების დანატოვარ ნებისმიერ ფორმას და ნებისმიერ სიმდიდრეს.

— თუ გითქვამს უარი თამადობაზე და რატომ?

— უარს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვამბობ, როდესაც ვატყობ, რომ სუფრაზე მყოფი ადამიანები არ არიან მზად ამ ლამაზი რიტუალის ჩასატარებლად. თამადა მარტო ვერაფერს გახდება, თუ სუფრის წევრებმაც არ აუბეს მხარი. თამადა რეჟისორს ჰგავს, სუფრა კი, ერთი მთლიანი დასია. თუ რამდენად კარგი პროფესიონალები არიან სუფრის წევრები ანუ რამდენად მომართული არიან ამ რიტუალისკენ, იმდენად ღირებულია ეს რიტუალი თამადისთვის. თუკი სუფრაზე შენ შენსას „უბერავ“ და ისინი — თავისას, ასეთი სუფრა დაღუპულია. აქედან გამომდინარე, მე თავიდანვე ვამჩნევ, ღირს თუ არა ამა თუ იმ სუფრის გაძღოლა. როცა ვხვდები, რომ სუფრის წევრები მარტო ღრეობისთვის არ არიან მოსული, მე ამ რიტუალით ძალზე კმაყოფილი და გახარებული ვრჩები. ასეთ სუფრაზე თამადად არჩევა ჩემთვის უდიდესი პატივია. სუფრაზე ყოფნა, მარტო ღვინის სმა, ფუჭი სადღეგრძელოების თქმას და ჭიქის მიჭახუნებას არ ნიშნავს.

— შენი აზრით, როგორი უნდა იყოს თამადა?

— ჩემი აზრით, მარტო თამადას კი არა, ნებისმიერ ქართველ კაცს, როდესაც სუფრასთან ვჯდება, თავიდან ბოლომდე გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს სუფრის არსი. იმიტომ, რომ გარკვეულწილად, ჩემთვის სუფრასთან ადამიანთა შეკრება უფრო, სულიერი რიტუალია, ვიდრე ხორციელი. ამ დროს, მთავარი ის კი არ არის, რას ჭამ, არამედ — რას გრძნობ. სუფრას თავისი წესები აქვს. სუფრას სიმღერაც სჭირდება, ცეკვაც და იუმორიც. როდესაც ეს ყველაფერი ერთ მთლიანობაშია მოქცეული, მაშინ თამადაც სრულყოფილი და სიხარულით სავსეა.

— რა არის შენი, როგორც თამადის, მთავარი პრინციპი?

— ჩემი აზრით, ამას კონკრეტული ფორმულა არ გააჩნია. სუფრას წარმართავ იმისდა მიხედვით, თუ რა საზოგადოებაში იმყოფები. ვიწრო წრეში სუფრა მეტად გახსნილია და უფრო მეტად იმპროვიზებულია, რადგან ყველა ერთმანეთის ახლობელია. არსებობს რამდენიმე აუცილებელი სადღეგრძელო — კერძოდ, 3-დან 7-მდე ძირითადი თემა, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლი იმიტომ, რომ ამას ეფუძნება ქართული მენტალიტეტი. აბა, როგორ შეიძლება, არ ვახსენოთ ღმერთი, არ დავლიოთ მოგონების, მშვიდობის, სიცოცხლის და წინაპრების სადღეგრძელო?!. დანარჩენი უკვე შენს ნიჭზე, ინტელექტზე, უნარსა და ხასიათზეა დამოკიდებული — გააჩნია, იმ მომენტში რას განიცდი და რამდენად განწყობილი ხარ ამ რიტუალისთვის. თამადას წინასწარ არ უნდა ჰქონდეს მოფიქრებული, თუ რომელ სადღეგრძელოს, რომელი უნდა მოჰყვეს, თავისით უნდა მოდიოდეს „მუზა“. თითოეულ სადღეგრძელოს აუცილებლად უნდა მოჰყვეს სიმღერა, ცეკვა, ხუმრობა, შაირი, ლექსი და რაიმე კარგი ამბავი, რომელსაც ისევ სადღეგრძელო შეენაცვლება. აქედან გამომდინარე, სუფრა თავიდან ბოლომდე იმპროვიზებული კულტურაა. ამას ვერ დაწერს წინასწარ ვერავინ — ვერც სუფრის სცენარს და ვერც სადღეგრძელოების თანმიმდევრობას. თუმცა, ბოლო დროს, არაერთხელ შემინიშნავს ბროშურა ასეთი სათაურით: „როგორი უნდა იყოს თამადა“ ან — „ქართული სადღეგრძელოები და მათი თანმიმდევრობა“. ასეთი წიგნის არსებობა მე დიდ უაზრობად მიმაჩნია.

— საყვარელი სადღეგრძელო თუ გაქვს?

— მე დროულად წარმოთქმული ყველა სადღეგრძელო მიყვარს. აქედან გამომდინარე, არ შემიძლია, რომელიმე გამოვყო.

— საყვარელი სასმელი?

— ღვინო, რა თქმა უნდა!

— რომელ ღვინოს ამჯობინებთ?

— საკუთარ დაწურულ ღვინოს რა სჯობს! თუ ვინმეს ღვინოზე რაიმე პრეტენზია აქვს, ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ჯერ ღვინის დაყენებას ისწავლის...

— თავად თუ დაგიწურავს ღვინო?

— რა თქმა უნდა. ეს ამაღლებული

როცა ფოლკლორს ეძებ, ე.ი. ეძებ სწორი ქართული ხალხური ცხოვრების წესს

პროცესია, როცა შენი ხელით ეხები ვაზს, კრეფ და წურავ. ყველაზე დიდი ბედნიერებაა მაშინ, როდესაც მთელი წლის ნაშრომის შედეგს იმკი. მასში აკუმილირებულია მთელი შენი ენერგია. სამწუხაროდ, მე საკუთარი ვენახი აღარ მაქვს. სანამ მამაჩემის მშობლები ცოცხლები იყვნენ, მუხრაანში ვაზი არ გამხმარა. მათი გარდაცვალების შემდეგ კი, მე ვერ შევძელი მათი მოვლა და გამიხმა. ბედნიერი ვარ, რომ ბავშვობაში ბაბუასთან ერთად, ვაზის გასხვლიდან მოყოლებული, ღვინის დაყენებით დამთავრებული, თითქმის ყველა პროცესში მიმიღია მონაწილეობა. ამრიგად, ვაზისადმი სიყვარული ბავშვობიდან მომყვება. აი, წინა წლის შემოდგომაზე, მირზაანში ჩავატარეთ ვაზის ფესტივალი – „ფიროსმანობა“ და იქ დრო ვიხელთე და ჩემს მეგობრებთან ერთად ვენახებში გავედი რთვლის დღეს. მივედით ერთ-ერთ ოჯახში და ვთხოვეთ: ყურძენი გვინდა ვიყიდოთ, ოღონდ, თქვენთან ერთად გვინდა, დავკრიფოთ-თქო. 600 კილომდე ყურძენი წამოვიღეთ, ჩვენივე დაკრეფილი. ჩამოვიტანეთ თუ არა, მაშინვე დავწურეთ, რადგანაც ყურძნის დაკრეფიდან დაწურვამდე, დიდი შუალედი არ შეიძლება იყოს. არსებობს რაღაც ფორმულა, რომელიც აუცილებლად უნდა იცოდე, თუ ღვინის დაყენება გინდა.

— რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნია სუფრაზე დიდი სასმისების გამოყენება?

– ჩემი აზრით, მთავარი, სასმისის სიდიდე არ არის, მთავარია, რა ენერგიით და რა გრძნობით სვამ ამა თუ იმ სადღეგრძელოს. 10-ლიტრიანი დოქით, თერმოსებით და დიდი ყანწებით დალევა აბსურდია. ეს არ არის ტრადიციული მოვლენა, ეს არის რაღაც წანამატი. მიმაჩნია, რომ განსხვავებული სასმისებით დალევა ამა თუ იმ სადღეგრძელოს ალამაზებს, მაგრამ – არა დიდით. განსხვავებულია თუნდაც, თიხის ფიალა, პატარა დოქი, ჭინჭილა ანდა უბრალოდ, ლამაზი ჭიქა. ბოლოს და ბოლოს, სადღეგრძელო სათითეებით შეიძლება დალიო. მახსოვს, ერთხელ, მთაში მეგობრებთან ერთად წაღებულ ერთ ლიტრ ღვინოს 4 საათის განმავლობაში, ძალიან პატარა ჭიქებით ვსვამდით და მივიღეთ ზუსტად ისეთივე შედეგი, როგორსაც 20 ლიტრის დალევის შემდეგ მივიღებდით...

უნდა წახვიდე ნებისმიერ სოფელში, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ქართული სუფრის მადლი და ტრადიციები.

— ახლა ის მითხარი, რამდენის დალევა შეგიძლია?

– ვერ გეტყვი – არასოდეს დამითვლია და არც დავინტერესებულვარ.

— სუფრაზე ცუდი ღვინის გამო უარი თუ გითქვამს თამადობაზე?

– არა. თუ სუფრაზე ცუდი ღვინოა, ყოველთვის ვცდილობ, ჩემი მივიტანო.

— არასოდეს დამთვრალხარ ისე, რომ მეორე დღეს საკუთარი საქციელის გამო გენანოს?

– არა. საერთოდ, არც მჯერა, რომ ასე ხდება. ჩემი აზრით, სიმთვრალეში ჩადენილი საქციელის დავიწყება შეუძლებელია. ყველას ძალიან კარგად ახსოვს, თუ რა ჩადინა – უბრალოდ, თავს იმართლებენ, ვითომდა არაფერი ახსოვთ...

— სიმთვრალე როგორი გაქვს?

– მშვიდი, უფრო მეტიც – „ბულკოვით“ ვარ *(იცინის)*.

— ნასვამს არასოდეს გიჩხუბია?

– მთავარია, დალევის მიზანი რა არის: თუ გაბრაზებული ხარ და სვამ იმისათვის, რომ დაივიწყო პრობლემები და განიტვირთო, ამ შემთხვევაში, პირიქით – უფრო გიჯდები. აქედან გამომდინარე, როცა გაბრაზებული ხარ, ჯობს, საერთოდ არც ერთი ჭიქა არ დალიო და ხასიათის გამოსაკეთებლად რაიმე სხვა მოიფიქრო... ისე, არ არსებობს ადამიანი, ვისაც სიმთვრალეში ერთხელ მაინც არ უჩხუბია. არც მე ვარ გამონაკლისი.

— „პახმელია“ თუ გჩვევია?

– „პახმელია“ ხშირად არ მჩვევია – მხოლოდ მაშინ, როცა წინადღით უზომოდ დავლევ. „პახმელიიდან“ გამოვყავარ „ბორჯომს“, ძილს და 3 ჭიქა სუფთა ჭაჭას.

სულაც არ არის აუცილებელი, რომ ყველა რიტუალი კლასიკურად ჩაატარო...

— ალბათ შეხვედრიხარ ნამდვილად კარგ თამადებს...

– რა თქმა უნდა. მაშინ, როცა ვემზადებოდით ფოლკლორის ფესტივალისთვის, 3 თვის განმავლობაში მოგვიწია მოგზაურობამ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. როცა ფოლკლორს ეძებ, ე.ი. ეძებ სწორი ქართული ხალხური ცხოვრების წესს. არ არსებობს ოჯახები, რომლებიც თაობიდან თაობამდე მღერიან და არ იციან სუფრის რიტუალის სწორად და ლამაზად წარმართვა. ღვთის მადლით, ჯერ კიდევ შემორჩენილია იმგვარი ოჯახები, სადაც ყველა თაობა მღერის და უხუცესი წევრი, რომელიც 80, 85 და 90 წელს არის მიტანებული, ძალიან საინტერესოდ უძღვება სუფრას. ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება, როცა ამ ხნის ადამიანების ნათამადე სუფრაზე მიწევდა ქეიფი. ეს ის ხალხია, ვისგანაც კიდევ შეგვიძლია, მთავარი ფასეულობები ვისწავლოთ, რაც ჩვენ არ გვახსოვს და დავიწყებული გვაქვს. ამის გამო ინფორმაციის ნაკლებობას განვიცდით, იმიტომ, რომ გამოკეტილი ვართ ვიწრო ჩარჩოში, რომელიც „მე“-თი იწყება და „მე“-თი მთავრდება. ამ „მე“-ს რომ გასცდე, შორს წასვლა არ მოგიწევს – უბრალოდ, უნდა წახვიდე ნებისმიერ სოფელში, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ქართული სუფრის მადლი და ტრადიციები.

— როგორ ფიქრობ — დღევანდელმა ახალგაზრდობამ იცის ნამდვილი ქეიფი?

– მესმის, რასაც გულისხმობ. მაგრამ ჩვენ ისიც უნდა გავიაზროთ, რომ XXI საუკუნის ადამიანები ვართ და გვინდა თუ არ გვინდა, ამ სამყაროს გულისცემას ვგრძნობთ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ ადამიანმა მაინც არ უნდა დაკარგო შენი ტრადიციები. სულაც არ არის აუცილებელი, რომ ყველა რიტუალი კლასიკურად ჩაატარო, თუმცა, მე არაერთხელ გამოვრიდებივარ ევროპულად გაშლილ სუფრას და ცალკე მომითხოვია მამაპაპურად სუფრის გაშლა...

— დაბოლოს — იქნებ, რაიმე კურიოზი გაიხსენო.

– ყველაზე დიდი კურიოზი ის არის, რომ ქართულ სუფრაზე უმრავლესობა ვეღარ მღერის. არადა, სადღეგრძელო სიმღერის გარეშე არ არსებობს.

სიღარიბე

და მისი ეპ-ქარები



ყოფა, ფსიქოლოგია, ჩნდება...

სიღარიბე საშინელებაა — თითქოს პირი შეკრესო, ყველა ფსიქოლოგმა, რომელსაც კი დავუკავშირდი, ამ ფრაზით დაიწყო საუბარი. არადა, დღეს ჩემი რესპონდენტები სწორედ ღარიბი ადამიანები არიან. სოციოლოგიური გამოკვლევებისა და სტატისტიკური მონაცემების მოშველიება სულაც არ არის საჭირო იმის დასასაბუთებლად, რომ ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბეში ცხოვრობს. ეს ისედაც ფაქტია და ყოველ ფეხის ნაბიჯზე თვალნათლივ ჩანს. თუ სიღარიბე საშინელებაა, გამოდის, რომ ჩვენი თანამოძმეების დიდი ნაწილი, სწორედ საშინელებაში ცხოვრობს, საშინელ ყოფას ერკინება, ანდა — ნებდება. ერთ სტატიაში სულაც არ ვაპირებ სიღარიბის მასშტაბების სრულყოფილად წარმოჩენას, ანდა მის გამომწვევ მიზეზებზე ამომწურავად საუბარს. უბრალოდ, ჩვეულებრივ ადამიანებზე, ჩვენს თანამოქალაქეებზე მინდა გიამბოთ, მათი სახლის კარი შეგაღებინოთ და იქ დაბუდებული ტკივილი დაგანახვოთ...

— როდის გახდა ჩვენს ქვეყანაში სიტყვა „ღარიბი“ აქტუალური?

ლელა ჭანკოტაძე

ზურა ნეფარიძე, ექიმი-რეანიმატოლოგი:

— სიღარიბე, ჩემი აზრით, პოსტსაბჭოური ცხოვრების „პროდუქტია“. საბაზრო ეკონომიკამ მასობრივი გაჭირვება და შიმშილი მოიტანა. ქართველმა საბაზრო ეკონომიკას ფეხი ვერ აუწყო. ამის შედეგად მივიღეთ გაუფასურებული ფული, ძალადაკარგული ფასიანი ქაღალდები და ე.წ. ვაუჩერები. მახსოვს, როგორი მძიმე პერიოდი გადავიტანეთ ექიმებმა. როგორც კი სამუშაო ადგილები გაუქმდა და ჩვენი თანამოქალაქეების დიდი ნაწილი უმუშევარი დარჩა, პაციენტების რიცხვი მინიმუმამდე შემცირდა. ზოგჯერ კვირები ისე გადიოდა, რომ ჩემს განყოფილებაში პაციენტი არ შემოდიოდა. ქართველი წინათაც ნაკლებად ზრუნავდა საკუთარ ჯანმრთელობაზე, საღარიბეში ჩავარდნის შემდეგ კი, საერთოდ ხელი ჩაიქნია. მე და ბევრი ჩემი კოლეგა მაშველებად ვიქეცით. კარდაკარ დავდიოდი ნათესავებთან, მეგობრებთან, მეგობრების ნათესავებთან და იმ ნათესავების მეზობლებთან და ადამიანებს საკუთარ ბინებში ვუწევდი დახმარებას. მახსოვს, 11 დეკემბერი — ჩემი შვილის დაბადების დღე იყო. დამირეკეს და მითხრეს, რომ მამიდაჩემის მეზობლად ქალი კვდებოდა. იმ ქალს ჟუჟუნა ბებია ერქვა. წლების წინ, როცა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი, ქუჩაში შემთხვევით შევხვდი. მეგობარ გოგონებთან ერთად ვიყავი. ჩამეხუტა და ჯიბეში რაღაც ჩამიტენა, თან წამჩურჩულა — შვილო, ზური, ეგ ცისფერთვალება გოგო ჩემს სახელზე სადმე დაპატიჟეო. მოხუცის მზერას თვალი გავაყოლე და ლალი დავინახე. ის გოგო, ჟუჟუნა ბებიამ თავისი მოჭუტული თვალებით რომ დამანახვა, მოგვიანებით ჩემი ცოლი გახდა... სწორედ ეს ქალი იყო ცუდად. როცა ეს ამბავი მაცნობეს, შინ მეგობარი მყავდა. ისიც ექიმი გახლავთ, სახელგანთქმული გინეკოლოგი, ქალთა გულების მპყრობელი გია მეტრეველი. მითხრა — მეც წამოგვყებიო, — და ორივენი ფეხით წავედით „წერეთლის“ მეტროს მიმდებარე ტერიტორიიდან ღრმაღელეში. სხვათა შორის, მაშინ მეგობრები ხუმრობით, ფეხმავალ ექიმს მეძახდნენ...

— ჟუჟუნა ბებია გადაარჩინეთ?

— არა. სანამ მივიდოდი, გარდაიცვალა. 99 წლის გახლდათ. წინათ, შოლტივით ქალი, სიბერეში კითხვის ნიშანს დაემსგავსა... ერთი სიტყვით, ვეღარ დავეხმარეთ. შუაღამე გადასული იქნებოდა, იქიდან რომ წამოვედით. სიცივე ძვალრბილში ატანდა. კინოთეატრ „საქართველოსთან“ რომ მივედით, რაღაც ლანდი შევნიშნეთ და სვლა შევანელეთ, რადგან მაშინ საფრთხე ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყო ჩასაფრებული. როგორც კი შევჩერდით, კაცის ხმაც გავიგონეთ: მომეშველეთ, თუ ადამიანები ხართო! ახლოს მივედით და საოცარი სურათი ვიხილეთ. ახალგაზრდა ბიჭს თავისი ქურთუკი გაყინულ ასფალტზე დაეფინა, ზედ თავისივე ტოლი გოგო დაესვა და ხელებზე კოცნიდა, რომ დაეშვიდებინა. როგორც აღმოჩნდა, ქალს სამშობიარო ტკივილები დასწყებოდა და ქმარს პირველ სამშობიაროში მიჰყავდა. წარმოგიდგენიათ, მშობიარე ქალი შუაღამისას ფეხით როგორ მიდის ღრმაღელიდან პირველ სამშობიარომდე?! ყმაწვილი მძიმედ სუნთქავდა. ცუდად ხომ არ ხარ-მეთქი? — რომ ვკითხე, მიპასუხა — არა, თეა ზურგით ვატარე და გული ამომივარდაო... როგორც უკვე გითხარით, გია გინეკოლოგია. მართალია, მაშინ ახალბედა ექიმი იყო, მაგრამ მაინც გმირულად მოიქცა, არ შეშინდა. წამით დაგვიანებაც აღარ შეიძლება, ქალი აქვე უნდა ვამშობიაროო, — თქვა და ღია ცის ქვეშ, 20 წლის თეა ამშობიარა... ხედავთ, რა არის სიღარიბე?.. ღარიბ კაცს ორივე ხელი აქვს შეკრული. თითქოს უხელებოდ დაიბადა. ვერაფერს აკეთებს, ცხოვრებას ვერ უმკლავდება, ცხოვრების სიმძიმე მხრებზე ისე აწევს, რომ 99 წლის ჟუჟუნა ბებიასავითაა წელში მოხრილი...

— ხომ არ იცით, რა ბედი ეწია იმ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს?

— როგორ არ ვიცი! მათი დათუჩა ჩემი და გიას ნათლულია. უკვე დიდი ბიჭია... მისი მშობლები უკვე მეხუთე წელია, რაც ავსტრიაში ცხოვრობენ. ამას წინათ, დათუჩამ მითხრა — მამას ველაპარაკე, თქვა — თავდაუზოგავად ვშრომობთ მე და დედაშენი, რომ შენ არ

იგრძნო, თუ რა არის შიმშილი და უფულობაო. ამ ახალგაზრდა წყვილმა დიდი ძალისხმევით, მაგრამ მაინც დაძლია გაჭირვება. ყოველთვის, როცა ღატაკ ადამიანს ვხედავ, ვფიქრობ: ნუთუ, მოკეთე არავინ ჰყავს, ხელი რომ შეაშველოს-მეთქი? არასდროს დამავიწყდება, როგორ შეგვევედრა გამწარებული ყმაწვილი – მომეშველეთ, თუ ადამიანები ხართო!.. ჩემი ცხოვრების დევიზადაც ეს იქცა: მივეშველო სხვას. ჩემს შვილებსაც ხშირად ვუმეორებ – მიეშველეთ, რადგან ჩემთვის ის კაცი, რომელიც გაჭირვებულს დახმარების ხელს არ უწვდის, ადამიანი არ არის.

რას ფიქრობენ ფსიქოლოგები – იქნებ, მხოლოდ უარყოფითად სიღარიბის შეფასებაც არ არის მთლად სწორი?.. რა გავლენას ახდენს თუნდაც, ერთი წლის განმავლობაში სიღარიბეში ცხოვრება ადამიანის ფსიქიკაზე? შეიძლება იმ სტრესისგან გათავისუფლება, რასაც სიღარიბის განცდა იწვევს? გვესაუბრება ფსიქოლოგი ***სოფო ვერულაშვილი:***

– აბრაჰამ მასლოუ (პიროვნების თეორიის ავტორი) მიიჩნევდა, რომ ადამიანში სურვილები, მოთხოვნილებები და მისწრაფებები გენეტიკურად არის ჩადებული. მთელი მისი ცხოვრება აგებულია ამ სურვილების დაკმაყოფილებაზე. მეცნიერმა შექმნა მოთხოვნილებათა იერარქია, რომელიც „მასლოუს პირამიდის“ სახელით არის ცნობილი. ის ამბობდა, რომ ადამიანს აქვს 5 ბაზისური მოთხოვნილება. ესენია: ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სიყვარულის, თვითშეფასებისა და თვითაქტუალიზაციის. თუ ადამიანს არა აქვს დაკმაყოფილებული ყველაზე უმდაბლესი – ე.ი. ფიზიოლოგიური მოთხოვნილება, ის იბრძვის გადარჩენისთვის და არ ფიქრობს არანაირ ფასეულობაზე. მისთვის არ არსებობს ღირებულებები – ეროვნულობა, პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი და ა.შ. ღატაკი ადამიანი საზოგადოებისთვის გამოუსადეგარი, არაფრის მომტანი ხდება. უკიდურესად გაჭირვებული ადამიანი საკუთარი თავის ბატონ-პატრონიც კი არ არის, ის მხოლოდ ფიზიკურ გადარჩენაზე ფიქრობს – სხვა ყველაფერი მასში თითქოს მიძინებულია, მკვდარია, საკუთარ თავს არარაობად აღიქვამს და ვერავითარ განსხვავებას ვეღარ ხედავს საკუთარ თავსა და ცხოველს შორის. ეს საშინელი მდგომარეობაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ელის მხოლოდ მატერიალურ დახმარებას და არ მიიღებს ფსიქოლოგიურს, ამიტომაც, ღატაკი ადამიანი ჩემი პაციენტი ჯერ არასდროს ყოფილა.

— ვისაუბროთ იმ ადამიანებზე, რომლებიც სიღარიბის ზღვარზე არიან და ღატაკი ადამიანებისგან მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან.

– ჩვენ ახალი გამოსული ვართ საბჭოთა სისტემიდან და ამიტომ, ჩვენი მოსახლეობის უმეტესობას სახლ-კარი შემორჩენილი აქვს. ფლობენ ძველ, ზოგჯერ ანტიკვარულ ავეჯს და რაღაც ქონებას, თუმცა შეიძლება, შიმშილობენ. ჩემთვის ცნობილია, ორი შემთხვევა, როცა აკადემიკოსი შიმშილით გარდაიცვალა. ისინი თვითაქტუალიზებული პიროვნებები იყვნენ. მათ გაიარეს „მასლოუს პირამიდის“ ყველა საფეხური და ამის შემდეგ დაატყდათ თავს კრიზისი. თავმოყვარეობამ, თვითშეფასების უნარმა, სიამაყემ შეუშალა მათ ხელი, გადაქცეულიყვნენ მათხოვრებად. თვითაქტუალიზებული ადამიანი მათხოვარი არასდროს არ ხდება – ის უკვე ასულია განვითარების მაღალ საფეხურზე: ასეთ ადამიანს, შეიძლება, გაეზარდოს სუიციდისკენ სწრაფვა. მას ურჩევნია, მოკვდეს შიმშილით, ვიდრე მისი პრობლემის შესახებ სხვებს ამცნოს. მახსოვს, ფსიქოლოგიის ინსტიტუტში გარდაიცვალა ერთი ლექტორი. გავრცელდა ჭორი, რომ ეს შიმშილობის შედეგი გახლდათ. მაშინ ყველა გადარჩენაზე ზრუნავდა, ამიტომ გამოცდილმა და კვალიფიციურმა ფსიქოლოგებმაც ვერ შენიშნეს, თუ რა უჭირდა იმ ქალბატონს, რადგან თავადაც უდიდესი პრობლემების წინაშე იდგნენ. ის ქალბატონი ისე იცვამდა, რომ გარეგნულადაც არ ეტყობოდა, თუ როგორ უჭირდა. თუმცა, ფსიქოლოგებს, მაინც უნდა შეგვემჩნია... იყო მეორე შემთხვევაც, როცა ძალიან ცნობილმა ადამიანმა, ჩვენმა თანამშრომელმა ბიზნესი წამოიწყო, მაგრამ არ გაუმართლა და ბოლოს, რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში ეს დიდი პიროვნება მანდარინს ყიდდა. ეს არ იყო პირდაპირი მნიშვნელობით თავის მოკვლა, მაგრამ...

— ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რამდენად შესაძლებელია, სიღარიბის დამღისგან გათავისუფლება?

– ძალიან ბევრმა ადამიანმა, საბჭოთა კავშირის დაშლისა და შესაბამისად უამრავი, თავს დამტყდარი პრობლემის შემდეგ, ვერ მოახერხა ახალ სიტუაციასთან ადაპტირება. ამიტომაც არიან ჩვენ შორის, მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები, რომლებიც ტაქსის მძღოლებად, მზარეულებად და ა.შ. მუშაობენ. საქართველოში, სადაც არასდროს არ იდგა მწვავედ ალკოჰოლიზმის პრობლემა, ახლა საშინელი მდგომარეობაა ამ მხრივ. ქვეყანაში არსებულმა მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ განსაკუთრებით დამთრგუნველად მამაკაცებზე იმოქმედა. ქალი უფრო იოლად ადაპტირდება, რადგან ფსიქოლოგიურად გაცილებით ძლიერია, ვიდრე მამაკაცი. თანაც, ჩვენში უფრო მეტი ისეთი სამუშაო ადგილი შეიქმნა, სადაც ქალი იმუშავებდა. წლების განმავლობაში, ქვეყანაში გაჩნდა შიმშილის პანიკური შიში... თქვენს კითხვაზე მოკლედ გიპასუხებთ: არსებობს ბევრი რამ, რაც აღდგენას არ ექვემდებარება, რისი დავიწყებაც არ შეიძლება და რაც ადამიანში სამუდამო კვალს ტოვებს. სიდუხჭირისა და შიმშილის დავიწყებაც შეუძლებელია...

ხშირად ადამიანები სიღარიბეზე საუბარს გაურბიან, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რცხვენათ, ეთაკილებათ. სწორედ ამიტომ, ხუთშვილიანმა ოჯახმა თავისი პრობლემების საჯაროზე გამოტანა არ ისურვა. არადა, მათი ამბავი შემაძრწუნებელია. ოჯახის უფროსი ერთ-ერთ კერძო სასწავლებელში ზოგადი ფსიქოლოგიის კურსს კითხულობს. მისი მეულლე სკოლაში დაწყებითი კლასების პედაგოგია. 7 ადამიანი ერთოთახიან ბინაში ცხოვრობს. ბავშვები სკოლაში რიგრიგობით დადიან, რადგან არც ტანსაცმელი და არც ჩანთები საკმარისი არა აქვთ. მეორეკლასელი ბიჭი ხშირად, მეხუთეკლასელი ძმის ფეხსაცმლით მიდის გაკვეთილებზე... ამ ოჯახის სიდუხჭირემ კიდევ ერთი მასწავლებელი გამახსენა, რომელიც ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. იმის შემდეგ, რაც ქმარს გაეყარა, 2 შვილთან ერთად ქუჩაში აღმოჩნდა. ის ქალბატონი მიამბობდა, თუ როგორ შეიბრალა მეტროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა და ერთი ღამით მეტროს სადგურში დამალა. ასეთი საქციელი კანონით ისჯება, ამიტომ იმ კაცმა მეორედ ვეღარ გარისკა და მიუხედავად ბავშვების ხვეწნა-მუდარისა, მათ თავშესაფარი ვეღარ მისცა...

ჩემი მორიგი რესპონდენტი სკოლის მოსწავლეა. მასთან ფსიქოლოგმა ნატა ფაჩუაშვილმა დამაკავშირა.

ვიკა, 14 წლის:

– ჩემი ოჯახი ღარიბი არ არის – ჩვენ ღატაკები ვართ!.. დედა ბავშვებს ვიოლინოზე დაკვრას ასწავლიდა, მამა – ფორტეპიანოზე, ბებია რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი იყო, ბაბუა – ინჟინერი. ახლა ყველანი უმუშევრები არიან. ბაბუა და მამა დღე და ღამე სიგარეტს ეწევიან, სახლი სულ გაბოლილია. ორივეს თვეში 30 ლარის სიგარეტი სჭირდებოდა. პენსია რომ გაიზარდა, დედამ თქვა – მოხუცების პენსიებიდან ახლა მაინც დაგვრჩება პურისა და შაქრის ფულიო. მაგრამ სიგარეტიც გაძვირდა. ახლა ყოველთვიურად 42 ლარის სიგარეტს ვყიდულობთ. არადა, მოწევას ვერ გადაჩვივნენ. ეს ჩვენს ძალებს

აღემატებაო, – ამბობენ.

— თუ იცი, რამდენია ყოველთვიურად თქვენი ოჯახის შემოსავალი?

– გარანტირებული 56 ლარი (ბებიისა და ბაბუის პენსია) და კიდევ 20 ლარი ბინის ქირა: საკუჭნაო გავაქირავეთ, იქ ვიღაც ქალი ცხოვრობს. მთელი დღე ბაზარში ვაჭრობს, ღამით მოვა და მაშინვე იძინებს.

— შეგიძლია, მითხრა — დილას რას მიირთმევთ ან ვახშმად რა გაქვთ ხოლმე?

– დედამ ერთ ქალს სახლი დაულაგა, მან კი საჩუქრად ერთი ყუთი „გალინა ბლანკა“ მისცა. ასე რომ, ყოველ დილით შემიძლია, ცხელი წვნიანი დავლიო. ჩაის მაგივრად ვსვამ ხოლმე. ჩვენი ბინის ქვემოთ ნატა დეიდა ცხოვრობს. მას ბაზრიდან ძვლები მოაქვს და ზოგჯერ ჩვენც გვაძლევს. ძვლებს უფულოდ შოულობს – ძეხვის საამქროში აძლევენ. ბებია რომ გარეცხავს და მოხარშავს, მთელ სახლში უგემრიელესი სუნი დგება. დაბადების დღე რომ მქონდა, თანაკლასელებმა ფული შემიგროვეს. კლასში ასეთი წესი გვაქვს: თუ ვინმეს დაბადების დღეა, თითო ლარს ვაგროვებთ და მისთვის საჩუქარს ვყიდულობთ. გოგოებს ვუთხარი: ფული მომეცით, ბებიას ექიმთან წავიყვან, ეს ჩემთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იქნება-მეთქი... იმ ფულით დედამ უამრავი პროდუქტი იყიდა. საჩუქრად ნამცხვარიც მივიღე.

— როგორ სწავლობ?

– ცუდად. დრო არ მრჩება, სამაგიეროდ, ძალიან კარგად ვუკრავ და ვმღერი. ზოგჯერ დედაჩემის ვიოლინოს ვიპარავდი და პეროვსკაიაზე ვდგებოდი. მახსოვს, ერთხელ, უცნობმა კაცმა მისმინა, მისმინა და ბოლოს, 10 დოლარი მაჩუქა. მაშინ დედამ ჩემი „სამუშაოს“ შესახებ არ იცოდა. ამიტომ ფული გზაზე დავუგდე – ვითომ, ვინმეს დაუვარდა. სანამ დედა იქამდე მივიდა, ვიღაც ქალმა ხელი სტაცა. ვერაფერი მოვიმოქმედე და კივილი დავიწყე – მუცელი ამტკივდა-მეთქი.

— ახლა დედამ იცის, ქუჩაში რომ უკრავ და მღერი?

– ვიოლინო აღარ მაქვს: შარშან მეტრო „სამგორთან“ პოლიციელმა წამართვა. ბევრი ვემუდარე, მაგრამ აღარ დამიბრუნა. თავიდან რომ ვერ მომიშორა, ისეთი ძალით ამომარტყა პანღური, რომ ტკივილისაგან კინაღამ მოვკვდი. რაღას ვიზამდი?.. დედამაც მაპატია. ახლა მარტო სიმღერით ვთხოულობ შემწეობას. ვიოლინო რომ დავკარგე, დედას მაშინ გავუმხილე, რომ ვმათხოვრობდი. ბევრი იტირა. მაგრამ ეს საქმე არ ამიკრძალა. ახლა მე და დედა ერთად ვმღერით, ვითომ, ბრმა მუსიკოსები ვართ. მამამ არ იცის. ვუმალავთ – გვეცოდება. ჩვენ თავისუფლების მოედანთან ვცხოვრობთ, ამიტომ ძირითადად, გარეუბნებში „ვმუშაობთ“.

ნატა ფაჩუაშვილი, ფსიქოლოგი:

– ვიკას შესახებ მისმა კლასის დამრიგებელმა მიამბო. ცხადია, წვრილმანები არ იცოდა, მაგრამ ბავშვში მომხდარ რადიკალურ ცვლილებებს ხედავდა. ვიკა სხვა ბავშვებს არ ეკონტაქტებოდა. მერხთან მარტო იჯდა. თითქოს ვერავის ამჩნევდა. როგორც მოგვიანებით მითხრა – დაცინვის ეშინოდა. ეგონა, რომ თუ ბავშვები გაიგებდნენ, როგორ ცხოვრობდა, აბუჩად აიგდებდნენ. შემდეგ ვიკას დედამ სხვა პრობლემებიც გამიმხილა, თქვა, რომ გოგონას უძილობა და უმადობა აწუხებდა. ერთი სიტყვით, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, საინტერესო მასალა აღმოვაჩინე. ჩვენი ურთიერთობაც ამის გამო დაიწყო. ახლა მეგობრები ვართ. ვიკამ იცის, რომ ყოველთვის და ყველგან მის გვერდით გავჩნდები, თუ ჩემი დახმარება დასჭირდება. ჯერ 14 წლისაა და სიღარიბეს არ უშინდება. მომაკითხეთ 10-12 წლის შემდეგ: დარწმუნებული ვარ, საფუძველი მექნება, გახაროთ, რომ მან სიდუხჭირეს თავი დააღწია...

— საერთოდ, როგორები არიან ღარიბი მშობლების შვილები?

– წარმოიდგინეთ ბავშვი, რომელსაც არ აქვს არა მარტო სათამაშო, არამედ თბილი და მყუდრო საძინებელი, „რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი? იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა სათამაშო“ – ეს ფრაზა ცნობილი კინოფილმიდან – „თოჯინები იცინიან“ – ალბათ, ყველას გახსოვთ. სრული ჭეშმარიტებაა: განვითარებისთვის ბავშვს ბევრი სათამაშო სჭირდება. განსაკუთრებით აუცილებელია ისეთი სათამაშოები, რომლებიც ბავშვს გონებას უვითარებს. ასეთი სათამაშოს ყიდვის საშუალება ღარიბ მშობლებს, ცხადია, არა აქვთ. მაგრამ ყველაზე დიდ პრობლემას ქმნის მაგალითი, რომელსაც ღარიბი მშობლები შვილებს აძლევენ: უფულობა და სიდუხჭირე ოჯახში ბევრ უსიამოვნებას და კონფლიქტს წარმოშობს. ბავშვი ხედავს, თუ როგორი დათრგუნვილია მამა და ნერვებაშლილი დედა. გრძნობს, რომ ოჯახში საჭმელი საკმარისი არ არის და თვალებში უყურებს მშობლებს – მშივრები ხომ არ არიან?.. მყავს 8 წლის პაციენტი, რომელმაც უარი თქვა ჭამაზე. დაეწყო უმადობა და რამდენიმე დღის განმავლობაში წყალიც კი არ დაულევია. ბავშვმა გამიმხილა: მე რომ ვჭამ, დედა მშიერი რჩებაო. შეგიძლიათ, ამ ბავშვის მდგომარეობა წარმოიდგინოთ?!. არიან მშობლები, რომლებიც ცდილობენ, შვილებს არ აგრძნობინონ, თუ რა უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობენ, მათი თანდასწრებით არ საუბრობენ პრობლემებზე. მაგრამ ეს ყველა მშობელს როდი გამოსდის. კიდევ უფრო მძიმეა იმ მოზარდების მდგომარეობა, რომლებიც ღარიბ ოჯახებში ცხოვრობენ, როცა ისინი გარდატეხის ასაკში იმყოფებიან. ეს ამოუწურავი და ურთულესი პრობლემაა, რომელიც მხოლოდ მშობლების ძალისხმევით არ მოგვარდება.

გაჭირვებული, სიღარიბისგან შეწუხებული ადამიანები შვებას ლოცვასა და ღვთის დიდებაში პოულობენ. 14 წლის ვიკამ თავისი მოძღვარი გამაცნო. **მამა ზაზა** *არაჩვეულებრივი მოსაუბრე აღმოჩნდა:*

– ღარიბები მდიდრებთან შედარებით, უპირატესნი არიან – გვეუბნება წმინდა იოანე ოქროპირი – მდიდართაგან მცირედნი დაიმკვიდრებენ სასუფეველს, ღარიბთაგან კი – გაცილებით მეტნიო... თუმცა, მანკიერებები სიმდიდრესაც ახასიათებს და სიღარიბესაც.

— რომელი მანკიერებაა ყველაზე დამახასიათებელი ღარიბთათვის?

– სიღარიბისთვის დამახასიათებელია სიცრუე, სიმდიდრისთვის – ამპარტავნება, რომელიც ყველა ბიწიერის მშობელია და რომლის გამოც, ეშმა იქცა ეშმად. მაგრამ ვინ უფრო ახლოა ამ ბოროტებასთან – მდიდარი თუ ღარიბი?.. ცხადია, მდიდარი. რადგან, რაც უფრო მეტი სიმდიდრის მფლობელია ადამიანი, მით უფრო მეტი სურს... ღარიბთაგან არავინ იქმს იმდენ ბოროტებას, თავისი სიღარიბის გამო, რამდენსაც მდიდარი, უფრო მეტი სიმდიდრის წადილისა და იმის შიშის გამო, რომ არ დაკარგოს ის, რასაც უკვე ფლობს. ღარიბს ისე ძლიერ არ სურს, ყველაზე აუცილებელი საკუთარი თავისთვის, რამდენადაც მდიდარს სურს – გადამეტებულად. ღარიბს იმდენი ძალა და საშუალებაც არ გააჩნია ბოროტების ჩასადენად, რამდენიც მდიდარს. ღარიბს იმდენად არ ეშინია შიმშილის, რამდენადაც მდიდარი ძრწის იმის გამო, რომ არ დაკარგოს უკვე დაგროვილი ქონება. ცხონების რა იმედი შეიძლება ჰქონდეს მდიდარს, თუკი საკუთარ თავში უმეტეს და აღმატებულ კეთილგონიერებას არ წარმოაჩენს? როგორ გაბედავს „ვიწრო გზაზე“ შედგომას და როგორ ივლის ამ გზაზე? ვინც სიღარიბეს მოელის, ის, სიმდიდრეში მყოფი, არ მედიდურობს, არ ეტანება სხვის ქონებას. დაე, მოლოდინი წინ უსწრებდეს წუხილს, რათა მას არ მოჰყვეს მწუხარების განსაცდელი...

■

ნახევარი ქილა მაწვნით დაწყებული ბიზნესი და 10 ტორტიანგან შემდგარი ოჯახური „მონასტერი"

ნინო ანდღულაძე **პროფესიით უცხო ენის სპეციალისტი — ფრანგულის მასწავლებელი გახლავთ. მაგრამ დრომ და ცხოვრებისეულმა პერიპეტიებმა ერთ დღეს, ცხობისკენ უბიძგა. იძულებითი ნაბიჯი წარმატების საფუძვლად იქცა: ქალბატონმა ნინომ საკუთარი ოჯახი მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანა. თავად კი ახალ ხელობას დაეუფლა.**

ეკა მინდაძე

– ცხობა დავიწყე 10 წლის წინ. გაჭირვების პერიოდში, როცა უმუშევარი დავრჩი. პროფესიით ფრანგული ენის მასწავლებელი ვარ. ვმუშაობდი მშენებლობის სამინისტროში. ჩემი მეუღლე არქიტექტორია. მაშინ მუშაობდა, მაგრამ მისი ხელფასი ოჯახს არ ჰყოფნიდა, ამიტომ გავყიდეთ ავტომანქანა და ფული ბანკში შევიტანეთ. მაგრამ ხომ გაგიგონიათ – გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო! ბანკში შეტანილი თანხა მთლიანად დაგვეკარგა და პურის ფულის გარეშე დავრჩით. სწორედ ამ მდგომარეობამ გადამაწყვეტინა, პატარა ბიზნესი წამომეწყო. პირველად გამოვაცხვე 16 ცალი „სიგარეტი", ნახევარი ქილა მაწვნით და ერთ-ერთ ჯიხურში ჩავაბარე. ჩემდა საბედნიეროდ, იმ დღესვე ყველა გაიყიდა და იმდენად მოსწონებიათ, რომ მეორე დღისთვისაც შეუკვეთავთ. მერე თანდათან სხვა ნამცხვრებიც ვცადე. გარკვეული პერიოდის შემდეგ, სახლშიც მივიღე შეკვეთები. მიკვეთდნენ სხვადასხვა ნამცხვარს, ეს კი უფრო შრომატევადია. გარკვეული პერიოდის შემდეგ, თავი დავანებე ყველანაირ ნამცხვარს და მხოლოდ ტორტების ცხობაზე გადავედი. ასე დავიწყე ნახევარი ქილა მაწვნით ბიზნესი, რომ ლუკმაპური არ მოჰკლებოდა ჩემს ორ ვაჟს. სხვათა შორის, ჩემმა მეუღლემაც არაერთხელ სცადა საკუთარი ბიზნესის წამოწყება, მაგრამ არ გამოუვიდა. ამიტომ სულ მეუბნება – ბიზნესთან დაკავშირებით შენ წინაშე ორივე ხელს ვწევო... ალბათ ყველაფერს გამართლება უნდა, მე გამიმართლა. ამჟამად მხოლოდ შინ ვაცხობ. შემეძლო ჩემი ბიზნესის გაფართოება, მაგრამ 2 ბიჭის დედა ვარ და მათი უყურადღებოდ დატოვება არ შემიძლია.

ყოველდღიურად 10–11 ტორტს ვაცხობ. მეტ შეკვეთას არ ვიღებ

— დღეში რამდენ ტორტს აცხობთ?

– ყოველდღიურად 10-11 ტორტს ვაცხობ. მეტ შეკვეთას არ ვიღებ, რადგან ვერ მოვერევი. ძნელია დღეში 11 ბისკვიტის გამოცხობა და 11-ვეს სამყოფი ბეზესა და კრემის მომზადება. როგორც წესი, ტორტის გამოცხობას 11 საათზე ვიწყებ და სამზე ვამთავრებ.

— ამბობენ, მოხშირდა უხარისხო პროდუქტიო, მართალია?

– გეთანხმებით, ადრე უფრო ხარისხიანი იყო ყველაფერი – დაწყებული ფქვილით, დამთავრებული კვერცხითა და შედედებული რძით.

— მარტო მუშაობთ თუ ვინმე გეხმარებათ?

– მყავს მხოლოდ ერთი დამხმარე ქალბატონი, რომელიც მხოლოდ შავ სამუშაოს ასრულებს, ტორტის მორთვას მას არასოდეს ვანდობ. ადრე ტორტის ბისკვიტს ჩვეულებრივ, შუაში ჭრიდნენ კრემისთვის და სიროფით ნამავდნენ, მაგრამ მაინც მშრალი გამოდიოდა. ჩემი ტორტი სამად არის გაჭრილი, ვნამავ შედედებული რძისა და ორნაირი ყავის ნარევით. კრემში უმაღლესი ხარისხის კარაქს და თეთრ ნიგოზს ვურევ. მთავარია, ტორტს არაფერი დააკლო. გემრიელი რომ იყოს, უნდა ეცადო, რომ რაც შეიძლება ხარისხიანი პროდუქტისგან მოამზადო. თბილისში ძალიან ბევრი აცხობს და, სხვათა შორის, კარგადაც. აქედან გამომდინარე, კონკურენციაც დიდია. თუ გინდა, რომ ბიზნესში მოგება ნახო, საუკეთესო უნდა გააკეთო.

— გამიგონია, რომ თქვენთან არაერთი ცნობილი ადამიანი დადის ტორტის შესაკვეთად. ასეა?

– ცნობილი ადამიანები უფრო ხშირად, მძღოლებს აგზავნიან. ვინ არის შემკვეთი, ჩემთვის უცნობია. ალბათ იმიტომ, რომ არ სურთ, ბევრი ადამიანისთვის გაჭირვების პერიოდში, თავიანთი სახელი გაამჟღავნონ... მაგალითად,

ერთი ქალბატონი მოდის ხოლმე, რომელსაც ტორტი საგულდაგულოდ შეფუთული მიაქვს: როცა ხალხს ასე უჭირს, მე არ შემიძლია, ტორტი ღიად ვატაროო... სხვათა შორის, ჩემი ტორტი არაერთხელ მიურთმევიათ ედუარდ შევარდნაძისთვის. ჩემთან ხშირად დადის ლელა წურწუმია. მან ჩემი ტორტი ბადრი პატარკაციშვილის დედასაც მიართვა. ჩემი საყვარელი და მუდმივი კლიენტია ქალბატონი სოფიკო ჭიაურელი. მას თითქმის ყველა სუფრაზე თავის ოჯახში ჩემი ტორტი აქვს. სხვა არ ვიცი, ვინ არის ჩემი კლიენტი, ალბათ მათ თვითონ სურთ, ინკოგნიტოდ დარჩენა.

— განსხვავებული ფორმის ტორტი თუ გამოგიცხვიათ?

— დიახ. ადრე ხშირად ვუმზადებდი დაწესებულებებს საიუბილეო საღამოებისთვის. მახსოვს, ერთ კომპანიას გამოვუცხვე უზარმაზარი ტორტი, თითქმის მაგიდისხელა. 10 ტორტი იყო შეერთებული და მე-5 სართულიდან ოთხმა კაცმა ძლივს ჩაიტანა.

— ოჯახში როგორ აფასებენ თქვენს ნახელავს?

— მე ნამცხვრის მოყვარული ვარ, მაგრამ ჩემს გამომცხვარს ვერ ვჭამ. ძალიან მიკვირს, რა მასუქებს: მთელი დღე ისე გავა ხოლმე, ჭამის სურვილიც კი არ მიჩნდება. ალბათ ყურებისა და სურნელებისგან უფრო ვსუქდები... ჩემს მეგობრებთან ჩემი გამომცხვარი ტორტი ყოველთვის მიმაქვს, მაგრამ წინასწარ ვეხვეწები ხოლმე, სხვისი ნახელავიც დამახვედრონ, მეც რომ მივირთვა რამე. სხვათა შორის, ჩემი შვილებიც ნაკლებად ეტანებიან ჩემს ტორტს. მაგრამ როცა სადმე წვეულებაზე ტორტის ჭამა მოუწევთ, სახლში შემოსულებიც არ არიან, რომ მაშინვე მომახარებენ: შენი ტორტი უფრო მომწონს, ვიდრე ის, რომელიც ვჭამეო.

— ალბათ ძალზე დამღლელია, ყოველდღე ამდენი ტორტის გამოცხობა, არა?

— რა თქმა უნდა, ვიღლები. განსაკუთრებით, ზამთრის პერიოდში, როცა არ იცი, რა დროს წავა შუქი ან გაზი. გარდა ამისა, კატორღული შრომაა, მაგრამ რა ვქნა? სხვა გზა არ არის. მე რომ 300-ლარიანი სამსახური მქონდეს, ალბათ ამ საქმეს თავს დავანებებდი. დღეს კი ამით ვცხოვრობ. მართალია, ახლა ჩემი მეუღლეც მუშაობს, მაგრამ მარტო ის ვერაფერს გახდება. ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ დამეხმარა და გამოსავალი მაპოვნინა. ■

„დეტექტორის“ პირველი რესპონდენტი 2005 წელს, დიზაინერი ავთანდილ ცქვიტინიძე გახლავთ, რომელმაც ჩვენი „გამოცდა“ მშვიდად და გაბედულად გაიარა, თუმცა რამდენად წარმატებით ჩაბარა, ამას ბოლოს, ფსიქოლოგის კომენტარიდან შეიტყობთ.



„ეს ცა, სად ინახება დიდი სიმღერა“

სოფო ყარალაშვილი

— წარმოიდგინეთ, რომ მიდიხართ ტყეში, სმენას გიამებთ ფოთლების შრიალი და ჩიტების ჟღურტული. საცალფეხო ბილიკზე თქვენს შესახვედრად მოდის ავთო ცქვიტინიძე. რას მოიმოქმედებთ?

— გამიხარდება, ჩემნაირ სილუეტს რომ დავინახავ, თუმცა, რაღა თქმა უნდა, გამიკვირდება კიდეც. მივესალმები, შემდეგ შევეცდები, გავიგო, ვინ არის. თუ წამომყვება, შინ წავიყვან, ვიქეიფებთ და თან ბევრს ვილაპარაკებთ.

— დაასრულეთ წინადადება: ყველაზე მეტად მიყვარს ადამიანები, რომლებიც...

— ...არიან ინტელექტუალები და იციან, რა უნდათ ცხოვრებისგან.

— წარმოიდგინეთ, რომ დილით იღვიძებთ უცხო ოთახში და თქვენ წინ კიდია დიდი, ალისფერი ფარდა...

— ჯერ ოთახს შევათვალიერებ — იქნებ, გავიხსენო, საიდან მოვხვდი იქ. შემდეგ ფარდას გადავწევ და მივხვდები, რომელ ქუჩაზე ვიმყოფები.

— რას ხედავთ ამ ფარდის უკან?

— პატარა ჩიხს, რომელიც დიდ გზაზე გადის...

— ახლა წარმოიდგინეთ, რომ თქვენი შვილი სკოლიდან განაწყენებული დაბრუნდა, შემოგჩივლათ, რომ თანაკლასელებმა სცემეს და გთხოვათ, სხვა სკოლაში გადაიყვანოთ...

— დავარიგებ, რომ ასეთ შემთხვევაში, ამითვე უნდა უპასუხოს მოწინააღმდეგეს. ისე, ჩემი შვილი აუცილებლად ზრდილობიანი იქნება, მაგრამ თავს არავის დააჩაგვრინებს. მე ყოველთვის გავარკვევ, მართალია თუ არა ჩემი შვილი და ყველანაირად დავეხმარები, მაგრამ არა მგონია, ამ საქმეს სხვა სკოლაში გადაყვანამ უშველოს.

— ახლა წარმოიდგინეთ, რომ არა ხართ ცნობილი ადამიანი. როგორ წარმართავდით თქვენს ცხოვრებას?

— ძალიან რთულია... ამაზე არასდროს მიფიქრია... ვფიქრობ, იმავე პროფესიას ავირჩევდი. ის გამოცდილება თუ მექნება, რაც ახლა მაქვს, ბევრ რამეს სხვანაირად გავაკეთებ, თუმცა, არც ახლა ვარ უკმაყოფილო...

— რას იზამთ, თუ შინ გვიან მისულს, მეუღლე პერანგის საყელოზე აღმოგიჩენთ პომადის კვალს?

— ასეთი რამ არასოდეს მოხდება — ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობ. მაგრამ თუ მაინც მოხდა, მეუღლეს არაფერს დავუმალავ.

— წარმოიდგინეთ, რომ ზღვისპირა ქალაქში, სასტუმროს ბარში ზიხართ, უეცრად, გვერდით მოგიჯდათ ულამაზესი ქალი და ცდილობს თქვენს შებმას — არადა, ნომერში მეუღლე გელოდებათ...

— მმმ... ახლავე გიპასუხებთ. ვეტყვი, რომ ძალიან სასიამოვნოა მასთან საუბარი და ვუსურვებ, ისეთი მამაკაცი იპოვოს, რომელიც არ იქნება დაკავებული.

— წარმოიდგინეთ მდელო...

— ...ის ძალიან დიდია და მოფენილია ალისფერი ყაყაჩოებით. ყაყაჩოების მერე, პურის თავთავები იწყება.

— ახლა წარმოიდგინეთ, რომ ბანკში თქვენს ანგარიშზე გაჩნდა 2 მლნ დოლარი, რომლის წარმომავლობაზე წარმოდგენა არ გაქვთ.

— გავარკვევ, საიდან გაჩნდა. თუ საჩუქარია, ჩემი გეგმების განხორციელებას დავაჩქარებ, მსოფლიო ბაზარზე დავიწყებ ბრძოლას. მაგრამ მანამდე, ბევრ გაჭირვებულს დავეხმარები.

— წარმოიდგინეთ მთა...

— ...დაბალი ხეები, ტყე, შემდეგ უკვე, მინდორი და ბოლოს — მაღალი დათოვლილი კლდეა.

— ახვალთ ამ კლდეზე?

— ტყეში გავისეირნებ და თუ მუღამში ჩავვარდი, ზემოთ ავალ.

— წარმოიდგინეთ წყალი...

— წარმოვიდგენ ზღვას, ოღონდ, აღელვებული ზღვა არ მიყვარს... სანახაობრივად ძალიან ლამაზი ზღვაა, წყნარი, ოდნავ შესამჩნევი ტალღებით.

— ახლა მითხარით, მამაკაცის სახელი, რომელიც ამწამს მოგადგათ ენაზე.

— ალექსანდრე.

— როგორი ადამიანია ალექსანდრე?

— ინტელექტუალური, მაღალი, გამხდარი, არისტოკრატიული გარეგნობის.

— წარმოიდგინეთ, რომ ბინის შემოსასვლელში გიკიდიათ ძველისძველი სარკე, რომელიც მემკვიდრეობით გადმოგეცათ. შინიდან გასვლის წინ იხედებით ამ სარკეში. რას ხედავთ?

— ძალიან კარგად გამოვიყურები, სოლიდურად ვარ გამოწყობილი და არა ჯინსში, როგორც ახლა.

— რას იზამთ, თუ კოლექციის ჩვენების წინადღეს გაგიტყდეს — მაშინ, როდესაც ამ ჩვენებაზე მოწვეული არიან მსოფლიოს საუკეთესო დიზაინერები?

— გავიკეთებდი სკანდალურ პიარს მსოფლიო მასშტაბით. 24 საათში შევქმნიდი 1 გრანდიოზულ კაბას, რომელზეც მთელი სახელოსნო იმუშავებდა და მხოლოდ ამ კაბის გამოფენას მოვაწყობდი — რა თქმა უნდა, თუ ქურდი ქსოვილს დამიტოვებდა.

— წარმოიდგინეთ, რომ 100 დღით აგირჩიეს პრეზიდენტად...

— მაშინვე გადავდგებოდი: პრეზიდენტობისთვის არ დავბადებულვარ.

— ახლა წარმოიდგინეთ, რომ ოკეანეში ხართ ნავით. სიმძიმის გამო, ნავი იძირება. ჩამოთვლილიდან, რომელ ნივთებს გადაყრიდით: მოსკიტებისგან დამცავ ბადეს, სარკეს, ბენზინით სავსე კანისტრას, ასანთს, რადიოს, ერთ ბოთლ ვისკის, პეპლების საჭერ ბადეს თუ ფულით სავსე ჩემოდანს?

— ყველაფერს წყალში გადავყრი, იმიტომ, რომ ყველაფერი სველი იქნება. ბენზინს დავიტოვებ, მაგრამ იმასაც ასანთი სჭირდება!..

— წარმოიდგინეთ, რომ შეხვდით ლომს...

— დიდი სიამოვნებით შევხვდებოდი. ჩემი ზოდიაქოს ნიშანია, თანაც მოხიბლული ვარ მათი ცხოვრებით, ურთიერთდამოკიდებულებით („დისქავერიზე" ვუყურებ ხოლმე). წარმოვიდგენ, რომ ლომი დიდხანს მიყურებს დიდი ინტერესით და შემდეგ თავის გზას გააგრძელებს.

— წარმოიდგინეთ გუბე და ჩაიხედეთ შიგ...

— ჩემს თავს ვხედავ, კეპით და ზურგჩანთით. ჩემ უკან დიდი მთებია.

— წარმოიდგინეთ ვარდის ბუჩქი...

— ...ყველა ვარდი ბორდოსფერია და გაშლილი, ძალიან ბევრია ერთად და იმდენად დაბალი ვარდის ბუჩქებია, რომ მწვანე ტოტები არც ჩანს.

— ახლა წარმოიდგინეთ, რომ მოხვდით კუნძულზე, კაციჭამია აბორიგენებთან, მაგრამ მათ თქვენი ენა ესმით. როგორ გადაირჩენთ თავს?

— ვეტყვი, რომ ვიცი, სად ინახება დიდი სიმდიდრე და მერე რამენაირად დავუძვრები ხელიდან.

— ვთქვათ, მოხვდით უცხო ქვეყანაში. არც ენა იცით და არც ფული გაქვთ...

— დავრეკავ თბილისში და ფულს გამოვაგზავნინებ.

— თქვენი მეგობარი, ძებნილია, ღამით კარზე მოგიკაკუნათ და თავშესაფარს გთხოვთ, როგორ მოიქცევით?

— აუცილებლად შევიფარებ.

— მამა და შვილი კატასტროფაში მოყვნენ. მამა გარდაიცვალა. ჰოსპიტალში ბიჭთან პალატაში შესული ქირურგი კი ირწმუნება — ეს ჩემი შვილიაო. შეიძლება თუ არა ეს მართალი იყოს?

— ქირურგი ნამდვილი მამაა?

— არ ვიცი.

— თუ ირწმუნება, ე.ი. მისი შვილია.

— ახლა წარმოიდგინეთ, რომ დიქტატორულ სახელმწიფოში ცხოვრობთ და ქვეყნის მმართველის განკარგულებით, სახრჩობელაზე აჰყავხართ. გეძლევათ 2 წუთი. რას ეტყვით იქ შეკრებულ ხალხს?

— ნახვამდის, ხალხო, ძალიან სასიამოვნოდ ვიცხოვრე!..

ფსიქოლოგი **ვახტანგ ჯაფარიძე:**

— ამ ადამიანს არ ეშინია საკუთარი სისუსტეების აღიარების, მრავალმხრივ გამოავლენს საკუთარ „მეს" და შეუძლია, თავისი ნაკლოვანებები ღირსებად აქციოს. ბევრს მუშაობს საკუთარ თავზე და აქვს განვითარების უზარმაზარი პოტენციალი. მისი ფსიქოლოგიური კომფორტულობის არე ძალზე ვრცელი და ფართოა. მატერიალური დოვლათის პირობებში ცხოვრება, მისი ბუნებრივი მდგომარეობაა. შეუძლია დიდი მწვერვალების დაპყრობა, თუ ეს სიამოვნებას მიანიჭებს. არის ძალიან ენერგიული და მიილტვის იმ იდეალისაკენ, რომელიც საკუთარ თავს დაუსახა მიზნად: ინტელექტუალი, მაღალი, გამხდარი, არისტოკრატული გარეგნობის. ნებისმიერ ძალასთან შეუძლია გამონახოს საერთო ენა და იყოს ძალიან კონსტრუქციული. სიყვარულში კარგად გამოკვეთს პარტნიორის დადებით მხარეებს და იოლად ეგუება მის მინუსებს. ამ ადამიანს თავისუფლად შეუძლია იყოს ბედნიერი.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. კიპრუჭი, ფიჭიანი თაფლია.
2. „წიწვი“ და „კოკოჩანა“ სინონიმებია.
3. თავისუფალი ქცევის ქალს ძველად აშაღლარას ეძახდნენ.
4. ცხვარს ექვსი თვის ასაკიდან ერთ წლამდე, თოხლი ჰქვია.
5. გოეთე ორი მოჩხუბრიდან უფრო ჭკვიანს მიიჩნევდა დამნაშავედ.
6. „მატრიცა“ ლათინურ-გერმანული სიტყვაა და წყაროს, საწყისს ნიშნავს.
7. „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარება“ თომას მანს დაუმთავრებელი დარჩა.
8. გრძელ მათრახს, რომელსაც მანეჟზე ან ცირკის არენაზე იყენებენ, შამბერიერი ჰქვია.
9. ბარბაროსებს შარვლით ცნობდნენ. ძველ ბერძენთა და რომაელთათვის შარვალი უცხო იყო.
10. „აი, სახე ჭეშმარიტად ღირსი, მოდილიანის ფუნჯისა!“ – შესძახა ერთმა რეჟისორმა ენდი მაკდაუელის ნახვისას.

11. იაპონიაში ახალგაზრდა, 20 წლიდან ითვლება ზრდასრულად. ამ ასაკში მას ალკოჰოლის მიღებისა და ხმის მიცემის უფლება აქვს.
12. მარიონეტების თეატრი რევაზ გაბრიაძემ დააარსა. იგი გახლდათ თეატრის რეჟისორიც, სცენარების ავტორიცა და მხატვარიც.
13. ფლამანდიელ ფერმწერ პეტერ პაულ რუბენსს ერთი პერიოდი, ფლანდრიის მმართველის, იზაბელა ავსტრიელის, კარის მხატვრის თანამდებობა ეკავა.
14. იოზეფ გებელსი 4 წლის ასაკში, პოლიომიელიტით დაავადდა. მას ოპერაცია გაუკეთეს, რის შედეგადაც, ცალი ფეხი 10 სანტიმეტრით დაუმოკლდა.
15. მსოფლიო მასშტაბით, წერა-კითხვის უცოდინარი ქალები წერა-კითხვის უცოდინარ მამაკაცებზე ორჯერ უფრო მეტნი არიან.
16. იაპონური მიხაკისფერი ღრაჭუნა, ხეშეშფრთიანთა რაზმის ხოჭოა. იაპონური ცვილისებრი ცრუფარიანა – მწუწნავი მწერი, კოქციდების ქვერიგისა.
17. 1522 წელს, მაგელანის ექსპედიციის 5 გემიდან სამშობლოში მხოლოდ ერთი – „ვიქტორია“ დაბრუნდა.
18. „ესლი ნაში ვრაჩი შუტიატ, ტო პაჩემუტა – პა ჩორნომუ“, – ანეკდოტ-

ვიტორა

მარადიულ წამებზე მონადირე ჯაცი

პირველ კადრებს რომ იღებდა, მაშინ ცხადია, არც უფიქრია, თუ მომავალში, ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებზე მოსვდებოდა მისი სურათები. აჩხაკუნებდა ფოტოაპარატს, რადგან მოსწონდა და კიდევ იმიტომ, რომ აპარატის ობიექტივიდან სულ სხვანაირი ჩანდა სამყარო. თავად სანდრიკაც (როგორც ალექსანდრე კოტორაშვილს მეგობრები და კოლეგები ეძახიან) სხვანაირია — როგორიღაც „მსუბუქია“ ურთიერთობაში. ყველას უღიმის და ყველასთან მეგობრობს. მაგრამ როცა ინტერვიუსთვის მოვემზადეთ, უცბად „დამძიმდა“. გაუჭირდა საკუთარ თავზე საუბარი, მოკლედ და ლაკონიურად მპასუხობდა კითხვებზე. მიზეზი ძნელი მისახვედრი არ იყო: მთელი ცხოვრება სხვების წარმოჩენით იყო დაკავებული და რეპორტიორის ამპლუაში ყოფნა მისთვის უჩვეულო გახლდათ.

ბოგი ფრანგიშვილი

— სანდრო, ბევრისგან გამიგონია — პროფესიის არჩევა შემთხვევითობამ განაპირობაო. შენ როგორ დაიწყე ფოტოკორესპონდენტობა?

– ჩემი საქმეც ეგრეა დაახლოებით. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ მეცხვარის შვილი ფოტოკორესპონდენტი გამოვიდოდა?!. ჩემი წინაპრები ფასანაურიდან ყოფილან. შემდეგ ახმეტის რაიონში დასახლებულან. სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემდეგ კი, მამას თბილისში შეუქმნია ოჯახი. სვანეთის უბანში გავიზარდე. სწორედ იქ ვნახე პირველად ფოტოაპარატი. საკმაოდ ცოცხალი მოზარდი ვიყავი. როგორც სვანეთის უბნელს შეეფერებოდა, ჩხუბსაც მე ვიწყებდი და თანატოლებსაც მე ვაწიოკებდი ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ტანად პატარა ვიყავი, მეზობელ ბიჭებს არ ვეპუებოდი. ამის გამო, ხშირად დავუსჯივარ მამას. ყველაფრის ინტერესი მქონდა. ფეხბურთსაც ვთამაშობდი. ცნობილი მწვრთნელი ნესტორ ჩხატარაშვილი ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა და მეუბნებოდა – ჩემთან უნდა წაგიყვანოო. მაგრამ ეტყობა, დიდი ფეხბურთელობა ჩემი ბედი არ იყო და ამ გზას არც გავყოლივარ. სამაგიეროდ, ისე მოხდა, რომ მთელი ცხოვრება ფეხბურთის მატჩებსა და სპორტის სხვა სახეობათა შეჯიბრებებს ვიღებ. ფოტოაპარატი ბავშვობაში არ მქონია. მეზობელს ჰქონდა და დავინტერესდი. მამას ვთხოვე, ეყიდა აპარატი, მაგრამ ძვირი ღირდა. ომის შემდგომ წლებში ბევრს უჭირდა. არც ჩვენი ოჯახი იყო დალხენილი. როგორც ჩანს, მამამ იფიქრა – იქნებ, ამან მოიყვანოს ჭკუაზეო, – და მართლაც, მიყიდა – „ფედ-2“ 520 მანეთად ნისიად და 6 თვის განმავლობაში იხდიდა ამ თანხას. მაშინ დაახლოებით 13-14 წლის ვიყავი. ჩინებული ფოტოაპარატი იყო. სხვათა შორის, დღემდე შემომრჩა და ახლაც კარგად მუშაობს. პირველი დამოუკიდებელი კადრები სწორედ ამ აპარატით აღვბეჭდე ფირზე და შემდგომშიც, გაზეთებშიც ამ აპარატით გადაღებულ ფოტოებს ვაქვეყნებდი. მოგვიანებით, 70-იან წლებში, იაპონელებმა მიყიდეს კარგი ფოტოაპარტი და ამის

გამო „ნე ვიეზდნოიც“ *(საბჭოთა კავშირში არსებობდა მოქალაქეთა კატეგორია, რომელსაც ქვეყნის ფარგლებს მიღმა არ უშვებდნენ. – ავტ.)* გავხდი.

— იაპონელებს რა რჯიდათ, შენზე რომ ზრუნავდნენ ან საზღვარგარეთ გასვლა რატომ აგიკრძალეს?

– გახსოვს, 1970 წლიდან, თბილისის სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირები ტარდებოდა. ძალიან პოპულარული იყო. მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყნის სპორტსმენები ჩამოდიოდნენ, ძიუდოს ფუძემდებლები – იაპონელები კი, ყოველთვის ფავორიტები იყვნენ ამ ტურნირებში. მაგრამ მათ ფოტოკორესპონდენტები არ ჩამოჰყავდათ. მე ვუღებდი სურათებს და ვჩუქნიდი. არც ვიცოდი – თურმე, წლების განმავლობაში, ჩემს გადაღებულ ფოტოებს იაპონიის გაზეთებში ბეჭდავდნენ და თანდათან, რაღაც ჰონორარიც დამგროვებია. ამ თანხით მიყიდეს ფოტოაპარატი „ნიკონი“ და ჩამომიტანეს. სწორედ ამის შემდეგ აღარ მიშვებდნენ უცხოეთში. როგორც ჩანს, საბჭოთა უშიშროების კომიტეტს, იაპონელების წვრილი თვალების გარდა, არც ჩემი ახალი „ნიკონის“ ობიექტივი მოეწონა. „ნე ვიეზდნოობის“ მიზეზი წლების შემდეგ, ცეკას ერთ-ერთი მდივნისაგან შემთხვევით შევიტყვე.

— ალექსანდრე კოტორაშვილი ყველასათვის ცნობილია, როგორც სპორტული ფოტოკორესპონდენტი. თავიდანვე სპორტი იყო შენი ობიექტივის სამიზნე?

– მხოლოდ და მხოლოდ სპორტი. რა თქმა უნდა, ყოფილა შემთხვევები, როდესაც რომელიმე გაზეთის ან ჟურნალის რედაქციას დაუვალებია სხვა თემაც, მაგრამ მე ძირითადად, სპორტი მაინტერესებს. აქ ლამაზი მოძრაობებია, სისწრაფე, დინამიკა, წამის მეათედში ხდება ყველაფერი და შენც სპორტსმენივით ხარ – წამში უნდა მოასწრო ღილაკზე თითის დაჭერა.

— სპორტის რომელი სახეობაა, შენი აზრით, განსაკუთრებულად რთული გადასაღები და რომელია საინტერესო.

– ქართველი კაცი ვარ და ბუნებრივია, ჩვენებურ სპორტის სახეობასთან განსხვავებული დამოკიდებულება მაქვს. ამიტომ, სიმართლე გითხრათ, გადასაღებად ყველაზე ძნელი ქართული ჭიდაობაა. ჭიდაობის ყველა სახეობას, შეიძლება ითქვას, ზედმიწევნით ვიცნობ. ვიცი, რომელ მოძრაობას რა მოჰყვება. დავუშვათ, ვიცი – ძიუდოში ქართულ ჩავლებას ლამაზი გდება მოჰყვება, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში კი, წელში შესვლა წესით, გდებით უნდა დამთავრდეს. აი, ქართულ ჭიდაობაში კი ვერაფრით გამოიცნობ, როდის გააკეთებს ფალავანი ეფექტურ ფანდს და როდის უნდა „ჩააჩხაკუნო“ აპარატი. აქ იმდენი ილეთია, წინასწარ ვერ განსაზღვრავ მთავარ მომენტს. ყოფილა შემთხვევები, როცა მთელი ტურნირის განმავლობაში ერთი ხეირიანი კადრიც კი ვერ დამიჭერია. არავინ შემედავოს, ქართული ჭიდაობა ამ მხრივ ყველაზე რთულია. სხვა სახეობების გადაღება იმდენად არ მიჭირს. რა თქმა უნდა, ადვილი არც ისინია, მაგრამ ვთქვათ, ფეხბურთში, როცა გუნდი უტევს, ხედავ, თუ რამდენად მწვავეა ეს იერიში და შენც გუმანით ხვდები, რომ ახლა შეიძლება გავიდეს გოლი. ბუნებრივია, ემზადები ბოლო დარტყმისათვის, დანარჩენი კი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმეა.

— სპორტის ბევრ სახეობაში მსოფლიოს წამყვანი ათლეტებიც გადაგიღია. საქართველოს სპორტსმენებიდან ვინ მოხვედრილა შენს ობიექტივში?

ბევრი ისეთი კადრი მაქვს დაჭერილი, თავად მსიამოვნებს, მაგალითად – „ფეხბურთის ბალეტი“

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალის უბის წიგნაკიდან:

ის მოყოლის წინ, შესავალს აკეთებს მიხაილ ზადორნოვი: „–კაგდა მენია ატსიუდა ვიპიშუტ? – კაგდა კარდიაგრამმა რასპრიამიტსა!“

19. „ვახტანგ რჩეულიშვილი თავისთვის კაპიტალიზმს აშენებს და სხვებისთვის – სოციალიზმს“, – ამბობდა ვახტანგ გოგუაძე.

20. 1947 წლის 24 ივლისს, ვინმე კენეტ არნოლდმა მოწმენდილ ცაზე მფრინავ ობიექტთა მთელი მწკრივი შენიშნა. ეს ობიექტები მან თეფშებს მიამსგავსა.

21. ერთხელ მენდელეევს მიუტანეს დასაბეჭდად გამზადებული ერთ-ერთი მისი სტატია, რომლის ბოლოშიც ყველა მისი რეგალია იყო მიწერილი. მენდელეევმა ეჭვი გამოთქვა: ამ სახით ამ სტატიას არ დაბეჭდავენ – ჩემი ტიტული მეფისაზე უფრო გრძელი გამოდისო.

22. „დამერწმუნეთ, მე სულაც არ მივეკუთვნები მაქსიმ გორკის თაყვანისმცემელთა რიგს“, – ამბობდა თავად მაქსიმ გორკი.

23. როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კუბაზე საბჭოთა კავშირის ბირთვული რაკეტები აღმოაჩინა, მთელი მსოფლიო, ბირთვული ომის საფრთხის წინაშე დადგა. კრიზისი 7 დღის მანძილზე გაგრძელდა და იმ დროს, როცა ამერიკელი მასწავლებლები მოსწავლეებს, ბირთვული აფეთქების დროს დამალვის წესებს ასწავლიდნენ, კუბის მთავრობას, რადიოსა და პრესას საფრთხის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს.

24. გერმანიის გაერთიანების შემდეგ, „სამსახურის“ გარეშე დარჩა საზღვრის დამცველი 6500 გერმანული ნაგაზი. ბევრი მათგანი დასავლეთ გერმანელმა კერძო პირებმა შეისყიდეს. ძაღლების გარკვეული ნაწილის დატოვება აღმოსავლეთ გერმანიაში მოუხდათ. ისინი ადამიანებზე თავდასხმისათვის იყვნენ გაწვრთნილები და მათი შეძენა არავინ ისურვა.

— უფრო ადვილი იქნება, ჩამოვთვალო ის სპორტსმენები, რომლებიც არ გადამიღია. ჩემი ბედნიერებაც ეგ არის, რომ პრაქტიკულად, ყველა ცნობილი ქართველი სპორტსმენი მყავს გადაღებული: ლევან თედიაშვილი, ვიქტორ სანეევი, ნონა გაფრინდაშვილი, დავით ყიფიანი... გამომრჩება ვინმე, ამიტომ აღარ გავაგრძელებ. მე, ისევე, როგორც ბევრ ჩვენს თანამემამულეს, სპორტი და სპორტსმენები მიყვარს. დიდებული ხალხია. ბედნიერი და ამაყიც ვარ, რომ მთელი ცხოვრება ამ ხალხში ვტრიალებ. პატიოსან და ვაჟკაცურ ბრძოლებში გამარჯვებული ადამიანები არიან. სხვა პროფესიის ადამიანების საწყენად არ ვამბობ, მაგრამ სპორტში თუ მშრომელი და ალალი კაცი არ ხარ, ისე ვერ მიაღწევ წარმატებას. აქ ჩაწყობით ვერ გახდები ჩემპიონი, არც ძმაბიჭობით დაგიწერენ მაღალ ქულებს. სპორტული სარბიელი ნაღდი ადამიანების ასპარეზია და როდესაც საკუთარი თვალით ხედავ, თუ რა ჯაფის ფასად ხვდებიან ათლეტები კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურებზე, არ შეიძლება, უდიდესი პატივისცემის გრძნობა არ გაგიჩნდეს მათ მიმართ.

— კარიერის მანძილზე ალბათ, ათასობით ფოტო გადაგიღია. ზოგში უბრალოდ, ფაქტის კონსტატაციაა, ზოგჯერ ემოციის გადმოცემას ახერხებდი. არის ალბათ ისეთი ფოტოებიც, რომლებიც გამორჩეულად გიყვარს, არა?

— გამორჩეული ფოტო საკმაოდ ბევრი მაქვს. ძალიან მიყვარს დედაჩემის ფოტო, რომელიც გარდაცვალებამდე 3 თვით ადრე გადავუღე, ჭადრაკის დაფასთან მჯდომს. 90 წლის უნდა გამხდარიყო და ფოტოსაც „90-ე სვლა“ დავარქვი... საერთოდ, სპორტულ თემაზე ბევრი ისეთი კადრი მაქვს დაჭერილი, თავად მსიამოვნებს, მაგალითად — „ფეხბურთის ბალეტი“. ასეთი კადრი ძნელი მოსახელთებელია, იშვიათობაა. სპორტში ხომ სპეციალურად ვერ დადგამ კადრს. ფოტოს ფასიც ის არის, რომ მოახერხო განუმეორებელი მომენტის ფირზე აღბეჭდვა. ჩემს არქივში უამრავი უნიკალური ფოტო ინახება, მათ შორის, ცნობილი სპორტსმენების: ბორის პაიჭაძის, მიხეილ მესხის, ლევ იაშინის, შოთა ჩოჩიშვილის, ზურაბ საკანდელიძის და სხვათა. ამავე დროს, არ არსებობს მეტნაკლებად ცნობილი ქართველი ათლეტი, რომელსაც ჩემი ფოტო შინ არ აქვს. ყველას ვაძლევ საჩუქრად. შეიძლება, ბევრი ახლა ამაზე არ ფიქრობს, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ წლების შემდეგ, სულ სხვა ღირებულება ექნება თითოეულ მათგანს.

90 წლის უნდა გამხდარიყო და ფოტოსაც „90-ე სვლა“ დავარქვი...

— სხვადასხვა შეჯიბრების გადაღებისას, შენ აფიქსირებ კადრებს, რომლებიც აღარასდროს გამეორდება, პრაქტიკულად ის წამი იყინება და სამუდამოდ რჩება შენს ფირზე. თავად შენ თუ გქონია ცხოვრებაში ისეთი წამი, როცა გიფიქრია — ნეტავ, ეს წამი სამუდამოდ დარჩესო?

— პირად ცხოვრებაში ასეთი მომენტები ალბათ ბევრს ჰქონია. ჩემთვის, მაგალითად, ასეთი იყო ვაჟიშვილის შეძენა, ტყუპის გაჩენა და მსგავსი ამბები. რაც შეეხება ჩემს პროფესიას და „გაყინულ წამს“ — კი, დამიჭერია ისეთი უნიკალური მომენტი, როცა მიფიქრია — ეს სამუდამოდ უნდა დარჩეს-მეთქი! ასეთ დროს, მიმიტოვებია შეჯიბრება, ლაბორატორიაში გავქცეულვარ, რომ სასწრაფოდ გამომეყოლებინა ფირი და მენახა ჩემი „წამი“.

— საქართველო 12 წელი ელოდა ოლიმპიურ ოქროს. და აი, ათენის ხალიჩაზე გადამწყვეტ შეხვედრაში გამოდის ქართველი ათლეტი, რომელსაც ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსი აქვს. შენ ამ დროს, სულ რაღაც 5 მეტრში დგახარ და ამ გადამწყვეტ ორთაბრძოლას კი არ უყურებ, არამედ ცდილობ, გადამწყვეტი მომენტი დააფიქსირო ფირზე. როგორ ახერხებ ამას? შენც ხომ ემოციები გაქვს!..

— პროფესიონალიზმიც ეგ არის — პირველ რიგში, ჩემი საქმე უნდა გავაკეთო, უნდა დავიჭირო ის „წამი“. რა თქმა უნდა, მეც, როგორც ყველა ქართველს, ყელში ბურთი მქონდა მობჯენილი, მაგრამ ეს ემოცია უნდა მომეთოკა. აბა, ივარგებდა, საბერძნეთიდან ისე ჩამოვსულიყავი, რომ „გამარჯვების წამი“ არ გადამეღო?! ემოციებს თუ ავყევი, არაფერი გამომივა. სამაგიეროდ, მე სხვა ემოციები, სხვა სიხარული მაქვს. ამ მომენტს რომ დავაფიქსირებ, ეს ისეთ სიამოვნებას მანიჭებს, რომ ოლიმპიურ ჩემპიონზე ნაკლებ ბედნიერებას არ განვიცდი.

■

ჩემი საინტერესო თავგადასავალი

ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე, მრავალსერიიანი ფილმის ერთ სერიას ჰგავს. ხანდახან, „მძაფრსიუჟეტიანი“ დღეებიც გამოერევა, ხანდახან, „ბოევიკს“ ან ცრემლიან მელოდრამასაც მოგვაგონებს... თავგადასავალიც სწორედ ესაა — ამბავი, რომელიც დანარჩენ დღეებში მომხდარი მოვლენებისგან აბსოლუტურად განსხვავებულია. ცხოვრებაც სწორედ ის გახლავთ, რაც ჩვენს თავს ხდება მაშინ, როცა განსხვავებულ გეგმებს ვაწყობთ. ადამიანთა უმრავლესობა მაინც წყნარ, მდორე ცხოვრების წესს ირჩევს, მაგრამ არსებობენ თავგადასავლების მოყვარულნიც, რომლებიც თვითონვე იგონებენ ათასგვარ ხერხს იმისათვის, რომ უფრო საინტერესოდ განვლონ წუთისოფელი.

მარი ჯაფარიძე

„...მიიხედა, დაინახა და... მანქანაში მარჯვენა კარის ფანჯრიდან ჩახტა“...

ვთქვათ, ცოლქმრული ცხოვრება მოგბეზრდათ და ოჯახში თავს ისე გრძნობთ, როგორც ჩიტი — გალიაში, თან ქმრის მიტოვებაც გინდათ. როგორ უნდა მოიქცეთ? ჩვენი მკითხველი თავისი მესიჯით „დაგარიგებთ“, როგორ შეიძლება, აიძულოთ ქმარი, რომ საკუთარი სურვილითვე წავიდეს.

კარგად ჩაფიქრებული გეგმით მოპოვებული თავისუფლება

„უკვე დიდი ხანია, მთელი 8 წელია, რაც გავთხოვდი. დიდად აუტანელი ვინმეა ეს ჩემი ქმარი. ვუთმინე, ვუთმინე და ბოლოს, მისგან მოშორებით ცხოვრება გადავწყვიტე. ვალერის რომ ვაუწყე ამის შესახებ, გადაირია — ქალო, არ გაბედო ოჯახიდან წასვლა, თორემ, დედას გიტირებო! რა უნდა მექნა? გადავწყვიტე, ისე მოვქცეულიყავი, რომ თვითონ გაქცეულიყო. ამისათვის საჭირო იყო, ყველა იმ საკითხის წამოჭრა, რომელზეც მანამდე თვალს ვხუჭავდი. კარგად გავთვალე და ფაქტიც სახეზეა — ჩიტივით თავისუფალი ვარ. თქვენც გაგიმხელთ „რეცეპტს“. წამდაუწუმ ვთხოვდი ფულს. თუ მანამდე, ყველაფერს ვიკლებდი და ეკონომიურად ვცხოვრობდი, ახლა უკვე ხელგაშლილად დავიწყე ფულის ხარჯვა. ფულს ვთხოვდი დილით, სამსახურში ყოფნის დროს, განსაკუთრებით კი — ნაცნობ-მეგობრების თანდასწრებით. სრულიად უცხო ადამიანების თანდასწრებით ვახსენებდი, რომ ჩასაცმელ-დასახური მაკლდა, რომ ძალზე ცოტა ფულს მაძლევდა და ძუნწი იყო... ისიც ვიცი, რომ მამაკაცები ვერ იტანენ წუწუნსა და ცხვირჩამოშვებულ ქალებს. ხან თავწაკრული ვიყავი და ვაიმე, შაკიკი მაქვს-მეთქი, ვწუწუნებდი, ხან უმიზეზოდ ვტიროდი, განსაკუთრებით მაშინ ღიზიანდებოდა, როცა ვეუბნებოდი — სულ შენი ბრალია ყველაფერი-მეთქი. ჩავუდექი ჯიბრში, რითაც კარგად ვახერხებდი, რომ ნებისმიერი წვრილმანი მისთვის ჯოჯოხეთად მექცია. როცა ეძინა, განგებ ვაჯახუნებდი კარს, ვახმაურებდი ჯამ-ჭურჭელს; თუ შევატყობდი, რომ სადმე ეჩქარებოდა და წვერის გასაპარსად საბაზანოში აპირებდა შესვლას, დავასწრებდი და იქ კარგა ხნით ჩავიკეტებოდი ხოლმე. სამზარეულოს „სფეროში“ ხომ ნამდვილ სასწაულებს ვახდენდი. ვალერის ძალზე უყვარდა ხორციანი კერძები. მე კი სულ ბრინჯისა და კარტოფილისგან მომზადებულ საჭმელს ვახვედრებდი. დასანახად ვერ იტანდა თევზეულს — კვირაში ოთხჯერ სწორედ თევზი გვქონდა სადილ-ვახშმად. ყოველ საღამოს ხელჩართული ბრძოლა გვქონდა. მაგრამ მე მაინც ჩემსას ვაგრძელებდი, ჩხუბის დროს კი ძალზე ხშირად ვახსენებდი, ვინ იყვნენ ადრე, ჩემი თაყვანისმცემლები. — რატომ არ გავყევი ცოლად მალხაზს, რა კარიერა გაიკეთა! დათო?.. დათოს როგორ ვუთხარი ცოლობაზე უარი? კაცი მინისტრის მოადგილე გახდა-მეთქი, — და ა.შ. როდესაც მისი მეგობრები მოვიდოდნენ სტუმრად, სულ ვალერის უქნარობაზე ვლაპარაკობდი; ფეხსაცმელზე ზონრის შეკვრაც კი ეზარება-მეთქი, — ვამბობდი და კიდევ ათას რამეზე ვწუწუნებდი, ქმრის „ადგილზე გასანადგურებლად“. თან ამას ისეთი სახით ვაკეთებდი, რომ ყველას „ანგელოზი“ ვეგონე. ისინი წავიდოდნენ თუ არა, ახლა მათ გაქილიკებას ვიწყებდი და ისევ დავცხებდით ხოლმე... ჩემმა მონდომებამ გაჭრა და ერთ-ერთი ჩხუბის დროს, თავისი ფეხსაცმელი ისე გამეტებით ჩამცხო თავში, რომ გონი დავკარგე. აზრზე რომ მოვედი, ის შინ აღარ იყო. ვიფიქრე, დაბრუნდება-მეთქი, მაგრამ მეორე დღეს ძმაკაცი გამოგზავნა და თავისი ნივთები წაიღო. ახლა მშვენივრად ვგრძნობ თავს, თან ცოტა გულიც მწყდება, რადგან ძალზე საინტერესოდ მეჩვენებოდა ცხოვრება, სწორედ ერთად ცხოვრების ბოლო თვეებში. თითქოს, სადღაც დაკარგული საკუთარი „მე“ ვიპოვე...“

სიყვარულს ტარიელიც კი გადაურევია და გასაკვირი სულაც არ არის, თუ ჩვენს ერთ-ერთ მკითხველსაც აურია თავგზა. ბევრი გრძნობას აყოლილი მამაკაცი ვერ ხვდება, რომ შეყვარებულია მხოლოდ ლამაზ თვალებზე ან ლოყაზე გაჩენილ ფოსოზე, ხოლო დაქორწინება უწევს ქალზე, რომელსაც ბევრი უარყოფითი მხარეც აქვს. თურმე, თავაზიანი ბედუინი გულის სწორს გრძნობას ასე უმხელს: — ო, გალამ, ჩემი ძმა რომ აქლემი ყოფილიყო, მე მას გავყიდდი, რომ შენ მეყიდე, გალამ!.. მომდევნო რესპონდენტსაც სწორედ ასეთი ხერხისთვის მიუმართავს.

რა ღირს სევდა?

„ბევრჯერ ვიყავი შეყვარებული. ყოველთვის ვფიქრობდი — მორჩა, ეს ბოლოა, ახლა ცოლს მოვიყვან-მეთქი, — მაგრამ ხან რა მიშლიდა ხელს, ხან — რა. წლები თვალსა და ხელს შუა შემომადნა. 30 წლის რომ გავხდი, ოჯახიც „ამიბუნტდა“ — დაქორწინდიო, — მაგრამ იმ დროს შეყვარებული არ ვიყავი და ისე ცოლის მოყვანას არ ვაპირებდი. „თელასში“ ვმუშაობდი, ინკასატორად. წლების განმავლობაში, ერთ უბანზე ვიყავი მიმაგრებული. ამიტომ,

თითოეულ ოჯახს კარგად ვიცნობდი. ერთხელ, ერთ-ერთ კარზე მივაკაკუნე. სრულიად უცხო გოგონამ შემომანათა თვალები. უზომოდ ლამაზი იყო. შავგვრემანი, ლურჯი თვალებით, გრძელი, შავი თმითა და წითელი, ფუმფულა ტუჩებით. მოვიხიბლე მისი გარეგნობით. მე სტუმარი ვარ, მასპინძლები შინ არ არიანო, — მითხრა. იქიდან წამოსული, გამუდმებით სევდაზე ვფიქრობდი (ასე ჰქვია მას). მისი ლურჯი თვალები და მომნუსხველი მზერა მოსვენებას არ მაძლევდა. გოგონა თურმე დაუსწრებლად სწავლობდა და სესიებისთვის იყო ჩამოსული. მოვახერხე და სევდას დავუახლოვდი. სულ მცირე ხანში, უზომოდ შემიყვარდა, მაგრამ ხელს ის მიშლიდა, რომ სევდა მუსლიმანი იყო. მისი ოჯახი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ჩვენს ურთიერთობას. მამამისს შევხვდი და ვცადე ამეხსნა, როგორ მიყვარდა მისი შვილი. მან პასუხად მხოლოდ ეს მითხრა — შენ იმდენი ფული არ გაქვს, სევდა რომ იყიდო, 100 ათასი ლარი ღირს ჩემი გოგო, კლიენტიც მყავს და აბა, შენ როგორ გამოგატანოო? — შოკში ჩავვარდი. როგორ, შვილი ასე საქონლივით უნდა გაყიდო-მეთქი? — ჩვენ ასეთი წესი გვაქვსო, — მიპასუხა. ამის შემდეგ, სევდას რომ შევხვდი, ცხარე ცრემლით ვტიროდი — რა მეშველება, სევდა? უშენოდ ვერ ვიცოცხლებ, არაფერი გამაჩნია, მშობლებისა და ძმის გარდა, და იმათ ხომ ვერ გავყიდი, რომ შენ გიყიდო-მეთქი?!. — მეც მიყვარხარ, მაგრამ აბა, რა ვქნათ? უნდა დავშორდეთ, თავს ზემოთ ძალა არ არისო... ავდექი და სევდა მოვიტაცე. გავიდა დრო და როგორც იქნა, დაშოშმინდნენ მისი ნათესავები, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. მაგრამ სულ მალე მივხვდი, რომ დიდი შეცდომა დავუშვი. ქრისტიანი კაცი, ვერ შევეწყვე მათ ადათ-წესებს. სევდაც ვერ გადმოვიყვანე ჩვენს ტრადიციებზე და გვაქვს ბრძოლა. აღარ ვიცი, რა მოვიმოქმედო და ღმერთმა იცის, რით დამთავრდება ჩემი ქორწინება. აი, ასეთი თავგადასავალი მქონდა. მოგეწონათ?..“

შემდეგ თავგადასავალს, საინტერესო კი არა, უფრო უჩვეულო იქნება, საკითხოს თუ დავარქმევთ. რამდენიმე თბილისელი „ქეშში“ კახეთს ესტუმრა... თუმცა, ჯობს, მას მოვუსმინოთ, ვინც ამ ამბის მონაწილე გახლდათ.

„ქეშებისა“ და ვირის თავგადასავალი

„5 ძმაკაცი კახეთში გავემგზავრეთ, მეგობრის ბიძასთან. დასამალი რაღაა? ვაღიარებ, რომ ხუთივე მაგარი „ქეში“ ვართ და გვეგასება კიფი, ოღონდ, „წამალს“ არ ვეკარებით, მოსაწევი — კი, ბატონო! იქ ჩასულებს, მასპინძელმა მაგარი პატივი გვცა, არც სასმელ-საჭმელი მოგვაკლო და არც პლანი. 3 დღე, არ გამოვფხიზლებულვართ... იქიდან წამოსულებმაც, გზაში ისევ „შევუკეთეთ“ და ისეთი „დაბოლილები“ მოვდიოდით, ერთმანეთს ველარ ვცნობდით. მასპინძლის ვირს ვიხსენებდით, ვხალისობდით, ანეკდოტებს ვყვებოდით და თბილისისკენ მოვქროდით. უცებ, გზაზე ხნიერი კაცი შევნიშნეთ, რომელიც ვირს უკან მიჰყვებოდა. ერთ-ერთმა ჩვენმა ძმაკაცმა მძღოლს დაუბახა — გააჩერე, ამ ვირთან ვახოს (მასპინძლის) ვირმა რაღაც დამბარა და უნდა ვუთხრაო. გავჩერდით. „შიკრიკი“ მანქანიდან გადავიდა და გლეხს უთხრა — ახლა ჩვენ ნუკრიანიდან მოვდივართ, იქაურმა ვირმა თქვენს ვირთან ამბავი დამბარა და თუ შეიძლება, ვეტყვიო. მოხუცმა ისეთი თვალებით შეხედა, აშკარად გაიფიქრა — გიჟიაო და სასწრაფოდ დათანხმდა. ესეც მივიდა და ვირს ყურში კარგა ხანს რაღაცას ჩასჩურჩულებდა. უცებ, ვირმა თავის ქნევა დაიწყო, უკან-უკან წავიდა, მერე დავარდა და თავს მიწას ახლიდა. ჩვენი ძმაკაცი გამოიქცა, მანქანაში ჩაჯდა და სასწრაფოდ მოვშორდით იქაურობას. ბევრი ვეხვეწეთ, გაგვიმხილე, რა უთხარი ასეთი, ვირი თავს რომ იკლავდა-თქო, მაგრამ არაფრის დიდებით არ გვითხრა... სულ ახლახან გათქვა საიდუმლო — ყურში ჩავაბოლე, „პლანის კიფში“ ჩავარდა და ასე ამიტომ იქცეოდაო“.

რიქშა, მოგეხსენებათ, ინდოეთში მსუბუქ ეტლში შებმული კაცია, რომელიც ტაქსის ფუნქციას ასრულებს. მართალია, საქართველოში ასეთი პროფესიის ადამიანები არ არიან, მაგრამ მეგობრების დახმარებით, შესაძლებელია, მსგავსი ხერხით ცოტა ფული იშოვო.

ტაქსი 20 კაპიკად

„50 წლის კაცი ვარ და მინდა, ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი თავგადასავალი მოგიყვეთ. სოფელში გავიზარდე. მყავდა ორი, რომ იტყვიან, „ტრუსიკის მეგობარი“. თანატოლები ვიყავით და ჭირიც და ლხინიც საერთო გვქონდა. სკოლაც ერთად დავამთავრეთ და უნივერსიტეტშიც, ერთ ფაკულტეტზე ჩავირიცხეთ. დღემდე, ძალზე კარგი ურთიერთობა გვაქვს. ერთმანეთს კი ათასგვარ ოინს ვუწყობთ ხოლმე. სტუდენტები რომ გავხდით, თბილისში ბინა ვიქირავეთ და ერთად ვცხოვრობდით. ჯერ კიდევ არ ვიყავით „გასვეტებულები“, როცა ასეთი რამ გადაგვხდა თავს. თბილისში კოკისპირულად წვიმდა ისე, რომ ქალაქში ნიაღვარი მოდიოდა. გზები სავსე იყო წყლით, ხალხი ტროტუარის აქეთ-იქით იდგა და ვერ ახერხებდა გზის მეორე მხარეს გადასვლას. ჩვენც, ძმაკაცები, მივადექით ერთ „ნაპირს“ და ვფიქრობთ, როგორ მოვიქცეთ. ერთ-ერთმა, გრიგოლმა თქვა — მე „ვალინკები“ მაცვია, თქვენ — ფეხსაცმელი, მოდი, ზურგზე შემაჯექით და სათითაოდ გადაგიყვანთო. პირველად ლექსო გადაიყვანა და მობრუნდა ჩემს წასაყვანად. ამ დროს, ლექსოს იქითა „ნაპირზე“ მყოფი ხალხისთვის უთქვამს — ეს ბიჭი „ტაქსაობს“, 20 კაპიკს იღებს გადაყვანაშიო. დადგა რიგი... ამასობაში, გრიგოლმა მეც გადამიყვანა საშშვიდობოს, ტროტუარისკენ ზურგით დადგა და ოდნავ ჩაიკუზა, რომ ჩამოვმხტარიყავი. ჩემი ჩამოსვლა და ვიღაც კაცის შეხტომა ერთი იყო. გრიგოლმა გაოცებულმა მიაბრუნა თავი — ეს ვინღა შემახტაო? იმან კიდევ, 20-კაპიკიანი დაანახვა — მიდი, ფულს გადაგიხდი, უფასოდ კი არ მინდაო... გრიგოლი წელში გაიმართა, მხრები შეათამაშა და ის კაცი ჭიანჭველასავით „ჩამოიფერთხა“. იქიდან სულ ხმამაღალი სიცილით წამოვედით. აი, ასე ვოხუნჯობდით ახალგაზრდობაში და არც სიბერეში მოგვიშლია.“

აბა, თუ იცით, რისი გასწორებაა შეუძლებელი? ამ კითხვაზე პასუხის ერთ-ერთი ვარიანტია: ბანანის, სახელმწიფო საზღვრისა და მოტეხილი კისრის. ამიტომ, ვიდრე მოიტეხთ, მანამდე უნდა მიიღოთ უსაფრთხოების ზომები, თორემ, ისე დაგემართებათ, როგორც რეზოს.

„ღმერთმა იცის, რომელ ჩამოგორებაზე მოიტეხა...“

„ძალზე მიყვარს ჩემი სოფელი. ქალაქში დავიბადე, მაგრამ ზაფხულობით ბებიასთან რომ ჩავდიოდი, იქიდან წამოსვლა აღარც მინდოდა ხოლმე. ახლაც, ზაფხულობით ერთი თვით აუცილებლად მივდივარ მშობლიურ სოფელში. ამ ზაფხულსაც არ მიღალტია ტრადიციისთვის. ხომ იცით, როგორც ხდება ხოლმე — საღამოობით ვიკრიბებოდით, ვსვამდით და ვმხიარულობდით. ერთ-ერთი ჩვენი მეზობელი, ახალგაზრდა ბიჭი რეზო, ძალზე ხშირად სვამდა, მერე კი — „უბერავდა“... სულ ვეუბნებოდი, სმას მოუკელი-მეთქი, მაგრამ ვერაფერი შევასმინე. ერთხელ მეზობელ სოფელში ვიყავი სტუმრად და იქიდან გვიან ვბრუნდებოდი. ჩემს სახლამდე რომ მიხვიდე, პატარა გორაკი უნდა აიარო. ეს ჩემი მეზობელი ბიჭი, გორაკის ძირში წამოწოლილიყო და ეძინა. მივხვდი, ზევიდან იყო დაგორებული. შევაღვიძე, ზურგზე მოვიკიდე და ძლივს ავათრიე გორაკის წვერში. იქ „შეფართხალდა“, წინააღმდეგობის გაწევა სცადა და ისევ დაგორდა. ხომ არ მივატოვებდი? ისევ ამოვათრიე. ისევ დამიგორდა. ასე გამეორდა სამჯერ. ბოლოს, შინ მივიყვანე და ოჯახის წევრებს ჩავაბარე. დილით გაირკვა, რომ კისერი ჰქონია მოტეხილი. ღმერთმა იცის, რომელ ჩამოგორებაზე მოიტეხა. დღესაც მოღრეცილი კისრით დადის, მაგრამ სმას მაინც არ იშლის. ლადო“.

დაბადების დღე ფრიად ღირსშესანიშნავი დღე გახლავთ, მაგრამ თუ ამას საინტერესო თავგადასავალიც ემატება, მართლაც, არასოდეს დაგავიწყდებათ. ქალების მოყვარულ, „მერსედესიან“ მამაკაცებს კი ვურჩევთ, ფრთხილად იყვნენ. თუ რატომ, ამას ჩვენი მკითხველის მესიჯიდან შეიტყობთ.

უცნაური ჰობი და „ტერაქტი“ წერეთლის გამზირზე

„გაგანია ზაფხულში ვარ დაბადებული. შარშან ისე მოხდა, რომ ოჯახის წევრები ამ დროს დასასვენებლად იყვნენ წასული და შინ მარტო ვიყავი. მოვიწვიე სტუმრები, საგანგებოდ გამოვიპრანჭე და მართლაც კარგი დრო გავატარეთ. მაგრამ ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა ჩემი დაბადების დღე დამთავრდა და სტუმრები გავაცილე. პირველ სართულზე ვცხოვრობ, წერეთლის გამზირზე. ამიტომ არ დამზარებია, სტუმრები მანქანამდე მიმეცილებინა და მათთან ერთად ეზოში გამოვედი. უკან კმაყოფილი, ღიმილიანი სახით მოვბრუნდი. მაგრამ ეს ღიმილი პირზე შემეყინა, როცა აღმოვაჩინე, რომ კარი დაკეტილი იყო, ხოლო გასაღები შიგნით დამრჩენოდა. ღამის 2 საათი ხდებოდა. დავრჩი გარეთ. მობილურიც თან არ მქონდა. რა უნდა მექნა? ცენტრალური გზისკენ ავიღე გეზი, ვიფიქრე – იქნებ, გამვლელს ვთხოვო, ჟალუზების ჩასაკეტი ბოქლომის გატეხაში მომეხმაროს-მეთქი. უკანა კორპუსში მცხოვრები ახალგაზრდა მამაკაცი შემხვდა. ჩემი გასაჭირი ავუხსენი. მან შინიდან სკამი და ჩაქუჩი ჩამოიტანა და დაიწყო ჩაქუჩით ბოქლომის გატეხა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. მერე ჩაქუჩი მე მომცა – ცოტა ხნით დაიჭირე, მე შინ წავალ და „ლომს“ მოვიტან, იქნებ, იმით მაინც მოვახერხოთ რამეო. ჩაქუჩი იღლიაში ამოვიჩარე და ისევ განათებული, ცენტრალური გზისკენ წავედი. ცოტა ხანში, ჩემ წინ „მერსედესი“ გაჩერდა. მძღოლმა თითი დამიქნია – მოდი, დაჯექიო. – არა-მეთქი, – შეშინებულმა გავიქნიე თავი. ეს კაცი გადმოვიდა მანქანიდან და მომიახლოვდა – წამოდი, ყავაზე დაგპატიჟებო. – არა-მეთქი, – ისევ გავაქნიე თავი. – აბა, აქ რატომ დგახარო? – ჰობი მაქვს ასეთი-მეთქი. – რა ჰობი, რის ჰობიო? – შუაღამისას „მერსედესიან“ კაცებს ჩაქუჩით თავებს ვუჩეჩქავ-მეთქი... – ვთქვი და ჩაქუჩი გამოვაჩინე. დონჟუანი დაიბნა. ვერ მიხვდა, საგანგებოდ გამოპრანჭული, შუაღამისას, ჩაქუჩით ხელში, წერეთლის გამზირზე რას ვაკეთებდი და შევატყვე, რომ ცოტა შეშინდა... ამასობაში, ის ჩემი მეზობელიც გამოჩნდა და შორიდანვე დამიძახა – თაკო, რა მოხდა, რა უნდა მაგ კაცსო? – ამან მიიხედა, ჩვენკენ მომავალი რკინისკეტიანი კაცი რომ დაინახა, მანქანაში მარჯვენა კარის ფანჯრიდან ჩახტა და გაქუსლა... ჩვენ, როგორც იქნა, ბოქლომი გავტეხეთ, მშველელს ჩემი სადღეგრძელოც დავალევინე და ამ ამბის გახსენებაზე გულიანად ვიცინი ხოლმე. ჩემს „კავალერს“ კი, ალბათ დღემდე ვერ გაუგია, რა ხდებოდა და სულ იმის ფიქრში იქნება, თუ ვინ მოუწყო „ტერაქტი“ ზაფხულის ცხელ ღამეს. თუ „გზას“ კითხულობს, ახლა მაინც მიხვდება“.

ახლა კი, მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„მე ხომ სამშობლოსთვის არ მიღალატია?“

„როცა ჩემი მომავალი ქმარი გავიცანი, შემომთავაზა, ბლის მოსაპარად წავსულიყავით. ჩვენთან ერთად ჩვენი მეგობრებიც იყვნენ. უცებ ფეხი გადამიბრუნდა. მინდოდა, მისი ყურადღება მიმექცია და ამისთვის ტკივილი მოვიგონე. სინამდვილეში სულაც არ მტკიოდა. ის მიმიხვდა განზრახვას. მეგობრებს ჩამორჩა, ხელში ამიყვანა, გულში ჩამიკრა და ყურში ჩამჩურჩულა – მიყვარხარო. მურიკო, იმ დღის მერე უსაშველოდ მიყვარხარ. შენი „გოდორა მარწყვი“.

„თავგადასავალი მაშინ გადამხდა, როცა ჩემი „ტრუსიკის მეგობარ“ ბიჭს კაცთან შევუსწარი. ხელი დავარტყი, ის კი არ შემეწინააღმდეგა... შემდეგ ბევრი ვილაპარაკეთ. აღმოჩნდა, რომ ბავშვობაში ოჯახის მეგობრის შვილს დაუმყარებია მასთან კავშირი. მინდა დავეხმარო, მაგრამ რით? არც კი ვიცი, იკურნება ეს სენი თუ არა“.

„ჩემი საზაფხულო, სასიყვარულო თავგადასავალი 4 წლის წინ დაიწყო და დღეს დამთავრდა *(მესიჯი 28 იანვარს მივიღე. – ავტ.)*. ჩემმა შეყვარებულმა დამირეკა და მითხრა – ცოლი მოვიყვანეო. ამას ნამდვილად ვანანებ მაგ ტყეურს“.

„მიდამო ფითრდება მთვარიან ღამეში, ოცნება სიყვარულს ქარგავს, ლამაზი ხელებით, ლამაზი თითებით, ჩვენს განშორებას ხატავს. უზომოდ მიყვარდი, უზომოდ გნატრობდი და ახლაც მიყვარხარ, ახლაც... წარსული დღეები დამრჩა მოგონებად, მათით ვარსებობ ალბათ. წახვედი, დამტოვე, დამსაჯე სასტიკად, მკაცრად, ჩვენი განშორება იყოს აღსარება, ჩვენ ღმერთი განგვსჯის, ალბათ... ზაქროს უდიდესი მონატრებით, სოფოსგან“.

„ჩემი თავგადასავალი ის არის, რომ ანზორს ვუყვარდი, მე კი თავს ვიფასებდი. ახლა პირიქითაა: მითხრა – არ მიყვარხარო, მე კი უზომოდ მიყვარს... მაიკო“.

„მამის სული დავიფიცე – თუ ჩემ მიმართ შესაფერის ყურადღებას არ გამოიჩენს, თუ ულამაზეს 14 თებერვალს არ მაჩუქებს, აუცილებლად დავშორდები, მიუხედავად იმისა, რომ მის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია“.

„3 წლის წინ, სიყვარულის დღე რომ თენდებოდა, ბიჭს, რომელიც მიყვარდა, ორიგინალური სიურპრიზი მოვუწყვე: მისი ეზო ფერადი ქაღალდებისგან გამოჭრილი გულებით მოვფინე. 400-მდე გული იყო. თითოეულზე კი სასიყვარულო ტექსტი ეწერა. ეს „ოპერაცია“ შუაღამით, ჩემი მეგობრების დახმარებით განვახორციელე. ახალციხეში, ამ ქუჩაზე ყველაზე მეტი ძაღლია და ღამით იქ გავლა უშიშარ ადამიანსაც უჭირს. გამონაკლისი არც ჩვენ აღმოვჩნდით და ატყდა ერთი ღრიანცელი. ძლივს გადავურჩით დაკბენას. თუმცა, ჩემს გულცივ ტურფას ამაზე რეაქცია არ ჰქონია. სამაგიეროდ, ბებიამისი, რომელიც შემთხვევით გავიცანი, ამ ამბავს ისეთი ემოციებით ჰყვებოდა, რომ სიცილს ვერ ვიკავებდი. ის სოფელში ცხოვრობს და ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ მის წინ ამ იდეის ავტორი და შემსრულებელი ივჯდა. ლონდრე, ასეთ რამეს ვერავინ ვერასდროს გაგიკეთებს. ალალი და უსაყვედურო იყოს შენზე, მაგრამ ვიცი, არც წელს მოგილოცავენ ასე ლამაზად და არც სხვა დროს. ჟურნალების კითხვა ხომ მაინც გასწავლე! იცი, რომ ხშირად ვწერ „გზავნილებში“ და გაინტერესებს, რას მოგწერ? კიდევ, იცი რა? იმიტომ კი არ მომწონდი, რომ კარგი ხარ, არამედ იმიტომ ხარ კარგი, რომ მე მომწონდი. გაიგე, სიყვარულყოფილო?“

„ჩემი ცხოვრება მართლაც, საინტერესო თავგადასავლებით არის სავსე. ჩემმა უბნელებმა და ჩემი შეყვარებულის უბნელებმა ერთმანეთში იჩხუბეს. ყველაზე მეტი მე მომხვდება, როცა ყველა გაიგებს, რომ მე იმ უბნელი შეყვარებული მყავს და მის გარეშე ნამდვილად არ შემიძლია ცხოვრება. ყველა ხვდება, რომ შეყვარებული ვარ, მაგრამ ვისზე – ამას მალე გაიგებენ“.

„საინტერესო ამბავი იყო, როცა ჩემს დაქალს ყოფილი შეყვარებული დაუბრუნდა, რომელმაც ვიღაც ქუჩის ქალთან უღალატა და ახლა შესარიგებლად უთხრა – რატომ არ უნდა მაპატიო? მე ხომ სამშობლოსთვის არ მიღალატია, შენ გიღალატეო... თათა“.

„ყველაზე კარგი თავგადასავალი გადამხდა ამ ზაფხულს. 19 წლის გოგოს შემიყვარდა 14 წლის ბიჭი! – წარმოგიდგენიათ?..“

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად კი გთავაზობთ – ჩემი სიდედრი შენსას სჯობია... გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61. გვიამბეთ სიდედრების შესახებ. გეშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

მოვუფრთხილდეთ „ორგანოთა დედოფალს“

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

აღმოსავლელი ბრძენი მკურნალები ღვიძლს, ორგანოთა დედოფალს უწოდებდნენ. და მართლაც, მის გარეშე, დაუცველი ვიქნებოდით იმ მავნე ნივთიერებათა შემოტევისას, რომლებსაც ჩვენი ორგანიზმი ყოველდღიურად ხვდება და რომელთა ნეიტრალიზებასაც ეს დაუღალავი მშრომელი ახდენს.

მავნე რჩევები

გსურთ, რომ თქვენი ღვიძლი რაც შეიძლება მალე გამოვიდეს მწყობრიდან? მაშინ მიეძალეთ ცხოველურ ცხიმებს, შემწვარ-მოხრაკულს, კეტჩუპს, მაიონეზს, კონსერვებს, ძეხვეულს, სოსისს, კონსერვანტებით და სტაბილიზატორებით მდიდარ პროდუქტებს; ასეთ შემთხვევაში, თქვენი ღვიძლის მდგომარეობა თვალსა და ხელს შუა გაუარესდება. მაგრამ ღვიძლის მთავარი მტერი ალკოჰოლია. რატომაა, რომ ალკოჰოლური სასმლის დალევიდან მეორე დღეს, ადამიანს აქვს ნაბახუსევი, სისუსტეს გრძნობს, აწუხებს თავის ტკივილი, სიმძიმის შეგრძნება და ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშ, იქ, სადაც ღვიძლი მდებარეობს? იმიტომ, რომ ორგანიზმი სერიოზულად იყო მოწამლული და ამ მოწამვლის სიმპტომები გამოააშკარავდა. თუ ასეთ ექსტრემალურ დატვირთვას ყოველდღიურად მიაყენებთ „ორგანოთა დედოფალს“, ბოლოს და ბოლოს, ყველაზე ჯანსაღი ღვიძლიც კი ვერ გაუძლებს ამას და მოხდება ღვიძლის ნორმალური უჯრედების გადაგვარება ცხიმოვან უჯრედებად (განვითარდება ციროზი), ორგანიზმი კი პრაქტიკულად დაუცველი დარჩება.



ღვიძლი რომ ჯანსაღი იყოს

იმ პროდუქტების გარდა, რომლებიც ხელს უშლის ღვიძლის სიჯანსაღეს, არსებობს სხვა პროდუქტებიც, რომლებიც აუმჯობესებს მის ფუნქციებს. მათ რიგს მიეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, ხილი და ბოსტნეული, რომლებიც მდიდარია ბუნებრივი სორბენტებით – პექტინებით. ისინი „განტვირთავს“ ორგანიზმს ღვიძლსა და ნაწლავებში დაგროვილი მავნე ნივთიერებებისაგან. პექტინები მრავლადაა ზღვის წყალმცენარეებში, ვაშლში, გოგრაში, კომშში. ეს მცენარეები ერთნაირად სასარგებლოა როგორც ცოცხალი, ისე შემწვარი ან მოხარშული სახით (სხვათა შორის, თერმული დამუშავებისას პექტინების რაოდენობა მატულობს კიდეც!). ნივთიერება აგარ-აგარი, რომელიც წყალმცენარეებიდან მოიპოვება და ჟელეს მოსამზადებლად გამოიყენება, წარმოადგენს პექტინის ნატურალურ, ფხვნილისებრ კონცენტრატს.

ღვიძლს იცავს და ამაგრებს აგრეთვე ჩაი (შავი და მწვანე), ჭარხალი (წვნი, სალათებში, წვნიანში), სიმინდი, კომბოსტო, მზესუმზირისა და ზეითუნის ზეთი, კამა, ოხრახუში, ბაბუაწვერა, ასკილის ნაყენი.

კერძის მომზადებისას ეცადეთ, ნებისმიერი პროდუქტი მოხარშოთ ან გამოაცხოთ, მაგრამ არ შეწვათ, რადგან შემწვარი ცხიმი მეტისმეტად ტვირთავს ჯანსაღ ორგანოსაც კი.

ღვიძლით დაავადებულს ვურჩევთ, გამოიცხოს რაციონიდან ძნელად მოსანელებელი ცხიმები, განსაკუთრებით – ღორისა და ცხვრის ქონი, რადგანაც ცხიმი გადამუშავდება ნაღველით და თუ ორგანიზმში ნაღველი არასაკმარო რაოდენობით გამომუშავდება, იწყება მძიმე მოწამვლა. სუფთა მცენარეული ცხიმები კი, პირიქით, სასარგებლოა – ისინი ადვილად აითვისება და თან წაღველმდენი ეფექტით ხასიათდება. მაგრამ თუ ადამიანს სანაღვლე გზებში აქვს კენჭები, მცენარეულ ცხიმებთანაც სიფრთხილე მართებს, რადგან დღეში 2-3 კოვზზე მეტი რაოდენობით ზეთის მოხმარებამ (განსაკუთრებით ერთდროულად) შეიძლება, კენჭების დაძვრა და კოლიკის განვითარება გამოიწვიოს.

არაჟანსა და კარაქს შუალედური მდგომარეობა უკავია ღვიძლისათვის მავნე და სასარგებლო ცხიმებს შორის, ისინი ნეიტრალურ პროდუქტებს წარმოადგენს.

ღვიძლის სხვადასხვაგვარი პრობლემის არსებობისას, სასარგებლო არ არის ხახვი, ნიორი, პირშუშხა, მდოგვი, ბოლოკი, თალგამი – ისინი შეიცავს ეთერზეთებს, რომელთაც ძლიერ გამაღიზიანებელი ეფექტი ახასიათებს და შესაძლოა, ღვიძლის გლუვი მუსკულატურის სპაზმი და კოლიკი გამოიწვიოს. იგივე შეიძლება ითქვას სხვადასხვაგვარ სანელებლებზე: წიწაკაზე, მიხაკზე, კოჭაზე და ა.შ. უვნებელ და სასარგებლო სანელებლებს კი მიეკუთვნება კამა, ნიახური, ქინძი, ოხრახუში. ■



ფსორიაზის საიდუმლო გაიხსნა

ამერიკელმა მეცნიერებმა პირველად აღწერეს ფსორიაზის განვითარების მექანიზმი. აღმოჩნდა, რომ ამ დაავადებას საფუძვლად უდევს იმ ცილის ფუნქციის დარღვევა, რომელიც დაზიანებული კანის შეხორცებაზეა პასუხისმგებელი.

ტეხასის უნივერსიტეტში ლაბორატორიულ ცხოველებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ფსორიაზის დროს, უმრავლეს შემთხვევაში ფიქსირდება ჯანსაღი კანისთვის უცხო ფენომენი – STAT3 ცილის მაღალი შემცველობა და უჯრედული იმუნური სისტემის მაღალი აქტიურობა. სპეციალისტთა აზრით, ეს ორი რგოლი ქმნის დაავადების გამომწვევ ჯაჭვს. STAT3 ცილა აკონტროლებს კანის უჯრედების დაყოფას მისი დაზიანების შემთხვევაში. ნორმაში, კანის დეფექტის შეხორცების დასრულებისთანავე, ეს ცილა ინაქტივირდება და ამით აჩერებს უჯრედთა გაყოფას. მაგრამ ფსორიაზის დროს, მისი აქტიურობა მომატებული რჩება და უჯრედები განაგრძობს დაყოფას. ეს იწვევს ქრონიკული ანთების განვითარებას – იმუნური სისტემა კი ცდილობს „ზედმეტი“ ქსოვილის განადგურებას – ამგვარად ყალიბდება ფსორიაზისთვის დამახასიათებელი სიმპტომები.

მეცნიერებმა არა მხოლოდ აღწერეს ეს პროცესი, არამედ მისი შეჩერებაც შეძლეს. მათ მოახდინეს სპეციფიკური ოლიგონუკლეოტიდის (დნმ-ის ფრაგმენტის) სინთეზირება და მიიღეს სპეციალური სამკურნალო კრემი, რომელიც ეწინააღმდეგება STAT3. ცილის ზემოქმედებას კანის უჯრედებზე და ამის შედეგად წყდება უჯრედთა პათოლოგიური გაყოფა. ლაბორატორიულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ კრემი მართლაც აფერხებს დაავადების განვითარებას. ■

ცუდი ჭურჭელი

საჭმლის მომზადებისას დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქტის კულინარიულ დამუშავებასაც და დიასახლისის მიერ გამოყენებულ ჭურჭელსაც. ჯანმრთელობისათვის ძალზე საშიშია ალუმინის ჭურჭელი. მასში არ შეიძლება რძის ადუღება, რძიანი ფაფის მოხარშვა, ბოსტნეულის ხარშვა. საქმე ისაა, რომ რძის ტუტე გარემოსა და ბოსტნეულის მჟავე გარემოს ზემოქმედების შედეგად, ალუმინი მიკროსკოპული დოზებით ხვდება კუჭში. ალუმინის ჭურჭელში შეგიძლიათ აადუღოთ წყალი, რომელიც ნეიტრალურ ნივთიერებას წარმოადგენს, აგრეთვე მოხარშოთ ფაფა წყალზე ან გამოაცხოთ რამე.



ჯანმრთელობისთვის საშიშია აგრეთვე მომინანქრებული ჭურჭელი, რომელსაც ადგილ-ადგილ აცლილი აქვს მინანქრის ფენა, რადგან ლითონის გაშიშვლებული ზედაპირი ჟანგავს პროდუქტს, თანაც ხარშვის პროცესში მინანქრის შრე უფრო მეტად შეიძლება აეცალოს და საკვებს შეერიოს, შემდეგ კი კუჭში მოხვდეს.

არ შეიძლება ნამწვიანი ტაფის გახეხვა, ბაზრობაზე ნაყიდი, ლითონის ჯაგრისით. ასეთი გაწმენდის შემდეგ, ტაფის ნაფხაჭნ ზედაპირზე რჩება უწვრილესი ლითონის ბურბუშელები, რომელთა მოშორება ჩვეულებრივი გარეცხვისას შეუძლებელია. ტაფის შემდგომი გამოყენებისას კი, ეს წვრილი ნაწილები ჩვენს კუჭში აღმოჩნდება... ■

ანანასის შეუდარებელი ნიღაბი



ბოლო წლებში, კოსმეტოლოგებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ანანასი. ეს ეგზოტიკური ხილი ახალისებს და კვებავს სახის კანს, ამავე დროს, იცავს მას ცაბიძურებული ატმოსფეროს ზემოქმედებისაგან. ანანასის მწიფე რბილობი დავჭრათ და კარგად დავსრისოთ, შევურიოთ ერთი ჩ/კ თაფლი ან არაჟანი. მიღებული მასა დავიდოთ კოსმეტიკური რძით გაწმენდილ ან დაბანილ სახეზე 20 წთ-ით და შემდეგ ჩამოვიბანოთ ანადუღარი თბილი წყლით. ■



| | | |

საშენი მასალა — კალციუმი

11-დან 14 წლამდე ასაკში მოზარდები წელიწადში 10 სმ-ით იზრდებიან, ზოგი ვაჟი კი — 15-ითაც! ძვლებმა რომ ასეთ სწრაფ განვითარებას გაუძლოს, ბევრი კალციუმი ესაჭიროება.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მოზარდები საკვებთან ერთად კალციუმის საჭირო დღიური დოზის – 1500 მგ-ის მხოლოდ 50-60%-ს იღებენ, რადგანაც დაუბალანსებლად იკვებებიან და ის კალციუმიც, რომელიც ორგანიზმში აღწევს, ყოველთვის მთლიანად არ აითვისება. არადა, ძვლოვანი ქსოვილის ეს ძირითადი საშენი მასალა განსაზღვრავს მის სიმაგრესა და სიმკვრივეს. რაც უფრო ინტენსიურია ჩონჩხის ზრდა, მით მეტადაა საჭირო ეს მინერალი.

ბავშვებს ბევრი რძე, ხაჭო, ყველი, რძის პროდუქტი ესაჭიროებათ. თანამედროვე მოზარდთა კვების სტერეოტიპში კი რძე არ ფიგურირებს. ტინეიჯერთა შორის პრესტიჟულია „კოკა-კოლის“, „პეპსის“ და სხვა გაზიანი სასმელების სმა. მოზარდები ჭამენ ბევრ უსარგებლო საკვებს – ჩიფსებს, ორცხობილებს, მარილიან თხილს, რომლებიც აღიზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვან გარსს და აქვეითებს კალციუმის შეწოვას.

ბავშვებს ხშირად ვაჭმევთ ტკბილეულს, შოკოლადს, ნამცხვარს – ეს ყველაფერი კი აძნელებს ნივთიერებათა ცვლას და ხელს უშლის კალციუმის სრულფასოვან ათვისებას.

საჭირო თანამგზავრები

კალციუმი სხვადასხვა პროდუქტიდან სხვადასხვაგვარად აითვისება. მაგალითად, იგი მშვენივრად შეიწოვება რძემჟავა პროდუქტებიდან, რადგან უყვარს მჟავე გარემო. კარგად შეიწოვება ლაქტოზის თანხლებისას ანუ რძიდან. უყვარს ცილის „კომპანიაც“ – იგი ბევრია ხორცში, ხაჭოში, ყველში... ბოსტნეულიდან კი ორგანიზმი კალციუმს ცუდად ითვისებს, თუმცა იგი მცირე რაოდენობით არ არის მწვანილეულში.

ადრე მიაჩნდათ, რომ ცხიმიანი საკვები აუარესებს კალციუმის ათვისებას. დღეისთვის კი მედიკოსები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია ასე, როცა რაიმე მიზეზით დარღვეულია ცხიმების ათვისება და არ ხდება მათი დაშლა. ხოლო თუ საჭმლის მომნელებელი სისტემა ნორმალურად მუშაობს, შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. ამასთან კალციუმის ასათვისებლად საჭიროა, ცხიმში ხსნადი ვიტამინები A და D. ასე რომ, ცხიმების გარეშე ვერაფერს გავხდებით.

სასარგებლო აბი

შესაძლებელია თუ არა მხოლოდ საკვების მეშვეობით მოზარდი ორგანიზმის გაჯერება კალციუმით? თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვი დაიბადა ამ მინერალის კარგი მარაგით და განვითარების მთელ პერიოდში, მას საჭირო რაოდენობით იღებდა: დედა სწორად იკვებებოდა ორსულობის დროს და ნაყოფი ამ მინერალის საჭირო რაოდენობას იღებდა; შემდგომში პატარა, დედის რძით ან კალციუმის საკმაო რაოდენობის შემცველი საკვებით იკვებებოდა; მაგრამ თუკი თქვენ არასოდეს დაფიქრებულხართ იმაზე, თუ რამდენი კალციუმია თქვენი პირმშოს დღიურ რაციონში და ამ მინერალის დეფიციტს ბავშვი მრავალი წლის მანძილზე განიცდიდა, მხოლოდ დიეტით ვერაფერს გახდებით. მოგიწევთ, მინიმუმ 6 თვის განმავლობაში (ნაკლებ დროში ეფექტს ვერ მიაღწევთ) ასვათ მოზარდს კალციუმის პრეპარატები დოზით 500 ან 1000 მგ დღეში. სწორედ მაშინ მოხდება საჭირო ბიძგი ზრდაში და ჩონჩხი დაიწყებს სწორად განვითარებას, ძვლებიც გამაგრდება. დოზის გადაჭარბების ნუ შეგეშინდებათ – „ზედმეტი“ კალციუმი არ შეიწოვება.

რა უშლის ხელს კალციუმის ათვისებას

● ჰიპოდინამია. აქტიურად მოძრავი ბავშვი საკვებიდან 10-15%-ით მეტ კალციუმს იღებს, ვიდრე მისი ნაკლებად მოძრავი თანატოლი.

● მზის სინათლის უკმარისობა. კალციუმის ასათვისებლად საჭიროა D ვიტამინი, რომელიც მზის სინათლის

ზემოქმედებით გამომუშავდება. ბავშვები კი (განსაკუთრებით ქალაქში) ჰაერზე ნაკლებად არიან.

● ქრონიკული დაავადებები. ხშირი ინფექციური პათოლოგია.

● ჰორმონული დარღვევები. გოგონებში მენსტრუაციის დაგვიანება, თვიური ციკლის დარღვევა, ვაჟებში – მამაკაცური სასქესო ჰორმონების უკმარისობა, რაც მეტისმეტ სიმსუქნეში ვლინდება.

გაზიანი სასმლის ვერაგობა

გაზიანი სასმლის შემადგენლობაში შემავალი ფოსფორმჟავა ნაწლავებში იკავშირებს კალციუმს და ხელს უშლის მის შეწოვას. ფრანგმა პედიატრებმა დაადგინეს, რომ იმ ახალგაზრდა სპორტსმენებს, რომლებიც რეგულარულად სვამენ გაზიან სასმელებს, ძვლების მოტეხილობა კალციუმის ნაკლებობის გამო 5-ჯერ უფრო ხშირად ემართებათ, ვიდრე მათ, ვინც ამ სასმელებს იშვიათად სვამენ.

■

თეფშები მსუქნებისთვის

დიეტოლოგები ურჩევენ ზედმეტი წონის დაკლების მსურველებს, შეიძინონ ლურჯი ან მწვანე ფერის თეფშები – თურმე, ამ ფერის თეფშები ამშვიდებს ნერვულ სისტემას და ხელს უშლის მადის გაძლიერებას.

■

რა შემთხვევაში ვცოდავთ ვერცხლისმოყვარეობის ცოდვით?

„ვერცხლისმოყვარეობა არის ძლიერი სურვილი იმისა, რომ შევიძინოთ სიმდიდრე, განსაკუთრებით ყოველგვარი სიმდიდრის წარმომადგენელი — ფული“ — ასე განმარტავს ვერცხლისმოყვარეობას წმინდა ეპისკოპოსი გაბრიელი. ამრიგად, ვერცხლისმოყვარეობა არის სწრაფვა სიმდიდრისკენ, ზომაგადასული სურვილი სიმდიდრისა და ქონების შეძენისა. ეს ცოდვა ერთ-ერთია რვა უმთავრეს მომაკვდინებელ ცოდვათაგან...

მორენა მერკვილაძე

წმინდა ეპისკოპოს ეგნატე ბრიანჩანინოვის სწავლებით, ადამიანს ვერცხლისმოყვარეობის ცოდვად ეთვლება: ფულისა და უძრავ-მოძრავი ქონების სიყვარული; გამდიდრების დაუოკებელი სურვილი; მისი მიღწევის გზებზე დაუსრულებელი ფიქრი; მოსალოდნელი სიღატაკის შიში; სიძუნწე; ანგარება (როდესაც ვინმეს ვუძღვნით რაიმეს იმის გამო, რომ მისგან უკეთეს საჩუქარს ან უფრო დიდი ღირებულების ნივთის მიღებას მოველით). ვერცხლისმოყვარეობაა აგრეთვე საჩუქრების სიყვარული; სხვისი ქონების მითვისება; მევახშეობა; ულმობელი მოპყრობა გაჭირვებულთა მიმართ – მათთვის ქონების გამოძალვა და სხვა.

რომელ ცოდვებს შობს ვერცხლისმოყვარეობა?

ვერცხლისმოყვარეობა ხშირად ხდება მიზეზი და საფუძველი შემდეგი ცოდვებისა: სისასტიკის; ქურდობის; მკვლელობის; თაღლითობის; ძალადობის; უმოწყალობის; გულის გაუხეშების; შურის; მუხანათობის და სხვა მსგავსი ცოდვების. ვერცხლისმოყვარეობას ადამიანი ხშირად მიჰყავს ღვთის იმედის დაკარგვამდე. მაგალითად, როდესაც ადამიანი იწყებს ფულის თუ სხვა ქონების „შავი დღისთვის“ დაგროვებას, გამოდის, რომ მას არ სწამს უფლის, რომელიც ბრძანებს: „ეძიებდეთ სასუფეველსა ღვთისასა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“ (ლუკა 12, 31). ასეთი ადამიანი მთელ თავის სასოებას (იმედს), უფლის ნაცვლად, ფულზე ამყარებს, ეს კი, ღვთისგან მის განდგომილებაზე მიუთითებს, რაც უმძიმესი ცოდვაა. ვერცხლისმოყვარეობა რომ უდიდესი და უმძიმესი ცოდვაა, ნათლად ჩანს წმინდა მამის – იუსტინე პოპოვიჩის სიტყვებიდან: „ვერცხლისმოყვარეობავ, შენ უღალატე იესო ქრისტეს“... იუდამ, უფლის ერთ-ერთმა მოციქულმა ხომ სწორედ ვერცხლისმოყვარეობის გამო უღალატა იესო ქრისტეს, მან ხომ 30 ვერცხლის გამო გასცა მაცხოვარი: „ეშმაკეულით შეპყრობილ ათას კაცთან მიჯობს საქმის დაჭერა, ვიდრე ერთ ვერცხლისმოყვარესთან, რადგან არც ერთ ეშმაკეულით შეპყრობილს არ გაუკეთებია ის, რაც გააკეთა იუდამ ფულის გულისთვის“. ამდენად, როდესაც ადამიანს იპყრობს ქონების მოხვეჭის დაუოკებელი სურვილი, ის იუდას ცოდვას იმეორებს, რადგან ნებისმიერ დროს, მზად არის, რომ ფულის გულისთვის უღალატოს ღმერთსაც და მოყვასსაც.

საერთოდ, როგორია ეკლესიის დამოკიდებულება სიმდიდრის მიმართ — ამზადებს თუ არა სიმდიდრე ყოველთვის ადამიანის სულს ჯოჯოხეთისთვის?

სიმდიდრე – ანუ მატერიალური შესაძლებლობა, ადამიანისთვის ღვთის კურთხევადაც შეიძლება იქცეს და შეჩვენებადაც. სიმდიდრე იმ შემთხვევაში წარწყმედს ადამიანის სულს, როდესაც მდიდარი არ გასცემს თავის ქონებას – ე.ი. არ ცდილობს, რომ თავისი შენაძენით ღმერთს და მოყვასს ემსახუროს, არამედ ქონებას იხვეჭს მხოლოდ იმისათვის, რომ იცხოვროს ფუფუნებაში და დატკბეს ამქვეყნიური სიამეებით. ხოლო თუკი მდიდარი ადამიანი აღასრულებს ღვთისთვის სათნო საქმეებს, რომლებიც რწმენაზეა აღმოცენებული – ანუ შეეწევა უპოვართ და უძლურთ, სწირავს ქონებას ტაძრებსა და მის მსახურთ და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, სიმდიდრე ღვთის კურთხევად იქცევა. ადამიანი რაც მეტ მოწყალების საქმეს აღასრულებს, ღვთისგან მეტ საზღაურს მიიღებს, რამეთუ უფალი ბრძანებს: „ნეტარ არიან მოწყალენი, რამეთუ ისინი შეიწყალნენ“.

როგორ შეიძლება, ადამიანმა სძლიოს ვერცხლისმოყვარეობას?

ვერცხლისმოყვარეობის ცოდვით დაცემულმა ადამიანმა უპირველესად, უნდა გააცნობიეროს (შეიცნოს) ამ ცოდვის სიმძიმე და დამღუპველი ზემოქმედება, რომელიც ამა სოფლიდან გასვლის შემდეგ, სულს სამუდამო სატანჯველს მიაგებს. გარდა ამისა, ვერცხლისმოყვარეობის ცოდვის დასაძლევად, უნდა გავიხსენოთ უფალ იესო ქრისტეს ნებაყოფლობითი სიღატაკე და სიგლახაკე, რომელიც ჯერ ხორციელად მოვლინების დროს გვიჩვენა, შემდეგ კი – თავისი მიწიერი ცხოვრებით. ამასთანავე, უნდა გვქონდეს ხსოვნა ღვთისა და სიკვდილისა, სამსჯავროსი (სადაც ყველა მოუნანიებელი ცოდვა მკაცრად მოგვეკითხება უფლისგან და მკაცრადვე დავისჯებით), რადგან სიკვდილისა და უფლის სამსჯავროს ხსოვნა, საუკეთესო საშუალებაა ამქვეყნიური მისწრაფებების დასაძლევად. „მდიდარი ადამიანი ასევე უნდა ფიქრობდეს, რომ იგი არის მოურავი (განმკარგულებელი სიმდიდრისა და არა ბატონ-პატრონი) და რომ განკითხვის დღეს მან პასუხი უნდა აგოს უფლის წინაშე ამ მოურავობის შესახებ“ – განმარტებულია „სარწმუნოების მართლმადიდებლურ აღსარებაში“. და რაც მთავარია, ვერცხლისმოყვარეობის ცოდვით დაცემულმა ადამიანმა საკუთარ თავს უნდა დაუწესოს ამ ცოდვის საპირისპირო სათნოება.

რომელია ვერცხლისმოყვარეობის საპირისპირო სათნოება?

ვერცხლისმოყვარეობის საპირისპირო სათნოებაა უპოვარება. უპოვარებაში იგულისხმება: მხოლოდ აუცილებლით დაკმაყოფილება; ფუფუნებისა და განცხრომის მოძულება; გლახაკთა შეწევნა; სახარებისეული სიგლახაკის სიყვარული; ღვთის განგებაზე სასოების დამყარება; ქრისტეს მცნებების შესრულება; ლმობიერება. ■

სადისკომო შედევრი, იპოლიტეს ალმოჩენა და თვალცრემლიანი ემიგრანტები

„ფესვების“ გადასაღებ მოედანზე: გუგული მგელაძე მსახიობებთან მუშაობისას

შავ-თეთრი გახდა ჩვენი ცხოვრება და ველარ ვიღებთ სანუკვარ ფილმებს, აპარატს ტენი ფერადი ფირით, ის კი ჯიუტად შავ-თეთრად იღებს.

ეს ცნობილი ქართველი კინორეჟისორის — გუგული მგელაძის ლექსია. ინტერვიუზე მისულს, თავისი ლექსების კრებული მაჩუქა და მითხრა — კინოს ველარ ვიღებ, საშუალება არ არის და ჩემს სათქმელს ლექსით ვამბობო. სამწუხაროა, რადგან ბატონი გუგულის ფილმები ხომ ყველა ქართველისთვის საყვარელი გახლავთ. ალბათ გახსოვთ, „ბურთი და მოედანი“ (გენიალური იპოლიტე ხვიჩია მთავარ როლში და მისი დაუვიწყარი ფრაზა „არის თუ არა ეს ბილეთი?!“), „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“, „ცისკრის ზარები“, „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ“, „მაცივარში ვიღაც იჯდა“, „ფესვები“, „ჩაკლული სული“ და სხვა.

ნათია თენიეშვილი

— ბატონო გუგული, კინოსტუდიაში მომხდარი საშინელი ფაქტის შემდეგ, როცა თითქმის მთელი კინოარქივი დაიწვა, რა ბედი ეწია თქვენს ფილმებს, შემთხვევით ხომ არ გადარჩა რომელიმე?

— 95 პროცენტი თუ დაიწვა, ალბათ, ჩემი ფილმებიც დაიწვა. თუ ბედმა ერთიორი გადაარჩინა, მადლობას ვიტყვი. ზუსტად არ ვიცი, გადარჩა თუ არა რომელიმე. ერთი თვის წინ, საშა რეხვიაშვილი იყო ჩემთან სტუმრად და მითხრა — ჩვენი ფილმები საშინელ დღეშია და სასწრაფოდ წამოიღეო. დავურეკე საცავის დირექტორს და ვუთხარი, მანქანით მოვალ და ფილმების წამოღება მინდა-მეთქი. ამ დღეებში სხვა შენობაში გადავდივართ და ყველაფერი იდეალურ მდგომარეობაში იქნება, თქვენ რომ წაიღოთ, სახლში გაფუჭდებაო — მითხრა. დავუჯერე და აი, ასეთი ამბავი მოხდა. რომ გავიგე, თავზარი დამეცა. ეს ამბავი, გიომ *(რეჟისორი გიო მგელაძე, ბატონი გუგულის ვაჟი. — ავტ.)* მითხრა და კინაღამ გონება დავკარგე. მერე იფიქრა, რამე არ მოუვიდესო და მომატყუა — ფონოგრამა დაიწვაო. საოცარი ის არის, თუ ამ ორსამ დღეში უნდა გადასულიყვნენ ახალ შენობაში, მაშინ, რატომღა აკეთებდნენ შედუღებას, რისგანაც ხანძარი გაჩნდა. არ ვიცი. ეს ფილმები ვიდეოკასეტებზე არის, მაგრამ კინოფირის ხარისხისგან ძალიან განსხვავდება. ფირები *(საწყისი მასალები. — ავტ.)* მოსკოვში ინახება, მაგრამ მათ ჩამოტანას დიდი თანხები სჭირდება. თანაც, იქ არ არის ქართული ფონოგრამა. ახლად გახმოვანება შეიძლებაო, ამბობენ, მაგრამ სპარტაკ ბაღაშვილის ხმას ვინ აღადგენს?.. რაღაცისთვის მჭირდებოდა „ბურთი და მოედანი“ და წამოვიღე; ის დამრჩა, კიდევ კარგი. აღდგენა რაღაცნაირად შესაძლებელია, მაგრამ ხარისხს ყველა შემთხვევაში დავკარგავთ.



გიო მგელაძე — კადრი ფილმიდან „ჰელადოს“

— ცოტა ხნის წინ გამოვიდა თქვენი ფილმი — „გაჭედილები“, რომელშიც მთავარ როლს ოთარ მელვინეთუხუცესი ასრულებს. რამდენი ხანი იღებდით ამ ფილმს?

— 6 წელიწადი ვიღებდი. ფირზე უნდა გადამეღო, მაგრამ რა მოხდა, არ ვიცი: აპარატურა გამომართვა სტუდიამ, ვითომ, შესაკეთებლად და აღარ დამიბრუნეს. იძულებული ვიყავი, ვიდეოზე გადამეღო. ხარისხი ის არ არის, რასაკვირველია. თანხაც ვერ მომცეს იმდენი, რამდენიც უნდა მოეცათ. გენიალური სცენარია, ის რომ სრულყოფილად გადამეტანა ეკრანზე, ეს იქნებოდა საუკეთესო ფილმი ჩემს შემოქმედებაში. გივი სიხარულიძე მეხმარებოდა და ძალიან დიდი მადლობა მას ამისთვის. ფილმი ავტობიოგრაფიულია, ზუსტად ისე, წვალებით ვშოულობდით ფულს ამ ფილმისთვის, როგორც ეს თვითონ ფილმშია მოთხრობილი.

— როდის და რატომ გადაწყვიტეთ, რეჟისორი გამხდარიყავით, ვინ ან რამ იქონია თქვენზე გავლენა?

— პატარა ბიჭი ვიყავი. ვიღაცა შემხვდა ქუჩაში და მითხრა — თმა გაიზარდე, კინოში უნდა გადაგიღოთო. მთელი ზაფხული ვიზრდიდი თმას, მაგრამ არავინ მოვიდა და გავიკრიჭე. მერე მოვიდა ილო, კინოსტუდიის თანამშრომელი და სტუდიაში გეძახიანო — მითხრა. „ქაჯანას“ იღებდნენ. რომ მივედი, გაგიჟდა რეჟისორი, თმა რომ არ მქონდა, მაგრამ მაინც გადამიღეს პატარა ეპიზოდში. თუ გახსოვთ, ქაჯანა მუნჯდება. ჩემი გმირი, მეგობართან ერთად ღობეზე ზის. ის მეუბნება — წავიდეთ, რა, ქაჯანასთანო. მე ვეუბნები — ჩვენც რომ დავმუნჯდეთ-მეთქი?.. კინოში რომ ვნახე ეს ფილმი, ამ ფრაზაზე ხალხი ბევრს იცინოდა. მაშინ ვერ ვხვდებოდი, რა იყო აქ სასაცილო. ამის მერე მიხეილ ჭიაურელმა გად-

ამიღო „გიორგი სააკაძეში“, შვილის – ავთანდილის როლში. პაატას მერაბ კოკოჩაშვილი თამაშობდა. ფირის სუნმა იცის შეყვარება, ძალიან შემიყვარდა ის სტუდიაც. მერე კინოსკოლაში შევედი, ოღონდ, არ დაგიმალავთ, იქ უფრო იმის გამო შევედი, რომ ჯარში არ წავსულიყავი. იქ სწავლის პერიოდში ჩამოვიდნენ მოსკოვიდან, აგვარჩიეს რამდენიმე, წაგვიყვანეს და დავამთავრე მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. იქ ვითამაშე „ახალგაზრდა გვარდიასა“ და რამდენიმე ფილმში. დავამთავრე, თბილისში ჩამოვედი, მაგრამ კინოში არ მიღებდნენ. მერე ისე მოხდა, რომ გერასიმოვი *(რეჟისორი, მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის პედაგოგი. – ავტ.)* შემხვდა მატარებელში და იმის წყალობით მოვხვდი უკვე სარეჟისორო ფაკულტეტზე. ჩემი პირველი ფილმი იყო „განთიადი“. მაგრამ პირველი, რომელიც ეკრანებზე გამოვიდა, ხალხმა ნახა და შეიყვარა, „ბურთი და მოედანი“ გახლდათ. ეს იყო 1961 წელს. ამ ფილმით დავიცავი დიპლომი. ერთხელ, ინსტიტუტიდან გაგდებას მიპირებდნენ, იმ მოტივით – როგორ შეიძლება, ზოგი ერთხელ ვერ ხვდება ამ ინსტიტუტში და თქვენ მეორედ სწავლობთო!.. აქაც გერასიმოვმა გადამარჩინა. მერე, „ბურთი და მოედანი“ რომ ჩავიტანე, ვინც გაგდებას მიპირებდა, ის პირველი მოვიდა და გადამეხვია.

— ბევრი ფილმი გაქვთ გადაღებული და უამრავ ქართველ მსახიობთან გაქვთ ნამუშევარი. რომელს გაიხსენებდით?

– დოდო აბაშიძე იყო გენიალური მსახიობი. კი აფასებდნენ, მაგრამ ბევრი ვერ ხვდებოდა, რომ მის გვერდით გენიალური მსახიობი იდგა. ის მსოფლიო დონის მსახიობი იყო. თამაშობდა „ვერის უბნის მელოდიებში“ და „ფესვებშიც“. კომედიის თამაშიც შეეძლო, დრამისაც, ფარისისაც და საერთოდ, ყველაფრის. მსახიობი პირველ რიგში, პიროვნება უნდა იყოს; რაც უფრო მდიდარია, თავისი სულიერი სამყაროთი, მით უფრო დიდი მსახიობია. ასეთი იყო დოდო. მასთან ყოფნას არაფერი სჯობდა, სულიერად მდიდრდებოდი. სულ ხუმრობდა და იფიქრებდი, როლზე არც მუშაობდა. როლზე მუშაობდა თვეობით, მაგრამ ამას ვერავინ ამჩნევდა. ჩვენ ძალიან ვმეგობრობდით, ის ჩემს ბევრ ფილმშია გადაღებული. „ფესვებს“ რომ ვიღებდი, პარიზში ერთად შევხვდით ემიგრანტებს. ზღაპრულად ითამადა, იმღერა, ატირა, აცინა ის ხალხი. ბოლოს უთხრა – დაბრუნდით საქართველოშიო. – რაღა დროს ჩვენი დაბრუნებააო?!. – 80 წელს იყვნენ მიღწეულები უკვე... ჩვენ გვერდით ცხოვრობდა საფრანგეთის კონსული. იმას ვაჩუქე ვიდეოკასეტა და გაგიჟდა კაცი, ისე მოეწონა. ვერ ნახავთ საზღვარგარეთ ემიგრანტს, რომელსაც „ფესვები“ არ აქვს შინ. ეს არის ჩემთვის მთავარი... კომუნისტების დროს ფესტივალებზე ათასგვარი სისაძაგლე ხდებოდა. „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ ლონდონში შემთხვევით იქნა ნაჩვენები. უდიდეს კინოკრიტიკოს გილეტს მოუთხოვია – რამე თანამედროვე მაჩვენეთო. უნდა დაეკმაყოფილებინათ მისი მოთხოვნა. მექანიკოსის ჯიხურში შემთხვევით დებულა ჩემი ფილმი და გაუშვიათ. ოთარ იოსელიანმა მითხრა, 40 წუთი ლაპარაკობდა გილეტი ამ ფილმზეო. მისი მოთხოვნით შეიტანეს ფესტივალის პროგრამაში.

„ცისკრის ზარების“ გადაღებისას

— საბჭოთა პერიოდში საკმაოდ დიდი ცენზურა იყო ფილმებზე; როგორც ვიცი, სცენარი აუცილებლად მოსკოვს უნდა დაემტკიცებინა. თქვენ თუ შეგხვებიათ ეს პრობლემა და ამის გამო ხომ არ გაგფუჭებიათ რომელიმე ფილმი?

– მქონდა ასეთი ფილმი – „ბათენების წინ“, რომელიც ამის გამო გამიფუჭდა. ეს ჩემი ბრალი იყო, ვერ გამოვიჩინე პრინციპულობა და იქვე გადავაკეთე. ფილმს თუ არ მიიღებდნენ, ფულს არ მოგცემდნენ, სხვანაირად თავს ვერ ირჩენდი. ამიტომ დავთმე და ბევრი რამე გაფუჭდა ამ ფილმში. ის კრიტიკოსებიც და ჩვენც, ყველანი ერთ ბედქვეშ ვიყავით. არც იმათ მოსწონდათ ეს დიქტატურა, ისინიც ამ წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ და თუ შეეძლოთ, ხელს გვიწყობდნენ ჩვენი სათქმელის თქმაში. ახლა, როცა დრო გავიდა, ვხვდები ამას. „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“ შეიძლებოდა, უკეთესი ყოფილიყო. ერთი პერსონაჟი გვყავდა – მწერალი და ის ამოგვაღებინეს – ძალიან აშკარად „ურტყამდა“ იმ წყობას... ამის გამო, ისეთი მძაფრი სატირა აღარ გამოვიდა, როგორიც ჩანაფიქრში... გენიალური სცენარი მქონდა, რეზო ჭეიშვილის დაწერილი – „ციცინათელა“, იმის გადაღების უფლება არ მომცეს. მაგრამ ამ შემთხვევაში, მგონი, უფრო ჩვენმა, აქაურმა მეგობრებმა „ივაჟკაცეს“... ასევე მზად მქონდა ყველაფერი „ექვთიმე თაყაიშვილის“ გადასაღებად. მთავარ როლზე ოთარ მელვინეთუხუცესი მყავდა დამტკიცებული. მაგრამ ესეც არ გამოვიდა, ე.წ. „მეგობრების“ წყალობით. ეს სცენარი ახლაც მიდევს, მაგრამ ფული უნდა. ახლა თავისუფლება არის, მაგრამ ფული – არა. მაშინ ფული იყო და თავისუფლება – არა. როგორც წიგნი:

ფულს თარიზე და არ იყიდება,
უფასოდ კი დასინდა სული,
ვისაც ფული აქვს, მას არ სურდება,
ვისაც სურდება – არა აქვს ფული.

— თქვენ ეროსი მანჯგალაძესთანაც გიმუშავიათ. იქნებ, გაიხსენოთ.

– ეროსი იყო ზღაპრული პიროვნება. ყველას სჯობდა და ყველას გვჯობდა. ფილმის – „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ – მთავარ როლზე ორი მსახიობის სინჯი უნდა გადამეღო – დოდო აბაშიძის და ეროსის. დოდოს შემდეგ, მას ვთხოვე. ისინი მეგობრები იყვნენ. დოდო გაგისინჯავს და მე არავითარ შემთხვევაში არ მოვალ, დოდომ უნდა ითამაშოს ეს როლიო, – მითხრა ეროსიმ. აი, ასეთი კაცი იყო. სხვა მსახიობები რა ინტრიგებს არ ხლართავდნენ, რომ როლი მიეღოთ!.. ეროსი უნიკალური პიროვნება იყო... ძალიან გემრიელად ვიმუშავე მურმან ჯინორიასთან „ჩაკლუ-

ლი სულის“ გადაღებისას. იმ წუთშივე ხვდება, რა უნდა რეჟისორს. შესანიშნავი მსახიობია. დოდო ძალიან პუნქტუალური იყო, მე ვაგვიანებდი ხოლმე გადაღებებზე და ის იბღვირებოდა...

— ხშირად ხდება ისე, რომ ფილმი ძალიან პოპულარულია, მასში მონაწილე მსახიობებიც პოპულარულები ხდებიან, რეჟისორის გვარი კი, ბევრმა არც იცის. ამაზე გული არ გწყდებოდათ ხოლმე?

— გერასიმოვმა თქვა ერთხელ, მე და ტამარა მაკაროვა *(მსახიობი, გერასიმოვის ცოლი. — ავტ.)* ერთად რომ მივდივართ, ყველა ჩურჩულებს: მაკაროვა, მაკაროვაო. მე ვერავინ მცნობს, მაკაროვა კი მე გავხადე ის, რაც არის; იმასაც ამბობენ — ნახე, ამ ულამაზეს ქალს ვინ აჰკიდებიაო!.. ამ ბოლო დროს, უფრო კითხულობს ხალხი, ვინ არის რეჟისორიო?

— ფილმის წარმატებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მუსიკას. თქვენ რომელ კომპოზიტორებთან თანამშრომლობდით?

— ფელიქს ღლონტი უნიჭიერესი კომპოზიტორია. ის ავიყვანე „ბურთი და მოედნის“ კომპოზიტორად. სახლში დამიბარა მუსიკის მოსასმენად. რომ მივედი, დამიკრა რაღაც სიმფონია, გენიალური, მაგრამ ამ ფილმს არანაირად არ უხდებოდა. მერე სხვადასხვა ნაწარმოები მომასმენინა, არც ერთი არ ჯდებოდა ამ სურათის ხასიათში. აბა, რა გინდათო? — მკითხა. ვუთხარი, ფეხბურთის მარშის მოტივის სხვადასხვა ვარიაცია გამიკეთე-მეთქი. გააკეთა და ძალიან მოუხდა ფილმს. ხანდახან რეჟისორმა უნდა უკარნახოს კომპოზიტორს, რა სჭირდება და რა უნდა მას. ფილმისთვის მუსიკის დაწერა სპეციფიკური საქმეა. ნუგზარ ვაწაძეს, რომელმაც თითქმის ყველა ჩემი ფილმისთვის დაწერა მუსიკა, არაფრის თქმა არ სჭირდებოდა. „ფესვებში“ ვუღალატე — „ფესვების“ მუსიკა საშა რაქვიაშვილმა შექმნა. ეს მუსიკა რომ მოვისმინე, ცრემლები წამომივიდა.

— როცა თქვენს ფილმებს ახლა უყურებთ, თუ ფიქრობთ — საშუალება რომ მქონდეს, რაიმეს შევცვლიდიო?

— ხშირად ვუყურებ ჩემს ფილმებს. ერთმა მეგობარმა მითხრა — რას უყურებ, სხვანაირად ითამაშებს ის მსახიობიო?! ვუყურებ — ხომ არ „მოჰბერდა“, არის თუ არა ისევ საინტერესო... „ფესვებში“ რამდენიმე ეპიზოდთან დაკავშირებით ვგრძნობ დაუკმაყოფილებლობას. პარიზში,რესტორნიდან გამოვიპარე:მეორე დღეს მოვფრინავდით და რაღაცების ყიდვა მინდოდა, მომესწრო. ეტყობა, რომ გამოვიპარე, ღმერთმა დამსაჯა და ფეხი მივარტყი რკინას. 6 თვე მტკიოდა. სწორედ მაშინ ვიღებდი ბათუმში და ორი-სამი ეპიზოდის უკეთ გადაღება შეიძლებოდა, მაგრამ — ოღონდ მორჩეს-მეთქი, — ვფიქრობდი, რადგან ძალიან მტკიოდა ფეხი...

— მოდით, იპოლიტე ხვიჩიაც გავიხსენოთ.

— იპოლიტე მე გადავიღე კინოში პირველად. მანამდე, რაღაც ჰქონდა ნათამაშები, მაგრამ ისეთი არაფერი. „ბურთი და მოედანში“ გადავიღე. ამის მერე, წავიდა და წავიდა მაღლა მისი პოპულარობა... ათასჯერ მაქვს მოყოლილი: ფილმის — „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“ — გადაღების დროს, როცა ესიზმრება, რომ თავში არტყამენ აგურს, ჩვენ შევუკვეთეთ ფხვიერი აგური. ერთი ნამდვილი გამოერია და საშა კუპრაშვილს უნდა ჩაერტყა თავში. ის ეტყობა, მიხვდა ამას და რაღაც უნდოდა, ეთქვა ჩემთვის, მაგრამ მე ვანიშნე — მერე მითხარი-მეთქი და დავიძახე — „მოტორ!“ ჰოდა, ჩაარტყა და კინაღამ გაგიჟდა იპოლიტე, თვალები გადმოუტრიალდა. გენიალურია-მეთქი! — ვიყვირე. — რა გენიალური, მოკვდიო! — მითხრა იპოლიტემ... ბოლოს, უკვე ცუდად იყო, როცა ფილმში — „მაცივარში ვიღაც იჯდა“ — მესაათის როლში ვათამაშე. ვერ დადიოდა. ხელში აყვანილი მოვიყვანეთ და რომ ვიღებდით, წამოდგა და თავისი ფეხით წავიდა. რომ მიდიოდა, ზურგიდან ეტყობოდა, რომ ტიროდა. ჟინი მოიკლა იმ დღეს, თამაშით...

— ბატონო გუგული, ბოლოს, მინდა გკითხოთ თქვენი შვილის, გიოს შესახებ. როგორც რეჟისორი რეჟისორს, როგორ აფასებთ?

— მე 15 ფილმი მაქვს გადაღებული და არც ერთი პრიზი არ ამიღია. გიოს 3 ფილმი აქვს სულ გადაღებული და 4 გრან-პრი აქვს მიღებული... საინტერესოდ იღებს. სხვას არ ვიცი და მე კი მაჯობა. მერე რა, რომ ცოტა აქვს გადაღებული!.. მე ბევრი რამ მიკარნახა. „ჩაკლულ სულში“ ფინალს ვერაფრით ვაკეთებდი და გიომ მიკარნახა... მიხარია, რომ მჯობნის.

ბატონი გუგულის საყვარელი ქართული ფილმები, „სერენადა“ და „ქორწილია“ (რეჟ. მიხეილ კობახიძე), ასევე ძალიან მოსწონს „ცისფერი მთები“ (რეჟ. ელდარ შენგელაია). ახლა ფული რომ ჰქონდეს, აუცილებლად გადაიღებდა „ექვთიმე თაყაიშვილს“. მას ფილმის შეფასების თავისებური მეთოდი აქვს: — იმისათვის, რომ გაიგო, ფერწერული ტილო კარგია თუ ცუდი, კედელზე უნდა ჩამოკიდო; მისი ყურება თუ არ მოგწყინდა, ესე იგი კარგია, თუ არა და — ცუდი; ასეა კინოც — კარგი ფილმის ყურება არ უნდა მოგბეზრდეს, მისი ყურება განუწყვეტლივ უნდა შეგეძლოს, — ამბობს ბატონი გუგული. ■

ფრაზები გენიალური

ხელოვნება — უმშვენიერესი, უმკაცრესი, კეთილი და სასიხარულო სიმბოლოა მარადიულობისა.

თომას მანი

ლუიშ ფიგუ: საფეხბურთო სამყაროში დიდი უსამართლობაა გაბატონებული



მას შემდეგ, რაც მადრიდის „რეალის“ მთავარ მწვრთნელად ვანდერლეი ლუქსემბურგო დაინიშნა, „სამეფო კლუბში“ სიტუაცია შეიცვალა. ბრაზილიელი სპეციალისტი თავის წინამორბედებზე მკაცრია, „ვარსკვლავთბიჭუნებს“ დღეში ორჯერ ავარჯიშებს და თანაც შუალედებში, საწვრთნელი ბაზიდან გარეთ არ უშვებს. ყველაზე მეტად კი, „გალაქტიკოსები“ იმას შეუფიქრიანებია, რომ არ იციან, თუ ვის დაითხოვს გუნდიდან მომავალ ზაფხულს პრაგმატული სამხრეთამერიკელი. როგორც ცნობილია, ფერნანდო მორიენტესი მადრიდელებმა სწორედ კლუბში ვანდერლეის მოსვლის შემდეგ დაუთმეს „ლივერპულს“. ამბობენ, მიმდინარე სეზონის ბოლოს, ბექჰემსაც მის გზას გაუყენებენ და ლუქსემბურგოს აღარც ოუენი სჭირდებაო... ერთი სიტყვით, ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ყოფილ თავკაცს მადრიდელთა ვარსკვლავობა ჩირადაც არ უღირს. მაგალითად, ამას წინათ, მან პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი მატჩის მიწურულს, რონალდო მოედნიდან გაიყვანა, რის გამოც, ეს უკანასკნელი მეტისმეტად აღშფოთდა, სპორტული მოსაცმელი მოისროლა და უმალვე გასახდელისკენ გაეშურა. თუმცა, კიჭას გაშმაგებას მისივე თანამემამულე მწვრთნელი ოდნავადაც არ შეუკრთია. მოედანზე ვინ იქნება და ვინ – არა, ეს ჩემი გადასაწყვეტია და თუ ვინმეს რამე ეწყინა, ცივი წყალი დალიოსო, – განაცხადა ლუქსემბურგომ და ყველას მიანიშნა, რომ ახლა „სამეფო კლუბში“ მისი მბრძანებლობის ჟამია.

ბუნებრივია, ასეთი ვითარებისადმი გულგრილი ვერც ერთი „გალაქტიკო“ ვერ დარჩებოდა. მათ შორისაა ლუიშ ფიგუც, რომელიც მალე 33 წლის გახდება და არ არის გამორიცხული, რომ თავისი ასაკის გამო, კლუბის მიღმა აღმოჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, პორტუგალიელს საკონტრაქტო ვადა 2006 წელს ეწურება და მისთვის ახალი ხელშეკრულების გაფორმების წინადადებით ჯერ არავის მიუმართავს...

ლუიშ ფიგუ მეუღლესთან ერთად

ცოტა ხნის წინ, ფიგუმ ვრცელი ინტერვიუ მისცა გაზეთ Marca-ს და პრაქტიკულად ყველაფერზე გახსნილად ილაპარაკა: „რეალში“ შექმნილ ვითარებაზე, საკუთარ თავზე, „ბარსელონაში“ გატარებულ წლებზე, პორტუგალიის ნაკრებზე, კამაჩოზე, გარსია რემონზე, ლექსუმბურგოსა და რა თქმა უნდა, თავის ოჯახზეც.

— კარიერას „რეალში“ დაასრულებ?

— არ ვიცი. აქ თამაში მინდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობასაც უნდა ჰქონდეს „რეალში“ ჩემი ხილვის სურვილი. წინასწარ კომენტარს ნამდვილად ვერ გავაკეთებ იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. იმიტომ, რომ ყველაფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული. ვიდრე გუნდისთვის სარგებლობის მოტანა შემეძლება, „რეალში“ თამაშის სურვილიც მექნება; თუ სასარგებლო ხარ, კონტრაქტის გაფორმებასაც გთავაზობენ. ერთადერთი, რასაც ვითხოვ, ის გახლავთ, რომ კლუბის ხელმძღვანელობის აზრის შეტყობა მინდა. მოთმინება მმართებს, მაგრამ რომ ვიცოდე, ჩემთან დაკავშირებით „რეალის“ მესვეურები რა გადაწყვეტილებას მიიღებენ, უფრო მშვიდად ვიქნები. რომ ვიცოდე, მადრიდში აღარ დავრჩები, ახალი გუნდის მოსაძებნად მეტი დრო და შესაძლებლობა მომეცემა. ასე რომ, ამ ყველაფერზე მხოლოდ მაშინ დავიწყებ ფიქრს, როდესაც მათ აზრს შევიტყობ. ახლა კი, ჩემი ყურადღება უშუალოდ თამაშზეა კონცენტრირებული.

— კლუბის პრეზიდენტს თუ ესაუბრე?

— ვიცი, რომ გუნდში არიან მოთამაშეები, რომლებიც ჩემნაირ ან უფრო უარეს მდგომარეობაში იმყოფებიან, ზოგიერთ მათგანს ხომ ჩემზე ადრე უთავდება საკონტრაქტო ვადა. ამასთანავე, მინდა, ყველამ იცოდეს – არავისზე ზეწოლას არ ვახდენ. ვიცი, რომ კლუბს გაცილებით მნიშვნელოვანი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი.

— შენზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, სანტიაგო სოლარის თუ გაუფორმებდი კონტრაქტს?

— რა თქმა უნდა. ეს რა შეკითხვაა?!. უარს როგორ ვიტყოდი?!

— „ბარსელონის“ მაისურით თუ წარმოგიდგენია იგი?

— ის აქაურობას ძალზე მიეჩვია, შეერწყა კლუბსაც და ქალაქსაც. მაგრამ ფეხბურთში წინასწარ ვერაფერს განსაზღვრავ. თუ ის მართლაც წავა, ეს დიდი დანაკლისი იქნება გუნდისთვის. მისი მსგავსი ფეხბურთელის შოვნა ძალიან გაძნელდება.

— შენ იყავი პირველი ფეხბურთელი, რომელიც ფლორენტინო პერესმა „რეალში“ მიიწვია. მას შემდეგ, „სამეფო კლუბის“ ღირსებას იცავ. თუ კონტრაქტს არ გაგიგრძელებენ, გეწყინება?

— არა. მესმის და კარგად ვიცი, თუ როგორია ფეხბურთის სამყარო. როდესაც სარგებლობის მოტანა აღარ შეგიძლია, შენთან ხელშეკრულების გაფორმებისგან თავს იკავებენ. ეს საფეხბურთო კანონია. ამიტომ გულში ბოღმას არ ჩავიდებ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: მსურს, რომ ისინი სამართლიანად მომექცნენ, რადგან ფეხბურთში ხშირად, ბევრი უსამართლობა ხდება.

— ხუთ-ხუთი წელი გაატარე „ბარსელონასა“ და „რეალში“ და ამ ხნის მანძილზე, ამ კლუბებთან ერთად 7 ტიტული მოიპოვე. რომელმა ეტაპმა დაგიტოვა უფრო სასიამოვნო მოგონებები?

— გამარჯვება ბედნიერებას განიჭებს. იმისთვის ვთამაშობ, რომ გამარჯვებებს მივაღწიო, ე.ი. ბედნიერების განცდა მსურს. სიცრუე იქნებოდა, რომ მეთქვა – „ბარსელონაში“ ბედნიერი არ ვიყავი-მეთქი. პირიქით – იქ ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები



ლუშ ფიგუ მეუღლესთან ერთად

გავატარე. ესპანეთში ძალზე ახალგაზრდა ჩამოვედი და სწორედ „ბარსელონაში“ შევიგრძენი ის, თუ რა არის გამარჯვება. „რეალში“ კი, იმისთვის გადავედი, რომ კიდევ უფრო დიდი წარმატებებისთვის მიმეღწია. ვფიქრობ, ეს შევძელი. ჩემ მიერ გადადგმული ნაბიჯით ბედნიერი და ამაყი ვარ. „რეალმა“ მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი, აიმაღლა ავტორიტეტი. ორივე კლუბში განვიცადე ბედნიერება, რადგან „ბარსელონასა“ და „რეალშიც“ დიდი გამარჯვებებისთვის მიმიღწევია.

— წელს რა ხდება „რეალში“? გუნდის წარუმატებლობაში კამაჩოს თუ მიუძღვის ბრალი?

— არ ვიცი. არა მგონია, რომ ის დამნაშავე იყოს. მან სეზონი ჩვენთან ერთად დაიწყო. მაგრამ მოულოდნელად, მწვრთნელის პოსტის დატოვება გადაწყვიტა. ამის მიზეზი მან უნდა აგიხსნათ და არა მე.

— გუნდი არ აღფრთოვანებულა მისი გადაწყვეტილებით, არა? ზოგიერთი შენი პარტნიორის თქმით, მწვრთნელმა ზურგი გაქციათ და ბედის ანაბარა მიგატოვათ...

— ესპანეთის ჩემპიონატის პირველი მატჩი მართლაც, საშინელი აღმოჩნდა. ვერავის გაეგო, თუ რა მოხდა ან რატომ წავიდა მწვრთნელი. საერთო ჯამში კი, ხალხი მისი წასვლის გამო ჩვენ გვადანაშაულებდა.

— ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მისი წასვლის გამო, უკმაყოფილო დარჩი, რადგან მოგვიანებით ისიც თქვი — 2 წაგების გამო, მთავარი მწვრთნელის პოსტს არავითარ შემთხვევაში არ დავტოვებდიო...

— აბა, რა გითხრათ?.. მაშინ მართლაც, იმედგაცრუებული დავრჩი. იმიტომ, რომ კამაჩოს ვუყურებდი, როგორც გამარჯვებებისთვის შემართულ კაცს, რომელიც ნებისმიერ სირთულეს გადალახავდა. მისმა გადაწყვეტილებამ გამაოცა. ალბათ, მას ამის მიზეზი მართლაც, ჰქონდა. მაგრამ ამის გამო, გუნდი გაურკვევლობაში აღმოჩნდა. მე მართლაც, არ გადავდგებოდი, მაგრამ ყველა ადამიანი ხომ თავად იღებს გადაწყვეტილებას.

— მართალია, რომ თქვენს გუნდს გამარჯვებების მისაღწევად საჭირო სტიმული არ გააჩნია?

— არც ერთი პროფესიონალი არ გადის მოედანზე წასაგებად. კარგად გვაქვს გაცნობიერებული ის, რაც თითოეულ ვარჯიშსა და თამაშზე ხდება. ასე რომ, გუნდის მარცხი ვერავის მოუტანს სარგებელს.

— გუნდიდან გარსია რემონის გაგდებას თუ მოელოდი?

— არა, ამანაც ძალიან გამაკვირვა. სწორედ იმ პერიოდში, საშობაო არდადეგებიდან ვბრუნდებოდი და ამ ცვლილებების მოწმე გავხდი. არადამაკმაყოფილებელი შედეგის შემდეგ მწვრთნელის გადაყენება ნორმალური მოვლენაა, მაგრამ არდადეგების შემდეგ... თუმცა, ფეხბურთში აღარაფერი არ უნდა გაგიკვირდეს.

— ხომ არ მიგაჩნია, რომ კეირუშს უსამართლოდ მოექცნენ?

— ჩემთვის კეირუში ყოველთვის ბრწყინვალე მწვრთნელად დარჩება. მისი გადაყენება უსამართლობა იყო, იმიტომ, რომ ჩინებულად ჩაატარა პირველი 8 თვე და ყველაფერი გააკეთა, რომ გუნდს წარმატებისთვის მიეღწია. ის კლუბის მიმართ ყოველთვის მოწიწებით იყო განწყობილი.

— მიგაჩნია თუ არა გრავესენი მართლაც, საყრდენ ნახევარმცველად, რომელსაც ასე დაჟინებით მოითხოვდნენ კრიტიკოსები და ქომაგები?

— დიახ, მაგრამ მასზე ვერაფერს გეტყვით. ჩემი საქმე ვარჯიში და თამაშია და არა ლაპარაკი. ფეხბურთს ხშირად, არ ვუყურებ და სიმართლე გითხრათ, კარგად გრავესენსაც არ ვიცნობ. მასთან ურთიერთობას მხოლოდ ახლა ვიწყებ.

— გრავესენი მოვიდა, მაგრამ ვინ ამოვარდება ძირითადი შემადგენლობიდან?

— არ ვიცი. ეს მწვრთნელის საქმეა.

— ბევრი გუტისკენ იშვერს ხელს...

— გუტი ბრწყინვალე სეზონს ატარებს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას ხომ მწვრთნელი იღებს.

— თქვენი გუნდის შემადგენლობის გაცნობისას, მოწინააღმდეგეს მუდამ შიში იპყრობს...

— მატჩებს სახელები კი არა, გუნდი იგებს...

— ჩემპიონატის მოგება კვლავაც შეგიძლიათ?

— რა თქმა უნდა. ვიდრე მათემატიკურ შანსს ვინარჩუნებთ, ბრძოლას არ შევწყვეტთ. „რეალის“ უბრალოდ „ჩამოწერა“ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

— ზოგიერთი კი მიიჩნევს, რომ საკუთარი თავი უკვე ამოწურეთ.

— იმიტომ, რომ გაზეთებმა რაღაც ხომ უნდა გამოაქვეყნონ, რომ კარგად გასაღდეს...

— ლუქსემბურგოს ახალ მეთოდებს როგორ შეეგუა გუნდი?

— პირადად მე, ეს ყველაფერი ნორმალურად მივიღე. იმისთვის გვიხდიან, რომ ვიმუშაოთ. ვინც მთელი თავისი ცხოვრება მუშაობს — მაგალითად, ისე, როგორც მე, — მას ასეთი რამ არასოდეს გააკვირვებს.

— როდესაც დღეში ორჯერ ვარჯიშობთ, შუალედებში, თავისუფალ დროს რას აკეთებთ ხოლმე?

— არაფერს... ათასგვარ თემაზე ვმასხრობთ ერთმანეთთან ან თითოეული ჩვენგანი საკუთარ ოთახში იმყოფება. ზოგიერთი იძინებს. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, რომ ეს დრო ოჯახში გამეტარებინა...

— ცოტა ხანში, ჩემპიონთა ლიგაში „იუვენტუსს“

შეხვდებით. იტალიელები ფავორიტები იქნებიან?

— არა. ფავორიტი ყოველთვის „რეალია". თუმცა, ასეთი ძლიერი კლუბების დაპირისპირებისას, ფავორიტის დასახელება ძნელია. ჩვენ მოედანზე ყოველთვის გამარჯვების მისაღწევად გავდივართ.

— „დელე ალპიზე" პენალტის დარტყმამ რომ მოგიწიოთ, თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან კვლავ მიხვალთ?

— რატომაც არა? კარს მხოლოდ ის აცილებს ბურთს, ვინც ურტყამს. თუ ოდესმე საკუთარი ძალებში ეჭვი შემეპარება, ნიშნულთან არავითარ შემთხვევაში აღარ მივალ.

— იმ უცხოელ მოთამაშეთა შორის, რომლებსაც „რეალში" ყველაზე მეტი მატჩი ჩაუტარებიათ, მერვე ადგილზე იმყოფები, თუმცა, მალე მეოთხეზე გადაინაცვლებ...

— კარგია. ამ კლუბის ისტორიის ნაწილი ვარ, რაც ძალიან მსიამოვნებს.

— რას ფიქრობ, როდესაც მარადონას ხედავ?

— როდესაც თამაშს ვიწყებდი, ის ჩემი კერპი იყო. ვამჯობინებ, რომ მასზე ყველაფერი კარგი გავიხსენო... არ ვიცი, მას რა მოელის; სამწუხაროდ, დიეგოს შესახებ არცთუ ისე პოზიტიური ინფორმაცია ვრცელდება. როდესაც იმ სამყაროში შედიხარ, რომელშიც ის იმყოფება, იქიდან გამოსვლა ძალიან გიჭირს.

— პორტუგალიის ნაკრების დატოვების გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაგიჭირდა?



დევიდ ბექჰემი, ლუშ ფიგუ და რაული

— ძალიან. იმიტომ, რომ იქ 15 ბრწყინვალე წელი გავატარე. დიდი ხნის მანძილზე ვფიქრობდი ამის შესახებ. ბოლოს ჩავთვალე, რომ ნაკრებში აღარ უნდა მეთამაშა.

— როდესაც ევროპის ჩემპიონატის ფინალში დამარცხდით, ტიროდი?

— ძალიან გაღიზიანებული გახლდით. არ ვტიროდი, მაგრამ ცუდ განწყობაზე ვიყავი... ისე კი, ევროპის ჩემპიონატმა მხოლოდ კარგი მოგონებები დამიტოვა, რადგან ჩვენ ადამიანებს ბედნიერების წუთები განვაცდევინეთ. ძალიან სასიამოვნო იყო იმის შეგრძნება, რომ მთელი ქვეყანა მხარს გიჭერს და დიდ პატრიოტად მიგიჩნევს.

— მომავალში მწვრთნელობას ხომ არ აპირებ?

— ვიმედოვნებ, რომ არა, თუმცა დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით.

— ოჯახის კაცი ხარ?

— თანაც — როგორი!..

— როდესაც კარიერას დაასრულებ, სად იცხოვრებ?

— ალბათ, თვითმფრინავში, რომელიც პორტუგალიასა და ესპანეთს შორის იფრენს...

ქალიშვილთან ერთად

— მაგრამ შენს ცოლს ხომ მადრიდში ცხოვრება სურს?

— რა გასაკვირია, რომ მადრიდში ვიცხოვროთ?! ხომ იცით — მამაკაცებს ქალები მართავენ...

— გასაგებია, შენ ხომ ოჯახში 4 ქალი გყავს...

— ოჯახში ჩემი აზრი უკვე აღარავის აინტერესებს; მათ სიტყვასაც ვერ გადავათქმევინებ ხოლმე... რა თქმა უნდა, ვხუმრობ. ვიმედოვნებ, რომ ისინი ჩემზე ყოველთვის იზრუნებენ.

— ბავშვისთვის საფეხნის გამოცვლა თუ შეგიძლია?

— რა თქმა უნდა. უპრობლემოდ.

— ბოლოს და ბოლოს, ვაჟიშვილი როდის შეგეძინება?

— სიმართლე გითხრათ, ვიდრე მამა გავხდებოდი, ყოველთვის მსურდა, ბიჭი მყოლოდა. ხომ იცით, ტიპური ამბავია, რომ მამა თავის პატარასთან ერთად ფეხბურთს თამაშობდეს. სამი ქალიშვილი მყავს და ძალიან ბედნიერი ვარ. არა მგონია, რომ ბიჭიც შემეძინოს. საფეხბურთო სამყაროს კარგად ვიცნობ და არ მსურს, რომ ჩემმა ვაჟიშვილმა სპორტის ამ სახეობას მიუძღვნას თავი...

— ასეთი დაუნდობელია საფეხბურთო სამყარო?

— ნამდვილად ასეთია.

— კმაყოფილი თუ ხარ იმით, რასაც ცხოვრებაში მიაღწიე?

— კი. მაგრამ ჩემთვის არასოდეს არავის ლანგრით არაფერი მოურთმევია — ბევრს ვშრომობდი, რათა ამ ყველაფრისთვის მიმეღწია.

— შინ რას აკეთებ ხოლმე?

— პირად თემაზე გადავდივართ?.. სამზარეულოში არ ვტრიალებ, მაგრამ თუ საქმე საქმეზე მიდგა, რაღაცის მომზადებას ნამდვილად მოვახერხებ.

— ტორტილიოს (*Tortilla de patatas* — *ესპანური ეროვნული კერძი.* — *რედ.*)?

— ოჰ, ცხოვრებას ნუ მირთულებთ! რაიმე უფრო მარტივს — მაკარონს, ხორცს — კი, ბატონო... შიმშილით ნამდვილად არ მოვკვდები.

— ღვინოზე რას იტყვი?

— ამ საკითხში ცოტათი ვერკვევი. მე ესპანური და პორტუგალიური ღვინო უფრო მომწონს.

— რისი კითხვა გიყვარს?

— წიგნების და ისეთი გაზეთების, რომლებიც სხვადასხვა სფეროს ამსახველ ინფორმაციას გაწვდის. სპორტულ გაზეთზეც არ ვამბობ უარს, რომელსაც გასახდელში ვიღებ ხოლმე.

— სპორტული პრესა გაღიზიანებს?

— ადრე ძალიან ვცოფდებოდი, ახლა — აღარ...

— რა გაიფიქრე, როდესაც აზიაში დატრიალებული ტრაგედიის ამსახველი კადრები იხილე?

— ეს საშინელება იყო. იქ არ ვყოფილვართ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ დაზარალებულთა დასახმარებლად.

— და იმ საქველმოქმედო მატჩზეც წახვალ, რომელიც „ნოუ კამპზე" გაიმართება?

— უმჯობესია, იქ არ წავიდე, რომ თამაში არ გავაფუჭო...

ლუბა ელიამვილი

ძვირფასი მკვლელი ჯა ჩიპოლინო

(დასაწყისი იხ. „გზა“ 52-4)

ჟურნალ „რეიტინგის“ ჟურნალისტი მარიანა ნიორაძე, მეტსახელად ნიორა, ცნობილი ბიზნესმენისა და მეცენატის მოსე კრიხელის მკვლელობის ერთადერთი მოწმე ხდება. ეს საქმე მას იმდენად დააინტერესებს, რომ გადაწყვეტს, თავადვე გამოიძიოს მისი გარემოებები. აეროპორტში, დაღუპული კრიხელის ნეშტის თბილისიდან გადასასვენებლად ჩამოსულ მის ნათესავებთან შესახვედრად მისულ მარიანას, ახალგაზრდა ქერათმიანი ქალი დაეკონტაქტება. უკრაინელი ვიკა მარტინიუკი თავისი შეყვარებულის — ტატოს საპოვნელად ჩამოსულა თბილისში და შემთხვევით ჩაუხედავს მისი სიმამრის დანაშაულებრივ საქმიანობაში: საუნაში — „ნიმფა კალიფსო“, რომლის მეპატრონეც ტატოს სიმამრია, პროსტიტუცია ყვავის... ნიორა და ვიკა ამ საუნის მასაჟისტის — მანოლის ნახვას გადაწყვეტენ, მაგრამ ისიც, კრიხელივით, მკვლელობის მსხვერპლი ხდება...

ნიორასა და ვიკას ყველგან თან დაჰყვება „ბეემვეს“ მარკის შავი მანქანა; მის საჭეს ტატოს მეგობარი ანდრო უზის, რომელსაც ქალაქიდან წასულმა ძმაკაცმა ვიკასთვის მასპინძლობის გაწევა სთხოვა. დღის ბოლოს, ტელევიზიით გადასცემენ სიუჟეტს ამ მანქანის აფეთქების შესახებ. თუმცა, ანდრო უვნებლად გადარჩა: აფეთქების მომენტში, ის ვიკასთან სასტუმროში იმყოფებოდა. ტელეფონით საუბრისას, ნიორა შეშინებულ ვიკას ჰპირდება, რომ დილით თავისთან გადაიყვანს. გოგონები მანოლის დეიდას, ლოგინად ჩავარდნილ ქალბატონ ნინოს ესტუმრებიან, რომელიც მათ თავისი დისა და მოსე კრიხელის სიყვარულის ამბავსა და მამაშვილის — მოსესა და მანოლის ურთიერთობების გულის ამაჩუყებელ ამბავს მოუყვება, თან დის — ოლიკოს დღიურებსაც გადასცემს. მის მიერ მონათხრობ ამბავში, ნინოსა და ოლიკოს საგვარეულო ბრილიანტიც ფიგურირებს, რომელიც თითქოსდა, კრიხელს თითზე ეკეთა მკვლელობის დღეს — არადა, ის დიდი ხნის წინ ნინოს ოჯახს მოჰპარეს, თვალი დახერხეს და ნაწილებად გაყიდეს... მაგრამ მთავარი ამოცანა, რომელიც ახლა ნიორას წინაშე დგას, ბანკში შეღწევა და კრიხელის სეიფში მოთავსებული ნივთების ხელში ჩაგდებაა...

დღევანდელი მისიისთვის საგანგებოდ მოვემზადე. ვიკას არ გავუმხილე, სად მივდიოდი. ისიც გაოცებული მიყურებდა, როგორ ვარჩევდი შესაფერის ტანსაცმელს. როგორც იქნა, მოვრჩი მოკაზმვას და შოთას მანქანაში ნარნარად ჩავჯექი.

— „ბეტა ბანკთან“ გამიჩერე, — ვეუბნები შოთას, — და აქ დამიცადე.

ჩემი ზურმუხტისფერი, ძვირფასი კოსტიუმი ბანკის დაცვაზე ჯადოსნურად მოქმედებს. ან იქნებ, ასეთი ამერიკული ღიმილი ყველა კლიენტისთვის აქვთ მომზადებული?

ერთი ჩემი მეგობარი დიდი ხნის განმავლობაში სწავლობდა სარკესთან ასეთ გაღიმებას. ნელა უნდა თქვა „სმაილ“ და კბილები თანდათან გამოაჩინო. არის მეორე ვარიანტი: შეიძლება თქვა „ჩიიზ“, როგორც ფოტოს გადაღებისას. თუმცა მე „ყველის“ თქმას, ისევ „ღიმილის“ თქმა მირჩევნია. ჰოდა, ამ ჩემს მეგობარს ეს ვარჯიში ცხოვრებაშიც გამოადგა: ახლა კაზინოში კრუპიედ მუშაობს და იქ აბრჭყვიალებს ფაიფურის კბილებს.

სხვათა შორის, ჩვენი ბებია-ბაბუების დროს, მოკუმული ტუჩები და მძივივით პატარა კბილები იყო მოდაში. ამგვარ მოდასთან დაკავშირებული ანეკდოტიც არსებობდა: ერთმა ვაჭარმა, რომელსაც უნდოდა, ახალგაზრდა ოფიცრისთვის ქალიშვილი მიეთხოვებინა, ქალიშვილს სთხოვა, ფოტო გადაეღო და გამოეგზავნა, სურათის გადაღებისას თქვი „პალტო“ და ასე გაშეშდიო, — შეუთვალა მამამ ქალიშვილს. სურათი ჩამოუვიდა. გაოგნდა: მისი ქალიშვილი სურათზე კიდევ უფრო პირგაფლაშული ჩანდა, ვიდრე ცხოვრებაში. რატომ არ შეასრულე დანაბარები? — უსაყვედურა მამამ შვილს. ყველაფერი ზუსტად შევასრულე, — შეწუხდა ქალიშვილი, — დავჯექი ფოტოაპარატის წინ, ვთქვი „პლაში“ და გავშეშდი...

ოპერაციამ, რომლისთვისაც დილიდან ვემზადებოდი, უხარვეზოდ ჩაიარა. ორივე გასაღები ტყუპი ძმასავით ჰგავდა ერთმანეთს. ერთზე №262, მეორეზე კი, კრიხელის გასაღებზე, №268 ეწერა. კიდევ კარგი, „8“ და არა „6“, თორემ, სამი ექვსიანის ერთად შეყრა ჩემისთანა ცრუმორწმუნეს ნამდვილად ძალიან დააფრთხობდა.

დედაჩემის კოდი და ჩემი გვარი და სახელი ვუთხარი ბანკის თანამშრომელს მერე მეორე გასაღები ვანახვე. მან სხვა თანამშრომელი გამოიძახა, რომელიც სეიფისკენ გამიძღვა. დედაჩემის გასაღები შეუმჩნევლად ჩავიცურე ჯიბეში და კრიხელის ამოვიღე. შავ, მკაცრ კოსტიუმსა და თეთრ ხალათში გამოწყობილმა სეკიურიტიმ სეიფთან მიმიყვანა. გასაღები №268-ე ყუთს მოვარგე, გუნებაში პირჯვარი გადავიწერე და კოდი ავკრიბე. გასაღები არ გადატრიალდა. ციმა ოფლმა დამასხა. უცებ ქაღალდს ჩავხედე. იქნებ, კრიხელმა მწკრივი სხვა თანმიმდევრობით ჩაწერა? — გავიფიქრე და ახლა პირველი ექვსციფრა კოდი ავკრიბე. გასაღები გაწკაპუნდა, უჯრა გამოსრიალდა, შიგ შავი ყუთი დევს, წარწერით „ზილი“. როგორც მახსოვს, საკმაოდ ძვირად ღირებული ფირმაა, რომელიც მამაკაცის ტანსაცმელს და აქსესუარებს აწარმოებს. ყუთი გავხსენი, ციფრული კამერის პატარა კასეტებითაა სავსე. თავზე თეთრი კონვერტი ადევს. კონვერტი ჯიბეში ჩავიცურე, კასეტა სულ თორმეტია. აქედან ერთი კონვერტში დევს, რაღაც ქაღალდებთან ერთად. ჩანთაში ყველა კარგად ჩამეტია. ყუთი თავის ადგილზე დავაბრუნე და უკან გამოვბაკუნდი. გული ისე მიცემს, მგონია, მისი ბაგაბუგი ყველას ესმის, ლოყებზე ალმური ამდის.

— დიდი მადლობა, — ვემშვიდობები მცველს და შოთას მანქანისკენ მივდივარ. ბავშვობაში ერთი სულელური ფილმი მაქვს ნანახი, „მოპარული ქვა“. მთავარი გმირი, რობერტ რედფორდი ჰიპნოზით გააბრუებს ბანკის თანამშრომელს და ძვირფას ალმასს წამოიღებს ბანკიდან. ქუჩას ჯერ დინჯი ნაბიჯებით გაუყვება, მოსახვევში კი, თვალს რომ მიეფარება,

ისე მოწყდება, ქარი
ვერ დაეწევა და ასე უხტება მანქანაში
თავის თანამზრახველებს. შოთას მან-
ქანისკენ ჩემმა გზამ გამახსენა ეს ფილმი.
ნაბიჯი არ ამიჩქარებია, მაგრამ კარი ისე-
თი სისწრაფით გავაღე და მანქანაში ისე
ჩქარა შევხტი, რომ ჩვენი ყველაფრის
მნახველი შოთაც კი გაოცდა. ,,ავღანი-
სტან ბანანისტან", — გამახსენდა რობერტ
რედფორდის ფრაზა, რომლის დახმარები-
თაც, იგი ბანკის მოლარე ქალს ჰიპნო-
ზურ ტრანსში აგდებს და გულიანად
გამეღიმა.

— რა მითხარი? — მეკითხება შოთა.

— სწრაფად, რედაქციაში, — ვეუბნები
და ჩანთიდან კონვერტს ვიღებ. ორი
ფურცელია. პირველი, ერთი შეხედვითვე
ჩანს, რომ კრიხელის ანდერძია, მეორე კი,
ხელნაწერი წერილია. კონვერტში ჩადე-
ბული კასეტა პიჯაკის ჯიბეში გადავი-
ტანე.

,,ძვირფასო მაგდა, — იწყება წერილი.
— ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.
შენი დიდი იმედი მაქვს, რომ ჭკვიანად
მოიქცევი და დამიჯერებ, რასაც ახლა
გთხოვ. ჩემს ქონებას, რომლის 50%
შენთვის მაქვს დატოვებული, მშვიდობაში
მოიხმარ, ოღონდ, ერთი პირობით: შენს
გარეწარ ქმარს უნდა გაშორდე. თუ მეც
მომკლეს და ყველაფერი ისე განვითარდა,
როგორც ტატო გეგმავს, თვითონ მიგა-
ტოვებს, ოღონდ, ჯერ გაგძარცვავს. ერიდე,
შვილო, არ ენდო მამაშენის სახელის
შემარცხვენელს და იქნებ, ჩემს სისხლ-
შიც ხელგასვრილს. ანდერძში ამ პირობას
მივუთითებ და არ გეწყინოს. კასეტები
ნახე, ძალიან მინდა, ყველამ იცოდეს, რომ
მის ბინძურ საქმეებში წვლილი არ მიმ-
იღია. შენი ძმა მანოლი გიამბობს ყვე-
ლაფერს. ენდე, მისი ამბავი სიმართლეა.
ის ჩემი შვილია, თქვენ ერთმანეთის სისხ-
ლი და ხორცი ხართ. შეიყვარე, გახს-
ოვდეს, ცხოვრებამ ძალიან დაჩაგრა. შენი
საყვარელი მამა".

ანდერძი ყველა წესის დაცვით არის
შედგენილი, ავტორის სიკვდილამდე ერთი
დღით ადრე — ე.ი. ის ძველს აბათილ-
ებს. კრიხელს ქონება არავისთვის
დანანებია, რაღაც ყველას შეახვე-
დრა, მანოლის წილი 10 პროცენ-
ტითაა გაზრდილი, ქალიშვილს,
მაგდას კი, საკუთარი მონაგარის
ნახევარს მხოლოდ იმ პირო-
ბით უტოვებს, თუ ქმარს გაეყ-
რება და არასოდეს აჩვენებს
შვილებს კრიმინალ მამას.
ანდერძიც და წერილიც
ირაკლის უნდა ვაჩვენო,
— გადავწყვიტე და მის
კარს მივადექი.

— შეფი გასულია, —
მოკლედ მომიჭრა მა-
იამ.

— როდის იქნება?

— აბა, რა ვიცი. ალბათ, გვიან. გამომ-
ცემელთა ასოციაციის ყრილობაზეა წა-
სული.

ესეც შენ! ანდერძი კიდევ ერთხელ
გადავიკითხე და უჯრაში ჩავკეტე. კასეტე-
ბი უნდა ვნახო სასწრაფოდ. ნეტავ, ვის
ექნება ციფრული კამერა?.. — ვფიქრობ
და უცებ მახსენდება, მანოლის სახლში
გაშლილი, ციფრული კამერაა, პატარა
ეკრანით. ამ კასეტებს უცხოების თან-
დასწრებით ვერ ვნახავ. იქნებ, ვიკა მო-
მეხმაროს და მანოლის სახლიდან კამერა
წამოვიღოთ. მახსოვს, როცა სახლში
შევედით, ვიკამ მითხრა, რომ კამერა მი-
სია. ჰოდა, თუ ვიკასია, ალბათ წამოღებაც
შეიძლება, არც დეიდა ნინო გამინაწყენდე-
ბა, თვითონ არ მთხოვა დახმარება?!. კამ-
ერა უნდა ავიღო, მაგრამ როგორ...

მობილური ამოვიღე. ხუთი უპასუხო
ზარი მაქვს. დედაჩემის გამგზავრებამ ჩემს
ტელეფონზე პასუხგაუცემელი ზარების
რაოდენობა მნიშვნელოვნად შეამცირა. ორი
უცნობი ზარია. ალბათ სანდროა, — დავასკვე-
ნი და ჩემს ოთახში მიმოფანტული ვარდები
გამახსენდა. ორი რედაქციისაა, ერთიც —
უცხო. ავტომატურად დავაჭირე ხელი
ნომრის ამკრებს.

— ალო, — მესმის ვიკას ხმა. — მარი-
ანა, რა კარგია, რომ დამირეკე. სასწრაფოდ
მინდა შენთან შეხვედრა.

— მარჯანიშვილის მოედანზე გამოდი,
კაფე ,,ლუქსში", — ვუჭრი მოკლედ. —
ათ წუთში ვიქნები.

კაფეში მივქანდი და შოკმანჟე ავიღე.
რა ბედნიერებაა, ზედმეტი წონა რომ არ
მაწუხებს, თორემ, ეს შოკმანჟე ცარიელი
კალორიებია. ძალიან მიყვარს და მე
თვითონაც გემრიელს ვაკეთებ.

ექვს ცალ ათქვეფილ კვერცხის გულს
ვამატებ ექვსი ცილისა და ერთი ჭიქა
შაქრის კარგად ათქვეფილ ბეზეს. ასორ-
მოცდაათ გრამ კარაქს და ას გრამ
შოკოლადს ერთად ვადნობ ცეცხლზე და
კარგად ვთქვეფ. ვამატებ ერთი სუფრის
კოვზ კონიაკს და ცოტა ვანილს, ვასხამ
ჭიქებში და მაცივარში ვყინავ. შედეგად
უგემრიელეს, მაგრამ ძალზე მაღალკალო-
რიულ პროდუქტს ვიღებ. შეგიძლიათ
სცადოთ, არ ინანებთ.

კაფეს მინის კედლიდან დავინახე, როგორ
შემოვიდა ვიკა. მაშინვე ჩემკენ გამოემარ-
თა.

— როგორ ხარ? რამე ხომ არ
გაგირკვევია — ვინ მოკლა მანოლი?
ჟურნალისტებმა ვერაფერი შეიტყვეთ? —
მომაყარა შეკითხვები ვიკამ.

— რაღაც-რაღაცები გავიგეთ. შენი
ციფრული კამერა მჭირდება.

— რომელი კამერა?

— მანოლისთან რომ დგას, ის.

— მერე როგორ ავიღოთ? — შეცბა
ვიკა.

— გასაღები ხომ ვიცით სადაც არის,
— ვუკარნახე მე. — მისი ბინიდან რომ
გამოვიქეცით, უკან ხომ დადე, — ვიხსენებ
წინა დღის თავგადასავალს.

— რად გინდა კამერა?

— ჯერ ავიღოთ და მერე გაჩვენებ,
რადაც მინდა, — გავყოჩაღდი მე.

— ახლავე წავიდეთ? — იშმუშნება
ვიკა.

— აბა, მეტი რა საქმე გვაქვს? — ვამხ-
ნევებ და თან ჩემს აღმოჩენილ განძს ვაჩვენებ.
ერთი კაცის ანდერძში უნდა გავერკვე,
პასუხი აქ არის... მინდა, ვნახო. მანოლი
ხომ მარტო ცხოვრობდა, ალბათ სახლში
არავინაა.

სადარბაზოში შესულები, არავის შე-
ვუმჩნევივართ. მანოლის ბინის კარზე
ქაღალდის პლომბია გადაკრული, ზედ
ბეჭედი არტყია.

— ამას რა ვუყოთ? — მეკითხება ვიკა.

— მოვხიოთ, — მხრებს ვიჩეჩავ მე.

ვიკამ ხელი სამალავში შეყო.

— გასაღები არ დევს, — მეუბნება ჩურ-
ჩულით. უეცრად, ლიფტი დაიძრა. ლიფ-
ტის უკან, ნაგვის ბუნკერის გვერდით,
კედელს ავეკარით და გავშეშდით.
ლიფტიდან მაღალი, გამხდარი, ჭაღარაშერ-
ეული მამაკაცი გამოვიდა. სარგადაყ-
ლაპულივით გაჭიმული დადის. კიბეს
ჩამოუყვა და მანოლის კარს მიადგა.
გასაღები სწორედ იმ სამალავიდან გამ-
ოიღო, რომელშიც ვიკამ ამ რამდენიმე
წუთის წინ, ვერ იპოვა. პლომბი ფრთხ-
ილად მოაძრო კარს და გასაღები გადა-
ატრიალა.

კედელზე გაკრული, სუნთქვაშეკრული
ვადევნებთ თვალყურს ჭაღარა მამაკაცის
მოქმედებას. მან კარი ფრთხილად შეაღო
და ოთახში შეაბიჯა. ფეხაკრეფით

ავუყევით კიბეს ერთი სართულით ზევით და ლიფტი გამოვიძახეთ. ვიკას სახეზე ფერი არ ადევს, თვალები გაფართოებია.

— იცნობ მაგ კაცს?

— ვლადია, მამაჩემის დაცვის უფროსი. აქ როდის ჩამოვიდა?.. — ჩურჩულებს ვიკა.

— გასაღებს რატომ ვერ მიაგენი? — თვალი თვალში გავუყარე.

— მაპატიე, შემეშინდა, — ლუღლუღებს იგი და ხელს მუდარით მიჭერს. — სასტუმროში ვეღარ წავალ, ვლადი მიპოვის, მომეხმარე! — თვალებში ცრემლი ჩასდგომია.

— გიპოვის და სახლში წაგიყვანს, — ვამშვიდებ მე.

— არ მინდა სახლში, ჯერ არ მინდა, გეხვეწები, დამმალე. სანამ ტატოს კიდევ ერთხელ არ ვნახავ და სათქმელს არ ვეტყვი, არსად წასვლა არ მინდა.

— კარგი, ჩემთან სახლში ვერ მოგაგნებს, სასტუმროში არ წახვიდე. სახლში ჩაიკეტე. მე რედაქციაში მივბრუნდები, იქნებ, კამერა ვიშოვო. ნახე, რამდენი კასეტა მაქვს, — ჩანთაში ჩავაჭყიტე ვიკა. — კრიხელისაა, მაინტერესებს, რა არის გადაღებული. — ვჩურჩულებ და თან სადარბაზოს ვუთვალთვალებ.

ვლადი დაახლოებით ოც წუთში, სადარბაზოდან გამოვიდა და ქუჩას სამხედროს მოზომილი ნაბიჯებით გაუყვა.

ჩვენ ტაქსიში ჩავხტით. ვიკა სახლში შევუშვი და მე რედაქციაში გავქანდი.

— იქნებ, კასეტები დაგეტოვებინა? — მომძახის ვიკა.

გასაღებთან დაკავშირებული მისი ტყუილი გამახსენდა და თავი უარის ნიშნად გავუქნიე.

— ყავა ან ჩაი თუ დაგჭირდეს, სამზარეულოს კარადაშია, საჭმელი — მაცივარში, — დავაკვალიანე და იმავე ტაქსით გავქანდი რედაქციაში.

ირაკლი ისევ არ დამხვდა.

— გამომცემელთა ყრილობის შემდეგ, ბიჭი მიჰყავს კინოთეატრ, „ამირანში“ შვიდსაათიანზე და აღარ მობრუნდება, — მაფრთხილებს მდივანი.

ვასიკოსთან შევიხედე.

— ვასი, ხომ არ იცი, ვინმეს ციფრული კამერა რომ ჰქონდეს? აი, ასეთ კასეტებზე რომ იღებს, — ვუჩვენებ ბანკიდან წამოღებულ კასეტას.

— არ ვიცი, გავიკითხავ. ჰო, მართლა, მარიანა, შენი გადაღებული ფოტოები მოიტანა ვახომ ლაბორატორიიდან. თითო ეგზემპლარი შენთვის შეუნახავს. თითქოს გულმა მიგრძნო, რომ გამომძიებლები წაიღებდნენ და ორ-ორი დავბეჭდეთ, იქნებ, ისევ დაჭირდეს, რაც არ უნდა იყოს, ექსკლუზიური მასალააო. — ვასიკო კოდაკის თეთრ-ნარინჯისფერ პარკს მაწვდის.

ჩანთა გავხსენი, რომ ფოტოები ჩავდო და ტელეფონის ზარის ხმაც გავიგონე.

— როგორ ხარ, მაკო? — მესმის სანდროს ხავერდოვანი ხმა.

— კარგად, — რატომღაც ჩიპოლინოს აღარ მეძახის.

— შენი გულცივობის ყინული ჩემი ვარდების ცეცხლოვანმა ფერმა ვერ გაალღო? — ხალისიან ხასიათზეა სანდრო.

— ვარდებისთვის დიდი მადლობა, მართლაც, ძალიან ლამაზი იყო, — არ ავყევი მე.

— ჰოდა, თუ გაგახარე, ერთი სურვილი შემისრულე. ბეთანიაში ავიდეთ ჩემს აგარაკზე. მშვენიერი ჰაერია, ჰამაკი, ჩიტების ჭიკჭიკი, კამერას წამოვიღებ და გადაგიღებ კიდეც.

— რა კამერა გაქვს? — დავინტერესდი.

— პატარა, ციფრული.

— ჰო, ჰო, წამოიღე. აუცილებლად წამოვალ. თუ შეიძლება, მეგობარსაც წამოვიყვან, — გამახსენდა უცებ, სახლში გამოკეტილი ვიკა.

— თუ გინდა, მეგობრების არმია წამოიყვანე. ხუთ წუთში შენთან გავჩნდები, ახლავე ჩამოდი.

ვიკას ვურეკავ და მარჯანიშვილზე, მეტროსთან ვიბარებ. სანდრო მართლაც, ხუთ წუთში გაჩნდა რედაქციის ოფისთან.

— მომენატრე, ჩიპოლინო, — გამიღიმა სანდრომ და ხელით თმა ამიჩეჩა.

ისეთი უშუალო და თბილი იყო მისი ეს ჟესტი, გული ამიჩუყდა და აღარ შევუბღვირე. მარჯანიშვილზე გავჩერდით. ვიკა ჯერ არ ჩანს.

— ერთი წუთით შევირბენ „ქალაქის არქიტექტურაში“ და გამოვალ, — მითანხმდება სანდრო. ლოდინი მომწყინდა. ჩანთიდან სურათებს ვიღებ და ვათვალიერებ. მშვენიერი ფოტოები გამომსვლია. აგერ, მსხვილი ხედით კრიხელის ხელი ბეჭდით, აი, მისი დიპლომატი, თვითონ მოსე კრიხელი შორი ხედით, კართან მდგარი პოლიციელი და მის უკან, ცნობისმოყვარეთა სახეები. სტოპ! ეს ვინ არის, მარჯვენა კუთხეში? ნამდვილად სანდროა, ის სანდრო, რომელიც მიმტკიცებდა, რომ გვამი არ უნახავს და ამიტომ, ჩემი მონათხრობი ძალიან აინტერესებს. სანდრო, რომელიც მიხსნიდა, რომ ჟურნალში გამოქვეყნებული ფოტოთი მიცნო. სანდრო იქ იყო და ეს ამბავი დამიმალა!!!

იგი სწორედ ამ დროს გამოვიდა არქიტექტურის დეპარტამენტის შენობიდან და ხალისიანი ნაბიჯით გამოემართა მანქანისაკენ. ფოტოები სასწრაფოდ ჩავყარე პარკში და სკამის ქვეშ შევტენე. ჩანთაში შეიძლება, ვიკამ დაინახოს და დათვალიერება მთხოვოს.

— არ მოვიდა შენი მეგობარი? — საჭეს მიუჯდა სანდრო.

— არა, გადავალ და ვნახავ, სად დაიკარგა, — ვუთხარი და კარის გაღება დავაპირე.

— რა მოგივიდა? ფერი არ გადევს, ცუდად ხომ არ ხარ? — მზრუნველი გამომეტყველება მიიღო სანდრომ და შუბლზე ხელი დამადო.

— დამცხა მანქანაში, ჰაერზე გავალ... — გარეთ მივიწევ მე.

მოულოდნელად, ვიკამ უკანა ფანჯარაზე დააკაკუნა და მანქანაში ჩახტა.

— მარიანა, დამაგვიანდა, ბოდიშს გიხდი. თქვენ სანდრო ხართ? — იღიმება და ხელს უწვდის.

ზუსტად არ მახსოვს, ვუთხარი თუ არა ვიკას, რა ჰქვია იმ ჩემს მეგობარს, ვისთანაც ვეპატიჟები. ძალიან ეჭვიანი გავხდი, — ვუბრაზდები ჩემს თავს. იქნებ, სწორედ იმიტომ დაინტერესდა სანდრო ჩემი ინტერვიუთი, რომ შემთხვევით შეესწრო სტადიონის ტუალეტში ჩემს გმირულ ფოტორეპორტიორობას? თუ ჩემთვის რაიმეს დაშავება უნდოდა, აქამდე ასჯერ შეეძლო. თანაც, ორნი ვართ, ვერ მოგვერევა, — თავს ვიმშვიდებ მე. მანქანა ბეთანიისკენ მიქრის...

ვიკას მთელი გზა ენა არ გაუჩერებია, მე კი საგონებელში ჩავარდნილი, სანდროსგან თავის დაღწევის სხვადასხვა ვარიანტს ვიგონებ.

რას უნდა ნიშნავდეს იმ დღეს, სტადიონზე მისი ყოფნა და შემდეგ, ამ ფაქტის ჩემთვის დამალვა? იქნებ, არც არაფერს სახიფათოს... იქნებ, სანდროს სწორედ მაშინ მოვეწონე და შემდეგ, ჩემი ნახვის საბაბად დასჭირდა იმის მოფიქრება, რომ სტატია აქვს დასაწერი?

უეცრად, ჩემმა მობილურმა დაიწკრიალა.

— ნიორ, სადა ხარ? — პასუხს არ ელოდება, ისე მაყრის შეკითხვებს ჩემი ბავშვობის მეგობარი თიკა. — რედაქციაში მოგაკითხე და ვერ გიპოვე. შენი ინტერვიუ წავიკითხე „დილის ცნობარში“. ინტერვიუს ნიშანი აქვს, რომ დაფინანსებულია. გაინტერესებს, ვის დასჭირდა შენს ინტერვიუში ფულის გადახდა? საიდუმლოდ შევიტყვე, რომ ვიღაც ტატო აგიაშვილს გადაუხდია. სტატიას სანდრო თოფურიძე აწერს ხელს, მაგრამ „დილის ცნობარში“ არც ის მუშაობს. ესეც დამკვეთის მოთხოვნა იყო...

ვიკა გაჩუმდა, სანდროც მდუმარედ ატრიალებს საჭეს. ჩემკენ არ იხედება, მაგრამ სადღაც კისრისა და ხერხემლის არეში ვგრძნობ მის დაძაბულ, არაკეთილგანწყობილ მზერას. რაც შემიძლია ხალისიან და უდარდელ ინტონაციას ვინარჩუნებ:

— მაპატიეთ, ბატონო ირაკლი, მეგობართან ვარ ბეთანიაში. მინდოდა თქვენი

გაფრთხილება და ვერ მოვახერხე.

— რა გაფრთხილება? ვინ ირაკლი? — აზრზე ვერ მოდის თიკა.

— თქვენს მდივანს დავუბარე, მაგრამ ალბათ, არ გადმოგცათ. რედაქციაში ვეღარ დაგელოდეთ. ძალიან კარგი, რომ დარეკეთ, თქვენი დახმარება მჭირდება... დიახ, სწორედ იმ სტატიასთან დაკავშირებით, ჩემს უჯრაში მაქვს დატოვებული, ძალიან მჭირდება თქვენი ჩარევა.

— გავიგე, ვერ მელაპარაკები, — როგორც იქნა, ხვდება თიკა. — გინდა, რომ ირაკლის დავუკავშირდე. სად ვიპოვი?

— რედაქციაში, აუცილებლად რედაქციაში ან სადმე სხვაგან. — შეუმჩნევლად გავთიშე ტელეფონი. — იმის კორექტურას თუ გამიკეთებენ, რაც უჯრაში დავტოვე, ხვალ დილასვე სტატია მზად მექნება. დიდი მადლობა გათავისუფლებისთვის. დღეს ცოტას დავისვენებ, მადლობთ, — ჩავძახე ბოლო ფრაზები გამორთულ აპარატს და ბატარეამაც დაიწრიპინა. ჯდება. ესღა მაკლდა...

— დაჯდა, — მწუხარედ დავხედე ტელეფონს. ყოველთვის მავიწყდება დატენვა.

— უკეთესია, აღარ შეგაწუხებენ, — მოულოდნელად გამხიარულდა სანდრო. — მოდი, ერთი საღამო, ჟურნალისტიკისა და რედაქციების გარეშე გავატაროთ.

გამოდის, რომ სანდრო ტატოს იცნობს, — გავიფიქრე და გამახსენდა, თუ როგორ გადავეყარე მას აეროპორტში, კრიხელის გადასვენების დღეს.

მანქანა ნაცრისფრად შეღებილი ჭიშკრის წინ გაჩერდა. უზარმაზარი გალავნის იქით არაფერი ჩანს. „ამ გალავანზე გადმოცოცება ძალიან გამიჭირდება“, — დავსკვენი სევდიანად. უკვე გასაგებია, რომ აქედან ჩემი ნებით არავინ გამიშვებს და გამოპარვა მომიწევს. სამაგიეროდ, ვიკაა ხალისიანი და სანდროს ალაყაფის კარის გაღებაში ეხმარება. უზარმაზარი გალავნის შიგნით ძველი სახლი დგას, ასეთივე ძველ, მოუვლელ ეზოში. ბალახი ლამის მუხლამდე გვწვდება. ეზოში ონკანიდან წყალი წვეთავს. უფრო მოშორებით, თავსახურიანი თონე თუ ჭა მოჩანს. სახლს წინ ძველებური ხის აივანი აქვს, უკან ტყე ესაზღვრება. ჭრაჭუნა კიბე ავიარეთ და სახლში შევედით. როგორც ჩანს, სახლის პატრონს სააგარაკე მიწა, ძველ სახლთან ერთად, ვინმე გლეხისგან უყიდია და ახლახან აუშენებია გალავანი.

ჭრაჭუნა კიბე ავიარეთ. ოთახში თანამედროვე ტელევიზორი და ტყავის სამეუღლი დგას, იატაკზე უზარმაზარი ნოხია დგებული, ჭერიდან ხის კედლებზე ძველებური, დაგრეხილი ელექტროსადენები ეშვება. ჭერზე ძველებური, ფოჩებიანი აბაჟური კიდია. დაბალ მაგიდაზე, მინის ლანგარზე, ერთი მწვანე ვაშლი დევს.

— ყავას დალევთ, ჩაის თუ კონიაკს? — დაფაცურდა სანდრო.

— მე წამალს ვსვამ და ალკოჰოლი არ შეიძლება, არც ჩაი და ყავა, — გავჯიქდი უცებ. — იქნებ, კამერა ჩაგერთო? რაღაც კასეტები მაქვს სანახავი, — გავბედე ბოლოს.

— აბა, რით გაგიმასპინძლდე? — მეკითხება სანდრო და ჩანთიდან კამერას იღებს. — აი, ხომ დაგპირდი და წამოვიღე კიდეც.

— ვაშლს შევჭამ და ერთ ჭიქა წყალს მივაყოლებ. — ხელი გავიწვდინე ლანგრისკენ.

— ერთ წუთში გავრეცხავ და შემოგიტან, მტვერი დაედებოდა. — ვაშლს ხელი დააფარა სანდრომ.

ვაშლი, მიკრობები! — გამახსენდა შეძახილი ცნობილი რეკლამიდან.

— კამერა შეაერთე, რა, — აპარატს გავხედე და ჩანთიდან კასეტა ამოვაცოცე.

— აი, აქ მოეწყვე და რასაც გინდა, უყურე. ახლავე, დენის გადამყვანს ვიპოვი, — კარადაში იქექება სანდრო.

— სანდრო რაღაცაშია გარეული, ფრთხილად უნდა ვიყოთ... ტატო მკვლელია. ანდერძში წერია, რომელიც სამსახურში ჩემს უჯრაში დავტოვე, — ვეჩურჩულები ვიკას.

— ყველაფერი მზადაა. მე წავალ, წყალს და ყავას მოგიტანთ, — გვიღიმის სანდრო.

— მე წამოგყვებით და ჩემს ყავას თავადვე მოვადუღებ, — აეკიდა ვიკა. კართან რომ მივიდნენ, მობრუნდა და თვალი ჩამიკრა.

„მარტოს არ ტოვებს, ყოჩაღ, ვიკა!“ — გავიფიქრე და კამერას ჩავუჯექი.

ციფრული კამერის, ვიდეოს რეჟიმში მართვა ძალიან იოლი აღმოჩნდა. პატარა ეკრანი გამოვწიე, კასეტა ჩავაგდე, „ფლეის“ დავაჭირე და გავშეშდი: ერთი, ყველასათვის კარგად ცნობილი ფინანსისტი, საუნაში, სრულიად შიშველი, ბუნებრივიცაა, ვიღაც ახალგაზრდა გოგონებთან ერთად ერთობა. ქალი სამია, მათგან ერთ-ერთი, არასრულწლოვანს ჰგავს. მას ხელში შოლტი უჭირავს. როგორც ჩანს, ფინანსისტს სადომაზოხისტური მიდრეკილება აქვს. აშკარად, ორი კამერა მუშაობს: ერთი შორ ხედს იღებს, მეორეზე კი, ამაზრზენი ნატურალისტურობით მოჩანს დეტალები. ასეთი რამ ყველაზე საზიზღარ პორნოშიც კი არ მინახავს, თუმცა, არცთუ ისე ბევრი პორნოგრაფია მაქვს ნანახი. „სტოპს“ დავაჭირე და კასეტა კამერიდან ამოვიღე. ჯიბეში ის კასეტა მოვძებნე, რომელიც კრიხელს ცალკე ჰქონდა გახვეული. კამერაში ჩავდე. კადრში ამჯერად, საუნის წინა ჰოლია, დიდი სარკით. სარკეში მოჩანს, როგორ ეფერება თმაზე ვიღაც ქერა, ახალგაზრდა ქალს მამაკაცი. კამერა ხელს მიჰყვება. კაცს ხელზე ბეჭედი უკეთია...

კამერა ბეჭედშია ჩამონტაჟებული, — მივხვდი მე და კაციც ვიცანი: ეს სანდროა. ამ დროს, ქალიც მოტრიალდა სარკისკენ. ვიკა! ღმერთო ჩემო, ჩემი ახალი მეგობარი და მესაიდუმლე ვიკა! კასეტა სასწრაფოდ ამოვიღე და სავარძლის ბალიშებს შორის ჩავტენე. ფეხაკრეფით გავწიე სამზარეულოსკენ. სანდროს ლანგარი მოუმზადებია: ერთი ჭიქა წყლით, ორი — ყავით და თეფშზე დასკუპებული მწვანე ვაშლით. ხელში რაღაც ფლაკონი უჭირავს და ბამბის ნაკუწს სითხით ჟღენთს.

— რა მოუვა, დაეძინება? — ჩურჩულით ეკითხება ვიკა.

— ჰო, დაეძინება. ჩვენ კასეტებს ავკრებთ და წავალთ. ერთად გავემგზავრებით ამერიკაში და მერე გვეძებონ, რამდენიც უნდათ.

— წყალში ჩაგესხა, — ჭიქაზე უთითებს ჩემი მოღალატე მეგობარი.

— წყალში არ გაიხსნება. ხომ ხედავ, ყავა და ჩაი არ დალია და ისევ ვაშლით ვცდი.

— მიყვარხარ. — ვიკა კისერზე ჩამოეკიდა სანდროს, რომელსაც ხელში ახლა უკვე, ჩემთვის განკუთვნილი მწვანე ვაშლი უჭირავს და ფლაკონიდან ამოღებული სითხით გაჟღენთილი ბამბით, კანს უპრიალებს.

დასასრული შემდეგ ნომერში

რენე ზელვეგერი

საუზმე: ბიგ-მაკი, კარტოფილის ფრი, ოლადები, რძის კოქტეილი.
სადილი: 20 ც კრემიანი ფუნთუშა, პიცა, ჩიფსები, რძის კოქტეილი.
ვახშამი: ხორციანი სპაგეტი, შემწვარი კარტოფილი, რძის კოქტეილი.
შუალედებში: შოკოლადი, ტკბილი წვენები...

ეს ვინმეს საოცნებო მენიუ არ გეგონოთ — იმ რაციონის ნუსხა გახლავთ, რომლის დაცვაც რენე ზელვეგერს მოუხდა, როდესაც ბრიჯიტ ჯონსის როლისათვის ემზადებოდა. ამ როლის მისაღებად მსახიობმა წონაში 10 კგ მოიმატა. ყოველგვარი ირონიის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაბიჯი ხელოვნებისათვის გაღებული მსხვერპლია, რადგან რენე ზელვეგერი იმ ბედნიერ მსახიობთა რიგს მიეკუთვნება, რომელთაც ზედმეტი წონის პრობლემა არ აწუხებთ. ყოფილი ტანმოვარჯიშისა და გულშემატკივართა გუნდის კაპიტნისათვის წონაში 10 კგ-ის ნებაყოფლობით მომატება, მართლაც რომ გმირობის ტოლფასი გახლავთ.

მსახიობი, ჰომელიც მზადაა, ჰოლისთვის მსხვეჩპლი გაიღოს

შვეიცარიულ-ნორვეგიული წარმოშობის მსახიობი რენე კეტლინ ზელვეგერი 1969 წლის 25 აპრილს ტეხასის შტატის ქალაქ კატიში დაიბადა. ქალაქი იმდენად პატარა იყო, რომ მასში კინოთეატრები და საკაბელო ტელევიზიაც კი არ იყო. რენე უკვე კოლეჯში სწავლობდა, როდესაც მხატვრული ფილმი პირველად იხილა.

„ჩემი მშობლები ევროპელები არიან, ამიტომ ჩვენს ოჯახში კინოთეატრში ერთობლივად სიარული მიღებული არ იყო“, — ამბობს მსახიობი.

რენე და მისი ძმა ენდრიუ ოჯახში პირველი თაობის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც ამერიკაში დაიბადნენ. მიუხედავად ამისა, ბავშვები თავიანთი წარმოშობით ძლიერ ამაყობდნენ. როდესაც რენეს სთხოვეს, საკუთარი გვარი უფრო იოლად წარმოსათქმელით შეეცვალა, ის კარიერის გაფუჭებას არ შეუშინდა და გვარის გამოცვლაზე სასტიკი უარი განაცხადა.

რენე ამერიკელი მეგობრებისაგან სრულიად განსხვავებულ სამყაროში იზრდებოდა. ამის მიზეზი ორი კონტინენტის კულტურათა შორის არსებული განსხვავების გარდა, ფასეულობათა ის განსაკუთრებული სისტემაც გახლდათ, რომელიც ზელვეგერთა ოჯახში სუფევდა. დედ-მამამ შვილებს თავიდანვე სრული თავისუფლება მიანიჭა, ამიტომ ბავშვებს არანაირი მიზეზი არ ჰქონდათ, რომ მშობლებს ავჯანყებოდნენ.

რენე ზელვეგერი საკუთარ ოჯახს დღესაც აღმერთებს, განსაკუთრებით კი, უფროსი ძმა ენდრიუ უყვარდა. ყველგან თან დაჰყვებოდა, მუდამ იმავე საქმეს აკეთებდა, რასაც ენდრიუ. „დრიუ ბეისბოლს თამაშობდა, მეც, რა თქმა უნდა, ბეისბოლზე სიარული დავიწყე, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს თამაში მიზიდავდა, არამედ იმის გამო, რომ მის გუნდში ვყოფილიყავი. დარწმუნებული ვარ, რომ დრიუს ძალიან უყვარდა პატარა დაიკო, რომელიც მუდამ ფეხებში ებლანდებოდა ხოლმე...“



სკოლაში შესვლისთანავე, რენემ დრამატულ სტუდიაში სიარული დაიწყო და რამდენიმე სპექტაკლშიც ითამაშა. ამასთან ერთად, გატაცებული იყო მძლეოსნობით, კალათბურთითა და ტანვარჯიშით. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე ოცნებობდა, მაგრამ ტრავმის მიღების შემდეგ მიხვდა, რომ ოლიმპიურ მედალზე ფიქრი, განუხორციელებელი ოცნება იყო.

1987 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ, რენემ მშობლიური ქალაქი დატოვა და სწავლა ოსტინის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე განაგრძო. ამასთან ერთად, ოსტინის ცნობილ სტრიპტიზ-ბარში ოფიციანტად მუშაობდა. თავდაპირველად, უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, შემდეგ კი ბინა იქირავა და სამსახიობო ოსტატობის კერძო გაკვეთილებზე სიარული დაიწყო. „ეს გაკვეთილები ჩემი სასწავლო გრაფიკის

ყველაზე სასიამოვნო ნაწილი გახლდათ და ძალიან მომწონდა. მსახიობობა ბავშვური კაპრიზი კი არ იყო, არამედ სულიერ მოთხოვნილებად მექცა“.

რენე საუნივერსიტეტო თეატრის დადგმებში თამაშობდა და თან, ხშირად მიემგზავრებოდა დალასში, რომ კინოში ეცადა ბედი, მაგრამ ბევრს ევერაფერს მიაღწია. მას მხოლოდ fast food-ის ტიპის რესტორნისა და ლუდის რეკლამებში იღებდნენ.

1991 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, რენემ ტელეფილმებში: A Taste for Killing, Murder in the Heartland, My Boyfriend`s Back რამდენიმე ეპიზოდური როლი ითამაშა. პირველ, საკმაოდ მოკრძალებულ წარმატებას ფილმში – „ტეხასური ჟლეტა ბენზოხერხით“ – მიაღწია, სადაც მისი პარტნიორი მეთიუ მაკონაჰი იყო. „ამ ფილმის სინჯებზე წასვლას არ მირჩევდნენ, მაგრამ ვიფიქრე, ტელევიზორთან ვჯდომას, სინჯებზე წასვლა და რომელიმე მონოლოგის წაკითხვა აჯობებს-მეთქი,“ – იხსენებს მსახიობი.

ამ ფილმში გადაღებების პარალელურად, სურათში – „სიყვარული და 45-კალიბრიანი კოლტი“ – მთავარი როლის მიღებაც სცადა, მაგრამ ამაოდ. რეჟისორმა ტალკინტონმა რენე მაშინვე დაიწუნა. გავიდა ხანი, რეჟისორმა კი სტარლინის როლის შემსრულებელი მსახიობი ვერა და ვერ იპოვა და რენემ გადაწყვიტა, ბედი ხელმეორედ ეცადა. ამჯერად გაუმართლა. განმეორებით სინჯებს რეჟისორი ასე იხსენებს: „მე და დარინი (ფილმის პროდიუსერი) ვისხედით და რენეს ვუსმენდით, შემდეგ ერთმანეთს მივუბრუნდით და ერთხმად განვაცხადეთ, რომ სტარლინი ვიპოვეთ“. ფილმის პრემიერის შემდეგ, რენე ზელვეგერი „წლის საუკეთესო დებიუტის“ ნომინაციაზე წარადგინეს და ბოლოს და ბოლოს, ჰოლივუდშიც შეამჩნიეს.

1993 წელს, კალიფორნიაში საცხოვრებლად გადასვლისთანავე, მის ბინაში ტელეფონი აწკრიალდა – რენეს კასტინგზე იწვევდნენ. ამ მიწვევის შედეგად, რენე ზელვეგერმა ერთ-ერთ წამყვან კინოკომპანიასთან ხელსაყრელი კონტრაქტი გააფორმა და საკუთარი აგენტი – პროდიუსერი ჯონ კარაბინოც დაიქირავა, რომელიც თავის დროზე, ისეთ ვარსკვლავებთან მუშაობდა, როგორებიც არიან: ნიკოლ კიდმანი, მერაია ქერი და მაიკლ ჯექსონი. რენე „ტალანტების სააგენტოშიც“ ჩაეწერა და კიდევ ერთ აგენტთან დადო კონტრაქტი.

ლოს-ანჯელესში ცხოვრების 18 თვის თავზე, რენეს, ბოლოს და ბოლოს, ბედმა გაუღიმა. ფილმში „მთელი სამყარო“ მთავარ როლზე დამტკიცებული მსახიობი ოლივია დაბო დაორსულდა და რენეს ამ სურათში მოხვედრის შანსი გაუჩნდა.



როდესაც სცენარი წაიკითხა, მიხვდა – ეს სწორედ ის იყო, რაც მას სჭირდებოდა. მაშინ, რენე საყვარელ ადამიანს გლოვობდა, 28 წლის მომღერალმა სიმ ელისონმა, რომელიც რენემ ტეხასის უნივერსიტეტში გაიცნო, 1995 წლის ივნისში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე...

ფილმი „მთელი სამყარო“ სკოლის მასწავლებლის, ნოველინ პრაის ელისის მემუარებზე აგებული მელოდრამაა. ქალს ახალგაზრდობაში მწერალ რობერტ ჰოვარდთან რომანი ჰქონდა (ფილმში ჰოვარდს, ვინსენტ დ'ონოფრიო განასახიერებს). „ეს პერსონაჟები სცენარის წაკითხვისთანავე შემიყვარდა. ნოველინ პრაისი მამაცი ქალია, რომელსაც სოციალური აკრძალვები არ აღელვებს“, – იხსენებს მსახიობი.

ხმებმა ამ ფილმის შესახებ, კომპანია Tristar-ის კასტინგის მენეჯერის ჰაილ ლევინის ყურამდეც მიაღწია. მან „ჯერი მაგუაიერის“ რეჟისორს, კამერონ კროუს აცნობა, რომ ახალგაზრდა მსახიობი აღმოაჩინა, რომელიც მას ახალ პროექტში გამოადგებოდა.

„მე დასახული გეგმის მიხედვით, უბრალოდ წინ მივისწრაფოდი, უეცრად კროუმ დამირეკა და მითხრა, რომ ჩემთან შეხვედრა და გასაუბრება სურდა. როდესაც ერთმანეთს მეორედ შევხვდით, მან თავის ახალ პროექტში მიმიწვია. ადრე კამერონ კროუს შესახებ არაფერი გამეგო და მით უმეტეს, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ამ პროექტში ტომ კრუზი მონაწილეობდა!“

ასე მიიღო რენე ზელვეგერმა დოროთის როლი ფილმში – „ჯერი მაგუაიერი“,

სადაც ის ტომ კრუზს უწევდა პარტნიორობას. გადაღების შემდეგ, კამერონ კროუ ამბობდა: „რენე მხოლოდ ღვთისგან ბოძებული სამსახიობო ნიჭის გამო არ აგვირჩევია; ჩემი არჩევანი მასზე იმიტომაც შევაჩერე, რომ რენე ალბათ, ერთადერთი მსახიობია, რომელიც გადასაღებ მოედანზე ტომ კრუზთან ფლირტს არ გააბამდა“. დეროთის როლზე კი, პრეტენზიას აცხადებდნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან: პატრისია არკეტი, მარისა ტომეი, უაინონა რაიდერი, ბრიჯიტ ფონდა და მირა სორვინო. მაგრამ ბედმა სწორედ რენეს გაუღიმა, რომელიც ეკრანებზე ფილმის გამოსვლისთანავე, ამერიკული კინოს ვარსკვლავად იქცა.

1977 წელს რენე ზელვეგერმა ფილმში – „ჭეშმარიტი ფასეულობანი“ – ითამაშა, სადაც მისი პარტნიორები, მერილ სტრიპი და უილიამ ჰერტი იყვნენ. 1999 წელს, კრის ო'დონელთან ერთად მონაწილეობა მიიღო ფილმში – „ბერბიჭა“, მაგრამ ეს სურათები წარუმატებელი აღმოჩნდა.

2000 წელს ეკრანებზე გამოვიდა კომედია – „მე, ისევ მე და ირენი“, – რომლის გადაღებების დროს, რენე ზელვეგერსა და ჯიმ კერის შორის ხანმოკლე რომანი გაიბა. კერიმ რენეს დაქორწინება შესთავაზა, მაგრამ ხანგრძლივი ჭოჭმანის შემდეგ, უარი მიიღო...

2000 წელს გამოსულმა ფილმმა – „დაიკო ბეტი“ – რენე ზელვეგერს, მაყურებლის სიყვარულის გარდა, კრიტიკის აღიარებაც მოუტანა. მსახიობმა „ოქროს გლობუსი“ მოიპოვა. ფილმზე – „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“ – მუშაობისას, მსახიობმა მთელ მსოფლიოს დაანახვა, თუ როგორი მსხვერპლის გაღება შეუძლია მას, როდესაც ამას მისი პროფესია მოითხოვს. იმისათვის, რომ ჰელენ ფილდინგის რომანის ეკრანიზაციაში სასურველი როლი მიეღო, რენემ ისეთი რამ მოიმოქმედა, რაც ქალების უმრავლესობისათვის კატასტროფის ტოლფასია – მან წონაში 10 კგ მოიმატა! ბრიტანული აქცენტის ასათვისებლად, ინგლისში დასახლდა და ერთ-ერთ გამომცემლობაში დაიწყო მუშაობა, სადაც ვერავინ მიხვდა, რომ მათი ახალი მდივანი ქალი, ჰოლივუდის ამერიკელი ვარსკვლავი იყო...

2002 წელს, რენე ზელვეგერმა ითამაშა ფილმში – „თეთრი ოლეანდრი“, მასშტაბურ სურათში „ჩიკაგო“ (რიჩარდ გირთან და კეტრინ ზეტა-ჯონსთან ერთად), 2003 წელს კი, მონაწილეობდა ფილმში – „ჯანდაბას სიყვარული!“ – ევან მაკგრეგორთან ერთად. ამავე წელს, ჯუდ ლოუსთან, ნიკოლ კიდმანთან და ნატალი პორტმანთან ერთად ითამაშა სურათში – „ცივი მთა“. 2004 წელს კი ეკრანებზე „ბრიჯიტ ჯონსის დღიურის“ მეორე ნაწილიც გამოვიდა... ■

ზურაბ წერეთელი „რუსულ დისნეილენდს“ აშენებს

„2005 წელს მოსკოვში „რუსული დისნეილენდის“ მშენებლობა იწყება,“ – განაცხადა რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა ზურაბ წერეთელმა რადიოსადგურ „Эхо Москвы“-ს ეთერში. „საოცრებათა საბავშვო პარკი“ ამერიკული „დისნეილენდის“ გამეორება არ იქნება. „ჩვენ ჩვენი გმირები გვყავს, ჩვენი ზღაპრები გვაქვს და იდეოლოგიაც განსხვავებულია“ – განაცხადა ზურაბ წერეთელმა და აღნიშნა, რომ ახალი პარკის კონცეფცია გარკვეულწილად „აღმზრდელობით მომენტსაც“ შეიცავს.

„რუსული დისნეილენდის“ მშენებლობა აქამდეც უნდა დაწყებულიყო, მაგრამ საკანონმდებლო ცვლილებებმა შეგვაფერხა და ამიტომ „საოცრებათა პარკის“ გენერალური გეგმა თავიდან შეიქმნა. ახალი კულტურულ-გასართობი კომპლექსი მოსკოვის ჩრდილო-დასავლეთით ნიჟნიე მნევნიკებში აშენდება. ■

მეიონს ნოულზი – „ოცნების ქალიშვილი“



სულ მალე, გოგონათა ტრიო Destiny`s Child-ის მომღერალი ბეიონს ნოულზი საკუთარ ფილმოგრაფიას კიდევ ერთ ნამუშევარს შემატებს. დამწყები მსახიობი ბროდვეიზე განხორციელებული მიუზიკლის Dreamgirls-ის კინოვერსიაში ერთ-ერთ მთავარ როლს ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ ბეიონსის სამსახიობო კარიერა ფილმით – „ოსტინ პაუერსი: გოლდმემბერი“ დაიწყო. ამის შემდეგ მომღერალმა კიდევ ერთ სურათში „ვარდისფერი ავაზა“ ითამაშა. ბეიონს ნოულზის სამსახიობო მონაცემები შეუმჩნეველი არ დარჩა. მან კინოში იმდენი შეთავაზება მიიღო, რომ თავისუფლად შეუძლია მომღერლის კარიერაზე ზრუნვას თავი მიანებოს. ახალი ფილმის სცენარზე სახელგანთქმული „ჩიკაგოს“ რეჟისორი და სცენარისტი ბილ კონდონი მუშაობს. გადაღებები 2005 წლის ზაფხულში დაიწყება. ■

მარტინ სკორსეზე მომ დილანის შესახებ დოკუმენტურ ფილმს გადაიღებს



მარტინ სკორსეზემ ლეგენდარული მუსიკოსის ბობ დილანის შესახებ დოკუმენტური ფილმის გადაღება დაიწყო. ამ ფილმის გადაღების პროცესი იმითაც იქნება გამორჩეული, რომ ცნობილი რეჟისორი გადაღებების დროს თავად დილანთან კონტაქტის დამყარებას არ აპირებს. როგორც სკორსეზემ ჟურნალისტებს განუცხადა, ის ფილმზე მუშაობის პროცესში დილანის ჩართვას არ აპირებს, რადგან სურს, რომ დილანის პიროვნების მისეული გაგება თავადვე ჩამოაყალიბოს და ფილმში განავითაროს. სურათი დილანის შემოქმედების ადრეულ წლებზე მოგვითხრობს და 1961-66 წლების პერიოდს მოიცავს. სურათს, სავარაუდოდ „ბობ დილანის ანთოლოგია“ ეწოდება (The Bob Dylan Antology Project) და ეკრანებზე 2005 წლის ზაფხულში გამოვა. სკორსეზეს განკარგულებაშია დილანის მენეჯერის მიერ გადაღებული 10-საათიანი ინტერვიუ და შესაძლოა, რომ საბოლოოდ, რამდენიმე შეკითხვა თავადვე დაუსვას. „ვცდილობ, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად პატიოსანი ფილმი გადავიღო“, – ამბობს რეჟისორი და თან აღნიშნავს, რომ ის მუსიკოსისადმი სიმპათიით არის განწყობილი და ამიტომ „პროდილანური“ ფილმის გადაღებას აპირებს. ■

კაილი მინოუგი პროდიუსერს სასამართლოში უჩივის

ავსტრალიელი მომღერალი კაილი მინოუგი ბრიტანელ პროდიუსერს პიტ უოტერმანს სასამართლოში უჩივის. უოტერმანი ერთ-ერთი იმათგანია, რომელთაც დახმარებითაც კაილიმ ესტრადაზე პირველი წარმატებული ნაბიჯები გადადგა.

ბრალდების თანახმად, პიტ უოტერმანის კუთვნილმა ლეიბლმა PAL Production-მა კრებულის Greatest Hits შემოსავლიდან კაილის კუთვნილი თანხა დააკლო (კრებული პირველად 1992 წელს გამოვიდა. 2002 წელს კი მეორედ გამოიცა). კაილი მონოუგის მიერ დაქირავებული აუდიტორული კომპანიის ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ლეიბლმა მინოუგს 830.000 დოლარზე მეტი დააკლო და მხოლოდ 500.000 დოლარი გადაუხადა. საფიქრებელია, რომ კაილი საკომპენსაციოდ 830.000 დოლარზე გაცილებით მეტს მოითხოვს, მაგრამ თანხის რაოდენობა ჯერჯერობით არ სახელდება.

პიტ უოტერმანი კაილი მინოუგის 1988 წლის ჰიტის I Should Be So Lucky-ის ავტორია. ავსტრალიელმა მომღერალმა ევროპაში წარმატებას სწორედ ამ ჰიტის მეშვეობით მოიპოვა. სინგლს ბრიტანულ ჩარტში 5 კვირის მანძილზე პირველი ადგილი ეკავა. ■

„და ვინჩის კოდის“ ეკრანიზაცია

ფრანგი მსახიობი ჟან რენო ტომ ჰენქსთან ერთად დენ ბრაუნის ტრილერის – „და ვინჩის კოდი“ ეკრანიზაციაში ითამაშებს. უკვე 2 წელია, რაც ეს წიგნი ბესტსელერების სიაშია. ფილმზე სამუშაოდ მიწვეულნი არიან რეჟისორი რონ ჰაუარდი და „ოსკაროსანი“ სცენარისტი აკივა გოლდსმანი („გონების თამაშები“). ფილმში მთავარ როლს – ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის რობერტ ლენგდონის პერსონაჟს ტომ ჰენკსი ითამაშებს. ჟან რენო კი პოლიციელ ბეზუ ფაშს განასახიერებს. ■

სილვესტერ სტალონე „რემბოს“ უმრუნდება

ცნობილმა ამერიკელმა მსახიობმა სილვესტერ სტალონემ განაცხადა, რომ „რემბოს“ მომდევნო ფილმში ითამაშებს. ვიეტნამის ომის ვეტერან ჯონ რემბოზე გადაღებული ციკლის უკანასკნელი ფილმი „რემბო-3“ ეკრანებზე 17 წლის წინ გამოვიდა. ახალი ფილმის გადაღება კი 2005 წლის ივნისში დაიწყება. სტალონეს მიერ შექმნილი გმირი გასული საუკუნის 80-იან წლებში ძალზე პოპულარული იყო. 6 წლის მანძილზე ეკრანებზე ამ ციკლის 3 ფილმი გამოვიდა. როგორც ამბობენ, 60 წელს მიტანებული მსახიობი ახალ სურათში კუნთებს ნაკლებად გამოაჩენს, მაგრამ სიუჟეტი, წინა ფილმების მსგავსად დაძაბული და საინტერესო იქნება. „რემბო-4“-ის რეჟისორის ვინაობა ჯერჯერობით, უცნობია. ■

შარლიზ ტერონი – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის 2004 წლის სენსაცია

ჰოლივუდის ვარსკვლავი შარლიზ ტერონი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის 2004 წლის სენსაციად დასახელეს. იოჰანესბურგის გარეუბანში დაბადებულ მსახიობს პრესის ნაციონალურმა კლუბმა ეს წოდება იმის გამო მიანიჭა, რომ შარლიზი პირველი აფრიკელი მსახიობია, რომელმაც „ოსკარი“ მიიღო („მონსტრი“). შარლიზის „ოსკარმა“ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენებიც კი გადაწონა, როგორებიცაა ათენის ოლიმპიადაზე თავისუფალი სტილით მოცურავეთა ნაკრების გამარჯვება ესტაფეტაში

და ფიფას გადაწყვეტილება 2010 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის სამხრეთ აფრიკაში ჩატარების შესახებ. პრესის ნაციონალური კლუბის თავმჯდომარის ბენ რუტმენის განცხადებით – „შერონის მიერ „ოსკარის“ მოპოვებამ საინფორმაციო საშუალებებზე უდიდესი ეფექტი მოახდინა. ის ჟურნალ Time-ის გარეკანზე გამოჩნდა, რასაც მსახიობები იშვიათად თუ ეღირსებიან ხოლმე. მსოფლიოს ბეჭდვითი და ელექტრონული მედია მისმა გამოსვლებმა და ინტერვიუებმა წალეკა. ამ წარმატებათა ფონზე, სამხრეთ აფრიკაში მისმა ვიზიტმა უდიდესი ტრიუმფით ჩაიარა“.

პრესის ნაციონალური კლუბი ჯილდოს გადაცემას სპეციალურ ცერემონიაზე გეგმავს. სხვადასხვა წლებში „წლის სენსაციის“ პრიზის მფლობელები იყვნენ: ნელსონ მანდელა, ფრედერიკ დე კლერკი, რაგბის ნაკრები და კრიკეტის ნაკრების გარდაცვლილი კაპიტანი ჰანსი კრონიე. ■

უკანასკნელი ამერიკული შთაბეჭდილებები: ატლანტიკ-სიტის კაზინო, «შავი» რინგი და დამშვიდობება ნიუ-იორკთან

გამოგიტყდებით — დასკვნითი მოგონების დაწერა ცოტა არ იყოს, გამიჭირდა: „მოგზაურის დღიურები“ 2001 წლიდან ქვეყნდება „გზის“ ფურცლებზე. თავდაპირველად, ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში მიღებულ შთაბეჭდილებებს გიზიარებდით, ბოლო 2 წლის მანძილზე კი, აშშ-ში ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ მოგითხრობდით და ბუნებრივია, მეძნელებოდა, მკითხველთან განშორება. მაგრამ როცა ჩემს „შავ“ ჩანაწერებს გადავხედე, დავრწმუნდი: ამერიკაში მოგზაურობის ბოლო ფურცელი დამრჩენია, რომლის თხრობაც წინა წლის №52-ში დავიწყე...

აკაკი გეგენავა

სატანის საუფლო და... ანაფორიანი მოთამაშეები

კაზინოს მაქებარი ვერ არავინ მინახავს, თვით თავგადაკლული მოთამაშეებიც კი! და მიუხედავად ამისა, სათამაშო ბიზნესის მესვეურნი მუშტრის ნაკლებობას არასოდეს უჩივიან! მეტიც, ზოგჯერ ისეა გადატენილი კაზინო, რომ იტყვიან, თაგვი კუდს ვერ მოიქნევს...

როგორც ჩანს, იოლი მოგებისკენ სწრაფვა და ერთბაშად გამდიდრების ცდუნება არცთუ ისე ადვილი დასაკებელია...

კაზინოს ფენომენი ყველაზე მძაფრად ალბათ, ატლანტიკ-სიტიში იგრძნობა, სადაც სათამაშო ბიზნესმა ლამის ყველაფერი წალეკოს. კაზინო „ბალუ“, სადაც ჩემი სატვირთო ავტომანქანით ახალი აპარატურა გადავუტანე მის მეპატრონეებს, სამსართულიანი იყო და თითოეული სართული ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდა. ფულის „კეთების“ მეთოდიც კი, სამივე სართულზე სხვადასხვაგვარი გახლდათ.

პირველ სართულზე ამას სათამაშო აპარატები „წარმართავდნენ“, თანაც, ძალზე „ჭკვიანურად“: როცა კაცი აპარატს ეთამაშება, დამარცხებასაც მანქანას აბრალებს... საინტერესოა, რომ ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს ამ აპარატებს მეპატრონე არც ჰყავს, მაგრამ ეს — ერთი შეხედვით. ხელმარჯვე ტექნიკური პერსონალი ისე ოსტატურად მართავს ამ დანადგარებს, რომ რაც არ უნდა დახვეწილი და მოხერხებული იყოს მოთამაშე, შემოსული თანხის 70%, როგორც წესი, ადგილზე რჩება!.. ამიტომაც, გამოცდილი მოთამაშეები პირველ სართულს ნაკლებად წყალობენ... ტურისტი და უბრალოდ, ცნობისმოყვარე კი, აქ ყოველთვის მრავლადაა.

მეორე სართულზე თამაშს კრუპიე წარმართავს. ის ხომ კაზინოს სახეა! კრუპიეს პროფესიონალიზმზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. პროფესიონალიზმამდე კი, დიდი გზაა გასავლელი. თანაც, მარტოოდენ სწავლა როდი კმარა. კრუპიე გარეგნობითაც უნდა გამოირჩეოდეს, ხელის სისწრაფითაც და მსახიობური ნიჭითაც!.. შეიძლება ითქვას, კაზინო ჰოლივუდივითაა: ჰოლივუდში კინოვარსკვლავებს არჩევენ, კაზინოში კი — კრუპიეებს... ჰო, დამავიწყდა კიდევ ერთი ნიუანსი — კრუპიეს რკინის ნერვებიც უნდა ჰქონდეს, წაგებულ მოთამაშეთა ლანძღვა-გინების ასატანად. თუმცა, საჩხუბრად აღერღილ უიღბლო კლიენტებს კაზინოს დაცვა, პერსონალის ცემას მაინც არ დაანებებს. აქვე ვიტყვი, რომ მენეჯერები კრუპიეებს ხშირად ცვლიან, მაღალ ხელფასსაც უხდიან და კაპრიზებსაც უსრულებენ — მათზე ხომ კაზინოს შემოსავალი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული!..

ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ის გახლდათ, რაც „ბალუს“ მესამე სართულზე ვნახე. შეიძლება ითქვას, სულ სხვა სამყაროში მოვხვდი. თუმცა, ინტერიერი სულაც არ განსხვავდებოდა მეორე სართულისგან: იგივე მწვანე მაუდგადაკრული მაგიდები და გემოვნებით ჩაცმული კრუპიეები... ერთია — იქ მოთამაშეები უფრო მშვიდად გამოიყურებოდნენ, არც მენეჯერისკენ იყურებოდნენ წარამარა. სამაგიეროდ, დაცვის ბიჭების რაოდენობა იყო თვალში საცემად მეტი. დაძაბული მზერით, ყურადღებით ზვერავდნენ დარბაზს... მოთამაშეები კი, ჩაცმულობით, მანერებით, საუბრის სტილით, ნამდვილ არისტოკრატებს ჰგავდნენ (ბევრი მათგანი, როგორც შემდგომ გავარკვიე, მართლაც, დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენელი ყოფილა).

...მაგიდებს შორის დავბორიალებდი. მოთამაშეთა ხან ერთ ჯგუფს ვაკვირდებოდი, ხან — მეორეს... ბოლოს, ჩემი ყურადღება ერთ-ერთმა მიიპყრო — მაგიდასთან სამუალო ასაკის, სმოკინგებში გამოწყობილი 4 მამაკაცი ივჯდა; დაძაბულები დასცქეროდნენ თავიანთ „ფიშკებს“.

— შენ გეტყობა, ნახევარი მილიონიც არ გაჩერებს!.. — ჩაიბურტყუნა ერთ-ერთმა, მეორის გასაგონად და თავისი ჟეტონები მაგიდის ცენტრისკენ გააჩოჩა...

ნახევარი მილიონიო, — რომ გავიგონე, კინაღამ შეძახილით გამოვხატე ემოცია. ვიფიქრე — ხომ არ მომეყურა-მეთქი? — მაგრამ ფირფიტებზე 10.000 რომ ამოვიკითხე, მივხვდი — ამ მაგიდასთან ნამდვილი მილიონერები თამაშობდნენ.

— ვასამმაგებ!.. — აცნობა მეორემ მოწინააღმდეგეს და კრუპიეს მიმართა ციფრის დასაფიქსირებლად. მერე ის, ვინც წელან ფირფიტები გააჩოჩა, ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ საბოლოოდ, ფორტუნას მიენდო და

გაღიმებულმა გახსნა კარტი!.. გახსნა და მხოლოდ თვალებით გამოხატა წაგებით გამოწვეული სიმწარე — სახის არც ერთი სხვა ნაკვთი არ გასტოკებია...

დარბაზში ხეტიალისას, ჩემი თავი მშიერ კაცს მივამსგავსე, მდიდრულად გაშლილ სუფრასთან რომ მიიყვანენ, ისიც გახარებული გაიწვდის ხელს, მაგრამ... სქელ მინას წააწყდება!.. ფულზე კი არ ვფიქრობდი — სულერთია, რომც მქონოდა, ვერაფერს მოვიგებდი, ყოველ შემთხვევაში, დიდ ფსონებს არ დავდებდი...

გარეთ გასვლა დავაპირე, ჩემს ამერიკელ თანამგზავრთან, რიკოსთან შესახვედრად, მაგრამ ამ დროს, ჩემი ყურადღება ორმა სასულიერო პირმა მიიპყრო. ერთი ბანქოს მაგიდას უჯდა, მეორე კი, პირველს გულშემატკივრობდა. თითქოს სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდნენ და არც ვინმე აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას. ერთადერთი მე ვიდექი და გაოცებული შევყურებდი — ვერაფრით გამეგო, სასულიერო პირებს რაღა უნდოდათ „სატანის სამფლობელოში“...

ცოტა ხანში, თამაში შეწყვიტეს, ბართან მივიდნენ და ყავა შეუკვეთეს. მოუამული სახეები ჰქონდათ. გვერდით მივუჯექი და მათ საუბარში ერთობ უცერემონიოდ ჩავერიე:

— დღეს, როგორც ჩანს, ფორტუნამ გიმტყუნათ...

ორივემ გაოცებით შემომხედა და არაფერი თქვა, მაგრამ არ მოვეშვი: — პირველად ვხედავ კაზინოში სასულიერო პირს...

— ჩვენ ისეთივე ადამიანები ვართ, როგორიც სხვები... — მკაცრად გამომხედა ერთმა. — რა გაღელვებს?

— არაფერი, უბრალოდ მაინტერესებდა — თქვენი მოძღვრებით ეს დასაშვებია?.. თქვენი განაწყენება არც მიფიქრია, — წამით დავიბენი.

— კაზინოში საეკლესიო თემებზე არ საუბრობენ, — შემომიტია მეორემ, რომელმაც აშკარად შემამჩნია დაბნეულობა. — შეგიძლია, ჩვენს ტაძარში მოხვიდე და იქ გიპასუხებთ...

— რაც შეეხება კაზინოში თამაშს, — მხარი აუბა პირველმა, — უცოდველი ამქვეყნად არავინაა!..

მივხვდი, მათთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა და სასწრაფოდ დავემშვიდობე. კიდევ ერთხელ მოვავლე თვალი ფულისა და აზარტის მორევში ჩაფლულთ და გასასვლელისკენ გავემართე. საათს დავხედე — რიკოსთან შეხვედრაზე გვარიანად დამგვიანებოდა.

„შავი“ რინგი და გააფთრებული ქერათმიანი ქალი

— სადა ხარ, აკა? თითქმის ნახევარი საათია, გელოდები! — მისაყვედურა რიკომ, რომელიც „ბალუს“ ცენტრალურ შესასვლელში მელოდა! (როგორც გახსოვთ, ჩემი ახალი ნაცნობი, ზანგი რიკო, პროფესიონალი „მოჩხუბარი“ იყო, ბრძოლით წესების გარეშე ირჩენდა თავს!).

— მაპატიე, მეგობარო, დრო გამექცა... — მოვუბოდიშე.

— რა იყო, ბევრი ხომ არ წააგე? — ჩამეძია რიკო.

— არა, წაგებით სულ არ წამიგია, — უბრალოდ, მოთამაშეების სახეებს ვაკვირდებოდი. საინტერესოა, ბევრი ხომ ვერ აკონტროლებს საკუთარ ემოციებს დიდი მოგების ან მით უმეტეს, წაგების დროს!..

— კარგი. რაღას ველოდებით, წავიდეთ, არა? — მხარზე ხელი დამარტყა რიკომ და ქალაქის ცენტრალურ ქუჩას გავუყვეთ.

— სად მიგყავარ, რიკო? წინასწარ არ შეგიძლია, მითხრა? — დავინტერესდი.

— იქ, სადაც ნამდვილი მამაკაცები იკრიბებიან! — მაღალფარდოვნად თქვა მან და დასძინა: — რინგზე! დღეს მაგარი ჩხუბები იქნება, მაგარი ფსონებიც დაიდება. მე კიდევ, მაინცდამაინც ახლა მტკივა ეს ფეხი!..



რიკოსთან შეხვედრაზე გვარიანად დამგვიანებოდა

ოციოდე წუთში, ცენტრალური ქუჩიდან გადავუხვიეთ. მალე გაქრა ლამაზი, მდიდრული შენობები და მიყრუებულ უბანში ამოვყავით თავი. აღარ გამკვირვებია, რადგან ასეთი რამ ამერიკაში ჩვეულებრივი ამბავია. ნიუიორკშიც რამდენჯერ გადავწყდომივარ ამაზე უბადრუკ ადგილებს...

ერთ-ერთ უხეირო, პირქუშ შენობასთან ბევრი მანქანა იყო ჩამწკრივებული. შესასვლელში 2 მოზრდილი ტიპი იდგა. რიკოს თავი დაუკრეს, ჩემზე კი იკითხეს, ვინ არისო? ჩემი მეგობარიაო, — უპასუხა რიკომ და უპრობლემოდ შემიშვეს შენობაში.

დერეფანი, რომელსაც მივუყვებოდით, გვირაბს ჰგავდა, სადაც აქა-იქ, კანტიკუნტად ანათებდა მბჟუტავი ნათურები. კედლებს ნესტის სუნი ასდიოდა. გაკაშკაშებული, ლაპლაპა კაზინოს შემდეგ, აქაურობა ნამდვილ ჯოჯოხეთს ჰგავდა. ბოლოს და ბოლოს, გავიარეთ ბნელი გასასვლელი და მოზრდილ დარბაზში ამოვყავით თავი. იქ უკვე შედარებით ასატანი ატმოსფერო იყო, თანაც, მაყურებლებს შორის საკმაოდ კარგად ჩაცმული ქალბატონებიც შევნიშნე.

დარბაზის ცენტრში, ქვემოთ, გისოსებით შემოღობილი რინგი იყო მოწყობილი, მის გარშემო კი, ამფითეატრის ფორმის მაყურებელთა რიგები გახლდათ განთავსებული. ასეთ უღიმღამო, სხვადასხვა ზომისა და ფერის სკამებზე, თავმოყვარე კაცი ალბათ, არც დაჯდებოდა. მაგრამ ჩემდა გასაოცრად, პუბლიკა ამას არად დაგიდევდა. უფრო მეტიც — მაყურებელთა ერთი ნაწილი ფეხზე იდგა და მოუთმენლად ელოდა ორთაბრძოლების დაწყებას.

რიკოც ჩვეულ გარემოში იმყოფებოდა, ამაყად გადმომხედა, რადგან ყველა ესალმებოდა, მხარზე ხელს ურტყამდა...

— აი, ეს არის ჩემი სამყარო! — მითხრა სახეგაბრწყინებულმა. — მალე ჩხუბები დაიწყება და ყველაფერს საკუთარი თვალით ნახავ!

რინგზე წელს ზემოთ შიშველი 8 მამაკაცი გამოვიდა. მათზე ვერ იტყოდი, ათლეტური აღნაგობით გამოირჩევიანო და ერთი პირობა, ისიც გავიფიქრე — ამათ ხომ მეც მოვერეოდი-მეთქი, მაგრამ სახეებს რომ დავაკვირდი, უსიამოდ გამაჟრჟოლა. ასეთი გამომეტყველების ადამიანები, არაფერზე უკან არ იხევენ, მით უმეტეს, როდესაც საქმე ფულს ეხება... ფსონები დაიდო, მეტოქეები დაწყვილდნენ და შერკინებაც დაიწყო. მებრძოლებს არანაირი წესები არ ზღუდავდა. არც დრო იყო განსაზღვრული. მოგებულად ის ითვლებოდა, ვინც მოწინააღმდეგეს იატაკზე დააგდებდა და ფეხზე ადგომის საშუალებას აღარ მისცემდა. ერთი სიტყვით, ნამდვილი ქუჩური ჩხუბის კანონები მოქმედებდა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სპორტულ შერკინებასთან — კრივი იქნება ეს თუ ჭიდაობის რომელიმე სახეობა.

შერკინებებიც „ქუჩური სისწრაფით“ გამოირჩეოდა — საკმაოდ მოკლე ხანში მთავრდებოდა. რინგზე თითქოს, საშინელი არაფერი ხდებოდა, მაგრამ სპორტსმენების დასისხლიანებულ, ჩალურჯებულ სახეებს რომ შევცქეროდი, ჩემდა გასაოცრად, იმის



ასეა თუ ისე, იმ ორი წლის მანძილზე, ბევრი რამ მოვინახულე

მაგივრად, რომ სიბრალულის გრძნობა გამჩენოდა, სრული ინდიფერენტულობა მეუფლებოდა...

დარბაზში ბევრი მანდილოსანიც იმყოფებოდა და დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ჩხუბს. უმეტესობა, კავალერთან ერთად იყო, მაგრამ შევნიშნე ისეთებიც, ვინც მამაკაცების გარეშე იყვნენ მოსულები. ორი მათგანი ჩვენ გვერდით იჯდა და მეც დროდადრო, მათკენ გამირბოდა თვალი. განსაკუთრებით დამაინტერესა ქერათმიანმა, რომელიც მეტისმეტად ემოციურად რეაგირებდა რინგზე მიმდინარე მოვლენებზე.

— როგორია, ა?! — ვცადე მასთან გამოლაპარაკება და თითქოს აღტაცება გამოვხატე მორიგი აპერკოტის გამო. მანაც, ამერიკელთათვის დამახასიათებელი უშუალობით, საპასუხოდ გამიღიმა, თავი დამიქნია და ისევ რინგს ჩაშტერდა. ისე იყო გატაცებული მიმდინარე მუშტი-კრივით, რომ თითქოს სხვას ვერაფერს ამჩნევდა. ერთ მომენტში კი, ფეხზე წამოხტა, ამ დროს, მის გვერდით დადებულ „კოკა-კოლის“ დიდ ჭიქას გაჰკრა ხელი და... ჩემი შარვალი ქაფიანი სითხით გაიჟღინთა...

— ოუ! — შეკრთა ქალი. — ბოდიშს გიხდით, დიდი ბოდიში!.. — შეწუხდა ქერათმიანი, ჩემს შარვალზე მისხმულ „კოლას“ გააყოლა თვალი და მეც მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რომ სითხე „სარორჩაზეც“ გადამსხმია.

— მის, ამას ბოდიში არ უშველის... — მკაცრად ვუპასუხე, თითქოს მართლაც, გავბრაზდი: ჩემი მოკლე ჭკუით ვიფიქრე, ოინს მოვუწყობ-მეთქი და დავძინე: — ასეთ დროს ფულს იხდიან...

— რამდენია საჭირო? ახლავე გადავიხდი, — თქვა ქერამ და ჯინსის ჯიბიდან საფულე ამოიღო. ასეთ პასუხს არ მოველოდი და საგონებელში ჩავვარდი. რადგან ქალმა ჩემი ნათქვამი სერიოზულად აღიქვა, უმალ უკან დახევა არ ღირდა — ცოტა ხანს თამაში უნდა გამეგრძელებინა. გადავწყვიტე, „ამერიკულად“ მოვქცეულიყავი — ე.ი. დიდი ფასი „მომეხია“, თან ვიფიქრე — ასე უფრო მიხვდება იუმორს და ჩვენი ნაცნობობაც შედგება-მეთქი...

— ეს შარვალი 100 დოლარი ღირს, პერანგიც ამდენივე, ფეხსაცმელიც ხომ დასველდა!.. ასე რომ, თქვენზე, 300 დოლარია! — გულუბრყვილო გამომეტყველება მივიღე და პაუზის შემდეგ დავძინე: — მაგრამ ვინაიდან თქვენ ქალბატონი ხართ, მე კი — ჯენტლმენი, ნახევარ ფასზე შევთანხმდებით...

თავიდან ქერათმიანიც და მისი დაქალიც ყურადღებით მისმენდნენ, მერე უცბად, სახეზე უკმაყოფილო გამომეტყველება აღებეჭდათ.

— ჯენტლმენიო?.. შენ ხომ არ უბერავ?!. — განრისხება ვეღარ დაფარა ქერათმიანის დაქალმა. ამ დროს, რიკოსკენ გავიხედე და თვალი ჩავუკარი. მასაც ჩემსავით, უკვე უჭირდა სერიოზული გამომეტყველების შენარჩუნება... ამ დროს, ქალი განაგრძობდა:

— არაფერსაც არ გადავიხდით! და თუ ბევრს გაახურებ, პოლიციას დავუძახებთ, გასაგებია?!

მივხვდი, ჩვენებურ იუმორზე აცრილები იყვნენ და თამაში უნდა შემეწყვიტა. თან, კარგი საბაბი მომცეს, სიტყვაზე გამომეჭირა:

— ო-ო... აი, პოლიციას კი ნუ შევაწუხებთ: ხომ არ დაგავიწყდათ, სად ვიმყოფებით?.. — გავუღიმე. — თან, ვერ მიმიხვდით — ეს ყველაფერი, ხუმრობა იყო. აბა, ამისთვის ფულს როგორ მოგთხოვთ?!

ამრეზით შემომხედეს. კი მიხვდნენ, რომ ამჯერად სამართლეს ვეუბნებოდი, მაგრამ ჩემი იუმორი კვლავ არ ეჭაშნიკათ, იმდენად, რომ ადგნენ და მოშორებით, თავისუფალ ადგილებზე გადაინაცვლეს...

— ცოტაც და ალბათ, მცემდნენ... — შევჩივლე რიკოს.

— დაიკიდე!.. აქ ნორმალური ქალი მოვა?.. — გამიღიმა ზანგმა.

ცოტა ხანში, ორთაბრძოლებიც დამთავრდა და დარბაზი, სტვენითა და ყიჟინით, ტრიბუნებიდან წამოიშალა. ვერ ვიტყვი, რომ ნანახით დიდად აღფრთოვანებული დავრჩი. ეს შთაბეჭდილება რიკოს გავუზიარე. მანაც, როგორც მასპინძელმა, თითქოს თავი იმართლა — დღეს ორთაბრძოლებში ძლიერები არ მონაწილეობდნენო...

დამშვიდობებისას თავისი მობილური ტელეფონის ნომერი ჩამაწერინა და მითხრა — მეორედ აქეთ რომ მოხვდები, აუცილებლად დამიკავშირდიო. გზაჯვარედინზე დავშორდით ერთმანეთს. იმის შემდეგ, აღარ შევხვედრივარ.

ვემშვიდობები ნიუ-იორკსა და... „გზის“ მკითხველს

კაზინოს მფლობელებმა სიტყვა შეასრულეს — დათქმულ დროზე ნაღდი ფულით გადამიხადეს თანხა, რომელზეც წინასწარ შევთანხმდით. ძალზე საქმიანი შეხვედრა გვქონდა — ცივი და ხანმოკლე, ისიც კი არ უკითხავთ, როგორ გავატარე საღამო კაზინოში. მერე სწრაფად დამემშვიდობნენ — ისე, რომ ჩემთვის გზაც არ დაულოცავთ... ტრაილერი დავქოქე და ნიუ-იორკისკენ ავიღე გეზი. ეს ჩემი ბოლო საავტომობილო მოგზაურობა იყო ამერიკაში...

ბევრისგან განსხვავებით, ვისაც ნიუ-იორკი ძალზე ცივ ქალაქად მიაჩნია, მე ბევრი სასიამოვნო მოგონება დამიტოვა „მსოფლიოს დედაქალაქმა“. ვინც ჩემს დღიურებს ადევნებდა თვალყურს, ემახსოვრება ადამიანები, რომლებსაც სწორედ ნიუ-იორკში გადავეყარე და აშშ-ში ჩემი ყოფნისას, ბევრი სიკეთე თუ სითბო მიწილადეს — მკვიდრი ამერიკელები იქნებოდნენ ისინი თუ ყოფილი საბჭოთა კავშირიდან წასული იმიგრანტები... იქვე მივაღწიე პირველ წარმატებას — ისეთი სამსახური ვიშოვე, რომელსაც შემოსავალიც მოჰქონდა ჩემთვის და მოგზაურობის ჟინსაც მიკლავდა. სწორედ ამ სამსახურის წყალობით მოვიარე ამერიკის ბევრი ქალაქი, თან, ჩემი კომპანიის მეპატრონის, ედმონდის წყალობით, შესაძლებლობა მეძლეოდა, ამ უკიდეგანო ქვეყნის სხვადასხვა კუთხე მომენახულებინა. თუმცა, ჩემდა სამწუხაროდ, ვერ მოვხვდი შტატების დასავლეთ სანაპიროზე. ოცნებად მქონდა ქცეული, სან-ფრანცისკოში, ლოს-ანჯელესსა (განსაკუთრებით — ჰოლივუდში) და ლას-ვეგასში მოხვედრა. ვერ ვიმოგზაურე აგრეთვე, არიზონისა და ნევადის შტატებში, სადაც როგორც ამერიკელები ამბობენ, ნამდვილი ამერიკული სული ტრიალებს, რომელიც ამ ქვეყნის ჩამოყალიბების ხანიდან, ყველაზე მეტად სწორედ იქაა შენარჩუნებული...

ასეა თუ ისე, იმ ორი წლის მანძილზე, ბევრი რამ მოვინახულე, მქონდა საინტერესო თავგადასავლები, რომლის შესახებაც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე (2002 წლიდან) მოგითხრობდით და თუ „გზის“ მკითხველთა წერილობითი და სატელეფონო გამოხმაურებებით ვიმსჯელებ, შემიძლია ვთქვა, რომ თქვენთვისაც საინტერესო აღმოჩნდა. დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ მხარდაჭერისა და თბილი სიტყვებისთვის. მოგონებების წერისას, თქვენი გამოხმაურებები ძლიერ მამხნევებდა და იმის სტიმულიც მომცა, რომ ამ საქმიანობაზე სამომავლოდაც ვიფიქრო...

აშშ, 1998—2000 წწ.

■

Audi-ს უნგრული ჰიტსოდია

შარშან შემოდგომაზე, უნგრეთის ქალაქ დიორში მდებარე, კომპანია „აუდის“ ქარხანაში ღირსშესანიშნავი მოვლენა აღნიშნეს: მისი კონვეიერიდან გადმოსული, სახელგანთქმული მოდელის – TT-ის მანქანების რაოდენობამ 250 ათასს მიაღწია. უნგრული „ჩამოსხმის“, სრულამძრავიანი TT-ის მოდიფიკაცია 6-ცილინდრიანი ძრავათია აღჭურვილი, რომელიც 250 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს.

წარსულში სოციალისტური ბანაკის ერთ-ერთ ქვეყანაში ამ პრესტიჟული სპორტული ავტომობილის წარმოება 1998 წლის გაზაფხულზე დაიწყო. დიორის ქარხანაში დასაქმებულთა რაოდენობა არცთუ ისე დიდია – იქ სულ 300 ადამიანი შრომობს და წარმოების ეფექტიანობა უმთავრესად, ავტომატიზაციისა და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების შედეგადაა მიღწეული. „აუდის“ უნგრულ ფილიალში – Hungaria Motor-ში სულ 165 ათასი Audi TT Coupe და 85 ათასი Audi TT Roadstar-ია გამოშვებული. დიორის ქარხანა, გერმანული კომპანიის სათავო საწარმოსთან (ქალაქ ინგოლშტადტში) მჭიდრო კოოპერაციით მუშაობს: გერმანიაში მზადდება ძარის ნაწილები, სრულდება შესადუღებელი და სამღებრო სამუშაოები; ამის შემდეგ, ძარები რკინიგზით იგზავნება უნგრეთში, სადაც ავტომობილის საბოლოო აწყობა ხორციელდება.

უნგრეთში გამოშვებული Audi TT, სხვადასხვა ტიპის 4-ცილინდრიანი ძრავებითაა აღჭურვილი. მათი სიმძლავრე 150-სა და 225 ცხ.ძ-ს შორის მერყეობს. 2003 წლიდან კი, მანქანას 250 ცხ.ძ. სიმძლავრის 6-ცილინდრიანი აგრეგატიც დაურთეს თან. უნგრული „აუდი“ 40-მდე ქვეყანაში იგზავნება. ■

Michelin-ის ექსპერიმენტი

კომპანია Michelin-ის ინჟინრებს სულ 20 თვე დასჭირდათ საიმისოდ, რომ სითბურ ელემენტებზე მოქმედი, კონცეპტუალური მოდელი შეემუშავებინათ. ავტომობილი, რომლის სახელწოდებაცაა Hy-light, წინა ბორბლებში ჩამონტაჟებული 2 ელექტროძრავას მეშვეობით მოძრაობს. ამ ძრავების კვება, კაპოტქვეშ მოთავსებული, წყალბადის გენერატორის მეშვეობით ხორციელდება. ორივე ძრავას ჯამური სიმძლავრე 41 ცხ.ძ-ს აღწევს. ამ მანქანიდან ატმოსფეროში მხოლოდ ჩვეულებრივი ორთქლი ხვდება. საბარგულში მოთავსებულია დამატებითი აკუმულატორი, რომელიც მანქანის დამუხრუჭების დროს იმუხტება. ერთჯერადი დამუხტვა 400-კილომეტრიან გარბენს ჰყოფნის.

100 კმ/სთ სიჩქარეს Hy-light 12 წმ-ში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 130 კმ/სთ-ია. ავტომობილის საერთო მასა დამუხტულ მდგომარეობაში 850 კგ-ს შეადგენს. ოთხადგილიანი ექსპერიმენტული Hy-light შვეიცარიაში, კომპანიის კვლევით ცენტრში შემუშავდა, მისი ოფიციალური პრემიერა კი, 2004 წლის დამლევს შანხაიში შედგა, სადაც სხვადასხვა ქვეყნის 100 ფირმის მიერ წარმოდგენილი ალტერნატიული ტექნოლოგიების გამოფენა გაიმართა. ■

ისტორიული Alfa

სპორტული ავტომობილი – Alfa Romeo 8C 2900 B – ორ ეპოქას აერთიანებს: მისი ტექნიკური შიგთავსი გასული საუკუნის 30-ანი წლებისაა, ხოლო იმდროინდელი „ფორმულა 1“-ის ბოლიდების სტილში შესრულებული ძარა, ულტრათანამედროვე მასალებისგან უახლესი ტექნოლოგიებითაა დამზადებული. 8-ცილინდრიანი ბენზინის ძრავა 220 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს, რაც დღევანდელი საზომით ფრიად მოკრძალებული მაჩვენებელია, მაგრამ 7 ათწლეულის წინ, რეკორდული გახლდათ.

ბუნებრივია, 30-იან წლებში შეშხეფების ხელსაწყო არ არსებობდა, ამიტომ Alfa Romeo 8C, ორი არქაული კარბიურატორითაა აღჭურვილი. ეს მანქანა, სერიული წარმოებისთვის განკუთვნილი როდია, მის შემქმნელთა მთავარი ამოცანა ის გახლდათ, რომ შეეხსენებინათ საავტომობილო სამყაროსთვის: Alfa Romeo ავტოსპორტში ტონის მიმცემი გახლდათ. ის სხვადასხვა რბოლაში გამოჰყავთ საასპარეზოდ და მუდამ პუბლიკის აღფრთოვანებას იწვევს. ■

დეტექტივის უდიდესი ოსტატი, აგატა კრისტი უკვე საქვეყნოდ ცნობილი მწერალი იყო, მაგრამ კვლავ ჯიუტად უარყოფდა, რომ პროფესიონალი მწერალი გახლდათ. ანკეტის შევსებისას გრაფაში თავისი საქმიანობის შესახებ ყოველთვის წერდა: — „გათხოვილი ქალბატონი“ და ცხოვრების არსს სწორედ ოჯახსა და ოჯახურ ყოფაში ხედავდა. „ზედმეტი მოკრძალების გარეშე ვამბობ, რომ ოჯახისათვის ყოველთვის სარგებლობა მომქონდა“, — წერდა აგატა თავის მემუარებში. დეტექტივების წერა მისთვის დიდხანს მხოლოდ ჰობი, უმნიშვნელო გატაცება იყო და ქმარზე ზრუნვასა და ოჯახურ სიმყუდროვესთან შედარებით, ბევრს არაფერს ნიშნავდა.

აგატა კრისტი

მწერალი, რომელიც სიცოცხლის ბოლოს ოჯახური ბედნიერების საიდუმლოზე ფიქრობდა

ოჯახს, სადაც 1890 წელს აგატა კრისტი (ქალიშვილობის გვარი – მილერი) დაიბადა, დღეს საშუალო კლასს მიაკუთვნებენ. მოსამსახურე ჰყავდათ, მაგრამ ტაქსის გამოსაძახებლად ფული არ ჰყოფნიდათ. მოდური კაბის ყიდვა ან ტუალეტის განახლება იმდენად მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი მოვლენა იყო, რომ ავტობიოგრაფიაში, რომელიც აგატა კრისტიმ 75 წლისამ დაწერა, დაწვრილებით იხსენებს და აღწერს მისთვის ნაყიდი ახალი სამოსის უმცირეს დეტალებს.

იმ დროს გოგონებისათვის სერიოზული განათლების მიცემა, მიღებული არ იყო; აგატასაც მხოლოდ იმას ასწავლიდნენ, რაც მას ხელსაყრელი ქორწინების მიღწევაში დაეხმარებოდა. აგატა მუსიკას, ცეკვას, დახვეწილ მანერებსა და უცხო ენებს, ხელსაქმესა და ჯემების გაკეთებას სწავლობდა, მაგრამ ის ფაქტი, რომ გოგონას მათემატიკის ნიჭი აღმოაჩნდა და ლექსებსა და მოთხრობებს წერდა, არავის აინტერესებდა.

იმ დროისათვის, როდესაც აგატას გათხოვების დრო დადგა, ოჯახის მამა ცოცხალი აღარ იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა, რომ თურმე, საქმეებს ცუდად უძღვებოდა და ოჯახი თითქმის უსახსროდ დატოვა. ლონდონში მაღალი საზოგადოების წინაშე ქალიშვილის წარდგენას ფული სჭირდებოდა.

გოგონა რომ დაებინავებინა, მისის მილერი ეგვიპტეში გაემგზავრა, სადაც ცხოვრება გაცილებით იაფი ჯდებოდა და რაც მთავარია, იქ ქალის ალერსსა და ოჯახურ სითბოს დანატრებული ბევრი ოფიცერი ეგულებოდა. ცხელი სამხრეთული ღამეების წყალობით, ქალისადმი მათი მოთხოვნები უფრო მოკრძალებული იყო, ვიდრე ცივ, რაციონალისტურ ლონდონში.

აგატამ დედის იმედები ვერ გაამართლა. სამხედრო ბარონეტების წინადადებები უარყო და ლონდონს გაუთხოვარი დაუბრუნდა, სადაც ბრიტანეთის საჰაერო-სამხედრო ძალების მფრინავი არჩი კრისტი შეუყვარდა. მალე მათ თითქმის საიდუმლოდ იქორწინეს. როგორც მატერიალური, ასევე პრესტიჟულობის თვალსაზრისით, ეს ქორწინება არცთუ ისე სახარბიელო იყო, ადამიანური თვალსაზრისით კი – კიდევ უფრო უარესი აღმოჩნდა.

მემუარებში აგატა არჩიზე არც ერთ საყვედურს არ ამბობს, მხოლოდ კარგ ამბებს იხსენებს. ირწმუნება, თუ როგორი გმირი და პრაქტიკული ადამიანი იყო ბრიტანეთის ავიაციის ერთ-ერთი პიონერი არჩი კრისტი, რომელმაც ავიაციიდან დემობილიზაციის შემდგომ, სავაჭრო კანტორაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ ფაქტები სრულიად საპირისპიროს მეტყველებენ.

არჩი ცოლს უყვიროდა, როდესაც ორსულ აგატას პირღებინება ეწყებოდა. ემუქრებოდა, რომ ბიჭის დაბადების შემთხვევაში, მასთან ურთიერთობას გაწყვეტდა, რადგან შიშობდა, რომ აგატა ვაჟიშვილს უფრო მეტ დროსა და ყურადღებას დაუთმობდა, ვიდრე მეუღლეს, ამასთან შეგუებას კი არჩი არ აპირებდა. საბედნიეროდ ოჯახს გოგონა შეეძინა, რამაც მათი ქორწინება რამდენიმე წლით გაახანგრძლივა. აგატა მეორე ბავშვზე ოცნებობდა, მაგრამ მეუღლემ ამის უფლება არ მისცა. ივი ცოლს ნელ-ნელა შორდებოდა, ცდილობდა, ყველანაირი საზრუნავი აგატასთვის გადაეღოცა და როდესაც ოჯახის რომელიმე ახლობელი კვდებოდა ან ავად ხდებოდა, თავხედურად აცხადებდა: ვერ ვიტან, როდესაც ჩემ გვერდით კვდებიან ან ავად ხდებიან, უბედურება ცხოვრებას მიმწარებსო.

ერთადერთი, რაც არჩი კრისტის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, ის იყო, რომ როდესაც ჟურნალ-გაზეთებში აგატას ნაწარმოებთა გამოქვეყნება დაიწყო, ცდილობდა, ცოლისათვის ხელი შეეწყო და მასში ახალი რომანების დასაწერად ინტერესი გაეღვივებინა.

აგატა, რომელიც მხოლოდ იმიტომ წერდა, რომ მოსაწყენი ყოველდღიურობისაგან თავი დაეღწია, გაცებული იყო იმით, რომ მისი ნაწარმოებები საერთოდ იბეჭდებოდა. ჰონორარიც იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ უმჯობესი იქნებოდა, მოახლე დაეთხოვათ და ოჯახზე ზრუნვა მთლიანად საკუთარ თავზე აეღო, მაგრამ არჩის არ სურდა, მასტიკისა და შემწვარი ვირთევზას სუნით გაჟღენთილი მეუღლე ჰყოლოდა და გამუდმებით ჩასჩიჩინებდა: წერე! წერე!!! არადა, საწერი მაგიდის შეძენა მაინც ზედმეტ ფუფუნებად ჩათვალა, ამიტომ, აგატას საბეჭდი მანქანა ხან ფანჯრის რაფაზე იდგა, ხან სასადილო მაგიდაზე, ხან კი სულაც პირსაბანის სადგარზე.

„ახალი ქორწინების ძალიან მეშინოდა. ქალისთვის ჭეშმარიტი ტკივილის მიყენება ხომ მხოლოდ მეუღლეს შეუძლია...“

აგატა შეუსვენებლივ წერდა. გადაღლილობამ და დედის გარდაცვალებით გამოწვეულმა მწუხარებამ მას მძიმე დეპრესია განუვითარა და სწორედ ამ დროს მიატოვა არჩიმ. განშორების მიზეზი – ახალგაზრდა მდივანი ქალი – სრულიად ბანალური და უხამსი იყო. ძველი ტრადიციებით აღზრდილ 36 წლის ქალბატონს განქორწინების პროცედურა ზიზღს ჰგვრიდა, მაგრამ თანხმობა მაინც განაცხადა. შემდგომ ის იხსენებდა: მაშინ ჩემდამი არჩის მტრული დამოკიდებულება ვერაფრით ამეხსნა. ის მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებდა – ვერ ვიტან, როდესაც არ მაქვს ის, რაც მინდა, რომ მქონდეს, ვერ ვიტან, როდესაც უბედური ვარო...“

საინტერესოა, მაგრამ მკითხველი ვერასოდეს გაიგებს, ინანა თუ არა განქორწინება „პრაქტიკულმა ადამიანმა“, რომელმაც სიცოცხლის ბოლომდე, კლერკის საცოდავი ცხოვრებით იცხოვრა, მაშინ, როდესაც მის ყოფილ ცოლს დარბაზობაზე თავად ინგლისის დედოფალი იწვევდა, ხოლო დიდი ჰონორარების წყალობით, საშუალება მიეცა, უამრავი სახლი შეეძინა!

...1926 წლის დეკემბერში, აგატა კრისტი გაუჩინარდა. შეშფოთებულმა ნათესავებმა პოლიციას მიაკითხეს და მისის კრისტიზე ძებნა გამოცხადდა. კვირაზე მეტი გავიდა, ვიდრე სხვისი სახელით მცხოვრები, რომელიღაც სასტუმროს ნომერში იპოვეს. აგატამ განაცხადა, რომ არ იცის, ვინ არის და რატომ აღმოჩნდა ამ სასტუმროში... დღემდე საიდუმლოდ დარჩა ის, თუ რა მოხდა მაშინ სინამდვილეში.

ერთი ვერსიით, ამნეზია მხოლოდ მარჯვე ტრიუკი იყო საიმისოდ, რომ თავისი რომანებისადმი მკითხველის ყურადღება მიეპყრო. ეს ვერსია ფრიად საეჭვოა, რადგან აგატა მეტისმეტად კარგად იყო აღზრდილი იმისათვის, რომ კარიერის გამო ბულვარული პრესის ვულგარული გმირის როლი გაეთამაშა.

სხვანი ფიქრობენ, რომ მან ამნეზია ქმართან განქორწინების შემდეგ, ჭორებისა და შემაწუხებელი თანაგრძნობისაგან თავის დასაღწევად მოიგონა, რაც ადამიანური თვალსაზრისით, გასაგები და მისატევებელია, მაგრამ მაინც თვალთმაქცობაა. თავის ავტობიოგრაფიაში აგატა ამ ამბის შესახებ ახსნა-განმარტებას არ იძლევა. მხოლოდ გაკვრით იხსენებს, რომ ჯერ კიდევ განქორწინებამდე, ზოგჯერ მეხსიერებას კარგავდა და ამის მიზეზი, ნერვული გადაღლა იყო. წერს იმის შესახებ, თუ როგორ ქვითინებდა სასოწარკვეთილი, როდესაც ჩეკის გამოწერისას საკუთარი გვარი ავიწყდებოდა ან ვერ იხსენებდა, როგორ უნდა დაეძრა ავტომობილი. ახლახან ფსიქიატრებმა განაცხადეს იმ ფენომენის არსებობის შესახებ, რომელმაც შესაძლოა, აგატა კრისტის გაუჩინარების მიზეზი ახსნას და დაამტკიცოს, რომ მწერალი არ თვალთმაქცობდა. ექიმების დაკვირვებებმა ცხადყო, რომ ის მწერლები და სცენარისტები, რომლებიც დეტექტივის ჟანრში მუშაობენ, ამნეზიის მსხვერპლნი ხდებიან ხოლმე. მათ ხშირად პოულობენ სადგურებსა და მიწისქვეშა გადასასვლელებში, სადაც ისინი უგზო-უკვლოდ დაბორიალებენ და ვერაფრით იხსენებენ საკუთარ ვინაობასა თუ მისამართს. თუ ეს თანამედროვე მწერლებს ემართებათ, რატომ არ შეიძლება, მსგავსი რამ ერკიულ პუაროსა და მის მარპლის საქვეყნოდ ცნობილ ავტორსაც შემთხვეოდა?!

მწერალმა ქალმა ამ ექსპრესში იპოვა ახალი სიყვარული, უფრო სწორად კი – ორი სიყვარული...

მოულოდნელად თავს დამტყდარი ნაღვლისა და მწუხარების გასაქარვებლად, აგატა კრისტი ერაყში გაემგზავრა. ამ მოგზაურობის დროს, მან სწორედ იმ აღმოსავლეთის ექსპრესით იმგზავრა, რომელიც შემდგომ, თავის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ რომანში აღწერა. მწერალმა ქალმა ამ ექსპრესში იპოვა ახალი სიყვარული, უფრო სწორად კი – ორი სიყვარული, რომელთაგანაც პირველი – ახლო აღმოსავლეთი გახლდათ. კრისტი უდიდესი სიყვარულით, ხატოვანი ენით აღწერს ბაღდადს, მოსულსა და ქერბალას, იმ ადგილებს, სადაც ახლა აფეთქებების ხმა ისმის. აღმოსავლეთში ნაპოვნი მეორე სიყვარული – არქეოლოგი მაქს მელოუნი აგატამ გათხრებზე გაიცნო. მასზე 15 წლით ახალგაზრდა – კეთილი, ტაქტიანი, სულით ხორცამდე ინტელიგენტი მელოუნი – არჩი კრისტის სრული ანტიპოდი იყო.

ახალი ქორწინების პერსპექტივამ აგატა ააფორიაქა. „ახალი ქორწინების ძალიან მეშინოდა. ქალისთვის ჭეშმარიტი ტკივილის მიყენება ხომ მხოლოდ მეუღლეს შეუძლია, რადგან ქალის სულიერი მდგომარეობა სწორედ მასზეა დამოკიდებული. თავს ვარწმუნებდი, რომ უმჯობესი იქნებოდა, ჩემი თავმოყვარეობა ახალი დარტყმებისაგან დამეცვა, ვიხსენებდი, რომ იმაზე დიდი სიბრიყვე არაფერია, ვიდრე ასაკით ბევრად უმცროს მამაკაცზე გათხოვება“... – იხსენებს აგატა.

მათ რომანს მისი სანათესავოც სასტიკად ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ქორწინება მაინც შედგა და მათი კავშირი მართლაც რომ უბედნიერესი აღმოჩნდა. როგორც ახლობლები იხსენებენ, ერთადერთი, რის გამოც ცოლ-ქმარი კამათობდა, ის იყო, თუ რომელი გზით წასულიყვნენ მანქანით მგზავრობისას.

ცოლის ადგილი ქმრის გვერდითაა! – ამ ჭეშმარიტებაში აგატას არასდროს შეჰპარვია ეჭვი. ის უკვე დეტექტიური ლიტერატურის ვარსკვლავი იყო, მაგრამ ერაყში არქეოლოგიურ გათხრებზე ქმარს მუდამ თან ახლდა და მალე მის საუკეთესო თანაშემწედაც იქცა. არქეოლოგია პროფესიონალივით შეისწავლა და ის ექსპონატები, რომელთა აღმოჩენა აგატას სიამაყით ავსებდა, დღეს ბრიტანეთისა და ბაღდადის სიძველეთა მუზეუმებს ამშვენებს. დეტექტივების წერას უკვე ნაკლები ენთუზიაზმით აგრძელებდა, წიგნები მისთვის რუტინად იქცა. მის ჭეშმარიტ გატაცებად ახლა გამქრალი ცივილიზაციები და ამ ცივილიზაციათა ხელოვნება იქცა, რომელთა სიყვარული ქმარმა ასწავლა. მაშინ მაქს მელოუნი თავის საქმეში უკვე არანაკლებ ცნობილი სპეციალისტი იყო, ვიდრე აგატა ლიტერატურაში.

მოხუცებულობის ჟამს აგატა კრისტი ბევრს ფიქრობდა ოჯახური ბედნიერების საიდუმლოზე: „ქორწინება ბევრად მეტია, ვიდრე სიყვარული. მე ძველმოდურ აზრს ვიზიარებ იმის შესახებ, რომ ოჯახში უმთავრესი, ურთიერთპატივისცემაა. ერთმა ირლანდიელმა ქალმა თქვა: ჩემი ქმარი ჩემი თავიაო. ვფიქრობ, ქალს სწორედ ეს სჭირდება. ის მეუღლეში პატიოსნებას, დასაყრდენს ეძებს. უნდა, რომ მის აზრებს პატივი სცეს და როდესაც პრობლემის წინაშე აღმოჩნდება, თავისუფლად მიენდოს ქმარს“.

აგატამ ეს თვისებები მაქს მელოუნში მაშინ აღმოაჩინა, როდესაც თავად უკვე 40 წლის იყო, მაქსი კი – მხოლოდ 25 წლის და მასთან ერთად 86 წლამდე ბედნიერად იცხოვრა. ■

„ბრწყინვალედ წერია ფსალმუნში: „იყავნ ჩემი ცხე-სიმაგრე, გზა მიჩვენე და გამიძეხი“. ყველაფერი ღმერთის მიერაა დადგენილი, ღმერთი ხომ სიყვარულია. პირადად მე, სიყვარულისადმი ღალატი არ მწამს. თუ ჭეშმარიტად გიყვარს, მტერი ვერაფერს დაგაკლებს. ვისაც სიყვარულისა არ სწამს, ის ამპარტავანია. სიყვარულით სავსე კაცი კი — თავმდაბალია. იკითხავთ, რატომ იცავს უფალი ერთგულ ადამიანსო? იმიტომ რომ ერთგულება სიყვარულის დიდი ნაწილია“, — მითხრა პოეტმა ZZANSUL ჩარკვიანმა, როცა ჩვენი ინტერვიუს თემა გავუმხილე.

„ჭეშმარიტ სიყვარულ და მიერ ხმით ვიყვირე — მიყვარხარ-მიერ!..“

მერი კობიაშვილი

— ყველაფრისადმი სიყვარული ბავშვობიდან იწყება. თანაც სრულიად გაუთვალისწინებელი შინაარსობრივი დატვირთვით. მეც ბავშვობაში შემიყვარდა ერთი პაწაწინა გოგო ნატო. მე, 8 წლის ვიყავი, ის — 6-ის. ორი სტრიქონი მივუძღვენი:

„მიყვარს ნატო,
მაგრამ მარტო“.

მარტო რატომ მომწონდა და არა დედამისთან ერთად, მაშინ ვერ ვხვდებოდი, ამას მერე, დიდობაში მივხვდი. 10 წლის რომ გავხდი, ახალი სიყვარული აღმოვაჩინე. ერთ ჩემს იმდროინდელ რაინდულ საქციელზე გიამბობთ. 1941 წელი იდგა. საბჭოთა კავშირს ფაშისტებთან გაგანია ომი ჰქონდა გაჩაღებული. ჩემი ოჯახი ზემელზე ცხოვრობდა. სხვენზე 2 ვეებერთელა, ქვიშით სავსე კასრი იდგა, დაბომბვის შემთხვევაში, ხანძარი ადვილად რომ ჩაექროთ. კასრები რკინის სალტეებით იყო გამაგრებული. ერთ მშვენიერ დღეს, სხვენზე ჩუმად ავიპარე და კასრს სალტე მოვხსენი. ჯერ სახლში შევეცადე, გამესწორებინა და ხმლის ფორმა მიმეცა. მერე ქვემოთ ჩავიტანე და ტრამვაის ლიანდაგზე დავდე გასაბრტყელებლად. მიზანს თითქმის მივაღწიე. ეს ვეებერთელა თვითნაკეთი ხმალი ხელში დავიკავე და ვერაზე ჩემი შეყვარებულის მოსატაცებლად წავედი. სახლს მივუახლოვდი, ქვემოდან შევძახე თუ არა ჩემს შეყვარებულს, დედამისმა გადმომხედა აივნიდან. რა გინდა ჯანუკიო? — გადმომძახა. ვუთხარი რაც მინდოდა, ვთხოვე, ქალიშვილი ქვემოთ ჩამოეშვა, რომ მომეტაცა. გაიღიმა და მიპასუხა, ამოდი, ამოდი, ძალიან კარგი „პეჩენიები“ გვაქვს, ჩაის დაგალევინებო. მიპატიჟებამ ძალიან გამახარა. იმ გაგანია ომის დროს, „პეჩენიებს“ ვინ გაჭმევდა? ავედი გოგოს სახლში. მომიტანეს ჩაი, თავის „პეჩენიებით“, ისე მოვილხინე და ისე დავნაყრდი, რომ მოსატაცებელი გოგო საერთოდ დამავიწყდა... ახლა კი ჩემს პირველ და ნამდვილ სიყვარულზეც გიამბობთ, რომელიც 19 წლის ასაკში მეწვია. ერთმანეთი 4 წელი გვიყვარდა. როცა ორივე ჩვენი სიყვარულის ჭეშმარიტებაში დავრწმუნდით, მშობლებისგან მალულად ხელი მოვაწერეთ. სახლს რომ მივუახლოვდი, დედაჩემს ქვემოდან ხმამაღლა დავუძახე. გადმოიხედა, მე კი ვუთხარი — დედა, შენთვის სასიხარულო ამბავი მაქვს, ცოლი მოვიყვანე-მეთქი. დედა გვარად გელოვანი — ანუ თავადის ქალი იყო. ჩემი საქციელით ოჯახური ტრადიცია დავურღვიე. იცოდა, ამას რაც მოჰყვებოდა. დიდხანს მიცქერდა ამრეზითა და მკაცრი თვალებით. ზემოდან მკითხა — რა გვარისაა შენი რჩეულიო? ვუპასუხე — ჩხეიძის ქალიამეთქი. ნეტავ, გენახათ როგორ შეეცვალა სახე დედას, როცა გაიგო, რომ თავადის ქალი შევირთე. ამოიყვანეო სახლში — მითხრა. იმ დღიდან, რძალ-დედამთილი ჩემს წინააღმდეგ შეეკრა ერთმანეთს. ჩემს დროს, როცა გოგო და ბიჭი ერთად დადიოდა, უბანი გახარებული იყო. იცოდნენ, რომ მათი სიყვარული ზეიმით დამთავრდებოდა. ზეიმით დამთავრდა ჩემი და ირმას სიყვარულიც. ახალ თაობაზეც მინდა ვთქვა ერთი-ორი სიტყვა. რამდენიმე დღის წინ, ისეთ სცენას წავაწყდი, გაოცებული დავრჩი. შუა ქუჩაში ბიჭი და გოგო ერთმანეთს ტუჩებს უწუწნიდნენ და იმგვარად იყვნენ ჩაკრულ-ჩახუტებულები, რომ მჯერა — 9 თვის შემდეგ, შვილი შეეძინებათ... მე ჩემს მეუღლეს პირველად ღამის 9 საათზე ქუჩის ბოლოში, ეკლესიასთან ვეამბორე და მილიციელმა კინაღამ დამაპატიმრა. მე თუ მკითხავთ, ერთიც საშინელებაა და მეორეც. არც თავაშვებულობა უხდება სიყვარულს და არც პოლიციური სიმკაცრე.

პირველ პაემანს რა დამავიწყებს...

— თქვენს პირველ პაემანზეც გვიამბეთ...

— პირველ პაემანს რა დამავიწყებს... მე და ირმა (ჩემი მომავალი მეუღლე), ერთმანეთს რუსთაველის ძეგლთან შევხვდით. მაშინ თუ შეყვარებულ გოგოსთან ერთად რუსთაველზე გაივლიდი, ამაზე დიდი სიამაყე არ არსებობდა. 40-წლიანი ერთად ცხოვრების შემდეგ (ახლა უკვე 50 წელი შეგვისრულდა, რაც ერთად ვართ) ირმამ მორიდებით, თითქოს განაწყენებულმაც მკითხა, გახსოვს, პირველად რომ მითხარი მიყვარხარო? იმ მომენტს როგორ დავივიწყებ. ვერის ბაღთან ავუხსენი სიყვარული. ასეც ვუთხარი ირმას. იცი, ახლა ვფიქრობ, კარგად ვერ მითხარი, რომ გიყვარდიო, — მითხრა წლების შემდეგ. ცოტა არ იყოს, მეწყინა. მე ჩემს სიტყვებში მთელი გრძნობა ჩავაქსოვე, მას კი ჩემი ახსნილი სიყვარული არ მოსწონებია. ჩვენი საუბრიდან რამდენიმე ხანში, სიყვარულის დღესთან დაკავშირებით რესტორან

„ბერიკონში“ მიმიწვიეს. ტელევიზიის ჟურნალისტი მოვიდა და მკითხა – რას ეტყოდით თქვენს მეუღლესო? შევხტი სკამზე და მთელი ხმით ვიყვირე – ირმა ჩხეიძე, მიყვარხარ-მეთქი!.. მოვედი სახლში და კიდევ არ გავილანძღე? რატომ ყვიროდი, მისაყვედურა. ქალო, ჩუმად გითხარი, არ მოგეწონა, ახლა საქვეყნოდ ვიყვირე, რომ მიყვარხარ და კიდევ არ გჯერა-მეთქი? ვეუბნებოდი. ასეა, ქალს ყოველდღიურად უნდა უმტკიცო, რომ გიყვარს. შენი მეუღლე თავს დედოფლად ყოველ წამს და ყოველ წუთს უნდა გრძნობდეს. ესაა სიყვარული.

— შეგიძლიათ, გულახდილად თქვათ, მთელი თქვენი ოჯახური ცხოვრების მანძილზე სხვა ქალისკენ არ გაგიხედავთ?

– როგორ არ გამიხედავს. ახლ მე რომ ამის უარყოფა დავიწყო, შეგიძლიათ, დაწეროთ დეგენერატი ყოფილხართო. კაცს, რომელსაც მუზა მოსდის, სხვა ქალს რომ არ შეხედოს, წარმოუდგენელია. ყველა შეყვარებული ქალი ეჭვიანია. მე ყოველთვის ვცდილობდი, ირმას ეჭვი გაქარწყლებულიყო. ბევრჯერ შემიხედავს მშვენიერი ქალისთვის, რომლის გამოც მუზა მომსვლია და ლექსი დამიწერია, მაგრამ ეს ყველაფერი მორალში ჯდებოდა. მე მჯერა, საქართველოში, რაც არ უნდა გლობალიზაციისკენ წავიდეთ, – „მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიას“ გაგება მაინც დარჩება. ერთხელ, მე და ნოდარ დუმბაძე სტუმრად ვიყავით. ჩემ წინ ერთი ახვარი იჯდა. ყველასგან მოულოდნელად ავდექი, ბორჯომის ბოთლი ვრეკე იმ ბიჭს თავში და ჩემს ადგილს დავუბრუნდი. ნოდარი გადაირია, რას აკეთებ, ხომ კარგად ხარო. 5-10 წუთში ყველაფერი გაირკვევა, ამ სუფრაზე ან მე დავრჩები, ან ის-მეთქი, ვუთხარი. 5 წუთში იმ ბიჭმა დატოვა ოჯახი. ალბათ იკითხავთ, რა მოხდაო. დიასახლისმა გოჭი შემოიტანა. წასვლისას ჩემ წინ მჯდომმა ისეთი მზერა გააყოლა, პატიოსან კაცს რომ არ ეპატიება. ადამიანმა სახლში მიგიწვია. ზიხარ სუფრასთან, სადაც პირველი დიასახლისის სადღეგრძელო უნდა შეისვას და კაცი ასეთ რამეს კადრულობ? ამაზე მეტი ამორალობა არ არსებობს.

P.S. ბ-მა ჯანსულმა ბოლოს თავის შვილიშვილებზეც მიამბო. მის სეხნიას – 8 წლის ჯაკო (ჯანსულ) ჩარკვიანს ერთი პაწაწინა გოგო ჰყვარებია, რომელსაც მერვე სართულიდან ეხმიანება და გარეთ უხმობს. ირმა გიგანს კი, თურმე, 4 წლიდან ბახი, მოცარტი, რახმანინოვი, შოპენი და სხვა ცნობილი მუსიკოსები შეჰყვარებია... ■

ალბათ, ჩემი არ იყოს, ბევრი ახალგაზრდა (და არა მხოლოდ ისინი), გიგა კვენტაძის მინორული ხმის გაგონებისთანავე, რომელიც სულ ვიღაცის მოფერებას ლამობს, ცრემლებად იღვრება. ჰოდა, გადავწყვიტე, თუ ტანჯვაა, ტანჯვა იყოს-მეთქი და „დიდ სატირალს“ მივაშურე... ვინ ელოდება გიგასგან ბავშვს, რატომ დასწამეს მას პედოფილობა და როგორია იგი მუშტი-კრივში, ამაზე თავად მომღერალი მოგვითხრობს.

გიგა კვენტაძე ეროსკოვუიც ტიჩილს აპირებს

ვინ დასწამა პედოფილობა

ნათია ქივიძე

— გიგა, როგორი იყო შენთვის 2004 წელი?

– ეს ჩემთვის ნაყოფიერი წელი იყო, რადგან ამ წელს გამოვიდა ჩემი საავტორო ალბომი, სახელწოდებით – „მე ვარ სიყვარულით სავსე“. ასევე, გაიმართა ჩემი პირველი სოლო კონცერტი სპორტის სასახლეში, სადაც ცოცხალ ბენდთან ერთად შეავასრულე ჩემი 10 საუკეთესო სიმღერა. კონცერტში ჩემთან ერთად ყველა ის მომღერალი მონაწილეობდა, რომლისთვისაც სიმღერა დამიწერია. ამავე წელს გადავიღე 3 კლიპი. პირველის – „შენ თუ ჩემი არ იქნები“ – რეჟისორია ლევან ტორონჯაძე, მეორე კლიპი, რომელიც ოთიკო ანდრიაძესთან ჩაწერილ დუეტზეა გადაღებული, სტუდია „მაესტრომ“ დაასპონსორა და რეჟისორი კახა ოთარაშვილი გახლდათ, ხოლო მესამე კლიპის – „როგორ მინდა მოგეფერო“ – რეჟისორი ასევე ლევან ტორონჯაძეა.

— მოდი, შენს სოლო კონცერტს დავუბრუნდეთ. როგორც ვიცი, ეს კონცერტი რამდენჯერმე გადაიდო. რა იყო ამის მიზეზი?

– თავიდან ფინანსური პრობლემები გვქონდა, რომლებიც მერე მოგვარდა. მეორე სირთულე ის გახლდათ, რომ სპორტის სასახლეში საშინელი აპარატურაა და ალბათ შეცდომა დავუშვი, რომ ფილარმონიაში არ გავმართე ეს კონცერტი, თუმცა, უკმაყოფილო არ ვარ, რადგან ძალიან კარგად ჩაიარა ყველაფერმა და რაც მთავარია, ხალხისგან დიდი ემოცია მოდიოდა.

— როგორც ვიცი, 2004 წელს შენს პირად ცხოვრებაშიც მოხდა ცვლილებები...

– დიახ. ამ წელს გავიცანი ადამიანი, რომელიც ძალიან მიყვარს და იმედი მაქვს, მასაც ვუყვარვარ. მას ნინო ჰქვია და ამის შესახებ აღარაფერი მკითხო, რადგან პირად ცხოვრებაზე საუბარი არ მსურს.

— კარგი, მაშინ ის გვითხარი, რა გეგმები გაქვს დასახული 2005 წლისთვის?

– უკვე ვმუშაობ ჩემს სოლო ალბომზე, რომლის პრეზენტაციაც მაისში შედგება, ხოლო საავტორო ალბომი სავარაუდოდ, მარტში გამოვა. ამასთანავე, ვემზადები იმისთვის, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლაზეც ვიფიქრო.

— კონკრეტულად სად აპირებ წასვლას?

– ჩემი პირველი ამოცანაა, რომ ჩავიდე მოსკოვში და ჩემი კარიერა იქ განვაგრძო. წასვლა სექტემბრისთვის მაქვს დაგეგმილი. ახლა ვმუშაობ ერთ ახალ, რუსულენოვან სიმღერაზე, რომელსაც გავუგზავნი მოსკოვის სხვადასხვა კომპანიას და მათთან მოლაპარაკებებს გავმართავ, რადგან იქ რომ ჩავალ, მინდა, პატრონი მყავდეს.

— ეი. ქართველებით აღარ კმაყოფილდები და ახლა, რუსების ატრეგბას აპირებ?

– ვეცდები, ავატირო. ვფიქრობ, გამომივა.

— რა თქმა უნდა. ტირილი შენთვის რა პრობლემაა!.. არ გწყინს, მტირალას რომ გეძახიან?

– არა. ჩემთვის მთავარია, რომ ხალხი

მისმენს, მოსწონს ჩემი შემოქმედება და მე მსმენელთა აზრი უფრო მაინტერესებს, თორემ, ერთეულები რას იტყვიან, ამას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მე ვტირი, თუ ვღრიალებ, ამას ხალხისთვის ვაკეთებ და მათ ეს გათავისებული აქვთ. ჩემს შემოქმედებას მინორული სიმღერა უფრო ჰქვია, ვიდრე ტირილი. ეს ყველაფერი, ჩემი რეალური ცხოვრებიდან მოდის და ამის დამალვას არ ვაპირებ. როგორც არ უნდა მოვინდომო, ალბათ არ გამომივა, ,,ტრულაილა'' და რაღაც მსგავსი სახუმარო სიმღერები რომ ვიმღერო. ალბათ იცით, ჩემზე ასეთი გამოთქმაცაა: კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა, კვინტაძე ტიროდაო...

— რომელმაც ტელეგადაცემაში გაიჟღერა...

— დიახ, ასეა. ,,შაბათის შოუს'' პირველი სტუმრები, მე, დუტა სხირტლაძე და ხათუნა გოგორიშვილი ვიყავით. ამ ფრაზის ავტორი კი, დათო გოგიჩაიშვილია. იქ კიდევ ერთი ასეთი ხუმრობა იყო, რომელიც ძალიან მომეწონა, მე ვამბობდი — ახალ წელს მინდოდა, რომ მეკვლე ვყოფილიყავი, მაგრამ გოგიჩაიშვილმა მითხრა, ტირილი არ გვინდა, დაგვებედოსო და მესამე ნომრად გამიშვა-მეთქი.

— როგორც უკვე თქვი, შენი მინორული განწყობა შენსავე ცხოვრებიდან გამომდინარეობს. ახლა, როცა შეყვარებულიც ხარ და ბედნიერიც, განწყობა არ შეგეცვლება?

— არაფერი არ შეიცვლება. ალბათ, ისევ ისეთ სიმღერებს დავწერ, რომლებიც მელოდიურია და გულს ხვდება.

— როდესაც რომელიმე მომღერალს სიმღერას უწერ, ფინანსური დაინტერესების გარდა, რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?

— ყოველთვის ვეძებ ადამიანში მის ნიჭს, თუმცა, შეიძლება, 100%-ით არ გამიმართლოს. უხეშად რომ ვთქვა, ბოლოს და ბოლოს, მოკარტი წერდა ,,ზაკაზით''... ყოფილა შემთხვევა, როცა რამდენიმე ადამიანისთვის სიმღერის დაწერაზე უარი მითქვამს, რადგან ისინი აბსოლუტურად ყრუები იყვნენ და ვერც კი წარმოვიდგინე, ჩემი სიმღერა როგორ უნდა ემღერათ. გულიც გამისკდებოდა. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, როცა ვინმესთვის დამიწერია სიმღერა, რომელიც მერე, ისე მომწონებია, რომ ჩემთვის დამიტოვებია.

— ეთანხმები თუ არა იმ აზრს, რომელსაც თითქმის ყველა მომღერალი გამოთქვამს — რომ შოუბიზნესში ბევრი სიბინძურე ხდება!

— რა ვიცი. რომ დავუკვირდეთ, შოუბიზნესში ნამდვილად არის ბევრი სიბინძურე. რატომღაც, ეს საქართველოში უფრო მძაფრად იგრძნობა, რადგან აქ ყველას ერთმანეთის

ვეძებდით ლიზას, ის კი გვემალებოდა. არ გამოვრიცხავ — რომ გვეპოვა, რომელიმე მოვკლავდით...

შურს, მტრობენ და ა.შ. ასეთი ჩვევა გვაქვს — ვიღაც რომ მოკვდება, მერე ვაღიარებთ, მანამდე კი თვალებში ვაფურთხებთ. რუსეთის ბაზარზე ასეთი რამ არ ხდება...

— რატომ ხარ ასე დარწმუნებული? ჯერ ხომ არ გქონია შეხება რუსულ შოუბიზნესთან.

— კი. მაგრამ გარეშე თვალით ასე ჩანს. ამასთანავე, იქ მყავს მეგობრები — ქეთა თოფურია და დათო ხუჯაძე, მათგან ვიცი, რომ მოსკოვში ასე არ ხდება. შეიძლება, ეს იმის ბრალიცაა, რომ რუსეთი ჩვენზე ბევრად დიდი ქვეყანაა და იქ ადგილი ყველასთვის არის. ჩვენთან ნორმალური საავტორო კანონი არ არსებობს, მომღერლის შემოქმედება სახელმწიფოს არ აინტერესებს და ყურადღებას არ აქცევს. აქ ცოტა სხვანაირი გარემოც არის. ვინმემ შეურაცხყოფა რომ მომაყენოს ან ჟურნალში რაიმე ცუდი დაწეროს ჩემზე, სასამართლოში ვერ ვუჩივლებ, რადგან ჩვენს ქვეყანაში ეს მიღებული არ არის. თან, ისევ მე მავნებს და ხალხის თვალშიც ცუდად გამოვჩნდები. რატომღაც ასეთი ,,ქართველური'' მიდგომა გვაქვს ყველაფრისადმი. უკვე 2 წელია, რაც შოუბიზნესში ვარ და ჩემ მიმართაც გამოუჩენიათ არაკორექტულობა.

— მაგალითად?

— ჟურნალისტმა ლიზა ვადაჭკორიამ პირდაპირ ეთერში პედოფილობა დამწამა. მას სასამართლოში არ ვუჩივლე, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ პროცესს მოვიგებდი, რადგან მას არანაირი დამამტკიცებელი საბუთი არ გააჩნდა. მე ასე არ გავაკეთე, რადგან, ამით ჩემივე შემოქმედება დაზარალდებოდა. თან, უცხოელი მომღერლებისგან განსხვავებით, პირადი ადვოკატი არ მყავს...

— აბა, ჩუმად აიტანე ეს ბრალდება?

— არა, არ გავჩუმებულვარ. მას პირადად გავეცი პასუხი. რა თქმა უნდა, პატარა ოთიკო ანდრიაძის მშობლებიც გააღიზიანა ამ ფაქტმა, რადგან ლიზამ ეს ბრალდება ოთიკოსთან დაკავშირებით წამიყენა. მაშინ, გამწარებულები მეც და ოთიკოს მამაც 2 კვირის განმავლობაში ვეძებდით ლიზას, ის კი გვემალებოდა. არ გამოვრიცხავ — რომ გვეპოვა, რომელიმე მოვკლავდით. 2 თვის მერე შევხვდი ლიზას და მაშინ უკვე მშვიდად ველაპარაკე.

— შოუბიზნესის რომელიმე წარმომადგენელთან თუ გქონია რაიმე კონფლიქტი?

— არა. არასოდეს მქონია კონფლიქტი და ალბათ არც მექნება, რადგან მე ცუდს არავისზე ვამბობ. თუ ვინმე ჩემზე რაიმეს იტყვის, მას ხალხი გასცემს პასუხს. მოკლედ, ვისაც ჩემთან კონფლიქტი უნდა, მაშინ...

— მუშტი-კრივში გნახოს, ვინა ხარ?..

— არა. ერთ-ორ ,,სმეშნოი'' სიტყვას ვეტყვი. თუმცა, მუშტი-კრივშიც არა ვარ გამოუცდელი... ისე, ბოლოს როდის ვიჩხუბე, აღარც მახსოვს. საერთოდ, ძალზე იშვიათად გამოვდივარ წონასწორობიდან.

— პირად ცხოვრებაზე საუბარი რატომ არ გსურს?

— პირადად შენ, შეურაცხყოფას არ გაყენებ, ვიცი, შენ როგორც დაწერ, მაგრამ არიან ჟურნალისტები, რომლებიც შენს დაწერილს წაიკითხავენ და მერე იმავეს სხვანაირად დაწერენ. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთ ჟურნალში ეწერა, რომ თურმე, ჩემი შეყვარებული ორსულად არის და უკვე ერთად ვცხოვრობთ. ძალიან მაინტერესებს, საიდან აქვს მათ ეს ინფორმაცია. თან, ზოგ-ზოგები ძალიან შეშფოთებულები არიან, რომ ნინო ჯერ ცოლად არ მომყავს. რა მოხდა? ხომ შეიძლება, ადამიანი გიყვარდეს, მაგრამ ჯერ ოჯახის შექმნაზე არ ფიქრობდე?

— შენი საუბრიდან გამომდინარე გამოდის, წინაალმდეგი ხარ, რომ ქორწინებამდე შეყვარებულებმა ერთად იცხოვრონ, ასეა?

— არაფრის წინაალმდეგი არ ვარ, მაგრამ ყველა ადამიანი ინდივიდუალურად უდგება ამ საკითხს და როგორც სწორად მიაჩნია, ისე იქცევა. არც იმის წინაალმდეგი ვარ, რომ ადამიანს ქორწინებამდე ჰქონდეს შეყვარებულთან სექსი. მაგრამ ბავშვს ელოდებიანო — საიდან მოიტანეს, ვერ გეტყვი.

— რას იტყვი, 2005 წელს შენს ქორწილში ვიქეიფებ?

— არა. გარანტიას გაძლევ, რომ 3 წელი ჩემს ქორწილში ვერ იქეიფებ.

— მერე, ნინომ იცის ეს ამბავი?

— რა თქმა უნდა.

— მოსკოვში რომ წახვალ, ნინოს რა ეშველება?

— რატომ რა ეშველება?.. არ შეიძლება, რომ ერთად წავიდეთ?..

■

10 ქალაქური სიმღერა

კომპოზიტორი ნოდარ ნიკოლაიშვილი მისთვის ახალ და უჩვეულო ჟანრზე მუშაობს. სტუდია „თბილისის“ დაკვეთით იგი ათ ქალაქურ სიმღერას წერს, რომლებსაც ცნობილ მომღერლებთან ერთად მსახიობები და თბილისის კოლორიტები შეასრულებენ. თითქმის ყველა სიმღერის ტექსტი პოეტ ნანა ცინცაძეს ეკუთვნის. როგორც გავარკვიეთ, სიმღერას „თბილისსა და პლეხანოვზე“ ნიკო ლეკიშვილი წერს. ასევე, ერთ-ერთი სიმღერა სპეციალურად მსახიობ ნინელი ჭანკვეტაძისთვის დაიწერა. თუ ვინ იმღერებს დანარჩენ 8 ქალაქურ სიმღერას, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

■

მზარეულის პმლერდა

ცნობილმა ესპანელმა მზარეულმა მანუელმა, რომელიც ჯერ ტელეკომპანია „მე-9 არხის“ სახე გახლდათ, ახლა კი „რუსთავი 2“-ის ეთერიდან გვაწვდის ახალ რეცეპტებს, სიმღერაში ძალების მოსინჯვა გადაწყვიტა. იგი გიგა კუხიანიძის სტუდიაში გოგონათა ჯგუფ „ბრავოს“ ერთ-ერთ წევრთან, მარიამთან ერთად დუეტს წერს. სიმღერა მანუელის მშობლიური, ესპანურენოვანია. მასზე კლიპის გადაღებაც იგეგმება, თუმცა, ვინ იქნება რეჟისორი, ჯერჯერობით უცნობია.

■

თემო ხვიბლიანის „უცნაური სიტყვა“



31 იანვარს, მომღერალ თემო ხვიბლიანის დაბადების დღე იყო. იგი 23 წლის შესრულდა და იუბილესთან დაკავშირებით, მისი პირველი, სოლო ალბომი – „უცნაური სიტყვა“ გამოვიდა. მშობლებმა თემოს დაბადების დღის აღსანიშნავად, ახალი თეთრი ავტომობილი – „დოჯი“ უყიდეს. ახალ ალბომში სულ ათი სიმღერაა შესული. 8 მათგანის ავტორი თავად თემოა. ერთი სიმღერა – „თუკი“ ნუგზარ ერგემლიძეს, ხოლო მეორე – „ცრემლების თოვლი“ ჯგუფ „ზღვარს“ ეკუთვნის. ამ უკანასკნელზე კლიპის გადაღებაც მიმდინარეობს, რომლის რეჟისორიც გიორგი ლიფონავაა. კლიპში თემო განსხვავებული იმიჯით მოგვევლინება, იგი მომღერალი კი არა, მსახიობი იქნება (მოგეხსენებათ, საახალწლო გადაცემაში (რომელიც ეთერში 29 იანვარს გავიდა)„კუჩხი ბედინერი და რეკორდი“ უკვე მოირგო მსახიობის ამპლუა და მეკვლეს (ბროლია) როლი შეასრულა). აქვე იმასაც დავძენთ, რომ თემოს ტელეკომპანია „5 არხი“ თებერვლის ბოლოს განახლებული პროგრამით კვლავ განაგრძობს მაუწყებლობას.

■

კვირის (7 - 13 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: დროებით თქვენთვის ჩვეული ენერგიულობა დაივიწყეთ და ეცადეთ, ეს კვირა მშვიდ ატმოსფეროში გაატაროთ. მოხერხებულად მოეწყვეთ სავარძელში და ტელევიზორის ცქერით ან საინტერესო წიგნის კითხვით შეიქციეთ თავი.

მამაკაცი: საქმეებით ძალიან გადაიღალეთ. თუ არ ამოისუნთქავთ, შესაძლოა, ყველაზე ძვირფასი – ჯანმრთელობა შეგერყეთ. ამიტომ ეს კვირა ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ და განტვირთვის დღეები მოიწყვეთ.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: ყველაზე მხიარული წვეულებიდანაც კი გული შინისკენ მიგიწევთ. ნუ გაუწევთ წინააღმდეგობას თქვენს გულისთქმას. ამ კვირაში მხოლოდ ახლობელი ადამიანების გარემოცვაში იგრძნობთ თავს კომფორტულად და მშვიდად.

მამაკაცი: არ გაეკაროთ ალკოჰოლს და თავი შეიკავეთ აზარტული თამაშებისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, წაგებული დარჩებით.

მარჩხეზი – 22/V-21/VI

ქალი: ამ კვირაში ლოგიკური აზროვნების არაჩვეულებრივ უნარს გამოამჟღავნებთ, მაგრამ გაითვალისწინეთ ერთი რამ: არავითარ შემთხვევაში არ დაეყრდნოთ გადაუმოწმებელ ინფორმაციას.

მამაკაცი: აქამდე მოუგვარებელ პრობლემებს იოლად გაუმკლავდებით და ურთულეს თავსატეხსაც მარტივად ამოხსნით. კვირის მეორე ნახევარში გონება დაასვენეთ და ინტუიციას მიენდვეთ: ბედი სასიამოვნო და რომანტიკულ სასიყვარულო თავგადასავალს გიმზადებთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: ამ კვირაში წამოწყებული ნებისმიერი საქმე თქვენთვის არნახულად წარმატებული იქნება: უახლოეს მომავალში ბინის გარემონტებასაც შეძლებთ და დიდი ხნის ნანატრ მოგზაურობასაც ეღირსებით.

მამაკაცი: ნუ გეწყინებათ, მაგრამ ამ კვირაში თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობებით ვერავის აღაფრთოვანებთ. ასე რომ, ჯობს, არ იაქტიუროთ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: თუ უბრალო, რიგითი თანაშრომელი ხართ, ჩათვალეთ, რომ გაგიმართლათ, მაგრამ თუ ხელმძღვანელი მუშაკი ბრძანდებით, ქვეშევრდომებს ვერანაირ გონივრულ დავალებას ვერ მისცემთ – იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უგონოდ ხართ შეყვარებული.

მამაკაცი: უფრთხილდით თანამშრომელი ქალბატონების ეჭვიან ქმრებს. უწყინარი კომპლიმენტის თქმისგანაც კი თავის შეკავებას გირჩევთ.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: გეჩვენებათ, რომ ის მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდით, გამოუვალია. სასოწარკვეთილებაში ნუ ჩავარდებით – მომავალი კვირიდან ყველაფერი გამოსწორდება.

მამაკაცი: თავი შეიკავეთ სარისკო საქმეებისგან. მშვიდად აწონ-დაწონეთ თქვენი შანსები. ხელოვან ქალწულებს ამ კვირაში განსაკუთრებით გაუმართლებთ.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: საგმირო საქმეებზე მამაკაცებმა იფიქრონ. თქვენ კი, შეეცადეთ, იყოთ უფრო ნაზი და ძლიერი სქესის წარმომადგენლებზე დაუცველი ქალის შთაბეჭდილება დატოვოთ. მათი დახმარებით ბევრ პრობლემას გადაჭრით.

მამაკაცი: შრომა დეპრესიისგან თავის დასაღწევად საუკეთესო საშუალებაა და რაც უფრო მომქანცველი და მძიმე იქნება ის, მით უკეთეს შედეგს გამოიღებს „მკურნალობა“.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: არაჩვეულებრივად ახერხებთ კომერციული და შემოქმედებითი საქმიანობის ურთიერთშეთავსებას. უახლოეს მომავალში დიდ წარმატებას მიაღწევთ.

მამაკაცი: სიყვარულში გიმართლებთ. ამ კვირაში ბევრი საინტერესო თავგადასავალი გელით. თქვენს გარემოცვაში ნებისმიერი მანდილოსანი კარგად იგრძნობს თავს.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: თქვენთვის ჩვეული გულისხმიერება მოიშველიეთ, თავს ძალა დაატანეთ და შეეცადეთ, გარშემო მყოფთა ტკივილი გულთან ახლოს მიიტანოთ. დიდი ხნის უნახავი ახლობლებიც მოინახულეთ.

მამაკაცი: პასუხისმგებლობით მოეკიდეთ საერთო პრობლემებს. ოჯახის წევრების გასახარებლად ფულს ნუ დაინანებთ. უქმე დღეები შინ გაატარეთ. ჯობს, მეგობრებიც თქვენთან მოიწვიოთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: ძალზე სერიოზული და პრაქტიკული იქნებით, რითიც შესაძლოა, ახლობელი ადამიანები გააღიზიანოთ კიდეც. თავი შეიკავეთ შენიშვნებისგან, განსაკუთრებით სამსახურში. თქვენი კოლეგები, თუკი მათ გაანწყენებთ, მომავალში პრობლემებს შეგიქმნიან.

მამაკაცი: ფრთხილად, საქმემ საყვარელი ადამიანი არ გადაგავიწყოთ. მეტი დრო დაუთმეთ პირადი ურთიერთობების მოგვარებას.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: მშვიდი და უღრუბლო დღეები გელით. ახლა შეგიძლიათ იოლად გადაჭრათ ნებისმიერი პირადი პრობლემა.

მამაკაცი: განსაკუთრებულ სიამოვნებას მოგანიჭებთ ახლობელი ადამიანების გარემოცვაში ყოფნა. ნუ გაატარებთ უქმე დღეებს სიმარტოვეში. ჯობს, ხალხმრავალ ადგილებს მიაშუროთ.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: ნაცნობ-მეგობრების წრის გაფართოება და განახლება არ გაწყენდათ. უარს ნუ იტყვით მიპატიჟებაზე და ელიტის ცხოვრების წესს დროის ფუჭ ხარჯვად ნუ მიიჩნევთ.

მამაკაცი: გაუთვალისწინებელმა და მოულოდნელმა შეხვედრამ, შესაძლოა, რადიკალურად შეცვალოს თქვენი ცხოვრება. თუ დასაოჯახებელი ხართ, გამორიცხული არ არის, შემდეგ კვირაში იქორწინოთ კიდეც.

ადილეს დედაქალაქი
სიმდიდრის ღვთაება
ფრანგი მწერალი
ჩანთოსანი დათვი
ქარის მოტანილი სილის ბორცვი
კორეული კონცერნი
უვარგისი ქაღალდები
განყოფილების სათაური გაზეთში
სპირტიანი სასმელი
კუბის დედაქალაქი
ქართველი მოჭადრაკე ქალი
აზარი სამსახურის ან თანამდებობის მიხედვით
ქიმიური ელემენტი
ფულის გადახდევინება სასჯელად
აზერბაიჯანის დედაქალაქი
ბრაზილიელი მწერალი
საფეიქრო ბანანი
ერთგვარი კანფეტი
თვალის გუგა
რევაზ ლაღიძის ოპერა
მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება
კანონის გაუქმება
ბულგარეთის ფულის ერთეული
მტაცებელი ცხოველი
წელთაღრიცხვის ძველი სისტემა
ტბა უნგრეთში
...ჭავჭავაძე ქვეყნის ნაწილი
სახელმწიფო აფრიკაში
იტალიელი ფიზიკოსი და ასტრონომი
მცენარეთა სამყარო
რისაც ვანხილავ ნაკლის გამოსარკვევად
დაქირავებული მკვლელი
ფაშიზმის სამშობლო
ხელოვნების დარგი
იაპონური თეატრი
ბოქლომი
ბუნებრივი წყალსაცავი
ბრაზილიელი ავტომრბოლელი



ანეკდოტები

***

ბიჭიკია კაი ხნის უნახავ, გამდიდრებულ და მაგრად ჩაზმანულ ჭიჭიკიას ეკითხება:

— ვისია, ბუჯო, მაი შარვალ-კოსტუმი?..

— ვისია და „პიერ კარდენის“, — ამაყად უპასუხა ჭიჭიკიამ.

— ბოვშობიდან რავა სულ ნანათხოვარით უნდა დადიოდე შე უბედურო...

***

ჭიჭიკია ენას უკიდებს. ამბროლაურში უნდა წასვლა. გააჩერებს სამარშრუტო ტაქსის და მძღოლს ეკითხება:

— ვერ წაამიყვაან ამ... ამ... ამ... ამ... ამ...?

— არ მიკბინო ბიძიკო და, სადაც მეტყვი, იქინე წაგიყვან!

***

მთვრალი გურული ავტობუსის გაჩერებაზე დგას და ელექტროგანათების ბოძს ებღაუჭება.

— რას აკეთებ ძამა?! — დაინტერესდა მეორე გურული, ისიც ნასვამი.

— ავტობუსს ველოდები... აპა!..

— მერე გედეირიე თუ?!. მაგხელა „სტოლბით“ ვინ აგიშობს ავტობუსში?!.

***

მიხოს საშინაო დავალება არ აქვს. მასწავლებელი გაბრაზებული ეკითხება:

— სად იყო ჯოო, გუშინ მამაშენი?!

***

ექიმი ეუბნება პაციენტს:

— რაღაც თქვენი სახის ფერი არ მომწონს, ბატონო...

— არც თქვენ ბრძანდებით მაინცდამაინც ანჯელინა ჯოლი, ექიმო!

***

— ჭიჭიკია, რავა... ფხიზელი ხარ?!

— ხო, ლოთობას დამანებებიეს თავი!

— გამეხარდა, ბიჭო. რამდენი ხანია?

— სამი დღეი შემისრულდება ზეგე.

***



ახალი სვანი და გურული ლონდონში დასეირნობენ. გურულმა ჰკითხა:

— მაიზერ ძამა, აი მდინარეს რა ჰქვია?

— არ ვიცი!.. მარა თბილისში მაგას მტკვარს ეძახიან!

***

მორგის თანამშრომლები სვამენ. უცებ, ოთახში ახალგაზრდა სანიტარი შემორბის:

— ხალხო, ხალხო!.. იქით ოთახში 2 მიცვალებული გაცოცხლდა!

— ფუჰ, კინაღამა გული არ გაგვიხეთქე!.. ჩვენა კიდენა ვიფიქრეთ, მთავარი ექიმი მოვიდა! — ხელი ჩაიქნია მიხომ.

***

კახელი ცოლ-ქმარი ტელევიზორში ეროტიკულ ფილმს უყურებს.

— იი... მეხი კი დაგაყარე, ეგეთი მკერდმოღეღილი კაბაი რომ მეცვას, სახლიდანა ფეხ არ გადავდგამდი.

— ეეჰ... არც მე გავადგამდი ფეხსა... ეგრეთი მკერდი რომ გქონდეს...

***

კაცი ტელეფონზე რეკავს:

— ალო, 33-33-33-ია?

— დიახ!

— ბოდიში, თუ შეიძლება, სასწრაფოს გამოუძახეთ! სამიანში თითი გამეჭედა!

***

ერთი ქალბატონი ეკითხება მეორეს:

— რატომ გადაწყვიტა შენმა დამ კბილის ექიმობა?

— მოსწონს, როცა კაცები პირდაღებულები და თვალებგადმოცვენილები შეჰყურებენ...

***

მიხო ახალნაყიდ პიანინოს უზის და ერთ კლავიშს თითს დიდი ხნის განმავლობაში ურტყამს. გამოდის შეწუხებული მარო და ეუბნება:

— მიხოო!.. ტელევიზორში მაინც არ გინახამს სხვადასხვა კლავიშებს როგორ ურაკუნებენ?..

— შენა, დედაკაცო, ვერაფერი გაგიგია, — პასუხობს მიხო, — ეგენი ეძებენ და ეძებენ, მე კიდენა, უკვე ვიპოვე.

***

ქვემო სართულზე მცხოვრები სვანი, რომელსაც წყალი ჩამოუშვა მეგრელმა, ჩხუბით ავარდა მეზობელთან. მეგრელმა დაამშვიდა:

— რა მოგვივიდა, გუჯი, გენაცვალე, ათი წელია შენგან ამოდის ჩემთან წყალი და ერთხელაც არ მიჩხუბია... ერთხელ რომ ჩემგან ჩამოგვიდეს რა მოხდა... მაგალითად?..

— ჰოო, მაგაში მართალი ხარ! — ჩაიბურტყუნა დარცხვენილმა სვანმა და მშვიდად ჩავიდა ქვემო სართულზე.

***

ოსს კბილი სტკივა და სტომატოლოგის მაგივრად შეცდომით პროქტოლოგთან შევა. ექიმი დიდი მონდომებით სინჯავს. ბოლოს ეუბნება:

— თქვენ აბსოლუტურად ჯანმრთელი ხართ.

— აბა, ლოგოლა, სენი წილიმე... კბილი ისევა მტკივა.

— კბილი თუ გტკიოდა, უკანალს რომ გისინჯავდი, რატომ არ მითხარი? — გაბრაზდა ექიმი.

— ექიმო... მე მეგონა, ფესვებს ეძებდი...

***

დაღონებულ კახელს ცოლი აწყნარებს:

— კაცოო... რათა ხარ მოწყენილი, იცოდე, რაც არ უნდა მოხდეს, არ მიგატოვებ.

— იჰ!.. მეც მაგასა ვდარდობ...

რამდენად გაწონასწორებული ადამიანი ბრძანდებით?

ჩვენს სიმშვიდესა და სულიერ ჰარმონიას სასიამოვნო და არასასიამოვნო ცხოვრებისეულ მოვლენებთან ჩვენი დამოკიდებულება განსაზღვრავს და არა პრობლემების არარსებობა. ხშირად ჩვენი გულისტკივილი და სულიერი ტანჯვა, ჩვენივე გადაჭარბებული რეაქციითაა გამოწვეული, რადგან ხშირ შემთხვევაში, ეს რეაქცია სრულებითაც არ გახლავთ ამ მღელვარების გამომწვევი მიზეზის ადეკვატური. უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილი ტესტის შეკითხვებს და თქვენ სულ რამდენიმე წუთში გაარკვევთ, რამდენად გაწონასწორებული ადამიანი ბრძანდებით.

1. ღიზიანდებით თუ არა, როცა თქვენი თანდასწრებით ვინმე უხერხულ სიტუაციას ქმნის ან სისულელეებს სჩადის?

ა) დიახ, საკმაოდ ხშირად – 10;

ბ) იშვიათად. შეძლებისდაგვარად ვცდილობ, რომ სხვების უსაქციელობაზე თვალი დავხუჭო – 5;

გ) თითქმის არასოდეს. ჩემი აზრით, სიბრაზე და გაღიზიანება, საკმაოდ ცუდად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე, ამიტომ ვცდილობ, ცხოვრებას ქრისტიანული მიმტევებლობით მივუდგე – 0.

2. ღამით ზოგჯერ უსიამოვნო განგაშის გრძნობა ხომ არ გაღვიძებთ ხოლმე, რასაც თან ახლავს გულის გამალებული ძგერა?

ა) არა, ასეთი რამ არასოდეს განმიცდია – 0;

ბ) დიახ, ასე მემართება ხოლმე, როცა რაიმე პრობლემები მაქვს – 3;

გ) ძალიან ხშირად. უკვე კარგა ხანია, რაც ძველებურად მშვიდად აღარ მძინავს – 7.

3. ხდება თუ არა ისე, რომ საკუთარი აზრის დასაცავად ხმამაღალ კამათზეც კი არ იხევთ უკან?

ა) დიახ, მაგრამ ტონს საკმაოდ იშვიათად ვუწევ ხოლმე – 5;

ბ) არა, თუმცაღა თავის შეკავება ზოგჯერ ძალიან მიჭირს – 8;

გ) რა თქმა უნდა, ხდება. ჩემი აზრით, პერიოდულად ხმამაღალი კამათის მეშვეობით, ადამიანი დაგროვილი უარყოფითი ენერგიისგან თავისუფლდება – 0.

4. გაკმაყოფილებთ თუ არა საკუთარი აღნაგობა?

ა) არა. მიმაჩნია, რომ ადრე უკეთესი აღნაგობა მქონდა – 5;

ბ) პრინციპში, მხედველობაში თუ არ მივიღებთ რამდენიმე დეტალს, საკუთარი აღნაგობა მაკმაყოფილებს – 2;

გ) დიახ და არაფრის შეცვლას არ ვისურვებდი – 0.

5. ვთქვათ, პარტნიორთან თქვენი ურთიერთობა კრახით დამთავრდა; როგორ ფიქრობთ, მოგეცემათ თუ არა რამდენიმე ახალ კანდიდატურას შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა (იმ შემთხვევაში, თუკი ამჟამად მარტო ხართ, როგორ ფიქრობთ, ამას რომ ელტვოდეთ, კანდიდატურებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა თუ გექნებოდათ)?

ა) არა. ვფიქრობ, შესაფერისი კანდიდატურის შესარჩევად საკმაოდ დიდი დრო დამჭირდება – 5;

ბ) რამდენიმე კანდიდატურა არსებობს, მაგრამ ეს ადამიანები ჩემთვის საინტერესონი არ არიან – 3;

გ) ფართო არჩევანის შესაძლებლობა მაქვს – 0.

6. რამდენად ხშირად გესიზმრებათ კოშმარები?

ა) თითქმის არასოდეს – 0;

ბ) ხანდახან მესიზრება – 5;

გ) თვეში, სულ ცოტა, ერთ კოშმარულ სიზმარს მაინც ვნახულობ – 10.

7. გყავთ თუ არა საიმედო მეგობრები და მიგაჩნიათ თუ არა, რომ გაჭირვების ჟამს ისინი მხარში ამოგიდგებიან?

ა) რა თქმა უნდა, მყავს – 0;

ბ) ძირითადად, ჩემ ირგვლივ ახლო ნაცნობები და ამხანაგები ტრიალებენ – 3;

გ) არა, მხოლოდ საკუთარი თავისა და ძალების იმედი მაქვს – 5.

ტესტის შედეგები

0-17 ქულა: ძალზე მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი ბრძანდებით. გაქვთ ის შინაგანი ჰარმონია, რომელსაც სხვები მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრების მანძილზე მიელტვიან და მაინც ვერ აღწევენ. გაუფრთხილდით თქვენს მდგრად სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას და მომავალშიც სათანადოდ იზრუნეთ საკუთარ სულსა და ორგანიზმზე.

18-35 ქულა: თქვენს სულიერ წონასწორობას, შეუმჩნევლად, მაგრამ რაღაც მაინც ემუქრება; მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ფსიქოლოგიური ბალანსის შენარჩუნებას ჯერ კიდევ ახერხებთ, შეეცადეთ გაარკვიოთ, მაინც რა თრგუნავს თქვენს სულს. ვინაიდან, შინაგან ჰარმონიას მხოლოდ ამის გარკვევის შემდეგ მოიპოვებთ.

36-50 ქულა: თქვენი დღევანდელი სულიერი მდგომარეობა შეიძლება შევადაროთ მიძინებული ვულკანის მოსალოდნელ გამოღვიძებას — ცოტაც და ვულკანი ამოიფრქვევა! ამ ეტაპზე, გააზრებული გამაჯანსაღებელი კურსის გავლა, ძალზე მნიშვნელოვანია თქვენი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობისათვის. ყოველდღიური წვრილმანი უსიამოვნებები ძალზე ახლოს მიგაქვთ გულთან და სულ უბრალო რამეზეც კი ღიზიანდებით. სანამ დროა, ხელიდან ნუ გაუშვებთ საკუთარი ნერვული სისტემის მოწესრიგების შანსს, ვინაიდან, მერე შესაძლოა, უკვე გვიან იყოს!

მასაჟორი – ხაფანგი

არ გირჩევთ, საკუთარ სხეულზე უცნობი მოწყობილობის ზემოქმედება გამოსცადოთ, მანამ, სანამ არ დარწმუნდებით, რომ ის აბსოლუტურად უსაფრთხოა, თორემ შეიძლება ჰონკონგელი ქალბატონის მსგავსად, ერთი შეხედვით, უწყინარი დანადგარის მსხვერპლი გახდეთ.

ეს ინციდენტი საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიაში მოხდა. 44 წლის ქალბატონმა ფეხის მასაჟორის შეძენამდე მისი შემოწმება გადაწყვიტა. მასაჟის მე-15 წუთზე, მან იგრძნო, რომ რაღაც წესრიგში არ იყო და შეეცადა, ფეხი გაეთავისუფლებინა, მაგრამ ამაოდ: მასაჟორი ნამდვილ ხაფანგად გადაიქცა. ნახევარი საათის მანძილზე უშედეგოდ ცდილობდნენ მაღაზიის თანამშრომლები საბრალო ქალის გათავისუფლებას. ბოლოს, იძულებულნი გახდნენ, დამხმარე ბრიგადა გამოეძახებინათ, რომელმაც დაზარალებულის შველა მხოლოდ მასაჟორის ნაწილ-ნაწილ დაშლის შემდეგ შეძლო.

მომხდარით შოკირებული ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ■

ქალები ცუდი მეცნიერები ყოფილან



ჰარვარდის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ლარი სამერსმა განაცხადა, რომ ქალები მეცნიერებაში მნიშვნელოვან წარმატებებს ვერ აღწევენ. როგორც მას მიაჩნია, ამას განაპირობებს ქალებსა და მამაკაცებს შორის გენეტიკური განსხვავება და არა მათი სოციალური უთანასწორობა. „კერძოდ, ქალების წარუმატებლობის ძირითად მიზეზად გვევლინება ის გარემოება, რომ ისინი გამუდმებით ფიქრობენ ოჯახზე, შვილებზე და ამდენად, გონებრივ სამუშაოს იმდენ დროს ვერ უთმობენ, რამდენიც საჭიროა“, – განაცხადა სამერსმა.

დამსწრე ქალთაგან რამდენიმემ, პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ნენსი ჰოპკინსმა ამგვარი კომენტარი გააკეთა: „სამწუხაროა, რომ ყველა ამ ახალგაზრდა, ნიჭიერ ქალს ჰარვარდში ხელმძღვანელობს ადამიანი, რომელსაც ასეთი ცუდი წარმოდგენა აქვს მათზე!“ ■

პიცა უჩვეულო შიგთავსით

კურიოზული შემთხვევა მოხდა იტალიის ერთ-ერთ პიცერიაში: კლიენტს უჩვეულოშიგთავსიანი პიცა მიართვეს: მასში, არც მეტი, არც ნაკლები, ადამიანის ჩვეულებრივი კბილი აღმოჩნდა. ბუნებრივია, რომ ამ გარემოებას ის სრულებითაც არ გაუმხიარულებია. მამაკაცმა უარი განაცხადა დამატებით ვახშამზე – რომელიც მას, კომპენსაციის მიზნით, რესტორნის მეპატრონემ შესთავაზა, დანახარჯი გადაიხადა და რესტორნის ადმინისტრაციას სასამართლოში ჩივილით დაემუქრა. მოსარჩელეს გაუმართლა: სასამართლომ რესტორანს 4.000 დოლარის გადახდა დააკისრა, ჰიგიენური ნორმების დარღვევის გამო. რესტორნის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა კი, სასამართლო პროცესზე გასაოცარი არგუმენტი მოიყვანა: მან განაცხადა, რომ დაწესებულების მფლობელს არ ძალუძს, რესტორნის თანამშრომლებს ყოველდღიურად პირის ღრუ შეუმოწმოს და აიძულოს ისინი, დროულად ეწვიონ დანტისტს.

საბოლოო ჯამში, მოგებული მაინც მოსარჩელე დარჩა, მან მორალური კომპენსაცია მიიღო. თუმცა, თუ რომელმა თანამშრომელმა დაკარგა კბილი, ჯერჯერობით გაურკვეველია. რესტორნის მფლობელი კი უახლოეს ხანებში აპელაციის შეტანას აპირებს. ■

გინდათ მობილური ჯავშირი? – იარეთ ფეხით

ამ ბოლო დროს, რუმინეთის ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში მობილური კავშირი საკმაოდ პოპულარული გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ბისტრიტ ნასაუდის საგრაფოს სოფელ კიოსში არასდროს ყოფილა ელექტროენერგია, მისი მცხოვრებლები ერთმანეთის მიყოლებით ყიდულობენ მობილურ ტელეფონებს. ამასთან, მათ სულაც არ აწუხებთ ის გარემოება, რომ მის დასატენად, მინიმუმ 8 კილომეტრის გავლა უხდებათ ფეხით, რათა უახლოეს, ელექტროენერგიით უზრუნველყოფილ სოფელში ჩავიდნენ. ასე რომ, ყოველთვის, როცა ბატარეა ჯდება, ტელეფონის მფლობელები მეზობელი სოფლისკენ ხალისით მიემართებიან.

დღესდღეობით, სოფელ კიოსში დაახლოებით 80 ოჯახი ცხოვრობს და თითოეულში ერთი ფიჭური ტელეფონი მაინც აქვთ. „მობილური ტელეფონი არც ისე ძვირი ღირს, ამავე დროს, ძალზე მოსახერხებელია. მე თვითონ არცთუ ისე ხშირად ვრეკავ ნათესავებთან. სამაგიეროდ, მათ შეუძლიათ ნებისმიერ მომენტში დამიკავშირდნენ, მიპოვონ, სადაც არ უნდა ვიყო“, – ამბობს „მობილური“ სოფლის ერთ-ერთი მცხოვრები. ■

ფოტოკუთხეები



№3(89) 3.II.–16.II.2005

ოჯახის

მეუნიკალური

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

ინტელექტუალური
დღეგრძელობა

655/8

პანკრეატიტი

კატარაქტა

სიცხლდენა
საშვილოსნოდან

მთავარი თემა:
თუ ფეხები
გტკივათ

რა აფერხებს
ზრდას

საინტერესო სიახლე –
„ზრდის ფაქტორი"

ვიზიტი
ფსიქიატრთან

თქვენი და
თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის